გაკოჩენილ
ალაგიანთა
სწორკაცია

ლ. ქანაბლე

ჯაფარი ველები

№29

„ნაკადული“
19 თბილისი 66

ვახტანგ VI ძველი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უაღრესად თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის იყო გონიერი სახელმწიფო მოღვაწე და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, საშობლოს ნათელი მომავლისათვის თავდადებული მებრძოლი და მშობელი ხალხის გულწრფელი მოჰირნახულე, ღრმად განსწავლული მწიგნობარი და ღვაწლმოსილი მეცნიერი, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი და საყოველთაოდ ცნობილი მეცენატი.

ამ წიგნში მიმოხილულია ვახტანგის ცხოვრება და მოღვაწეობა, დახასიათებულია მისი მრავალმხრივი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა.



ვახტანგ მეექვსის ცხოვრების გზა

ქართლი XVII საუკუნეში

ქართველი ხალხის-ისტორია სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი პატივისა და ღირსებისათვის ბრძოლის ისტორიაა. ქართველი მამულიშვილები თავგამოდებით იბრძოდნენ ქვეყნის ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის, მისი პოლიტიკური და კულტურული დამოუკიდებლობისათვის. მოძალებულ მრავალრიცხოვან დამპყრობლებთან ბრძოლაში ჩვენი სახელოვანი წინაპრები არნახულ ვაჟკაცობასა და სასწაულებრივ გმირობას იჩენდნენ.

იშვიათად თუ განუცდია რომელიმე ხალხს ის ჟამთა სიავე, ის ძნელბედობა, რომელიც ქართველთ ხვდათ წილად ძველ ხანაში. ქართველებს ახსოვთ ნათელი ეპოქებიც, მაგრამ უფრო ის ძაძით-მოსილი შემზარავი საუკუნეები ახსოვთ, როდესაც მათ ქვეყანას საფრთხე ელოდა. საბედნიეროდ, შავბედობა ვერ ტეხდა ქართველობას, ვერ აჯაბანებდა ლომგულ ვაჟკაცებს, ვერ ანელებდა ჩვენი მხედრების შემმართებლობას, ვერ ახშობდა რაინდების ომახიან შეძახილს. ქართველობა არ ეძლეოდა სასოწარკვეთილებას, ინარჩუნებდა სულიერ მხნეობას, მტკიცედ იცავდა და არ თმობდა მამა-პაპათა სისხლით მორწყულ მამულს, არ ელეოდა ღვაწლმოსილ წინაპართა ძვლებით მოფენილ მიწა-წყალს და შეუპოვრად უმკლავდებოდა თავდამსხმელებს. სამშობლოს უანგარო სიყვარულის უწმინდესი და უფაქიზესი გრძნობით აღვსილმა მამულიშვილებმა უცხოელ მომხდურთ თავისი ძალა აჩვენეს, ღირსეული პასუხი გასცეს და ქართველთა დამონების მსურველთ ვერაგული განზრახვის განხორციელებაზე ხელი ააღებინეს. ეს გარემოება განსაკუთ-

რებით შესამჩნევი გახდა XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ქართველთა ენერგიულმა ბრძოლამ სათანადო შედეგი გამოიღო. ირანი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილებისათვის და თავისი ძველი კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველობის სრულ განადგურებასა და ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის მოსპობას, არსებითად შეეცვალა. ირანის შაჰი ქართველთა გადაშენებასა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ყიზილბაშური სახანოების შექმნას აპირებდა, მაგრამ შეცვლილმა ვითარებამ აიძულა უკან დაეხია და განსხვავებულ პოლიტიკას მოჰკიდებოდა. მისთვის ცხადი გახდა, რომ ქართლის სამეფოს გაუქმებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ამიტომ მან ერთგვარი დათმობა ირჩია, ქართლის სახანოდ გადაქცევაზე ხელი აიღო და მის გამგებლად, თავის მოადგილედ, ირანში გაზრდილი ქართველი ბატონიშვილი როსტომი გამოგზავნა.

როსტომი (1632—1658) საკმაოდ თავისებურად მართავდა ქართლს; შაჰ-სეფის (1629—1642) დაუკითხავად თითქოს არას აკეთებდა, ამიტომაც „აქვნდა ძალი ყიზილბაშთა და ქართველნი, მცირეთაგან კიდე, ყოველნი ერთგულებდენ“ (ვახუშტი). მისი ერთგულება ირანისადმი მოჩვენებითი იყო. წინდახედული დიპლომატი მოქნილად ატარებდა თავის პოლიტიკას და შაჰის ნდობას იმსახურებდა. მისი მოხერხებული პოლიტიკის შედეგად სამეფოში, შედარებით, მშვიდობა დამყარდა, ყიზილბაშთა თარეშს, როგორც იქნა, ბოლო მოეღო. შენიღბული პოლიტიკურ-დიპლომატიური მოღვაწეობით როსტომმა „მოირთო ქართველნი ყოველნი და ყიზილბაშნი მონებდენ, ვითარცა ყეენსა“ (ვახუშტი).

როსტომი მაჰმადიანურ-ყიზილბაშური წესებით იყო აღზრდილი და რამდენადმე ჩვენშიც შეუდგა აღმოსავლური ჩვევების დაკანონებას. ამასთანავე ირანიდან დაბრუნდნენ ქართველი დიდებულები, რომლებიც წლების მანძილზე უცხო სამყაროში იმყოფებოდნენ და არა მარტო გამაჰმადიანდნენ, არამედ ეზიარნენ აღმოსავლურ კულტურას და შეითვისეს ყიზილბაშური წეს-ჩვეულებანი. სამშობლოში დაბრუნებულებმა უცხო ზნეობათა დამკვიდრება

იწყეს. დიდკაცობის ერთი ნაწილის ზნეობრივი დაცემულობის შედეგად „შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა-მრუშება, ტყუვილი, ხორცთ-განსვენება“ (ვახუშტი).

როსტომმა, მართალია, გაატარა სამოხელეო რეფორმები, ახლებური წესი დაამკვიდრა, მაგრამ ამას ქართლის პოლიტიკურ ორგანიზაციაზე რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის გავლენა არ მოუხდენია. ქართულ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს სახელები შეეცვალათ, მოხელეებმა ყიზილბაშური სახელები მიიღეს, მაგრამ ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, ადგილობრივი ადმინისტრაციული წყობა თითქმის უცვლელი დარჩა.

განუწყვეტელი საგარეო ომებით თავმობეზრებული და სისხლისმღვრელი ბრძოლებით ილაჯგაწყვეტილი მშრომელი მოსახლეობა გატაცებით და დიდი მონდომებით შეუდგა მუშაობას. ირანელთა საექსპედიციო-დამსჯელი რაზმები აღარ თარეშობდნენ, თავადებს შორისაც შედარებით დაცხრა შუღლი და გახიზნული გლეხობა თავის სამკვიდროს დაუბრუნდა. აღდგა დაცემული სამეფო, გამოცოცხლდა გაპარტახებული ქვეყანა, გაცხოველდა ხელოსნობა, იმატა ვაჭრობამ, გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი.

ქართლში, როგორც აღვნიშნეთ, შედარებით, მშვიდობა ჩამოვარდა, მაგრამ ქართველთა მორჩილება ირანელებისადმი მოჩვენებითი და დროებითი იყო.

არსებითად ჩვენი ხალხისათვის ეს იყო მცირეხნიანი შესვენება ხანგრძლივი, მრავალწლიანი ბრძოლების შემდეგ. რადგან ჯიქურმა წინააღმდეგობამ ქვეყანა გააპარტახა და ზოგი კუთხე სულ გააუკაცრიელა, ქართველობამ დროებითი კომპრომისი ირჩია და ძალის მოსაკრებად დრო იგდო ხელთ.

როსტომის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილობილი, თეიმურაზ მუხრანბატონის ვაჟი, ვახტანგი. მისი გამეფებით დაიწყო მუხრანბატონების — ბაგრატიონთა გვარეულობის უმცროსი შტოს — ბატონობა ქართლში. ამ შტომ მრავალი გამოჩენილი მოღვაწე მისცა სამშობლოს (არჩილი, გიორგი XI, ვახტანგ VI, ვახუშტი...).

მემატიანეთა დახასიათებით, ვახტანგი იყო „სახელდიდებული, სვე-ამაღლებული, ახოვანი ტანითა, ძლიერი ძალითა, უძლიერესი სიმახვილითა“ (ს. ჩხეიძე), „მხნე, ახოვანი, ჰაეროვანი, გამოცდილი

ბრძოლათა შინა და შემმართებელი, მოისარ-მოასპარეზე რჩეული, ღრმად გამგონე“ (ვახუშტი). მან ადრევე გაითქვა სახელი როგორც ჩინებულმა მეომარმა. ის ჯერ ქართლის გამგედ დანიშნეს, ხოლო როსტომის გარდაცვალების შემდეგ — ქართლის მეფედ.

ვახტანგ V (1658 — 1675) თავდადებით იბრძოდა ქვეყნის მთლიანობისა და სიმტკიცისათვის, ენერგიულად უტევდა ურჩ დიდებულებს, ამავე დროს ერთგულთა შემოკრებასა და სათავადოების შემომტკიცებას ესწრაფოდა. მომხრეთა შოვნისა და შემდგომი ძლიერების მოპოვების მიზნით, მან ნათესაური კავშირი დაამყარა დიდ გვარეულობებთან, სახელგანთქმულ ფეოდალურ ოჯახებთან. ცოლად ჯერ ყაფლან ორბელიანის ასული როდამი ჰყავდა, ხოლო შემდეგ — ლევან დადიანის და მარიამი. თავის უფროს ვაჟს არჩილს ვახტანგმა შერთო თეიმურაზ პირველის (1589—1663) შვილიშვილი ქეთევანი, ლევანს — ქაიხოსრო გურიელის ასული თუთა, ლუარსაბს—რევაზ არაგვის ერისთავის ასული მარიამი და ა. შ. ახლო კავშირი ჰქონდა შაჰის კართანაც, მისი ვაჟი ალექსანდრე ისპაანის მოურავი იყო.

ვახტანგ V არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ქართლის მართვით. მან კახეთსა და დასავლეთ საქართველოსაც მიხედა. ქართლის გავლენა ქართულ სამეფო-სამთავროებზე საგრძნობლად გაიზარდა. ვახუშტის თქმით, თავისი საქმიანობით ვახტანგმა „მოიწყო ქართლი და კახეთი, იმერნი ჟამად ეპყრნეს, ჟამად მსახურებდნენ და უსმენდნენ, მესხნი მორჩილებდნენ“. ვახტანგის საქმიანობა მრავალმხრივი იყო. მან „აღაშენა და განავრცო ქართლი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი“. მისი მეფობის დროს ქვეყანას გარეშე მტერი არ შემოსევია, მაგრამ ჩამოსახლებულ ყიზილბაშთა თვითნებობა და ადგილობრივ თავადთა ძალმომრეობა კვლავ სულს უხუთავდა მშრომელ მოსახლეობას.

ირანელთა ბატონობამ საზოგადოების მაღალი ფენების ხრწნა გამოიწვია, გამაჰმადიანებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1643—1713), რომელიც XVII საუკუნის სამოცდაათიან წლებში იყო საქართველოში, წერდა: „ქართველთა კეთილშობილნი გარეგნობით უმეტეს ნაწილად მაჰმადიანები არიან. ეს სარწმუნოება ზოგს იმიტომ მიუღია, რომ მეფის კარზე ად-

გილი ეშოვა და სახელმწიფო ჯამაგირი ჰქონოდა". ქართველი ფეოდალების გახრწნა-გადაგვარება კათოლიკე მისიონერებსაც აქვთ აღნიშნული. პატრი კარლო სანმარინელი 1668 წელს სწერდა რომს: ბევრი მათგანი „მაჰმადიანობას იღებს თუ სიგლახაკის მიზეზით და თუ ხარისხის შეძენისათვის, და თუ კიდევ იმისათვის, რომ შაჰს აამოს".

ქართველი მებატონეები უმოწყალოდ ყვლეფდნენ მშრომელ მოსახლეობას. სამეფოში შექმნილი მძიმე მდგომარეობა ყველაზე მეტად გლეხკაცობას ვნებდა, უცხოელთა ბატონობისა თუ ადგილობრივ დიდგვარიანთა თავაშვებულობის გამო ყველაზე მეტად ის იტანჯებოდა.

ჟან შარდენის ცნობით, „მებატონეებს ძლიერ დიდი უფლება ჰქონდათ ყმებზე. ისინი მთელი თვეების განმავლობაში, რამდენიც სურდათ, იმდენს ამუშავებდნენ ყმებს და არც ჯამაგირს და არც საზრდოს აძლევდნენ. მებატონეებს ხელი მიუწვდებოდათ ყმების ქონებაზე, თავისუფლებასა და სიცოცხლეზედაც კი". მეორე უცხოელიც აღნიშნავდა, რომ ქართველ დიდებულებს „განუსაზღვრელი უფლება ჰქონდათ თავიანთ ქვეშევრდომებზე. მათ ხელში იყო ყმათა ქონება, სიცოცხლე და ნამუსი".

მშრომელ მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა სახელმწიფო და კერძო საბატონო ვალდებულებანი, ეკლესიაც დაუნდობლად ყვლეფდა მას. მიუხედავად აღნიშნულისა, სამეფოში შედარებით მშვიდობისა და მწარმოებელი კლასის ინტენსიური მუშაობის შედეგად, ქართლი ეკონომიური აღმავლობის გზას დაადგა. გამრავლდა მოსახლეობა, კიდევ უფრო გაცხოველდა ვაჭრობა, საგრძნობლად გაძლიერდა ხელოსნური წარმოება, მეტი ყურადღება მიექცა ქალაქების კეთილმოწყობას.

იმდროინდელ თბილისს ვრცლად აღწერს ჟან შარდენი: „თბილისი ერთი უმშვენიერესი ქალაქია. უმეტესი ნაწილი სახლებისა სალ კლდეებზე დგას. ქალაქი შემოზღუდულია მშვენიერი და მაგარი კედლით, მდინარისაკენ კი უკედლოა.

თბილისში რამდენიმე ეკლესიაა. ექვსი მათგანი ქართველებისაა, დანარჩენი სომხებისა. დედა ეკლესია, რომელსაც სიონს უწოდებენ, დგას მდინარის პირზე, მშვენიერი თლილი ქვით არის ნაშენი.

თბილისში რამდენიმე კარგი საჯარო შენობაა. აქ არის ქვით ნაშენი და კარგად შენახული დიდი საბაზრო შენობები. ასეთივეა ქარვასლებიც, რომლებშიაც უცხოეთიდან მოსული ხალხი ბინავდება დროებით. თვითონ ქალაქში აბანოები ცოტაა და ხალხი ბანაობს იმ თბილ წყალში, რომელიც ციხეშია. ამ აბანოების წყალი გოგირდიანია და ძლიერ ცხელი. კარგადმყოფთა გარდა აქ ბანაობენ სნეულებიც. დუქნებიც კარგად არის მოწყობილი, სუფთად შენახული და მაღლობზე დგას, დიდი მოედნის პირას.

მეფის სასახლე ერთ უმშვენიერეს შენობას წარმოადგენს თბილისში. სასახლეში არის დიდი დარბაზები, რომელნიც მდინარეს და ბაღებს გადასცქერიან. ბაღები ძალიან ფართოა. სასახლის წინ არის ოთხკუთხი მოედანი, რომელზეც ათასამდე ცხენი დაეტევა. მოედანი დუქნებით არის შემოზღუდული და ბოლოს გრძელი ბაზარია სასახლის პირდაპირ. მშვენიერი სანახავია მოედანი და სასახლის ფასადი ამ ბაზრის თავიდან.

თბილისის მიდამო შეკრულია რამდენიმე სალხინო სახლით და მშვენიერი ბაღებით. ყველაზე დიდია მეფის ბაღი".

ვახტანგ მეხუთის დროს შესამჩნევად გაძლიერდა და განმტკიცდა სამეფო კარი, რომლის დიდებასა და ბრწყინვალებას აღტაცებაში მოჰყავდა უცხოელი მოგზაურებიც კი. სასახლეში მომრავლდნენ მგოსნები და მომღერლები, განვითარდა სახოტბო პოეზია.

ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად შემოქმედებითი ძალების გამოცოცხლება შესამჩნევი გახდა საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაშიც. გაიზარდა ინტერესი მეცნიერებისა და კულტურისადმი, მეტი ყურადღება მიექცა სწავლა-განათლების საქმეს, იმატა ქართველ მწიგნობართა რიცხვმა. სხვათა შორის, იმ ხანის ქართველთა განსწავლულობას საგანგებოდ აღნიშნავდნენ უცხოელები. მაგალითად, ერთი უცხოელის სიტყვით, „ქართველებს აქვთ დიდი და საოცარი ცოდნა, თუმცა თავისი სამშობლოდან არსად გადიან". როგორც ჩანს, მაჰმადიანური გარემოცვისა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის შესუსტების მიუხედავად, ქართველები მაინც ახერხებდნენ განათლების დონის ამაღლებას.

ვახტანგ მეხუთის კარზე, დროის შესაფერად, საკმაოდ კარგად

იყო დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე. მემატიანის ცნობით, ვახტანგმა თავისი შვილები აღზარდა „სახელმწიფოსა სწავლითა და სიბრძნე-მეცნიერებითა. პირველად განსწავლნა საღმთოთა წერილთა სწავლა-თარგმანებათა და განმარტებათა მიერ, ხოლო უმეტესად საეროთა და სავაჭკაცოთა მხედრობითა გამოცდილობითა ყოვლითურთ, სამამაკაცო ზნეობითა ესრეთ სახედ, რომ არაოდეს არ აღზრდილ არს საქართველოსა შინა, მათებრივ არცა ძენი მეფეთანი და არცა დიდებულთანი“. დამოწმებულ სიტყვებს ნათლად ადასტურებს ვახტანგის ძეთა ჩინებული განათლება და კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალმხრიობა. მეფის შვილები ფიზიკურად ძლიერი, გონებაგახსნილი და ფრიად განათლებული მოღვაწენი იყვნენ. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ არჩილი, გიორგი და ლევანი.

არჩილი (1647—1713) იყო „კისკას, შვენიერ, მობურთალი, მოისარი“. ფიზიკურ სიძლიერესა და მოხდენილ გარეგნობასთან ერთად მას ამშვენებდა ლიტერატურული ნიჭი და მაღალმხატვრული გემოვნება. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში არჩილს ფრიად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ის ცნობილია როგორც ახალი ლიტერატურული მოძრაობის მეთაური, ისტორიულ-ეროვნული თემატიკის შესანიშნავი დამმუშავებელი, მშობლიური ენის სიწმიდისათვის მებრძოლი, გამოჩენილი პოეტი და დიდაქტიკოს-მორალისტი.

არჩილი ძველი ქართული მწერლობის კარგი მცოდნე და მის სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილი შემოქმედი იყო. მისი მეცნიერებაც საკმაოდ ცნობილია.

გიორგი იყო დაუცხრომელი სულის, შეუდრეკელი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის მამულიშვილი, „ძლიერი გოლიათებრ, სამხედროთა საქმეთა სრული და ხელგამომავალი. ასეთი სიტყვა ჰქონდა, მტერნი მოყვრად შეცვალის“. ვახუშტი გიორგის ასე ახასიათებდა: „მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანითა, შვენიერ-პაეროანი, პირ-მხიარული, ენა-ტკბილი, უხვი და მრისხანე, მოისარ-მოასპარეზე უებრო“.

გიორგი ლიტერატურით საკმაოდ დაინტერესებული იყო და თვითაც იღებდა მონაწილეობას ქართული მწერლობის განვითარე-

ბის საქმეში. მას უნდა ეკუთვნოდეს ერთი საინტერესო თხზულება: „თხრობანი სულთა და ხორცთანი ურთიერთას“, რომელიც ლექსნარევი პროზაული თხრობაა და ვრცლად გვაცნობს ავტორის ნაფიქრნააზრევს.

გიორგი ცნობილია მეცენატობითაც; მისი დავალებით იაკობ დუმბაძემ გალექსა ბაგრატ ბატონიშვილის პოლემიკური ნაწარმოები („უსჯულოს მაჰმადიანთა და ქრისტიანეთა გაბაასება“). ენერგიულად ზრუნავდა იგი ქართულ ხელნაწერთა გასამრავლებლადაც. მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ძვირფასი ხელნაწერი, რომელიც 1680 წელს მისი ბრძანებითაა დამზადებული.

მესამე ძმა ლევანი, მემატიანეთა სიტყვით, იყო „ბრძენი და მეცნიერი, შორდამნახავი საქმისა და განსწავლული სამეცნიეროთა წიგნითა, ღრმად გამსინჯველი და მოუბარი“. იგი განათლებული მწიგნობარი, გაწაფული მეომარი და შორსმხედველი სახელმწიფო მოღვაწე იყო.

არჩილი, გიორგი და ლევანი მგზნებარე პატრიოტები იყვნენ და დღენიადაგ სამშობლოს კეთილდღეობის სადარაჯოზე იდგნენ. მათი ყოველი ნაბიჯი მშობელი ხალხის დიდი სიყვარულით იყო შთაგონებული. მთელი თავისი ძალა და ენერგია მათ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას შეალიეს.

ვახტანგ V შაჰს თითქოს ერთგულად მორჩილებდა და როსტომის კურსს აგრძელებდა, მაგრამ თავის პოლიტიკას ისე მოქნილად ეველარ ატარებდა და ანტიირანულ საქმიანობას მოხერხებულად. ეველარ ნიღბავდა. ამასთანავე მან ხელი მიჰყო როსტომის დროს დანერგილი წესების ნაწილობრივ შეცვლას და ყიზილბაშურ ჩვევათა შერბილებას. ირანელთა ზეგავლენის შესუსტება, — ისევე, როგორც ვახტანგ მეხუთის მთელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, — შეშფოთებასა და უკმაყოფილებას იწვევდა შაჰის კარზე; ყოველი ღონისძიება მიმართული ქართლის გაძლიერებისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისაკენ, წინააღმდეგობას აწყდებოდა როგორც შაჰის სასახლეში, ისე ადგილობრივ დიდებულთა

წრეშიც. დაეჭვებულმა შაჰ-სოლეიმანმა (1666 — 1694) ვახტანგი ირანის სატახტო ქალაქში — ისპაანში იხმო. ქართლის გამგებლობა გიორგიმ მიიღო.

გიორგიმ ადრევე გამოავლინა ხასიათის სიმტკიცე. მან ჯერ კიდევ ჭაბუკობაში მოაკვლევინა საბარათიანოს სარდალი ზაზა ციციშვილი, რომელიც „იქცეოდა ამაყად მეფესა ზედა“. ვახტანგი რომ შაჰის კარს გაემგზავრა, გიორგის დაავალა „უკუმდგარი“ ქსნის ერისთავის დასჯა. გიორგიმ ლევანი გაგზავნა შიდა ქართლის მხედრობით და იესე ერისთავი გააძევებინა. ქსნის ერისთავობა გიორგის ერთგულმა დათუნამ მიიღო (შალვა ერისთავის ძემ).

ვახტანგ V 1675 წელს გარდაიცვალა. სოლეიმანმა გიორგი დაიბარა, მისთვის ტახტის ბოძება განიზრახა. გიორგიმ ქვეყნის გამგებლად ლევანი დატოვა, ხოლო თვითონ შაჰს ეახლა. იმ დროს ისპაანის სასახლეში მოღვაწეობდა დაწინაურებული დიდებული შიხალი-ხანი, რომელსაც საკმაო გავლენა ჰქონდა მოპოვებული; მის სიტყვას შაჰი ანგარიშს უწევდა. შიხალი-ხანი ქართლის სამეფო სახლს მტრობდა (როდესაც სოლეიმანმა აბას მეორის ცოლის — ანუკა ვახტანგის ასულის გაჩუქება მოინდომა, ორმა დიდებულმა ითხოვა ქართველი მეფის ასულის ხელი: ლურისტანის ხანმა და შიხალი-ხანმა. ვახტანგის თხოვნით, შაჰმა ანუკა ლურისტანის ხანს მისცა. შიხალი-ხანმა წყენა გულს ჩაიხვია და ქართველებს მტრობა დაუწყო). მან ხელი შეუშალა გიორგის გამეფებას. მისი რჩევით, შაჰმა გადაწყვიტა ქართლი თეიმურაზ პირველის შვილიშვილის — ერეკლესათვის მიეცა.

აქტიურად ამოქმედდა არჩილი. ის ჯერ იმერეთში მეფობდა (1661—1663), შემდეგ — კახეთში (1664—1675), 1675 წელს კვლავ სცადა იმერეთის ხელში ჩაგდება, მაგრამ, რადგან გიორგი შაჰის კარზე დაყოვნდა, ჩამოვიდა ქართლს და მისი დაპყრობა დაიწყო. მას ქართლში გამეფება არ ჰქონდა განზრახული; იგი ქართლს იპყრობდა „არა თუ თვისად, არამედ რათა სცნას ყეენმან და მოსწრაფედ წარმოავლინოს“ გიორგი. ამ ხერხმა გაჭრა, არჩილის მოქმედებაძ სასარგებლო ნაყოფი გამოიღო. შეშფოთებულმა შაჰმა გიორგის მისცა ქართლის მეფობა და სამშობლოსაკენ გამოისტუმ-

რა. ახალი მეფე ქართლს მოვიდა, თბილისს დასადგურდა (1676 წ.) და ქვეყნის მართვას შეუდგა.

ვახტანგის დაბადება და აღზრდა

საღმთოც ვიცოდი, საეროც

ვახტანგ VI

ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, განსწავლული მეცნიერი და პოეტი ვახტანგ ბაგრატიონი დაიბადა 1675 წლის 15 სექტემბერს. მამამისი—ლევან ბატონიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, განათლებული მწიგნობარი იყო. მან თავისებური წვლილიც კი შეიტანა ძველი ქართული მწერლობის საგანძურში, კერძოდ, შეთხზა საყურადღებო საგალობლები. დედა—თუთა იყო ასული ქაიხოსრო გურიელისა. იგი ადრე გარდაიცვალა (1678 წ.). შემდეგში ვახტანგს დედინაცვალი — თინათინ ავალიშვილი ზრდიდა.

ვახტანგმა უნივერსალური განათლება მიიღო, საფუძვლიანად გაიცნო და შეისწავლა ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა და საერო-მხატვრული ლიტერატურა, ღრმად შეისწავლა აგრეთვე ღვთისმეტყველება და საეკლესიო ისტორია, გაიარა სათანადო რაინდული წვრთნა. შესაფერისად გაიწაფა იგი სამხედრო-პრაქტიკულ დისციპლინებშიც. საეკლესიო მოძღვრებისა და საერო ზნეობათა შესანიშნავი ცოდნა ვახტანგს უფლებას აძლევდა ამბად ეთქვა: „საღმთოც ვიცოდი, საეროც“. ან კიდევ: „არ ვიყავ სულად უცოდნი, ვიცოდი ენა მძიმები, მეკითხა წიგნი საღმთო და საერო“. თანამედროვეთა ცნობითაც, ვახტანგი იყო „საღმთოთა და საეროთა ორკერძოდვე ზნეობითა და სწავლით გარემოზღუდვილი“ (გ. თუმანიშვილი).

ვახტანგმა საკმაოდ კარგად შეისწავლა ენები, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, სამართალი, ასტრონომია, გეოგრაფია და ა. შ. თავისი ხალასი ნიჭით, ფხიზელი გონებით, მუყაითობითა და შრომისმოყვარეობით მან ადრევე მიიქცია საზოგადოების ყურად-

ღება. პატრი რეჯინალდო აღნიშნავდა რა გულმოდგინედ მეცადინეობდა ვახტანგი ასტრონომიაში და დასძენდა: „საკმაოდ მაღალნიჭიერი და სწავლისმოყვარეაო“. ვახუშტის დახასიათებით, ვახტანგი იყო „ცოდნისმოყვარე, ბრძენი, მხნე და ახოვანი, შვენიერ-ჰაეროვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი“.

ვახტანგს შესანიშნავი პირობები ჰქონდა სწავლისათვის. იგი სარგებლობდა სასახლის წიგნსაცავით, იყენებდა უძველეს ხელნაწერებს, ახლო ურთიერთობაში იყო ცნობილ მწიგნობრებთან, იზრდებოდა მწერალთა და მეცნიერთა წრეში; მის აღზრდას ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი პირები, ზედამხედველობას უწევდნენ განსწავლული მეფე-ბატონიშვილები. სასახლეში ყველა ცდილობდა ვახტანგისთვის დახმარების აღმოჩენას. იგი ძალზე დაიახლოვა გიორგი მეფემ, მისი ლიტერატურული ინტერესის გაღვივებას ხელი შეუწყო არჩილმა. მათ შორის მუდამ მტკიცე კავშირი და ტკბილი ნათესაური ურთიერთობა იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი ამაგი, რომელიც ვახტანგისადმი მიუძღვის სახელოვან ქართველ მწერალსა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს სულხან ორბელიანს.

სულხან ორბელიანი ძალზე ახლოს იყო სამეფო კართან, მეფე-ბატონიშვილებთან. სხვათა შორის, მისი აღზრდა-განათლების საქმეს მამამისთან (ვახტანგ მდივანბეგი) ერთად ქართლის უფლისწულებიც ხელმძღვანელობდნენ. გიორგი ბატონიშვილი მის საპატიო აღმზრდელად ითვლებოდა. ვახტანგი ერთ წყალობის წიგნში სულხანს „მეფის გიორგის გაზრდილს“ უწოდებდა. თვით სულხანიც „ქილილა და დამანას“ ანდერძში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ის „გიორგი მეფის დედის ძმისწული იყო და მისგანვე შვილურად გაზრდილი და გასწავლებული“. მათ შორის მუდამ კეთილგანწყობილება იყო. მეფე-ბატონიშვილთა მფარველობას სულხანი ერთგულებით უპასუხებდა, თავდადებით ემსახურებოდა ვახტანგ მეხუთის მემკვიდრეებს და დიდად ეხმარებოდა მათ ქართლის სამეფო ტახტისათვის გაჩაღებული ბრძოლების დროს. გიორგი მეფე და მისი ახლობლები ხშირად აღნიშნავდნენ სულხანის დამსახურებასა და ღვაწლს. ვახტანგის ცნობით, სულხანი მის „მამა-ბიძათა ზედა დიდად ნამსახური და გარჯილი იყო“.

სამეფო კარმა სულხანს ვახტანგის აღზრდა დაავალა. მან ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი. ვახტანგის შემდგომი კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა ცხადყოფს, რომ სულხანმა ეს დავალება პირნათლად შეასრულა, რითაც კიდევ უფრო მეტი სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა. მისიონერი რიშარი 1713 წელს საგანგებოდ აღნიშნავდა: „ამ თავადმა აღზარდა ვახტანგი და მისი სახლობა. ამისათვის ისეთ პატივს სცემენ და ისე უყვართ, როგორც საკუთარი მამა; აგრეთვე მთელ საქართველოსაც მამად მიაჩნია“.

ვახტანგი მთელი არსებით მიენდო თავის აღმზრდელს, თავისი მამის ბიძაშვილს და მრავალი წლის მანძილზე მეგობრობდა სულხანს.

სულხანის სიტყვით, ის იყო „ვახტანგ მეფისა ბიძად და გამზრდელად წოდებული და დიდად საყვარელი“, ხოლო ვახტანგი „ყოვლად საყვარელი ბატონის ბიძის უმდაბლეს ძმისწულს“ უწოდებდა თავის თავს.

სულხან ორბელიანი არა მარტო პირადად ასწავლიდა ვახტანგს, არამედ საერთოდ ხელმძღვანელობდა მის აღზრდა-განათლებას და შეძლებისდაგვარად ყოველი დისციპლინის შესწავლას თვალს ადევნებდა. მისი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ისეთი დარგიც კი, როგორიც ასტრონომიაა. ჩვენამდე მოაღწია ვახტანგისთვის განკუთვნილმა კოსმოგრაფიის სახელმძღვანელომ აღმზრდელის მინაწერებით, შენიშვნებითა და განმარტებებით.

იმავე პერიოდში სულხან ორბელიანი მუშაობდა თავის „სიბრძნე სიცრუისაზე“. როგორც ცნობილია, ამ კრებულის პრაქტიკულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ძალზე დიდია. „სიბრძნე სიცრუისა“ განსაკუთრებით გამოირჩევა სულხანის კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, ის ქართული მხატვრული ლიტერატურის უჯკნობი შედევრია, ხოლო მისი ავტორი — დიდების შარავანდედით მოსილი უკვდავი შემოქმედი.

„სიბრძნე სიცრუისაზე“ მუშაობისას მწერალს სხვა მიზნებთან ერთად კონკრეტული პირის—ვახტანგის სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანებიც ამოქმედებდა. უბადლო იგავთმწერალი თავის პრაქტიკულ საქმიანობას წიგნში თეორიულად ასაბუთებდა და ამართლებდა. თავის კრებულში მან მეფის იდეალი დასახა. მისი აზრით, მეფე

უნდა ყოფილიყო მორალურად და ფიზიკურად სრულყოფილი, დიდბუნებოვანი ადამიანი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით გამსჭვალული ერთსულოვანი საზოგადოების ღირსეული წინამძღოლი. აი, ასეთ მეფედ ზრდიდა და ამზადებდა იგი ვახტანგს.

ამრიგად, ვახტანგი განსაკუთრებულ პირობებში აღიზარდა და ენციკლოპედიური განათლება მიიღო. ბუნებრივია, ვახტანგის, როგორც მომავალი სახელმწიფო მოღვაწის, მწერლისა და მეცნიერის ჩამოყალიბებაზე, მის სულიერ თვისებათა წრთობასა და ხასიათის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა როგორც ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურმა მდგომარეობამ, ისე მისმა კულტურულმა გარემომ.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გიორგი ბატონიშვილი, შემდგომში მეფე გიორგი XI (1676—1688, 1703—1709), საკმაოდ იყო დაინტერესებული ლიტერატურით. მისი ყურადღება მწერლობისადმი გარკვეულ იერს აძლევდა თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებას. მის კარზე თავი მოიყარეს მწიგნობრებმა, პოეტებმა, მეხოტბეებმა. გარდა სულხან ორბელიანისა, თბილისში მოღვაწეობდნენ სხვა გამოჩენილი მწერლებიც. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ გიორგი მეფის ერთგული მოკავშირე იოსებ სააკაძე, რომელიც აქტიურად იღვწოდა როგორც სასულიერო-საეკლესიო მწერლობის დარგში, ისე საერო-მხატვრული ლიტერატურის სფეროშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ვრცელი საისტორიო პოემა „დიდმოურავიანი“. ავტორი, მიუხედავად თავისი სოციალური მდგომარეობისა, არ მოერიდა თანამოდასეთა მხრივ კიცხვას. მან გაბედულად მოჰკიდა ხელი საერო თემატიკის დამუშავებას და სახელოვანი სარდლის გ. სააკაძის რეაბილიტაციას.

იმ ხანის სახოტბო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია მდივანი ბეგთაბეგ თანიაშვილი. მან დაწერა გიორგი მეფის პროზაული ქება, რომელიც ანდერძის სახით დაურთო საკუთარი ხელით გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს“. მანვე დაწერა გიორგის ქება ლექსად. ბეგთაბეგმა განაგრძო მისი ძმის, სულხანის, მიერ წამოწყებული საქმე და დაასრულა „ამირანდარეჯანიანის“ გალექსვა; გიორგის კარზე მოღვაწეობდა და მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ისტორიკოს სეხნია ჩხეიძეს, რომელმაც თავის ნაწარმოებში —„ცხოვრება

მეფეთა“ აღწერა 1653—1739 წლების ამბები და სათანადო ადგილი მიუჩინა გიორგისაც.

აი, ასეთ ეპოქაში დაიბადა და აღიზარდა ვახტანგი, ასეთ ვითარებაში დაუნჯდა მისი გონება, ასეთ კულტურულ გარემოში გაიშალა მისი შემოქმედებითი ნიჭი.

მონაწილეობა ქართლის ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში

მე ჩემმან ბედმან არ მომცა
ჟამი ნებისა ჩემისა

ვახტანგ VI

გიორგის გამეფებისთანავე ქართლში მკვეთრად იჩინა თავი ანტიირანულმა განწყობილებამ. ვახტანგ მეხუთის შვილები მამის გზით აღარ მიდიოდნენ, ისინი შაჰის თუნდაც მოჩვენებითი მორჩილების წინააღმდეგნი იყვნენ და დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფოდნენ. სულ მალე საგრძნობი გახდა, რომ სეფიანთა სახელმწიფო პოლიტიკური და ეკონომიური დაქვეითების გზას ადგა. შაჰ-სოლეიმანს ერთობ გაუჭირდა მეამბოხე ხანების დამორჩილება და ხელისუფლების განმტკიცება. ქართველმა მამულიშვილებმა დრო იხელთეს.

არჩილი რუსეთს დაუკავშირდა, გიორგიმ აღმოსავლეთ საქართველოს მოთავეობა იკისრა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ქართული სამეფო-სამთავროების შეკავშირების იდეა რეალურად ისხამდა ხორცს. გიორგი მეფემ ძირითად ამოცანად ურჩი დიდებულების დათრგუნვა, ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით შეკავშირება და დამპყრობელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გაჩაღება დაისახა.

გიორგიმ ენერგიულად მოჰკიდა ხელი სამეფოს მართვას, იწყო ორგულთა დასჯა და ერთგულთა შემოკრება. ქსნის საერისთავო უფრო რომ შემოემტკიცებინა, თავისი ასული მარიამი დათუნა ერის-

თავს შერთო, არაგვის ერისთავად იასონ გიორგის ძე დასვა და ა. შ.

მალე შაჰ-სოლეიმანმა გიორგის ძმა მოსთხოვა. მან ლუარსაბი აახლა. ამ დროს (1678 წ.) არჩილმა იმერეთი დაიპყრო. შიხალი-ხანმა ვერაგობა არ მოიშალა; შაჰს შეასმინა, გიორგი ოსმალეთს გვიმხედრებს, არჩილმა მისი დახმარებითა და ხელშეწყობით დაიჭირა იმერთა ქვეყანაო. 1679 წელს შაჰმა სპასალარი აჯი-ალი-ხანი გამოგზავნა, „რათა გარდააბირნოს ქართველნი გიორგი მეფისაგან". შაჰმა ქართლის მეფეს არჩილის დასჯა, იმერეთიდან გაძევება, ან შეპყრობა და ისპაანს წარგზავნა დაავალა. გიორგიმ ყოველივე აუწყა არჩილს. ეს უკანასკნელი დვალეთს გადავიდა (1681 წ.), მაგრამ სოლეიმანი მაინც არ დაცხრა და არჩილის დვალეთიდან გაძევებაც მოითხოვა.

არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინების საფუძველზე არჩილმა დაასკვნა, რომ იმერეთის ტახტის დაბრუნება და შენარჩუნება მისთვის შეუძლებელი იყო, ამიტომაც ადრევე შეუდგა დამხმარე ძალის ძებნას. უთანასწორო ბრძოლაში რამდენჯერმე ძლეული არჩილი რუსეთისკენ ისწრაფოდა, რამდენჯერმე ტახტმიხდილს რუსეთიღა დარჩა საიმედო საფრად და იმედად. სამშობლოდან გახიზნულმა ელჩები გაგზავნა მოსკოვში, ხელმწიფე თედორე ალექსის ძეს (1672 — 1682) საქართველოს მდგომარეობა აუწყა, საკუთარი უბედურება აცნობა და მფარველობა, რუსეთს გაიგზავრების ნებართვა და მგზავრობაში დახმარება სთხოვა.

მალე არჩილი ოჯახითა და ამალით გაუდგა ჩრდილოეთის გზას და 1682 წლის 1 სექტემბერს დიდი გაჭირვებით ჩავიდა ასტრახანში. იქ იგი დიდხანს დარჩა და მოთმინებით ელოდა რუსეთის სამეფო კარზე მისვლის ნებართვას. ბოლოს ეს ნებართვაც მიიღო და 1685 წლის 14 დეკემბერს რუსეთის სატახტო ქალაქს ეწვია.

ქართლში მდგომარეობა კვლავ დაძაბული იყო. შაჰ-სოლეიმანმა სპასალარს გიორგის მტრობა უბრძანა. ამ უკანასკნელმა ააშოძრავა მეფისა და ტახტის ორგულნი, აამოქმედა შინაგამცემნი. მეფეს გაუდგნენ იასონ არაგვის ერისთავი, სომხითის მელიქი ქამარ-ბეგი, ერეკლე მუხრანბატონი და ძმანი მაჩაბელნი. გიორგი არ შეშინდა, არ დაიბნა. მან სიმტკიცე გამოიჩინა, მოღალატენი მკაცრად დასა-

ჯა. მისი ბრძანებით ქამარ-ბეგი კოჯორს მოკლეს, ერეკლე მუხრან-ბატონი და მაჩაბლები შეიპყრეს, იასონ არაგვის ერისთავი საბლით მოაშთვეს.

გიორგი მეფემ უფრო ფართოდ გაშალა ანტიირანული საქმია-ნობა, მალე თავისი გეგმა გააცნო არჩილს და იმერთა და კახთა მეფედ მოიწვია.

მოსკოვს ჩასული არჩილი არ ფიქრობდა იქ სამუდამოდ დარ-ჩენას. მას სურდა რუსეთის სამეფო კართან უშუალო კონტაქტი დაემყარებინა, გარეშე მტრებისა თუ შინაური მოღალატეების თვალ-ში თავისი ავტორიტეტი აემაღლებინა, ფინანსური და სამხედრო-პოლიტიკური დახმარება მიეღო და დაკარგული სამფლობელო დაებრუნებინა. გახიზნულ მეფეს კავშირი ჰქონდა თავის სამშობ-ლოსთან. როდესაც მოსკოვს მიაღწია გიორგის მოწოდებამ მაჰმა-დიანთა წინააღმდეგ ერთობლივი ძალით ბრძოლის გაჩაღების შესა-ხებ, არჩილი აღფრთოვანებული შეეგება ამ წინადადებას და საძ-შობლოში წამოსასვლელად იწყო მზადება. მისი აზრით, დადგა დრო ქართველთა განთავისუფლებისა და თურქ-ოსმალთა თუ ირანელთა ძლევისა. ეს აზრი იმანაც განუმტკიცა, რომ რუსეთი, პოლონეთი და ვენეცია თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლვე-ლად გაერთიანდნენ და რუსეთი ყირიმზე გასალაშქრებლად ემზა-დებოდა. არჩილმა რუსეთის მთავრობისაგან მიიღო ფინანსური დახმარება და 1688 წლის 30 ივნისს საქართველოსკენ აიღო გეზი. ის იმედოვნებდა, რომ გიორგისთან ერთად სათავეში ჩაუდგებოდა თანამემამულეთა ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ და სამშობ-ლოს დამოუკიდებლობას მოუპოვებდა.

შაჰი ფხიზლად ადევნებდა თვალს გიორგისა და არჩილს; ახლა მან ახალი ხერხი იხმარა: დაიბარა ლევან ბატონიშვილი, „რამეთუ ეუწყა არს იგი საქმისა მისისა (გიორგისა — ლ. მ.) წარმართებე-ლიო“. როგორც ჩანს, ვახტანგის მამა გიორგი მეფის ერთგული მოკავშირე, გულითადი მრჩეველი და საიმედო თანამზრახველი იყო. ამიტომაც დაიბარა იგი ვერაგმა შაჰმა.

გიორგის ძალზე გაუჭირდა ლევანის გაშვება და შაჰს შეუთვა-ლა: ჩემს ვაჟს ბაგრატს გაახლებო. სოლეიმანმა ორივე იწვია. აღშ-ფოთებულმა გიორგიმ აშკარად იწყო აჯანყებისათვის სამზადისი,

კახნიც მიიმხრო, მაგრამ შინაღალატმა ჩაშალა ეს წამოწყება. ჩიხში მომწყვდეულმა მეფემ ძმა და პირმშო (1688 წლის მარტში) აახლა შაჰს, მაგრამ ამან ვეღარ უშველა. განრისხებულმა სოლეიმანმა ქართველი ბატონიშვილები შორეულ პროვინციებში გაგზავნა, ბაგრატი და ლევანი — ჰერათს (აწ ავღანეთშია), ხოლო ლუარსაბ ვასტანგის ძე—ქირმანს.

შაჰმა ეს არ აკმარა ქართლის სამეფო გვარეულობას, ტახტი ჩამოართვა გიორგის და ერეკლეს გადასცა. გიორგი ცხინვალს მივიდა, ხოლო იქიდან რაჭას გადავიდა. შემოდგომაზე იქ მივიდა არჩილიც, იქვე იყვნენ ლევან ბატონიშვილის ვაჟებიც (ქაიხოსრო, დომენტი, ვახტანგი).

არჩილი იმერეთის ხელში ჩაგდებას შეეცადა, ბევრი მომხრეც იშოვა, მაგრამ იმერთა მეფე ალექსანდრე ვერ დაამარცხა და ტახტი ვერ დაისაკუთრა. მალე იძულებული გახდა გასცლოდა იმერეთს და დვალეთს გადასულიყო. მან თან წაიყვანა ვახტანგი და მისი ძმებიც.

ერეკლე პირველი კახთა მეფის—თეიმურაზის ვაჟის—დავითის (— დათუნას) შვილი იყო. მამამისი ყიზილბაშებთან ბრძოლაში დაეცა 1648 წელს. თეიმურაზმა თავისი შვილიშვილი რუსეთს გაგზავნა (1652 წ.).

1659 წელს, კახეთი რომ აჯანყდა, ერეკლე ჩამოვიდა რუსეთიდან და ტახტის ხელში ჩაგდება სცადა, მაგრამ ამაოდ. 1666 წელს კვლავ მოსკოვს დაბრუნდა, ხოლო შემდეგში ირანს მიაშურა, იქ დარჩა რამდენიმე წელს, გამაჰმადიანდა, შაჰის ყურადღება დაიმსახურა და ბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, ქართლის ტახტიც მიიღო (1688 წ.).

ერეკლე იყო „ქართლისა და წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი“, ამასთანავე „ლირწთა და უშვერთა მოუბარი, სმისა და შვება-ლხინთა მოყვარე“. მან ქართლში ახალი წესები დაამკვიდრა, განადიდნა ირანელნი, „აღაზვავნა მცველნი ტფილისის ციხისანი ყიზილბაშნი, რამეთუ ჰკლვიდენ და წარუხმიდენ კაცთა ცოლ-შვილთა, სხვათა ჰყიდდნენ და სხვათა მოჰმედიან ჰყოფდნენ“ (ვახუშტი).

ერეკლემ შეუტია დევნილი მეფის მომხრეებს, დაამდაბლა გივი ამილახორი, აშოთან მუხრანბატონი და სხვანი. მისმა მეომრებმა არჩილის შვილებს დიგორამდე სდიეს. ერეკლეს რომ აუწყეს, ლევან ბატონიშვილის სახლობა გიორგი ავალიშვილის მამულშიაო, მან ქაიხოსრო (ლოპინა) ციციშვილი მიუგზავნა შესაპყრობად, მაგრამ ლევანის სიმამრმა—გიორგი ავალიშვილმა არ დააყოვნა და თავისი ხიზანნი „წარიყვანა სამცხეს, ლოგათხევსა შინა, ძმისა თვისისა თანა“. ქ. ციციშვილი გაწბილებული დარჩა, გამძვინვარებულმა „იავარჰყო ქონება ლევანისა სრულად“ (ვახუშტი).

ერეკლე ემყარებოდა ირანელთა სამხედრო ძლიერებას, ავიწროებდა ეროვნულ ძალებს, ნერგავდა ჩვენში ყიზილბაშურ ტრადიციებს. მისი მზაკვრული პოლიტიკით შეწუხდა ქართველობა. განსაკუთრებით მძიმე ყოფაში იყო მშრომელი მოსახლეობა. ქართლის გლეხები კახეთს გარბოდნენ.

1690 წელს არჩილმა ერთხელ კიდევ სცადა იმერეთის ტახტის დაკავება. გიორგიმ მასთან ერთად შეუტია იმერთა მეფე ალექსანდრეს. ერთობლივი ბრძოლით ძმებმა გაიმარჯვეს და ოსმალეთის ხონთქარმაც არჩილს დაუმტკიცა იმერეთი. პირობისამებრ თურქოსმალებთან მძევლად ერთ ხანს ვახტანგი გაიგზავნა. ამ დროისათვის ის უკვე ჩაბმული იყო პოლიტიკურ საქმიანობაში და თავის ბიძებთან, არჩილსა და გიორგისთან, ერთად აქტიურად იბრძოდა დასაღუპავად განწირული სამშობლოს განთავისუფლებისა და განსაცდელში ჩავარდნილი მშობელი ხალხის ხსნისათვის.

შაჰმა ახლა სხვა ღონე იხმარა, ხონთქარს ქალბალი-ხანი მიუგზავნა და გიორგის თავი სთხოვა. ქართლის დევნილი მეფე ენგიჩარებს შეეფარა ახალციხეში. მას დაუკავშირდნენ ერეკლეს პოლიტიკით აღშფოთებული ქართველები, მატერიალური დახმარება გაუწიეს და ქართლს მოიწვიეს.

ახალციხიდან გამოპარული გიორგი მივიდა ოშორას, აყარა თავისი და ლევანის სახლეულნი (დედოფალი, ლევანის მეუღლე — თინათინ ავალიშვილი, ლევანის შვილები — ქაიხოსრო, დომენტი, ვახტანგი, იესე, სვიმონი, თეიმურაზი), დააბინავა სადგერს და თვით ქართლს მოვიდა (1691 წ.). მალე მან შემოიკრიბა თანამებრძოლები, შეყარა მრავალრიცხოვანი ლაშქარი. დამპყრობელთა წინააღ-

მდეგ აჯანყების წამოწყებამ აღაფრთოვანა სამშობლოსმოყვარული ქართველობა.

ერეკლე თბილისის ციხეში გამაგრდა. გიორგი მივიდა დიდგორსა და კოჯორს. მდგომარეობა უსაზღვროდ დაიძაბა. მართალია, გიორგის თითქმის მთელი ქართლი უჭერდა მხარს, მაგრამ ერეკლეს ირანისგან ჰქონდა მტკიცე ზურგი. ამასთანავე გიორგის მოქიშპე დიდებულებიც არ ცხრებოდნენ. ზემოხსენებულმა ქაიხოსრო (ლოპინა) ციციშვილმა შემოიკრიბა თავისი ხელქვეითნი და თავს დაესხა ახალდაბას მყოფ დედოფალს, მაგრამ ვერა გაუწყო რა. ვახტანგმა ვაქკაცურად შეუტია მოწინააღმდეგეს და სამარცხვინოდ უკუაქცია (1691 წ.).

გიორგის მოქმედებამ ჩააფიქრა შაჰი. მისი ქართლს დაბრუნება და საბრძოლო მზადყოფნა რომ გაიგო, სოლეიმანმა გეგმა შეცვალა, დაიბარა პატიმრად მყოფი ლევანი და ლუარსაბი (მეფის ძე ბაგრატი ჰერათს გარდაცვლილიყო) და პატივი მიაპყრო. ქართლს მოვიდა შაჰის მიერ გიორგის ძმების შეწყალების ამბავი, გიორგის მოლაშქრეებს იმედი მიეცათ. მეამბოხე მეფის ერთგული მომხრენი არ ეპუებოდნენ ყიზილბაშებს და დღენიადაგ მათთვის ზიანის მიყენებას ცდილობდნენ. მათი ლაშქარი თბილისს მოადგა და „შეაჭირვა ფრიად“. გიორგი ენერგიულად ამოქმედდა: ბარძიმ მსაჯულთუხუცესი იმერეთს გაგზავნა არჩილის დასახმარებლად, გივი ამილახორი და თამაზ ორბელიანი კახეთს გაისტუმრა, პაპუა მუხრანბატონი და გიორგი ერისთავი აბაზ-ყული-ხანის წინააღმდეგ გაგზავნა თიანეთს და ა. შ.

გიორგი ძლიერ მოკავშირეს ეძებდა. მან თავისი ძმისწული ვახტანგი მძევლად გაგზავნა დაღესტნის მფლობელთან. შამხალი ადრევე იყო დაკავშირებული ქართველებთან და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების იმედსაც იძლეოდა. აი, სწორედ მისკენ გაეშურა ვახტანგი. ხევში მან გერგეტის სამება ინახულა და იქაურ „სულთა მატიანეში“ ჩაწერა: „ჰე, ყოვლად ძლიერო ღმერთო, რომელმან ქართლის მთავრად ქმენ გიორგი... სძლეს სპარსთა და გადავარდა. დაყო წელი ღარიბობაში ოთხი და მოვიდა და დაიჭირა ქართლი. სთხოვა სპარსთა და არ მოსცეს. და მე, ვახტანგ, გამგზავნა ლეკში. შემოვიარე აქ და მოვედი, რათა შეგვეწიონ სპარსთა

ზედა ძალი ამა სამებისა წმიდანი და აწ გევედრები, რათა წარმიმართო სავალნი ჩემნი“.

ვახტანგი დაიმედებული გაეშურა ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ დაღესტანს აღარ გადავიდა, რადგან გზაზე გაიგო შაჰის მიერ მოსყიდული შამხალის ღალატი და მთიელების მიერ არჩილის შეპყრობა. შეძრწუნებული ვახტანგი ხევიდან გამობრუნდა და გორს, თავის ძმასთან, ქაიხოსროსთან, მივიდა (1692 წ.).

გარდაცვლილი სოლეიმანის ადგილი სულთან-ჰუსეინმა (1694 — 1722) დაიკავა. მან იწყინა გიორგის მიერ ქართლის ძალით დაჭერა და თბილისელ ყიზილბაშებს დამხმარე ძალა მოაშველა. ქართველებმა ახალმოსულნი მოსრნეს. თბილისისათვის გამართულ ბრძოლაში ვახტანგმაც საკმაოდ გამოიჩინა თავი, მტერს გაბედულად შეუტია და რაინდული შემართებითა და თავგანწირულებით თანამებრძოლები აღაფრთოვანა. ვახტანგმა იცოდა, რომ გიორგი მანამდე ვერ გაიმარჯვებდა, ვიდრე თბილისის ციხეს ხელში არ ჩაიგდებდა; ქართლის განთავისუფლებაზე ფიქრი ფუჭი ოცნება იქნებოდა, თუ ქალაქის ციხეში ყიზილბაშები დარჩებოდნენ. ამიტომ მან გამეტებით შეუტია უცხოელებს, საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო, მაგრამ განსაცდელს გადაურჩა და თბილისელ მეციხოვნეთა მაშველ ლაშქარს ბრძოლის ველი დაათმობინა.

ქართლის ტახტისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. მალე ერეკლეს ახალი ლაშქარი მოუვიდა ქალბალი-ხანის მეთაურობით. გიორგის მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა. მართალია, ის უკვე რამდენიმე წელია ბატონობდა ქართლში, მაგრამ ქალბალი-ხანს ურიცხვი ლაშქარი ახლდა და მასთან ბრძოლა ერთობ ძნელი იყო.

1695 წლის ზაფხულს მტრის ლაშქარი ხუნანს მიადგა. ერეკლე თბილისის ციხიდან გამოვიდა. მას შეუერთდა ზოგიერთი გამდგარი ფეოდალი. გიორგი დიდგორს მივიდა, საომრად გაემზადა, მაგრამ არაგვისა და ქსნის ერისთავებმა გაშლილ ველზე ბრძოლა არ ისურვეს.

ერეკლე და ქალბალი-ხანი სომხითს მივიდნენ, გიორგი კლდე-

კარს დადგა. ქართველი თავადები ბრძოლას ერიდებოდნენ, დაზამთრებას ელოდნენ, თოვლი გააქცევს ყიზილბაშებსო. მრავლად იყვნენ მოღალატენიც. გიორგი საბრძოლველად იწევდა, მაგრამ ძლიერმა დიდებულებმა მხარი არ დაუჭირეს. გულნატკენი, „უღონო ქმნილი“ მივიდა კრკონს, წაიყვანა იქ მყოფი სახლეულნი და იმერეთს გადავიდა (1695 წ.). თავისი ვაჟის — ბაგრატის საცოლედ ჩამოყვანილი ჩერქეზთ ბატონის ასული რუსუდანი და ვახტანგი ჯერ ქაიხოსრო ჩხეიძის სახლში დააბინავა (ქაიხოსროს ვაჟი თეიმურაზი ლევან ბატონიშვილს ახლდა ისპაანში), ხოლო შემდეგ, როდესაც „ჩხეიძეს ერეკლეს წყრომა მოუვიდა“, გიორგი აბაშიძესთან გადაიყვანა ხარაგოულის ციხეში.

იმერეთს გახიზნულ მეფეს თან გაჰყვნენ ერთგული თანამებრძოლები, ზოგიც შემდეგ მიუვიდა. მემატიანის ცნობით, „მეფეს გარდაყვა ერთპირად ერისთავი გიორგი, ამილახორი გივი, ძმა ამილახორისა კათოლიკოსი ნიკოლოზ, ყორჩიბაში მუხრანის ბატონიშვილი დათუნა, ზურაბისშვილი ზურაბ, სხვანი თავადნი და აზნაურნი მრავალნი“.

ვახტანგის აღმზრდელი სულხან ორბელიანი და მისი ძმები გიორგის მხარეზე იბრძოდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ქართლის ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში. ისინი ამჯერადაც დევნილი მეფის ერთგულნი დარჩნენ, მას „შერჩნენ და გარდაყვნენ“.

გიორგის მომხრე-მოკავშირეებს ქართლში სასტიკად დევნიდნენ, მათ საკუთარ მამულში აღარ ედგომებოდათ, ამიტომაც გარბოდნენ იმერეთსა და სამცხეს.

ვახტანგი ერთ ხანს ხარაგოულში ცხოვრობდა. იქვე შეირთო ჩერქეზი ბატონის ასული რუსუდანი. გიორგი აბაშიძის ხიზნებმა გადაიხადეს „ქორწილი არადიდებული“. რასაკვირველია, ეს ქორწინება შემთხვევითი ხასიათისა არ იყო, მას წმინდა პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. რუსუდანი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გიორგი მეფის ვაჟის ბაგრატის საცოლედ იყო მოყვანილი, მაგრამ, რადგან ტახტის კანონიერი მემკვიდრე ირანში გარდაიცვალა, გიორგიმ იგი ძმისწულს მიათხოვა და ამით ნათესაური კავშირ-ურთიერთობა დაამყარა ჩერქეზებთან. მოძალებულ მტრებთან საბრძოლ-

ველად გიორგი მხოლოდ ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებასა და შეკავშირებას კი არ ლამობდა, ჩრდილო კავკასიაშიც ეძებდა მხარდამჭერსა და შემწეს.

ტახტისათვის ბრძოლაში გიორგიმ ვერ გაიმარჯვა. მისი მომხრენი დაიქსაქსნენ, გაძლიერებულმა ერეკლემ გიორგის ერთგულთ მამულები ჩამოართვა. ზოგი მებრძოლი მოტყდა, ერეკლეს ქედი მოუხარა და ირანელთა სარდალს ჩაბარდა. ქალბალი-ხანმა შემორიგებულები შაჰს აახლა, ხოლო მან დაატყვევა და ქირმანს წარგზავნა. ისპაანის გზას გაუდგა ქაიხოსრო ლევანის ძეც.

ბრძოლა მინელდა, გიორგის მომხრეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. სასოწარკვეთილმა მეფემ პოლიტიკა შეიცვალა, დანებება და ყიზილბაშებთან შერიგება გადაწყვიტა.

მრავალწლოვანმა უნაყოფო ბრძოლამ და მწარე მარცხმა გიორგის რწმენა შეურყია. ქართველთა გაერთიანება არ მოხერხდა, ქართული სამეფო-სამთავროების შეკავშირება და დარაზმვა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად შეუძლებელი გახდა, ჩრდილო კავკასიაში მოკავშირეთა დაძებნა გაჭირდა, ხოლო საკუთარი ძალით გამარჯვების მოპოვების იმედი საბოლოოდ დაიკარგა. განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩაშლისა და ეროვნული მარცხის მთავარი მიზეზი მაინც ქართველთა შეუთანხმებლობა და შინაომი იყო; ირანელთა უღლის მოსაცილებლად კი ქართველთა გაერთიანება და მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ფრონტით გამოსვლა აუცილებლობას წარმოადგენდა. ეს გარემოება იმდენად შესამჩნევი იყო, რომ უცხოელებსაც კი არ გამოჰპარვიათ. იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლი, რომელიც 1681 წელს იყო ქართლში, საგანგებოდ აღნიშნავდა: „ქართლის, გურიის, სამეგრელოსა და სხვათა მთავარნი ერთმანეთის ნათესავები არიან. ყველა ეს მთავარი რომ შეერთებულიყო, მეომარსა და საომარ იარაღში გაწაფულ ქართველებს, რომელთა ქვეყნის ძალა და სიდიადე იტალიისას არ ჩამოუვარდება, შეეძლოთ ამჟამად დაძაბუნებული ირანისათვის მუშტი ეჩვენებინათ, როგორც ეს მათ არა ერთხელ უქნიათ“.

გიორგი გადმოვიდა იმერეთიდან. მას გადმოჰყვნენ თანამებრძოლები, რომელთაც ერეკლემ სამკვიდრო დაუბრუნა (ასეთი იყო

შაჰის ბრძანება). დიდებულები, — მამულებში ცოლ-შვილის დასახლების შემდეგ, — გიორგის გაჰყვნენ და ჯერ ერევნის ხანთან მივიდნენ (1696 წ.), მერე კი შაჰთან გამოცხადდნენ. გიორგისა და მის ამალას ისპაანში მრავალი ქართველი დახვდა (ლევან, ალექსანდრე, ლუარსაბ, ქაიხოსრო ბაგრატიონები და სხვ.).

ვახტანგი ბიძას არ გაჰყვა, „დაშთა სახლეულით იმერეთს". ისპაანს წასვლას, მიუხედავად იმისა, რომ იქ მამა და ახლობლები ეგულებოდა, იმერეთს ხიზნად ყოფნა ირჩია. საერთოდ, ის გიორგის ერთგული მოკავშირე იყო, მაგრამ ამჯერად არ გაჰყვა მის კვალს. ჩანს, ვახტანგი არ თანაუგრძნობდა გიორგის ახალ პოლიტიკას და არ იწონებდა გეზის შეცვლას.

1696 წლიდან გიორგის მომხრეებმა ქართლში დაბრუნება და სამკვიდროში დასახლება დაიწყეს. სულხან ორბელიანმა და მისმა ძმებმაც დაბრუნება გადაწყვიტეს. მათი ნათესავები და ახლობლები შეუდგნენ ერეკლეს გულისწყრომის დაცხრობას. სულხანის ბიძის—ასლანის მეუღლემ (თამარ დიასამიძე-ორბელიანისა) თავის დისწულს ერეკლე მეფეს გახიზნულთა შემორიგება და დანაშაულის პატიება სთხოვა. ნათესაურმა კავშირმა და, შეიძლება უფრო მეტად, შაჰის ბრძანებამ გიორგის მომხრეთა შეწყნარება-შეწყალების შესახებ გაჭრა, სულხანსა და მის ძმებს ეპატიათ დანაშაული. 1696 წლის გაზაფხულზე ისინი უკვე თავის სამკვიდროში არიან, მაგრამ პოლიტიკურ საქმიანობაზე ხელს იღებენ და ქართლში გამეფებული რეჟიმისადმი პროტესტის ნიშნად საგვარეულო მამულში იკეტებიან.

ვახტანგი კვლავ იმერეთში იმყოფებოდა. მალე იქ დვალეთიდან მივიდა არჩილი და ვახტანგი თავის ოჯახიანად ჩრდილო კავკასიაში წაიყვანა.

დვალეთს რომ გადავიდნენ, რუსთა მცველ ჯარს დაუწყეს ცდა. არჩილს გადაწყვეტილი ჰქონდა ვახტანგის რუსეთს წაყვანა, მაგრამ რუსთა ჯარმა დაიგვიანა. მთელი ზამთარი მოლოდინში დაყვეს, შემდეგ არჩილი კვლავ იმერეთს დაუბრუნდა და ერთხელ კიდევ (1698 წ.) დაიჭირა სამეფო ტახტი. მისი მეფობა არც ამჯერად აღმოჩნდა ხანგრძლივი, ექვსი თვის შემდეგ სამუდამოდ გამოეთხოვა საქართველოს და რუსეთისაკენ აიღო გეზი.

ვახტანგიც თან უნდა წაჰყოლოდა, მაგრამ „კავკასი თოვლით კრულ იყო და დედაწულით ვერღა-რა ვიდოდა“. არჩილი გაუდგა მოსკოვის გზას, ვახტანგი კი რაჭაში დარჩა.

ქართველობას ირანისაკენ ეჭირა თვალი და მოუთმენლად ელოდა გიორგის დაბრუნებას. გიორგი იგვიანებდა, შაჰი თავის საქმეს აკეთებინებდა და სამშობლოში გამოსტუმრებას არც უპირებდა.

ერეკლე შესამჩნევად გაძლიერდა. ქართლს მყოფი ყიზილბაშების შემოსამტკიცებლად მან ყოველგვარ საშუალებას მიმართა. ირანელთა თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. „იპარვიდიან სილაღითა მცველნი ციხისა, თათარნი ტფილისისა, გორისა და სურამისა ტყვეთა და ჰყიდიან. და შეერიათ ქართველთაცა ყიდვა ტყვეთა და იცვალებოდაცა ქცევა-ზნენი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოვლითა უწესოებითა“ (ვახუშტი). ყიზილბაშთა ძალმომრეობამ და უზნეობამ შესაბამისი უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართველთა ნაწილზე.

ერეკლემ დაიწყო გიორგის მომხრეთა დევნა-შევიწროება, მათი მამულების კონფისკაცია. ადრე იმერეთსა თუ სამცხეს გაქცეული, ხოლო შემდეგში პატიმრად ან გიორგის მხლებლად ირანს წასული თავადების მამულები თავის ერთგულებს მისცა; არაგვის ერისთავად ბაინდური განაჩინა, მუხრანბატონად — კონსტანტინე, ამილახორად — იოთამი, სომხით-საბარათიანოს სარდლად—ლუარსაბ ყაფლანიშვილი და ა. შ. შეავიწროეს ვახტანგ მდივანბეგის ოჯახიც, რომლის პოლიტიკური იდეალი დაიმსხვრა და სანატრელი ოცნება განუხორციელებელი დარჩა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მდივანბეგის ოჯახის ზოგიერთმა წევრმა პოლიტიკური სარბიელი მიატოვა და ეკლესიას მიაშურა. 1698 წელს ბერად აღიკვეცა სულხანი, 1699 წელს — ზაალი. დაახლოებით იმავე პერიოდში საეკლესიო მოღვაწეობას შეუდგა მესამე ძმაც—ნიკოლოზი და ა. შ.

გიორგი XI ირანში დიდ პატივში იყო. შაჰი მისი გულის მოგებას ცდილობდა და მის თხოვნას უყურადღებოდ არ ტოვებდა; სწორედ გიორგის თხოვნით გაათავისუფლა თამაზ ორბელიანი, დავით ერისთავი და პაპუა მუხრანბატონი.

გიორგის ექვსასამდე მეომარი ახლდა. ირანელთ ფრიად აფიქრებდათ ეს სამხედრო ძალა, შიში ჰქონდათ ქართველი მებრძოლე-

ბისა. ამიტომ მათ გამაჰმადიანება ან სამშობლოში დაბრუნება მოსთხოვეს. ქართველებს „შეექმნათ ჰმუნვა დიდი, თავად რჯულის დაგდებისათვინ, მერმე პატრონის გაყრისათვინ“. ბოლოს ქართველთა ნაწილი გამაჰმადიანდა, ნაწილმა კი ქართლს მოაშურა. გიორგისთან ორასამდე თანამემამულე დარჩა.

გავიდა ხანი. ირანის საერთაშორისო-პოლიტიკური ვითარება შესამჩნევად გართულდა. უნიჭო მმართველსა და უნებისყოფო ვეზირებს ქვეყნის გაძღოლა აღარ შეეძლოთ. შაჰ-სულთან-ჰუსეინს გარს ეხვივნენ მლიქვნელი მრჩევლები, მექრთამე მოხელეები. არსებითად ისინი განაგებდნენ სახელმწიფოს, აწარმოებდნენ დიპლომატიურ მოლაპარაკებასა და სამხედრო ოპერაციებს. შაჰის კარის ხრწნა, სასახლის ინტრიგები და კარისკაცთა პირმოთნეობა აუტანელ ატმოსფეროს ქმნიდა სამეფოში. ირანი დაღმავალ გზას დაადგა. გლეხთა მეურნეობა დაეცა და განადგურდა, საქალაქო ცხოვრება მოიშალა, ვაჭრობა შესუსტდა, სახელმწიფო შემოსავალი შემცირდა, ხელოსნობა დაეცა, მშრომელთა ექსპლოატაცია გაძლიერდა. სეფიანთა დინასტიის უკანასკნელმა წარმომადგენელმა სულთან-ჰუსეინმა გადასახადების გაზრდით მოიწადინა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ სამეფოს გადარჩენა აღარაფერს შეეძლო. შაჰის წინააღმდეგ გაბედულად გამოვიდნენ აღმოსავლეთის პროვინციების მოსახლენი — ავღანელები და ბელუჯები. მეამბოხეებს ხელმძღვანელობდა ყანდაარის (აწ ავღანეთშია) ქალაქის თავი მირვეისი. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქირმანი; მეამბოხეთა ლაშქარი ხშირად ესხმოდა თავს, არბევდა, აწიოკებდა. ირანელთა მხედრობამ ვერაფერი გააწყო მტერთან. შაჰმა ქართველთა დახმარებით მოიწადინა ამბოხების ჩახშობა. 1699 წლის ნოემბერში მან გიორგის ქირმანის ბეგლარბეგობა (პროვინციის მმართველობა) უბოძა და შაჰნავაზი უწოდა. გიორგის მხლებელნი გამხიარულდნენ, „არა ქირმანისათვის, არამედ საქმისა და წყალობის გამობრუნებისათვის“. ქართლის მეფეს ქართლის ტახტის მიღება სურდა, მაგრამ იმხანად ეს შორეული ოცნება და აუსრულებელი წადილი იყო. რა გაეწყობოდა...

ლევან ბატონიშვილმა ქირმანის ნაიბობა მიიღო. წავიდა ქირმანს და თან ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი იახლა. მალე

ლევანი მოწინააღმდეგეს შეხვდა, „ახლდა თათარი ავკარგად ექვსასი ოდენ, ქართველნი ორმოცნი“. ქართველი სარდალი არ შეუშინდა მტერს, ვაჟკაცურად წარუძღვა ლაშქარს; „უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებან ხმელთა სპანიო“, — მოიგონა შოთა რუსთაველის სიტყვები და მიეტანა მტრის ურდოს, „მარბიელნი სპანი დიდნი მოსრნა“ (ს. ჩხეიძე).

გიორგი და ლევანი წლების მანძილზე თავგამოდებით ებრძოდნენ ირანის შაჰის მოწინააღმდეგეებს. რასაკვირველია, მათი მიზანი შაჰის ძალაუფლების განმტკიცება და მისი მტრების დათრგუნვა არ ყოფილა; ისინი ქართლისთვის იბრძოდნენ ბელუჯებთან და ავღანელებთან, მაგრამ პირდაპირ თუ არა პირდაპირ, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც ირანის შაჰის შერყეულ პოზიციებს ამაგრებდნენ. ქართლის მეამბოხე მეფე, ირანელთა მოძულე და ყიზილბაშთა ლაშქრის რისხვა, ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, შაჰის ცბიერი და ვერაგული პოლიტიკის წყალობით ირანის სამსახურში ჩადგა და მახვილი სულთან-ჰუსეინის მტრების წინააღმდეგ მიმართა.

1701 წელს შაჰმა ლევან ბატონიშვილს ირანის მდივანბეგობა მისცა, ხოლო მის ძეს ქაიხოსროს — ისპაანის მოურავობა. ლევანმა შაჰს დასავლეთ საქართველოში გახიზნული შვილი-—ვახტანგი შეაეედრა. შაჰმა ერეკლეს მოსწერა ვახტანგი გადმოიყვანე და საუფლისწულო მამული დაუბრუნეო. ერეკლეს არ ესიამოვნა, მაგრამ „ვერ ურჩ-ექმნებოდა“ ბრძანებას და ვახტანგი მოიწვია (1701 წ.).

ვახტანგი წლების მანძილზე იმერეთში ცხოვრობდა, რუსეთისაკენ იცქირებოდა და მოსკოვს წასვლას აპირებდა (სხვათა შორის, ლევანმა კიდეც უთხრა შაჰს: ქართლში თუ არ დავაბრუნეთ, რუსეთს გაემგზავრებაო). მასთან მივიდნენ არჩილის მიერ მოსკოვიდან გამოგზავნილი კაცები და რუსეთში შესვლის ნებართვა მიუტანეს, მაგრამ ვახტანგს გულმა ქართლისაკენ გამოუწია, იმერთა დიდებულებმაც სამშობლოში დაბრუნება ურჩიეს. იგი გადმოვიდა ქართლში და თავისი საუფლისწულო ჩაიბარა.

გიორგიმ ერთ ხანს თითქოს „დაამშვიდნა ყოველნი ურჩი“, დაამარცხა ირანის აღმოსავლეთი პროვინციის—ხორასანის მარბევი

ლაშქარი, მაგრამ წინააღმდეგობა მაინც არ შეწყდა, მალე ამბოხების ახალი ტალღა აზვირთდა.

1703 წელს სულთან-ჰუსეინმა გიორგის უბოძა ქართლი და ირანის სპასალარობა, ყანდაარის ბეგლარბეგობა და გირიშკი (აწ ავღანეთშია). გიორგი კარგად გრძნობდა, რომ ქართლი ყანდაარის საქმეების მოსაგვარებლად მისცეს, შაჰი კვლავ თავის საქმეს აკეთებდა, მაგრამ მას, რასაკვირველია, უარის თქმა არ შეეძლო. უარით შაჰს განარისხებდა და ქართლის მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებდა. მან მიიღო შეთავაზებული წყალობა და ქართლის საქმეთა გასარიგებლად ლევანი გამოგზავნა.

შეცვლილი ვითარების შედეგად ქართლში ერეკლეს ძალმომრეობას ბოლო მოეღო. შაჰმა ის მეფობიდან გადააყენა, საქართველოდან გაიწვია და ისპაანს ჩაიყვანა, ძველი სამფლობელოს ნაცვლად კახეთი და ყულარაღასობა (სასახლის გვარდიის სარდლობა) უბოძა. ერეკლე ბედს შეურიგდა და ირანის სატახტო ქალაქში დარჩა, ხოლო კახეთის მმართველობა მისმა ძემ დავითმა (იმამყულიხანმა) მიიღო.

ერთობ აფორიაქებული დატოვა ერეკლემ ქართლი. მისმა უთავბოლო მმართველობამ მძიმე დაღი დააჩინა ქვეყანას. გარეშე მტრის აულაგმავ თარეშს დაერთო შინაური არეულობა და დინასტიური ინტრიგები, სამეფო კარის მოშლილობა და ფეოდალური დაქსაქსულობა, დიდებულთა თვითნებობა და თავაშვებულობა, სახელმწიფოს ეკონომიური უძლურება, სოფლის მეურნეობის დაქვეითება, აუტანელი გადასახადები, მშრომელთა შეუზღუდავი ექსპლოატაცია. ქართლში ეკონომიური ცხოვრება მოშლილი, მეურნეობა გაპარტახებული, მოსახლეობა შემცირებული, ხოლო კულტურის დონე დაქვეითებული იყო.

აი, ასეთი მდგომარეობა იყო ქართლში, თბილისს ახალი გამგებელი ლევან ბატონიშვილი რომ მოვიდა (VII. 1703). ქართველობა, ვახტანგის მეთაურობით, მას ჯერ კიდევ ტაშირს შეეგება, ხოლო თბილისში შეხვდნენ „მოქალაქენი სიხარულითა დიდითა, შექმნეს სიხარული დიდი და გარიგება ქართლისა, როგორცა თვით პირველად ყოფილიყო“.

ლევანს გარკვეული დავალება და მიზანი ჰქონდა: მას ეევალე-

ბოდა ქართლის „დაშლილ საქმეთა“ გარიგება, მასვე უნდა წარეგზავნა ქართლის ჯარი ირანს. ლევანმა „განაგნა ყოველნი საქმენი ქართლისანი“, გიორგისაც გაუგზავნა რჩეული მეომრები სულხანსაბას ძმის ვახუშტი ორბელიანის მეთაურობით, მაგრამ მისი გამგებლობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე შაჰმა დაიბარა. 1704 წლის სექტემბერში ლევანი ისპაახისკენ გაეშურა, თან წაიყვანა თავისი ვაჟი იესე, ხოლო „განმგედ ქართლისა“ ვახტანგი დატოვა. გიორგი მეფის ახალი მოადგილე და ნაცვალი (ჯანიშინი) მართვას შეუდგა.


ვახტანგი — ქართლის გამგებელი

ვახტანგ აღაშენა და განავრცო ქართლი

ვ ა ხ უ შ ტ ი

ქართლის ახალი გამგებლის მოღვაწეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. ვახტანგი გულისყურით ეკიდებოდა როგორც პოლიტიკურ საკითხებს, ისე ადმინისტრაციულ-ეკონომიურსა და პრაქტიკულ-სამეურნეო საქმეებს. მთელი მისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობა ღრმად იყო გააზრებული. იგი ორიგინალურად მოფიქრებული გეგმითა და პროგრამით მოქმედებდა და ყველაფერს აკეთებდა ქვეყნის პოლიტიკური გაძლიერების, ეკონომიური მოღონიერებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ვახტანგის მიზანი სავსებით გარკვეული და კონკრეტული იყო: ირანელთა მოჩვენებითი მორჩილების ნიღბითა და მისი ოსტატური გამოყენებით ეროვნული პოლიტიკის გატარება, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და განმტკიცება. შინაგანი ბრძოლით გაწამებული და გაპარტახებული ქვეყნის ცხოვრების გარდასაქმნელად აუცილებელი იყო ახალი რეფორმების გატარება, მაჰმადიანთა ბატონობისდროინდელ წეს-ჩვეულებათა უარყოფა და დარღვევა.



თბილისი (XVII საუკუნის 70-იანი წლები).



სულხან-საბა ორბელიანი

ირანის აწეწილ საქმეებს აღმოსავლეთის პროვინციებში ქართლის სამეფო სახლის გამოჩენილი წარმომადგენლები (გიორგი XI, ლევანი, ქაიხოსრო) აგვარებდნენ და არსებითად მათ ხელში იყო ქვეყნის ბედი; ამიტომ შაჰი მეტ დათმობაზე მიდიოდა, ქართლს ნაკლებ აწუხებდა, ვახტანგს არ ბორკავდა, ხელს არ უშლიდა და ზოგჯერ იძულებით მხარსაც კი უჭერდა.

ვახტანგმა დასახული მიზნის მისაღწევად განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ერთი მხრივ, ქართული სამეფო-სამთავროების შეკავშირებასა და დასავლეთ საქართველოს ჩაბმას საერთო-ქართულ საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ, საიმედო დამხმარე ძალისა და მოკავშირის ძებნას; გადაუდებელ ამოცანად დაისახა ყიზილბაშთა თვითნებობის ალაგმვა, ტყვის-სყიდვის მოსპობა, მართვა-გამგეობის მოწესრიგება, სამართლის ნორმების დადგენა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. ვახტანგი ყოველ ღონეს ხმარობდა მშვიდობიანი შრომისათვის სათანადო პირობების შექმნის, მოქალაქეობრივი ცხოვრების მოწესრიგების, ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორებისა და ეროვნული ძალების გამოცოცხლებისათვის.

ვახტანგმა თბილისელ მეციხოვნეებს შეუტია და ერეკლეს მიერ გათამამებული ყიზილბაშები შეავიწროვა, ირანელთა მიერ დამკვიდრებული წესები შეცვალა და ნაწილობრივ აღმოფხვრა კიდეც. რასაკვირველია, მისი მოქმედება არც ქართლში ჩამოსახლებულ დამპყრობლებს მოსწონდათ და არც შაჰს ახარებდა, მაგრამ სულთან-ჰუსეინს ქართველი მეომრების დახმარება ჯერ კიდევ სჭირდებოდა და ვახტანგთან ურთიერთობის გამწვავება ხელს არ აძლევდა, ხოლო მეციხოვნეებს აშკარად გამოსვლა ვერ გაებედათ, რადგან არც საკუთარი ძალის იმედი ჰქონდათ და არც ირანიდან ელოდნენ დახმარებას. როდესაც მათთვის თითქოს ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, ყიზილბაშებმა არ დააყოვნეს და ვახტანგის საზიანო საქმიანობა წამოიწყეს: „განდგნენ და დახშნეს კარნი ციხისა და იწყეს სროლა თოფ-ზარბაზანთა“. ვახტანგმა კარგად განჭვრიტა შექმნილი ვითარება და მეამბოხე მეციხოვნეთა გამოსვლა შაჰს აუწყა. ამ უკანასკნელმა მეციხოვნენი მკაცრად დასაჯა (1709 წ.). ეს ვახტანგის დიდი გამარჯვება იყო, შაჰის მხარდაჭერამ კიდევ

უფრო გაზარდა მისი სახელი და ავტორიტეტი მოწინააღმდეგეთა თვალში.

ვახტანგმა სასტიკად დათრგუნა მოწინააღმდეგე დიდებულები, ერეკლეს მომხრენი დასაჯა და გადააყენა, ხოლო გიორგის ერთგულნი ძველ უფლებებში აღადგინა. თავისი დიდი გეგმის განხორციელებაში მას ხელს უშლიდა თავადთა არაერთსულოვნება და დაუმორჩილებლობა ცენტრალური ხელისუფლებისადმი, ღალატი და გამცემლობა, საერთო-სახალხო ინტერესების უგულებელყოფა. ამის გამო ვახტანგს ხშირად უხდებოდა შეტაკება პატივმოყვარე ფეოდალებთან, ქედმაღალ ერისთავებთან. იმ მიზნით, რომ მეტად განემტკიცებინა ცენტრალური ხელისუფლება და დროულად დაესაჯა ორგულნი და განდგომილნი, ვახტანგმა შექმნა „მცველთა ჯარი“, რომელიც არსებითად მის პოლიტიკას ახორციელებდა.

„მცველთა ჯარში“ ჯანიშინის ერთგული თავადიშვილები, აზნაურიშვილები და მსახურები ირიცხებოდნენ. ამ დაქირავებულ ლაშქარს ევალებოდა ვახტანგის დაცვა, ქვეყნის შინაგანი უშიშროების უზრუნველყოფა, სახელმწიფოში წესრიგის დამყარება. „მცველთა ჯარმა“ კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, განამტკიცა ვახტანგის ხელისუფლება, შეზღუდა თავაშვებული დიდებულები.

ვახტანგის ბრძოლა ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ეს მისი გეგმის ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო. მისთვის ადრევე სავსებით ნათელი გახდა, რომ მოძალებული მტრის უკუსაგდებად და მშობლიური ქვეყნის გამოსახსნელად საჭირო იყო ქართველთა ერთხმივობა, ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანება და მამულისმოყვარულთა მძლავრი ლაშქრის შეკრება, მაგრამ საქართველოს შინაგანი და საგარეო მდგომარეობა ამის შესაძლებლობას გამორიცხავდა. რეაქციონერი ქართველი თავადები ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გაერთიანებისათვის, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის. ერთიანი ხელისუფლების განმტკიცება მათი ინტერესების შეზღუდვასა და თვითნებობის ალაგმვას ძოასწავებდა, რაც, რასაკვირველია, მათ ხელს არ აძლევდათ. ფეოდალური რეაქცია ძირს

უთხრიდა ქვეყნის ერთიანობის დიდ საქმეს, ამიტომ მასთან ბრძოლა უაღრესად პროგრესული მოვლენა იყო.

ვახტანგის საქმიანობა, რასაკვირველია, ფეოდალური სისტემის წინააღმდეგ არ იყო მიმართული, მას მიზნად არ დაუსახავს სოციალური უსამართლობის გამოსწორება, მხოლოდ ფეოდალური ურთიერთობის მოწესრიგება და დიდგვარიანთა მოდრეკა სურდა. ყოველივე ამას ვახტანგი ქვეყნის ეკონომიური მოღონიერებისა და სამხედრო-თავდაცვისუნარიანობის გაზრდისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამოცანების განხორციელების წინაპირობად თვლიდა.

ერეკლეს დროს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და მშრომელთა შეუზღუდავი ექსპლოატაციის შედეგად ქართლელ გლეხთა ნაწილი გამოეთხოვა თავის სამკვიდროს, საკუთარ სამყოფს, გაეცალა სისხლისმსმელ მებატონეებს, კახეთს მიაშურა, იქ დასახლდა და დაბინავდა. აღნიშნულმა მოვლენამ კახეთს მუშა ხელი შემატა, მაგრამ ქართლი საგრძნობლად დააზარალა. ვახტანგმა გაითვალისწინა ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები, ასევე გაბატონებული კლასის სურვილები და გახიზნულ გლეხთა დაბრუნება დაიწყო. ქართლის დაცემული მეურნეობის აღდგენისა და ქვეყნის სამხედრო ძლიერების განმტკიცებისათვის ვახტანგმა აუცილებლად მიიჩნია კახეთს დამკვიდრებულ ქართლელ გლეხთა დაბრუნება, მაგრამ ეს ღონისძიება ადვილად გასატარებელი არ აღმოჩნდა. კახელ მებატონეებს არ სურდათ ხიზანთა გაშვება და არც გლეხებს ეხალისებოდათ ძველ ბატონებთან დაბრუნება. ქართლის გამგებელმა ამჯერადაც შაჰის ძალაუფლება გამოიყენა; 1707 წლიდან, შაჰის დასტურით, დაიწყო „მყრელობა“ — კახეთს გახიზნულ ქართლელ გლეხთა აყრა და ქართლს დაბრუნება. სხვათა შორის, ერთი იმდროინდელი მოღვაწე საგანგებოდ აღნიშნავდა, ვახტანგის „სიტკბომან და სამართალმან მოზიდის ყოვლის ქვეყანით თავადთა, აზნაურთა და გლეხთა. უტევებდნენ სამკვიდროთა და იავარჰყოფდეს და მკვიდრობდეს ქართლსა შინა. ესრეთ აღიესო სიმრავლითა მისი საბრძანებელი, რომელ ვერ იტევდეს მთა და ბარიო“. მაგრამ ეს, რასაკვირველია, სულ სწორი არ არის. პირიქით, კახეთს გახიზნული გლეხობა დაბრუნებაზე უარს აცხადებდა. ზოგჯერ საქმე იარაღამ-

დეც კი მიდიოდა, მაგრამ შაჰის გამოგზავნილი მოხელეები პირნათლად ასრულებდნენ ვახტანგის დავალებას.

„მყრელობის“ შედეგად ქართლში მოსახლეობა მომრაელდა. ქვეყნის გამგებელმა ხელი მიჰყო გაუკაცრიელებული და გაპარტახებული ადგილების დასახლებას. მან შრომასმოწყურებული გლეხობა დაასახლა სხვადასხვა კუთხეში, აღადგინა, გააშენა და განაახლა „ძველთაგან აოხრებული უშენი ადგილები“ — თრიალეთი, გუჯარეთის ხეობა, ტაშირი და სხვ. ასეთი ღონისძიების შედეგად, მშრომელი მოსახლეობის რიცხობრივი ზრდის შესაბამისად, ქვეყანა ეკონომიურად მოღონიერდა, საგრძნობლად განვითარდა სოფლის მეურნეობა (მემინდვრეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა და ა. შ.).

ვახტანგმა გადაჭრით შეუტია გვიანფეოდალურ საქართველოში ერთობ გავრცელებულ მავნე და დამღუპველ ჩვევას — ტყვის-სყიდვას. დამპყრობელთა მიერ დანერგილი ეს სამარცხვინო სენი, რომელიც ადვილად აითვისა ზოგიერთმა გადაგვარებულმა ქართველმაც, განსაკუთრებით საშიში გახდა ერეკლეს მეფობაში. ვახტანგს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ტყვის-სყიდვის გამანადგურებელი შედეგები ჩვენი ხალხისა და ქვეყნისათვის, ამიტომ ერთდროულად შეუტია როგორც თბილისელ მეციხოვნეებს, ისე ქართველ ფეოდალებს. მისმა ენერგიულმა ცდამ კარგი შედეგი გამოიღო. ვახტანგმა მრავალმხრივი წარმატება მოიპოვა: თბილისელი ყიზილბაში მეციხოვნეების თარეში ალაგმა, ადგილობრივი თავადების ანტიქართულსა და არაადამიანურ მოქმედებას ბოლო მოუღო, ქართველ ყრმათა უცხოეთს გაყვანა და გაყიდვა აკრძალა, მშრომელ მოსახლეობას მშვიდობიანი სამუშაო პირობები უზრუნველუყო.

ქართლის გამგებელმა ჯეროვანი ყურადღება დაუთმო ეკლესიას, სრული სერიოზულობით მოჰკიდა ხელი საეკლესიო საქმეების მოწესრიგებას, შესუსტებული და შერყეული სარწმუნოებრივი გრძნობის განმტკიცებას, რელიგიურ-ზნეობრივი ნორმების აღდგენას. მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ეკლესია იყო ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, მისი მხარდაჭერისა და ხელშეწყობის გარეშე არც შეიძლებოდა წინსვლა. ამის გამო ქვეყნის მომავალზე მზრუნავი ვახტანგი ეკლე-

სიასაც არ ივიწყებდა და ამით საერთო-საქვეყნო საქმეს აკეთებდა. მან აღადგინა დარღვეული საეკლესიო სამართალი, გადააყენა ერეკლესდროინდელი მღვდელმთავარი და ქართლის კათოლიკოსად თავისი ძმის დომენტის არჩევით ეკლესია შემოიმტკიცა (1705 წ.). შაჰის დასტურით, დომენტიმ ფეოდალებს ჩამოართვა და ეკლესიას დაუბრუნა დატაცებული ყმა-მამული. ეკლესია გამდიდრდა და გაძლიერდა, მისი ავტორიტეტი გაიზარდა.

ვახტანგი დიდი მასშტაბის აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა. მან აგო და აღადგინა სარწყავი არხები და ხიდები, სასახლეები და ეკლესია-მონასტრები, გაამაგრა ქალაქები. მთელ ქვეყანაში გაჩაღდა აღდგენითი-სარესტავრაციო მუშაობა.

ვახტანგმა გაითვალისწინა ირიგაციის დიდი მნიშვნელობა ქართლის ეკონომიური აღმავლობისათვის, მოშლილი სასოფლო მეურნეობის გამოცოცხლებისათვის და მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. აღადგინა ძველი არხები, წამოიწყო ახალი არხების მშენებლობა-გაყვანა (ქციის ველზე, ხუნანის ველზე, ყარაიის ველზე, გორისჯვარს, სურამს...).

დიდია ვახტანგის დამსახურება ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლების აღდგენის საქმეშიც. სახელდობრ, მან განაახლა თბილისის სიონი, მცხეთის სვეტიცხოველი, აგრეთვე ურბნისის, სადგერისა და სხვა ეკლესიები (თითოეული მათგანი მტრის ძალმომრეობისა თუ ყამთა სიავის გამო „შემუსვრილი“ ან ნახევრადდანგრეული იყო და რესტავრაციას საჭიროებდა). იმის ნათელსაყოფად, თუ რა გულისყურით ეკიდებოდა ვახტანგი ქართულ ეკლესია-მონასტრებს, საკმარისია მოვიგონოთ მისი მზრუნველობა გარეჯის სავანეებზე.

გარეჯის მონასტრების მდგომარეობა ვახტანგის გამგებლობის პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა. ვახტანგი განსაკუთრებით მფარველობდა ნათლისმცემლის მონასტერს, სადაც იმხანად მისი აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი მოღვაწეობდა. ამ სავანეს მან ჯერ კიდევ 1703 წელს დაუნიშნა ყოველწლიური სარგო, ხოლო 1707 წელს უბოძა თრიალეთზე სოფელი უზნარიანი და ძველუზნარიანი, გაათავისუფლა რა ისინი ყოველგვარი გადასახადისა და ვალდებულებისაგან. იქაური მოსახლენი ვახტანგს მხოლოდ ლაშ-

ქროპა-ნადირობაში უნდა ხლებოდნენ, რადგან „ლაშქრობა ქვეყნის სიმავრე არის და ნადირობა ლაშქრობის მასწავლებელიო“. ვახტანგი არც შემდეგ აკლებდა ყურადღებას ნათლისმცემლის მონასტერს.

ვარკვეული წვლილი მიუძღვის ვახტანგს სასახლეთა აღდგენა-მშენებლობაშიც. მის სახელთანაა დაკავშირებული რამდენიმე სასახლის აგება თუ რესტავრაცია. განსაკუთრებით დიდებული სასახლე მან თბილისში ააგო. ს. ჩხეიძის სიტყვით, ვახტანგმა „აღაშენა ქალაქსა სახლი პატიოსანი მიშვრიტნისა (სარკისა). ამის უმშვენიერესი სახლი არც ირანს შიგან მინახავს“, — დასძენდა წლების მანძილზე ირანს მყოფი მეისტორიე.

ვახტანგის სასახლე და იქაური ყოფა ვრცლად აღწერა ცნობილმა პოეტმა თეიმურაზ მეორემ (1700 — 1762). ვახტანგის სიძე ნეტარებით იგონებდა იმ ლხინსა და დროს ტარებას, რომელსაც თვითაც შესწრებია იმ სასახლეში.

სრა ერთი მეფის ვახტანგის უცხოულებით ნაგები,
საკვირველი და საქები, მას უხდებოდა სარკები,
შუაზედ შანიშინი და აეზით შადრევანები,
ფერად-ფერადის ჯამებით შეხამებული ფანჯრები.
ავზს უხდებოდა შუაზედ ბროლისა ხომლის კიდება,
როს მეფე-სპანი ლხინობდენ, დღეს რომ შეჰქნოდა ბინდება,
შეღამდის, ხომლზედ განწყობილს კელაპტრებს მოეკიდება,
შიგ მსხდომნი კედლებს სპვრეტდიან, ეგონისთ — გარს გეეკიდება.
ერთიცა სახლი, უზეშთე ერანშიც არ ნახულა-და!
იმ სრისა ქება, სიკეთე ქვეყანას ხმა განთქმულა-და,
როგორც მას ჰფერობს ქებანი, შესხმა არ ძალმიც სრულადა,
სხვებს სრებსა ყველას ის სჯობდა, მისებრივ არ დადგმულა-და.
სრას უხდებოდა ხელმწიფე თაჯითურთ ჯიღებიანი,
თვით მეფე ვახტანგ შიგ მჯდომი ძმებითურთ შვილებიანი,
გვერდს ახლდენ დარბაისელნი, მორთულნი, ბიღებიანი,
უკეთესს რაღას ნახევდა თვალითა კაცი ჰკვიანი?
როს დაუკრევდენ მგოსანნი, ტკბილად დაეწყოთ თქმანია,
მათს ხმაზედ ამღერდებოდენ ბულბული, იადონია,
ის ლხინი და სიხარული უცხო რამ გასაგონია,
მეც ბევრი ვნახე იმ სრაში ლხინი და უკუყრანია.

თბილისი გაშენდა და გალამაზდა, სასახლეებით დამშვენდა. აღმავლობის გზას დაადგა საქალაქო ცხოვრება, სამეფოში შესამჩ-

ნევად გაიზარდა ვაჭრობა, მეტი ყურადღება მიექცა საქარავნო გზების დაცვასა და მოვლა-პატრონობას, ქარვასლების მშენებლობას, გაცხოველდა ურთიერთობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო ცენტრებთან, განვითარდა შინამრეწველობა, მომრავლდნენ ხელოსნები, წვრილ ხელოსნურ საწარმოთა გვერდით გაჩნდა შედარებით მოზრდილი საწარმოებიც, წიაღისეულ სიმდიდრეთა ამოღებამ (ტაშირი, დმანისის ხეობა, სარკინეთი, ლიახვის ხეობა და სხვ.) და დამუშავებამ უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო, შესამჩნევად გაიზარდა სახელმწიფო შემოსავალი, მოწესრიგდა საგლეხო გადასახადების აკრეფის საქმეც. უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ვახტანგმა მრავალმხრივ საყურადღებო ღონისძიებანი გაატარა და ქართლის შინაეკონომიური მდგომარეობა შესამჩნევად გამოასწორა, მაგრამ ყველა ღონისძიება მშრომელი მოსახლეობის შევიწროებისა და მისი ექსპლოატაციის გაძლიერების შედეგად განხორციელდა.

ვახტანგის გამგებლობის დროს შეინიშნება ქართლის არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი აღორძინება, არამედ მისი კულტურული დაწინაურებაც. ეს ხანა ერთ-ერთი ნაყოფიერი და საყურადღებო პერიოდია ქართული კულტურის ისტორიაში.

„სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა ამდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ. ამ დიადი საქმის მოთავედ და სულისჩამდგმელად დიდებული დაუვიწყარი ვახტანგი იყო“ (ი. ჯავახიშვილი).

ვახტანგი იყო შესანიშნავი პოეტი, დახელოვნებული მთარგმნელი და დიდად განათლებული მეცნიერი. მართალია, მისი თხზუ-

ლებების დიდი უმრავლესობა სამშობლოს გარეთ, უცხო მხარეში, დაიწერა. მაგრამ მათი ავტორი არსებითად თბილისის კულტურას ნაზიარები მგოსანი და აქაურ ტრადიციებზე აღზრდილი მოაზროვნეა.

ვახტანგის ღრმაშინაარსიანი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საქმიანობა და კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა სულხან-საბა ორბელიანის დიდი აღმზრდელობითი მუშაობის ბრწყინვალე შედეგია. გამგებლად ვახტანგის დანიშვნისთანავე დიდმა მოაზროვნემ დატოვა გარეჯის სავანე და თბილისს მოაშურა; მართალია, გარეჯასთან კავშირი არ გაუწყვეტია და ხშირად იყო იქ, მაგრამ ძირითადად თბილისში ცხოვრობდა და ვახტანგთან თანამშრომლობდა. ის იყო ვახტანგის პოლიტიკური მრჩეველი და მესაიდუმლე, მისი ეკონომიური და კულტურული რეფორმების სულისჩამდგმელი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგის ყველა კულტურული წამოწყება მეტ-ნაკლებად მისი დიდებული აღმზრდელის სახელთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, უნდა დავსძინოთ, რომ მთელი ინტელექტუალური საქმიანობის მეთაური, ქართული კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზატორი, იდეური წინამძღოლი და პრაქტიკული ხელმძღვანელი მაინც ვახტანგი იყო. იგი მრავალფეროვან და ნაყოფიერ კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა; თხზავდა შესანიშნავ ლექსებს, თარგმნიდა თუ ათარგმნინებდა საყურადღებო ძეგლებს („ამირნასარიანი", „ქილილა და დამანა", „ბახთიარნამე", „ბარამგულანდამიანი"), ამრავლებინებდა ხელნაწერებს (იობ ფიტარელს, იესე გარსევანიშვილს, გაბრიელ საგინაშვილსა და სხვ.), ეხმარებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ა. შ. ამის შედეგად ქართლის გული — თბილისი იქცა ფართოდ გაშლილი კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის დიდ ცენტრად. ერთი მეცნიერის მართებული შენიშვნით, ვახტანგის სასახლე იყო ერთგვარი პატარა აკადემია, სადაც თავს იყრიდა საქართველოს იმდროინდელი საზოგადოებრიობის მთელი ინტელექტუალური აქტივი. ვახტანგის ენერგიული ხელმძღვანელობით ეს აკადემია შესაფერისად ეხმაურებოდა ეპოქის კულტურულ მაჯისცემას. ვახტანგის კარზე თავი მოიყარეს მეცნიერებმა და მწერლებ-

მა, მთარგმნელებმა და კალიგრაფებმა, მეხატბეებმა და კარის მემატიანეებმა, მომღერლებმა და მუსიკოსებმა. ქართლის სატახტო ქალაქში თავი მოიყარეს აგრეთვე დასავლეთ საქართველოდან თუ სხვა ქვეყნებიდან მოსულმა მწიგნობრებმაც.

ვახტანგი თავისი პირადი მაგალითით, დაუღალავი შრომითა და უშრეტი ენერგიით აღაფრთოვანებდა თანამედროვეებს და მათ კიდევ უფრო აქტიური საქმიანობისაკენ მოუწოდებდა. იგი არა მხოლოდ თავისი შემოქმედებითი მუშაობით იყო გატაცებული, არამედ შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს სხვათა მოღვაწეობასაც. ვახტანგმა გარს შემოიკრიბა ცნობილი მწიგნობრები, დაიახლოვა კულტურულ-ლიტერატურულ სარბიელზე ახლად გამოსული მუშაკები; იგი თანამშრომლობდა მათთან, სამუშაოს უნაწილებდა, დავალებებს აძლევდა, შემოქმედებით მუშაობას აჩვევდა, ნამუშევარს უფასებდა. ვახტანგი პირადად ხელმძღვანელობდა და მფარველობდა, გულუხვად ეხმარებოდა და შემოქმედებით ცეცხლს გადასცემდა თანამოღვაწეებს, მან ქართლის კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩააბა მოწინავე ქართველობა. ვახტანგის მხარდამხარ მოღვაწეობდნენ სულხან-საბა ორბელიანი, ონანა ჭობულაშვილი, გივი თუმანიშვილი, დომენტი ბაგრატიონი და სხვანი. თბილისის კულტურულ გარემოში აღიზარდა და მომწიფდა ქართველ მწერალთა და მეცნიერთა ის სახელოვანი თაობა, რომელმაც შემდეგში რუსეთის ქართულ კოლონიებში გაშალა თავისი მრავალმხრივი საქმიანობა (ვახუშტი და ბაქარ ბაგრატიონები, ერასტი თურქისტანიშვილი, დიმიტრი ორბელიანი, მამუკა ბარათაშვილი და სხვ.).

ცალკე უნდა აღინიშნოს ვახტანგის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის რამდენიმე მომენტი. ქართლის გამგებელმა დააარსა პირველი სტამბა საქართველოში (1709 წ.) და გააჩაღა ფართო საგამომცემლო საქმიანობა, მოაწესრიგა სახელმწიფო სამართალი და დაადგინა კანონთა კრებული, „სწავლულ კაცთა“ კომისიას ვაამართვინა საქართველოს ისტორია და სხვა (ამ საკითხებს ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ დავუბრუნდებით).

მშობელი ხალხის გულშემატკივარი გამგებლის სახელმწიფოებრივი სიბრძნე და ადამიანური კეთილშობილება, პოლიტიკური

გამჭრიახობა და დიპლომატიური წინდახედულობა, გონივრული მმართველობა და წინასწარგანჭვრეტილი პრაქტიციზმი, მისი ენერგიული აღმშენებლობითი და დაუცხრომელი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა თანამედროვეთა პროგრესულ ნაწილში აღტაცებას იწვევდა და ქებას იმსახურებდა. ვახუშტიმ ასეთი ცნობები შემოგვინახა: „ვახტანგ აღაშენა და განავრცო ქართლი, რამეთუ რომელნი ჟამსა ერეკლე მეფისასა შთასრული იყვნეს კახეთს ქართველნი, ამან ბრძანებითა ყეენისათა გამოიყვანნა ყოველნი და დასხნა თვისთავე ადგილთა ზედა. ამას მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი, მოიღო მბეჭდველობა ვლახეთიდამ და განამრავლა წიგნი... განაწყვნა სპანი როქითა მცველად თვისად, დაწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი, მოშალა ტყვის-ყიდვა, დაამდაბლნა თათარნი და უმეტეს ტფილისს ციხის მცველნი, აღამაღლნა ქართველნი, გაიღო რუნი და აღაშენნა მრავალნი დაბნები“.

იმ ხანის მეორე მოღვაწე გივი თუმანიშვილი სამართლის კრებულის წინასიტყვაობაში წერდა: ვახტანგი იყო „შემკული პირად-პირადად ქველის საქმითა და განშვენებული ყოფითა და ქცევით სახელმწიფოთათა, განუტეხელი ზღუდე, სიტყვითა ბრწყინვალე და საქმითა წმიდა, გვამითა შვენიერი და წესითა რჩეული, განზრახვითა მდიდარი, კეთილ-შვენიერ-ჰაეროვან-განთიადი“.

განსაკუთრებით საინტერესოა იმავე გივი თუმანიშვილის მიერ დაწერილი ეპიტაფია, რომელშიც მოკლედაა შეჯამებული ვახტანგის მრავალმხრივი მოღვაწეობა:

მე უმცირესი ძმათაგან ვახტანგ-ყე სახელდებული,
ოთხ წელს ვქმენ მცხეთა, ურბნისი, სადგრის კამარა გებული,
ტფილისს სიონი ხელახლად შევძერწე ქანდაკებული,
ჩემთვისაც სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებული.
სტამბა მოვიღე ვლახეთით, ვამრავლე წიგნთა მელანი,
ქციის რუ ხუნანს ჩავიღე, გაღმითაც მოვრწყე ველანი,
მაშავერის რუ ტბას შევრთევ, შიგ ჩავსხი თევზნი ყველანი,
ესე მთა მოვინადირე, ვხოცე ირემნი, მგელანი.
„სამართლის წიგნი“ აღვწერე, სამსჯავროდ, არა ცილობად,
„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნობა, სხვას წერილთ რაღა ვქნა თქმულობა,
ჩემთანა მყოფთა ჰაბუკთა უქნია კარგა ზრდილობა,
ბოლოს მიმიღო სოფელმან სიმდიდრე, მეფეთ-შვილობა.

ირანის შორეულ პროვინციებში მყოფი ქართველთა ლაშქარი კვლავ ვაჟკაცური შემართებითა და თავგამოდებით ებრძოდა ბელუჯებსა და ავღანელებს.

გიორგი მეფის მხედრობა ირანის არმიის დამკვრელი ძალა იყო, განუწყვეტლივ უტევდა მოწინააღმდეგეს და ყოველთვის გადამწყვეტ უბანზე იბრძოდა. მამულსა და ოჯახს დაშორებულ ქართველ მეომართა მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. ერთი მხრივ, მათ ადგილობრივი კლიმატი აყენებდა დიდ ვნებას, მეორე მხრივ, მტრის ურდოს სათვალავი აღარ ჰქონდა. ქართველებს აუტანელ სიცხეში უხდებოდათ მოქმედება. ერთი მეომრის რამდენადმე გაზვიადებული ცნობით, ერთხელ „ტყვია გააპტყელეს და დასდევეს ზარბაზანსა ზედა და ორ საათს შუადღეს უკან ტყვია დაადნო“. იგივე ქართველი მოლაშქრე იგონებდა: „მინახავს აქაურის სიცხისაგან კვერცხი სპილენძის თეფშზე გათქვეფილი და დასხმული მზისაგან შემწვარიყოს და ციხის სალ კლდეზე პური მიეკრას და გამამცხვარიყოს“. აუტანელ სიცხეს ერთოდა ქარიც: „საღამო ჟამს ასეთი ქარი მოვიდის ცხელი, რომ პირს ვერ შეაქცევდნენ“. ყანდაარსა და ქირმანს ბევრი კუთხე იყო უწყლო, ხრიოკი, „კლდოვანი და უდაბური. ის ალაგები გზათაც არავის გაევლო, არ-თუ საომრად ვინ წავიდოდა“. მიუხედავად ამისა, ქართველთა ლაშქარი თავგანწირვით ებრძოდა მტერს. გიორგიმ შეიპყრო მეამბოხეთა მოთავე მირ-ვეისი, მაგრამ მან ვეზირები მოქრთამა, თავი დააღწია ტყვეობას და სამაგიერო მიუზღო ქართველთა მეფეს, 1709 წლის 21 აპრილს ღალატით მოკლა იგი. ს. ჩხეიძის სიტყვით, უჯაროდ დარჩენილ მეფეს მირ-ვეისი „განთიადსა დაესხა თავსა. რა სცნა მეფემან, — ედგა ქარქაში სარჩისა გვერდსა მისსა, — გაიკრა ხელი. სანამდის ისარი ჰქონდა, არც ერთი არ დააცდინა. რა ისარი დაელია, გაიკრა ხმალს ხელი, როგორც დევი, ისე იბრძოდა. ჰკრეს თოფი ამა მორჭმა-დიდების პატრონსა და მოკლეს“. მირ-ვეისმა მისი ხატები და ჯვრები შაჰს გაუგზავნა, ნახე როგორ გატყუებდაო. ამით სურდა ზიანი მიეყენებინა შაჰის კარზე დარჩენილი ქართველებისათვისაც. მაგრამ შაჰმა ქართველები არ დასაჯა, რადგან დამხმარე სამხედრო ძალა ახლა კიდევ უფრო სჭირდებოდა.

1709 წლის 13 მაისს ისპაანში გარდაიცვალა ვახტანგის მამა —

ლევან ბატონიშვილი. შაჰის მტრებთან ბრძოლას მრავალი ქართველი მეომარი შეეწირა. ქართლი დაიცალა რჩეული მხედრებისაგან, აღმოსავლეთში კი ბრძოლა არ ცხრებოდა, მირ-ვეისის მხედრობა კიდევ უფრო შლიდა ფრთებს. შაჰმა ქართლი, ირანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა უბოძა ქაიხოსრო ლევანის ძეს.

ქაიხოსრო მეფე (1709—1711) გულადი მეომარი იყო, „ბრძოლათა შიგან გულსრულად შემტევებელი და მრავალკეცთა რაზმთა შემაძრწუნებელი“. რაკი იგი ირანში მოღვაწეობდა, ქართლის გამგებლად კვლავ მისი ძმა დარჩა. ვახტანგი ძველებურად ენერგიის დაუშურავად იღვწოდა. მართალია, ძალზე მწვავედ განიცდიდა საყვარელი ბიძისა და მამის დაღუპვას, „მწუხარებდა ფრიად“, მაგრამ ქვეყანას ყურადღებას არ აკლებდა.

ქაიხოსრო და მისი მხლებელი ქართველები კვლავ უტევდნენ მეამბოხეებს. თავდადებისა და მამაცობისათვის შაჰი აჯილდოებდა და აწინაურებდა ქართველ ბატონიშვილებს. იესე ლევანის ძემ მიიღო ჭირმანის ბეგლარბეგობა, როსტომ ლევანის ძემ — ისპაანის მოურავობა და ა. შ. ცბიერ შაჰს ქართველთა გულის მოგება სურდა, მაგრამ ქართველთათვის ცხადი იყო, რომ ირანში შექმნილი მდგომარეობა მათ სასიკეთოს არას უქადდა. ქართველთა მცირერიცხოვან ლაშქარს უთვალავ მტერთან გამკლავება და სეფიანთა გადარჩენა არ შეეძლო, ისე კი შაჰი მას სამშობლოში დაბრუნებას არ უპირებდა.

ბრძოლის ველზე დაეცნენ სახელოვანი მამულიშვილები, ცნობილი მეომრები. დაიღუპა ქაიხოსრო მეფე (26. X. 1711). ქართლის ტახტი კვლავ გათავისუფლდა.

შაჰმა ვახტანგი დაიბარა. უცილობელია, ვახტანგის საქმიანობა ირანს არ მოსწონდა. პირიქით, მმართველ წრეებში ეჭვსა და შეშფოთებას იწვევდა და შაჰის მხარდაჭერა, რომლითაც ვახტანგი ზოგჯერ სარგებლობდა, უფრო ირანის აწეწილი მდგომარეობით იყო განპირობებული, ვიდრე გულწრფელი მეგობრობის გრძნობით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შაჰი გრძნობდა ვახტანგის ძალას და მისი გამოყენება სურდა. ამიტომ ქართლის მეფედ მისი დამტკიცება განიზრახა და ისპაანს მიიწვია.

ვახტანგმა ქართლის გამგებლად სვიმონი დატოვა. თავისი ოჯახი

გორს დაასადგურა, ქალიშვილები დაათხოვა (ანუკა ვახუშტი აბაშიძეს შერთო, ხოლო თამარი — კახთა უფლისწულს თეიმურაზს —. შემდგომში ქართლის მეფე თეიმურაზ მეორეს) და თვით ისპაანის გზას გაუდგა (22. IV. 1712), იახლა ქართველი დარბაისლები და მსახურები „მცირედი. დიდი იყო სამასი კაცი“. ამალაში ძირითადად იყვნენ მისი მოკავშირენი, რომლებიც ვახტანგის გამეფებაზე ოცნებობდნენ. მხლებელთა შორის იყო უფლისწულის აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანიც.

სამშობლოში დარჩენილმა თანამზრახველებმა შიშით გააცილეს ვახტანგი. მისი მომავალი და, მაშასადამე, ქვეყნის მომავალიც ბევრს აფიქრებდა. დამახასიათებელია ერთი იმდროინდელი მოღვაწის მინაწერი ძველ ხელნაწერ წიგნზე: „ქორონიკონს უ (=1712 წ.) აპრილის კბ (=22) მეფე ვახტანგ წაბრძანდა ისპაანს ყეენთან. ვნახოთ, ღმერთი რა მოწყალებას მოუვლენს საქართველოს“.

ირანში

დავუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი მონაძები,
დავკარგულვარ უცხოს თემსა, ვარ არვისგან მონაძები!

მკვიდრი უმკვიდრო შევიქენ, სამყოფთგან გარე ვარდია

ვახტანგ VI

1712 წლის 4 ივლისს ვახტანგი ისპაანს ჩაიდა. ცბიერმა შაჰმა კარგად მიიღო, პატივი სცა, ლხინი გაუმართა, მალე კი მამაპაპეული რჯულის დათმობა, ქრისტიანული სარწმუნოების დაგმობა და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა. ეს იყო წინაპირობა ქართლის ტახტის მიღებისათვის. ცხადი გახდა, რომ შაჰის კარზე გადაწყვეტილი ჰქონდათ ქართლი მხოლოდ მაჰმადიანისათვის მიეცათ. ვახტანგი ვაჟკაცურად შეხვდა განსაცდელს და თამამად მოახსენა შაჰს: „მე მოვედ, რათა არა დამართონ მტერთა და შეირყეს ქართლი. გარნა არიან ძმანი ჩემნი მაჰმადიანნი და რომელი გნებავს, წარაველინე და მე ვიყო წინაშე შენსა“.

შაჰს იმდენად სჭირდებოდა ვახტანგი ამიერკავკასიაში ირანის

ზეგავლენის გასამტკიცებლად და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის მოთავედ, რომ ერთ ხანს აპირებდა რჯულის შეუცვლელად გაემეფებინა იგი; თუ ადრე ვახტანგს „უთქმიდა მაჰმადიანობასა და უქადებდა ნაკსა დიდსა და მსწრაფლ გამოტევებასა“, შემდეგში „ინება წარმოვლინება ვახტანგისა სჯულითავე თვისითა“. სარწმუნოების დაუტევებლად ტახტის მიღება ვახტანგისა და მისი დასის დიდი გამარჯვება იქნებოდა, მაგრამ შაჰს წინ აღუდგნენ მრჩევლები და განზრახვაზე ხელი ააღებინეს. შაჰი არც იმისი წინააღმდეგი იყო, რომ ვახტანგს მოჩვენებით მიეღო მაჰმადიანობა, მაგრამ ვახტანგი არც ამაზე დაეთანხმა. მან იცოდა, რომ საკითხი უფრო რთული იყო, ვიდრე იგი გარეგნულად ჩანდა. მთავარი იყო არა სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი საკითხი, ქრისტე თუ მაჰმადი, არამედ პოლიტიკური მიმართულება. თუ ვახტანგი შეინარჩუნებდა მშობლიურ სარწმუნოებას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას უკეთ გაშლიდა და წარმართავდა, რჯულის შეცვლა კი შაჰის სამსახურში ჩადგომას და ირანელთა საქმის კეთებას მოასწავებდა.

ვახტანგს ჰყავდა მრავალი მტერი როგორც შაჰის კარზე, ისე ს მშობლოშიც. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებამ მას მოწინააღმდეგეთა რიცხვი კიდევ უფრო გაუზარდა. შაჰის მრჩევლები, ქართლის რეაქციონერი თავადები, თბილისის ყიზილბაში მეციხოვნენი ვახტანგს მტრობდნენ და მის საზიანოდ მოქმედებდნენ.

საგონებელში იყვნენ ვახტანგის ერთგული მხლებლებიც. მათ, რასაკვირველია, სურდათ ვახტანგს რჯულის შეუცვლელად მიეღო ტახტი, მაგრამ ამ წინასწარ შემუშავებული აზრისა და ადრევე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება რომ ძნელდებოდა და გაჭიანდებოდა, ეს შიშს ჰგვრიდა მათ. აღნიშნული გარემოება ახარებდა ვახტანგის მტრებს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ვახტანგი წინააღმდეგობაზე ხელს არ აიღებდა, რჯულის დაუტევებლად კი ვერ გამეფდებოდა. საჭირო გახდა სასურველი კანდიდატის დაძებნა: ასეთ პირად მიჩნეულ იქნა ვახტანგის ძმა, გამაჰმადიანებული იესე.

იესე ყიზილბაშებში, კერძოდ, თბილისის მეციხოვნეთა შორის,

გავლენით სარგებლობდა. როდესაც ვახტანგი შაჰის კარზე იყო და განსაცდელის პირას იდგა, იესემ უღალატა და თბილისის მეციხოვნენი აუჯანყა. ყიზილბაშებმა ვახტანგს ცილი დასწამეს, ყურანის დაწვა დააბრალეს, ირანის საწინააღმდეგო ქმედობა მიაწერეს. შაჰმა თავისი წარმომადგენელი — ხოლოფა გამოგზავნა საქართველოს შესასწავლად და ვითარების გასარკვევად. კიდევ უფრო გააქტიურდნენ ვახტანგის მოქიშპენი, დაუკავშირდნენ ხოლოფას და შაჰსაც აუწყეს, არ გვსურს ვახტანგი, მეფედ იესე მოგვივლინეო. ხოლოფას თვითაც სურდა ხელის მოთბობა და ქართლის დაპყრობა. ამოქმედდნენ ტახტის სხვა პრეტენდენტებიც. მალე შედგა ქართველ სამღვდელოთა კრება კათოლიკოს დომენტის მეთაურობით. მან დაგმო და გაკიცხა, გაწბილებული უკუაქცია ხოლოფა და მეფედ ვახტანგი მოითხოვა.

საეკლესიო კრებამ ნება დართო ვახტანგს მიეღო მაჰმადიანობა ქვეყნის ინტერესებისათვის. ასეთმა გადაწყვეტილებამ შეაძრწუნა ვახტანგი. იგი გულგატეხილი, გულნატკენი და გაოცებული წერდა ისპაანში:

ერთი ღმერთი არ იწამეს, ბერთა რჯული შეურაცხყვეს,
არას კერპსა არ უქნია, ჩემ საქმეზე იმათ რაც ყვეს,
მოლა ღმერთსა მახვეწებდა, ჩემთა მკვლელთა ბერნი დაყვეს,
ჩემს ცოლ-შვილთა ტყვედ ეძებდენ, საქონელი იავარყვეს.
თუცა ვიყავ ამათს რჯულზე, მაშ, ესენი რას მტერობდენ?
თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ, მაშ, ისინი რათ მაქრობდენ?
უცხო არის ჩემი საქმე, საარაკო, თუ ფიქრობდენ,
მილთონთა ვსჩან მეფედ მათად, თვის ტომსა სწვდს, რომ მაქრობდენ.

ვახტანგი ალაშფოთა ქართველ სამღვდელოთა მოულოდნელმა. და გაუგონარმა გადაწყვეტილებამ. მან არც ამჯერად შეიცვალა აზრი და არ უღალატა თავის რწმენას. ერთ ხანს კვლავ ისპაანში დარჩა. შაჰის კართან ჯერჯერობით კიდევ ახლოს იყო და ერთგვარად ქართლის საქმეთა მრჩევლის როლს ასრულებდა, მაგრამ შაჰი ძველებურად აღარ ენდობოდა. „დაღაცათუ პატივცემულ ვარ, არამედ მწირ ვარ“, — შენიშნავდა ვახტანგი ერთ ანდერძში.

შეჭირვებულმა ვახტანგმა ადრევე გადაწყვიტა ევროპაში ელჩის გაგზავნა და იქაურ ხელისუფალთათვის დახმარების თხოვნა. მისი

არჩევანი სულხან-საბა ორბელიანზე შეჩერდა. ვახტანგმა თავისი აღმზრდელი მალე გამოისტუმრა ირანიდან (2. XI. 1712). 20 დეკემბერს ორბელიანი უკვე ქართლს მოვიდა.

საფიქრებელია, ვახტანგმა და მისმა აღმზრდელმა ელჩობის იდეა ადრევე შეიმუშავეს და მისი განხორციელებისათვის გეგმაც შეადგინეს, მაგრამ ნაბიჯებს ძალზე დინჯად და მოფიქრებულად დგამდნენ და არ ჩქარობდნენ. ჩანს, ვახტანგს კიდევ ჰქონდა იმედი, რომ შაჰი ჩამოეხსნებოდა და მაჰმადიანობის მიღებას აღარ დააძალებდა.


ვახტანგი ადრევე კეთილი თვალით იცქირებოდა ევროპისაკენ და ეხმარებოდა კიდეც ევროპელებს, კერძოდ ფრანგებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი დახმარება ირანში ფრანგთა ელჩის ჟ. ბ. ფაბრის მხლებელი ქალის მარი პტისადმი. როგორც კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, ვახტანგი ამ ქალს დახმარებია დასავლეთისაკენ გამგზავრებაში.

თავის მხრივ, საფრანგეთს ამოძრავებდა საკუთარი მიზანი: ზღვებზე ინგლის-ჰოლანდიის გაძლიერებამ და ინდოეთთან საზღვაო გზით ურთიერთობის გაძნელებამ საჭირო გახადა სახმელეთო გზის დაძებნა აღმოსავლეთში. ამ გარემოებამ გააღვივა ფრანგთა ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი. ჩვენში მომრავლდნენ მისიონერები — პოლიტიკური და სავაჭრო აგენტები, რომელთაც ვახტანგი მფარველობას არ აკლებდა.

ისპაანში ჩასვლისთანავე ვახტანგი ფრანგ მისიონერებს დაუახლოვდა. სხვათა შორის, მისიონერთა ცნობებში (28. VIII. 1712) საგანგებოდაა ხაზგასმული, თუ რა მტკიცედ იდგა ვახტანგი ქრისტიანობის სადარაჯოზე და რა თავგამოდებით იცავდა თავის სარწმუნოებას.

1713 წლის აპრილში ფრანგმა მისიონერმა ვახტანგს გადასცა საფრანგეთის იმპერატორის წერილი. სამწუხაროდ, მისი შინაარსი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მომდევნო ამბებითა და მოვლენების შემდგომი განვითარებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წერილი ფრიად მნიშვნელოვანი იყო. ყოველ შემთხვევაში, საყურადღებოა, რომ ამ წერილს მალე მოჰყვა სულხან-საბას ელჩობა.





ასტრახანი

დასავლეთ ევროპასთან ქართველებს ძველთაგანვე ჰქონდათ კავშირი. მაჰმადიანთა რკალში მოქცეული ჩვენი წინაპრები ყოველი საშუალებით ცდილობდნენ ქრისტიანი მოკავშირეების შეძენას. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული დასავლეთი ურცხვად ატყუებდა ქართველობას, ურიცხვ მტერთან ბრძოლით ღონემიხდილი ქართველი მეფე-მთავრები კვლავ იმედით უკავშირდებოდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მმართველებს, რომის პაპს. აღსანიშნავია, რომ პაპსაც არა ერთხელ მოუმართავს ქართველებისათვის, დახმარება უთხოვია და შეკავშირებისაკენ მოუწოდებია. საგულისხმოა, რომ რომის პაპი ძნელბედობაში არ ეხმარებოდა ქართველებს, ხოლო დასახმარებლად და სალაშქროდ თამამად იწვევდა.

XV საუკუნეში თურქ-ოსმალთა მომძლავრებამ შეაშფოთა ქრისტიანული სამყარო. კონსტანტინოპოლის დაცემამ (1453 წ.) შიშისზარი დასცა ქრისტიან ხალხებს. რომის პაპი აპირებდა ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობას და კონსტანტინოპოლის განთავისუფლებას თურქ-ოსმალთაგან. პიოს მეორემ მოკავშირეთა შემოკრება იწყო. მას ესმოდა, რომ დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად საჭირო იყო ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული სამეფო-სამთავროების ამოძრავებაც. ამ მიზნით მან აღმოსავლეთში გაგზავნა ლუდოვიკო ბოლონიელი. ქართლის მეფე გიორგი VIII (1446—1466) და ქართველი მთავრები სიხარულით შეხვდნენ პაპის მოწოდებას და ჯარით აღუთქვეს დახმარება. თუ პაპის მთავარი მიზანი კონსტანტინოპოლის აღება იყო, ქართველები უფრო დიდ მიზანს ისახავდნენ, მათ ოსმალეთის დამხობა-განადგურება სურდათ. ლუდოვიკო ბოლონიელს ქართველი დესპანები გაჰყვნენ, ისინი ჯერ უნგრეთს მივიდნენ, შემდეგ გერმანიის იმპერატორს ეახლნენ, ხოლო 1460 წელს რომს ჩავიდნენ. პაპმა ისინი კარგად მიიღო, მაგრამ სანუგეშო ვერა უთხრა რა; მას დასავლეთის მეფე-მთავრები ვერ აემხედრებინა, რადგან მათ კონსტანტინოპოლი ეშორებოდათ და ოსმალეთის ძლიერებაც არ აფიქრებდათ. პაპმა ქართველ დესპანებს საფრანგეთის მეფისა და ბურგუნდიის მთავრის ნახვა ურჩია.

1461 წელს ქართველი დესპანები თხოვნით წარუდგნენ საფრანგეთის მეფეს კარლოს მეშვიდეს, მაგრამ თურქ-ოსმალთა წინააღ-

მდეგ ბრძოლაში ჩაბმაზე ვერ დაითანხმეს. ქართველთა პარიზში ყოფნისას კარლოსი გარდაიცვალა, გამეფდა მისი ვაჟი — ლუდოვიკო. ქართველი დესპანები მასაც ეახლნენ, მაგრამ ამაოდ. უნაყოფო გამოდგა ბურგუნდიის მთავართან ელჩობაც. ქართველთა წარგზავნილები გაწბილებულები გამობრუნდნენ, ევროპელებს მათთვის არ ეცალათ, კონსტანტინოპოლის ბედი დასავლეთის მეფე-მთავრებს ნაკლებად აფიქრებდათ და აწუხებდათ. ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი გალაშქრების გეგმა დასავლეთში შემუშავდა, ქართველებს პაპმა სთხოვა დახმარება, ხოლო შემდეგში საქმე ისე წარიმართა, რომ ქართველები სთხოვდნენ დასავლეთ ევროპელებს ბრძოლაში მონაწილეობას. აღნიშნული ფაქტი ნათლად გვაცნობს იმ „დახმარებას“, რომელსაც დასავლეთის მეფე-მთავრები და რომის პაპი უწევდნენ ჩვენს ქვეყანას.

მოძალებულ მტერთან უთანასწორო ბრძოლამ ქართლის მეფე კონსტანტინესაც (1479 — 1505) აფიქრებინა მოკავშირეთა ძებნა. მან წერილი გაუგზავნა რომის პაპსა და ესპანეთის დედოფალს იზაბელას და თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ გალაშქრება და კონსტანტინოპოლის დახსნა შესთავაზა, მაგრამ არც ამ ცდამ გამოიღო შედეგი.

ესპანეთის მეფესთან დაკავშირება თეიმურაზ პირველმაც სცადა. მან დასავლეთ ევროპაში, — რომის პაპთან და ესპანეთის მეფესთან,— გაგზავნა ელჩი — ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი). თეიმურაზი ესპანეთის მეფეს ირანელთა წინააღმდეგ მოუწოდებდა, ერთობლივ ბრძოლას განუზრახავდა, მაგრამ დასავლეთ ევროპელებს იმხანად ირანთან ომი არ სურდათ, რადგან ირანი ოსმალეთს ებრძოდა და ამით დასავლეთ ევროპელების ერთი დიდი მტრის ძალებს აბანდებდა და ზიანს აყენებდა.

დასავლეთ ევროპას არ სურდა ქართველთათვის დახმარების აღმოჩენით ოსმალეთი ან ირანი გადაემტერებინა. ევროპის სახელმწიფოთა მმართველები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი ქართველთა მდგომარეობით. მათი ინტერესი საქართველოსადმი მხოლოდ კულტურულ-ეკონომიური და სარწმუნოებრივი საკითხებით იყო შემოფარგლული, ხოლო ქართველებს ამაზე მეტად ურთიერთობის პოლიტიკური მხარე და სამხედრო დახმარება აინტერე-

სებდათ. ერთ ხანს ქართველები, ჩვენში მოსულ კათოლიკე მისიონერთა მიერ დაიმედებულნი, ევროპისკენ იმედით იცქირებოდნენ. ბევრმა ქართველმა მეფე-დიდებულმა მიიღო კათოლიკობა. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ქართველებს სურდათ კათოლიკური დასავლეთის პოლიტიკური დახმარება მიეღოთ და მაჰმადიანთა რკალი გაერღვიათ. ქართველთა მიერ კათოლიკობის აღიარება იმდენად რელიგიური გრძნობის გამოხატვა არ იყო, რამდენადაც პოლიტიკური ნაბიჯი. სამწუხაროდ, არც ამან გამოიღო სასურველი შედეგი. მიუხედავად ამისა, მრავალრიცხოვან მტერთან გაუთავებელი ომით გადაღლილი ქართველები დახმარების მიღებას კვლავ დასავლეთიდან იმედოვნებდნენ. ამ იმედით გაემგზავრა ევროპაში ვახტანგის ელჩი სულხან-საბა ორბელიანი.

1713 წლის 17 აგვისტოს სულხან-საბა ორბელიანი უცხოეთისაკენ წარემართა, „საფრანგეთს გაიპარა“. მისი გამგზავრების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფრანგი მისიონერი რიშარი. ეს უკანასკნელი ერევნიდან მოვიდა თბილისს, სადაც ქართლის გამგებელმა სვიმონმა გააჩერა, შემდეგ გამყოლნი მიუჩინა და შავი ზღვის სანაპიროსაკენ გაისტუმრა. გორში რიშარს შეხვდა სულხან-საბა, იგი საფრანგეთსა და იტალიას გამგზავრებას აპირებდა. მან მისიონერს კარგი პატივი სცა, სამეგრელოს გზით შავ ზღვამდე მიაცილა და იქ განუცხადა: „დიდი ხანია ხელმწიფის (ლუდოვიკოს— ლ. მ.) ნახვა მინდა და უკეთესი შემთხვევა არც მექნება, თან წამიყვანეო“.

სულხან-საბას, რასაკვირველია, შემთხვევით არ განუზრახავს ევროპაში წასვლა. მართალია, ის ჩანს ელჩობის ინიციატორად, მაგრამ ეს საკმაოდ ცნობილი დიპლომატიური ფანდია: მას არ სურს გაამჟღავნოს თავისი თანამზრახველი, ეშინია, ვახტანგს არ გაურთულდეს მდგომარეობა შაჰის კარზე; ნახევრად ტყვედმყოფი ვახტანგის მიერ საფრანგეთსა თუ რომს სპეციალური მისიის გაგზავნა, ცხადია, შაჰის გულისწყრომას გამოიწვევდა და ვახტანგის მოწინააღმდეგეთ მასთან ბრძოლას გაუადვილებდა. ამიტომაც სულხან-საბამ იკისრა მთელი პასუხისმგებლობა.

სულხან-საბამ გორში რიშარის ხელით მიიღო ვახტანგის წერილი და საგანგებო დავალებაც, აგრეთვე ვახტანგის წერილები საფრანგეთის მეფისა და დიდებულებისადმი.

რიშარი და სულხან-საბა გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლისაკენ. მოხუცი ელჩი გზაზე დიდად შეწუხდა. მისთვის საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა გრძელი გზა, აღსავსე უსიამოვნო და უბედური შემთხვევებით.

კონსტანტინოპოლში რიშარმა სულხან-საბა საფრანგეთის ელჩს წარუდგინა. დეზალორი კარგად შეეგება, თავის სასახლეში დააბინავა და პირველსავე მარჯვე შემთხვევაში საფრანგეთისაკენ გასტუმრება აღუთქვა.

17 ნოემბერს რიშარმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს აცნობა ვახტანგის ელჩის კონსტანტინოპოლში დაბინავება.

28 ნოემბერს სულხან-საბამ ვახტანგს გაუგზავნა წერილი და კონსტანტინოპოლში მისვლა და დაბინავება აუწყა. ეს წერილი ვახტანგმა მიიღო 1714 წლის 14 თებერვალს. მასთანვე მიიღო დეზალორის წერილიც.

ვახტანგი ისპაანში მეთვალყურეობის ქვეშ იყო, მაგრამ წერილებს მაინც იღებდა. 1714 წლის თებერვალში საფრანგეთის მინისტრის წერილი მიიღო და უპასუხა კიდეც, მაგრამ, რადგან მტრების შიში ჰქონდა, პასუხი თვით არც დაწერა, არც ხელი მოაწერა, სხვას დააწერინა. მადლობის წერილი მან დეზალორსაც გაუგზავნა. მასვე გაუგზავნა სულხან-საბასთვის გადასაცემი წერილიც:

„საბა-სულხანს!

დიდად საყვარელო, ჩემო ბატონო ბიძავ!

თქვენი გავლილ 28 ნოემბერს კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი წიგნი მივიღე 14 თებერვალს. დიდად გამახარა. მასთანავე ერთად მივიღე პატიოსანი წერილიც მათის უმაღლესობის საფრანგეთის იმპერატორის ელჩისა, რომელმაც დიდად დამავალა თუ იმ პატივით, რომელიც თქვენა გცათ და თუ თავის სათნოებიანი და გულითადი რჩევით, რომელსაც მე მაძლევს ბატონი რიშარის პირით. იმას ისე მოვეპყრობოდი და დავავალებდი, რომ თავის დღეში ვხსომებოდი, მაგრამ რა მექნა, რომ ჩემს მამულში არ ვიყავი. ახლა კი ვპირდები, რომ მომავალში, შემიძლია, კარგად მოვეპყრა

ყველა ფრანგსა და მათ მეგობრებსაც, რომელთათვისაც კი რასმე მთხოვენ. ჩემი დახმარება, იმედი მაქვს, ცოტა ხანში ნახონ. თვით იმ შემთხვევაშიაც, რომ სპარსეთის სამეფოში არსდება საფრანგეთის სამეფო კამპანია.

დიდად შევწუხდი, როცა შევიტყე, რომ გზაში მეტად შეწუხებულხართ, მაგრამ ვნუგეშობ თქვენს მშვიდობით მისვლას საფრანგეთსა, სადაც, იმედი მაქვს, ნახოთ ამ ქვეყანაზე ყველაზე დიდი და ყველაზე გულუხვი მეფე.

ვერა ვბედავ და ჩემის ხელით ვერაფერსა გწერ, რადგან მეშინია ჩემი ძმის იესესი, რომელიც, როგორც მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაკი, ისე დამტრიალებს გარს, რათა ჩამნთქას. ამას ყველას შეიტყობთ თქვენის ძველის მეგობრის იოსებისაგან, როდესაც ის საფრანგეთს მოვა. იმედი მაქვს ამ დიდმარხვის შემდგომ წამოვიდეს. ძლიერ მეძნელება ამისი გამოშვება, რადგან მარტო ესაა, რომელიც ყოველდღე ჩემთან მოდის და მანუგეშებს. მაგრამ რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია. ეს არის მიზეზი, რომ ჩემის ხელით არა გწერ.

დავშთები მარად, როგორც აქამდე ვიყავი, ჩემი ყოვლად საყვარელი ბატონი ბიძის უმდაბლესი ძმისწული.

მეფის მაგიერ მათი ყოვლად მდაბალი, ერთგული და დიდად დავალებული მონა იოსებ ფრეზერატი, ვერონეზელი, 20 თებერვალს, 1714".

ვახტანგი რეგულარულად იღებდა ელჩის წერილებს, კარგად იყო ინფორმირებული. ქართველი ბატონიშვილის ურთიერთობა საფრანგეთთან და მისი ცდა ევროპიდან დახმარების მიღებისა შაჰის კარისკაცებს არ გამოეპარათ. მისიონერთა ცნობით, ვახტანგი კიდევ უფრო მძიმე პირობებში ჩააყენეს და მასზე მკაცრი მეთვალყურეობა დააწესეს.

კონსტანტინოპოლიდან წასული სულხან-საბა ორბელიანი 1714 წლის 22 იანვარს ჩავიდა მარსელს. შორმა გზამ ძალზე დაღალა მოხუცი, მისმა ჯანმრთელობამ დააფიქრა რიშარი. ამ უკანასკნელმა 1 თებერვალს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჟან ბატისტ კოლბერი დე ტორსის (1665—1746) აუწყა ჩასვლა და ისიც აცნობა, რომ მას ჩაჰყვა „ბატონი საბა-სულხანი, ბიძა საქართველოს

მეფისა“, რომელმაც ჩაიტანა „პასუხი იმ წერილისა, რომელიც კეთილინება და მისწერა ხელმწიფემ“.

სულხან-საბა ორბელიანი ისე მოქმედებდა, როგორც გაწაფულ დიპლომატს შეეფერებოდა. 1714 წლის 11 მარტს მან წერილი გაუგზავნა კარდინალს (რომში), გააცნო ჩასვლის პოლიტიკური და რელიგიური მიზეზები, პაპს მფარველობა სთხოვა და სანაცვლოდ საქართველოში კათოლიკობის გავრცელების საქმეში დახმარება აღუთქვა. ამით მას რომის პაპის დაინტერესება და საფრანგეთის სამეფო კარზე მისი სახელის გამოყენება სურდა.

აი, ეს წერილიც:

„დიდსა და ღირსსა უფალსა.

ქ. დიდებულო, ვიცი, რომ თქვენ ვერ მიცნობთ. მე, თქვენის სამსახურის ღირსი, სულხან-საბა ორბელიანი, წმიდისა ბასილის მონაზონთაგანი, სიწმიდისა თქვენისა მოხსენებას ვიკადრებ. თქვენს ღირსეულებას რომ პატრი კაპუჩინები ჩვენს ქვეყანას გამოეგზავნა, მათგან შევიტყვე, რომ თქვენ მართლის სარწმუნოების გამრავლებას დიაღ ცდილობთ ჩვენ ქვეყანას. ამისთვის დიდად მადლს გადვიხდი და თქვენს სიწმიდეს თაყვანსა ვცემ სრულ ქართველიანად.

რადგან მაღალსა და დიდად ქრისტიანს, დიდებულს ფრანცისის მეფეს ჩვენის მეფისათვის წიგნი მოეწერა, მე მისის პასუხის მოსატანად საფრანგეთს წამოველ... მერმე ამისი ნდომა მაქვს, რომ უფროსად წმიდისა პაპის... ბრძანებით უფრო მრავალი პატრი გაიგზავნოს, რომ ჩვენს ქვეყანას მართალი სარწმუნოება გამრავლდეს. ამისი უკეთესი ღონე ის არის, რომ ფრანცისის დიდი მეფე ჩვენი მეფის მოხმარებას ეცადოს, რომ თავის უნდომლად აჯამშია და ის თავის ქვეყანას მოვიდეს. მისი საქმე ვიცი, გუნებით და სიყვარულით ახლოა ამ წმიდას რჯულზედ და მალე ის გაამრავლებს. ეს ვიცი, თუ უფროსად წმიდა მამა ჩვენი თავის შვილს ფრანცისის მეფეს ტკბილად ასწავლის და ფრანცისის მეფე მოინდომებს, ჩვენს მეფეს ეშველება. თუ ამ წყალობას გვიზამთ, ჩვენთვის დიდი საქმე იქნება“.

ვახტანგის ელჩი პარიზისკენ გაემართა.

ქართლის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, პოლიტიკური ვითარება გართულდა. ტახტის მემკვიდრე, ისპაანს მყოფი ვახტანგი, მძიმე პირობებში იყო, სულხან-საბასაგან ჯერჯერობით სანუგეშო არა ისმოდა რა, მომავალი სასიკეთოს არას აჩენდა. ვახტანგი აზრს არ იცვლიდა, ქრისტიანობაზე ხელს არ იღებდა, შაჰს არ უთმობდა; მწარედ გოდებდა და გულისტკივილით იგონებდა სამშობლოს:

პირველ მალხინა სოფელმა შანბიანთ არე-მარებსა,
ყარაიას და სომხითში, დიდგორის გასახარებსა,
სხვას რას შეჰცევას, რას შეებას, არ კაცთა დასაზარებსა,
აწ დამსვა მარტო, გასჭვრიტეთ, ჭუჩუკას სახლსა, სარებსა!

ვახტანგი მწვავედ განიცდიდა ქართლის პოლიტიკურ ძნელბედობას, ეროვნული კატასტროფის მოახლოებას. იგი მოზღვავებულ გრძნობას გულღიად გადმოსცემდა, პირადი ხვედრით უკმაყოფილებას არ მალავდა და ტრაგიკული განცდითა და სულიერი მღელვარებით ჩიოდა:

დამეკლიტა ლხინი, ბანი, მორჩომილა განა კარი,
ცხრა მწვერვალი სახმილისა გულშიგან მაქვს განაყარი;
დამილტვია უბე, კალთა, წინც ბევრი მაქვს განაყარი.
რა ბრალია, შენი მჭვრეტი ექმნას სულსა განაყარი.

ვახტანგს განსაკუთრებით ის აღელვებდა, რომ მისი მოქმედება ზოგ ქართველს არ მოსწონდა, მის მიერ რჯულის შეცვლაზე უარის თქმა და ირანში დარჩენა ყველასათვის არ იყო გასაგები და მას ისევე კილავდნენ, როგორც მის ბიძას — არჩილ მეფეს.

მეფე არჩილსა სძრახვედენ, სხვას თემს რომ იყო მჭელია,
იგ ანთებულსა სახლ-კარსა შეექნა დამანელია;
მეც მასვე მძრახვენ, აქ მოველ, მაშ რა ვქნათ, რა საქნელია?
მას ლომსა, ვეფხებრ კისკასსა, ჰკუა ჰქონია მთელია.

ვახტანგს წყლულს უმძაფრებდა და გულს უკლავდა თანამედროვეთა უმადურობა და თვისტომთა ღალატი. იგი მწვავედ განიცდიდა მისი პოლიტიკური კურსის შეუფასებლობას, მისი ამაგის

უგულებელყოფას. წრფელი განცდითა და სასოწარკვეთილების გრძნობით იგონებდა იგი ახლობელთა ღალატს:

შეკრბენ ჩემზედა თვისტომნი, საყოლთაც მომიძულესა,
ვინც მხევალთაგან შიშობდენ, მანც ჩემზე კბილი ილესა;
გამომიმეტეს საკვდავად, რაც მქონდა, განიწილესა.
ვის ვიმედობდი, მათ უფრო გამკიცხეს, გაცამკილესა.

მათ უგბილთ და უმეცართა რათ მომიდვეს ცეცხლის ალი,
რა ვაწყინე ასე ძნელი, რა მიადგათ ვისგან ძალი?
ყველა ფიცით მპირდებოდენ, არვინ მყვანდა შემომწყარალი,
ეს არ ვიცი, რა შევცოდე, შემჭნეს ასე შეუწყალი!

იმედგაცრუებულმა და გულგატეხილმა ვახტანგმა ხელი მიჰყო წერას, მოძალებული სევდა შემოქმედებით მუშაობაში ჩაკლა და შავი ნაღველი შრომით გაიქარვა. როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, ვახტანგს ლიტერატურული საქმიანობისაკენ მისი მხლებლებიც მოუწოდებდნენ:

მაწვიეს თანამხლებელთა: „საქმის არა ხარ მქონელი,
ლექსი თქვი, ნუთუ ჯავრისა არ იყო განამყოლელი“.
მე დავუჯერე, თქვენც ნახავთ, რისაც საქმის ვარ მდომელი,
ამითი გავლე ცოტას ხანს სოფელი დაუდგრომელი.

ისპაანში ვახტანგმა ნაყოფიერი მეცნიერული და კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა ჩაატარა, სახელდობრ, დაწერა მგრძნობიარე ლექსები („სალბუნად გულისა“), თარგმნა „ვარსკვლავთა კატალოგი“, შეადგინა კვინკლოსი, დაიწყო მუშაობა ქიმიის სახელმძღვანელოზე, ათარგმნინა „ქილილა და დამანა“ და სხვ.

იესე ლევანის ძეს გულით სურდა ქართლში გამეფება და მიზნის მისაღწევად ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, მაგრამ აფიქრებდა ვახტანგის ბედი და მომავალი. ცხადია, თუ ვახტანგი ისპაანის სასახლეში დარჩებოდა, შაჰის ახლოს იქნებოდა და ქართლის საქმეებში მისი მრჩევლის როლს შეასრულებდა, მაშინ იესე თავისუფლად ვერ გაშლიდა ფრთებს და საგრძნობლად შეიზღუდებოდა.

შაჰმა ქართლის მეფედ იესე გამოგზავნა და საგანგებო დავალებაც მისცა: ახალ მეფეს ირანს უნდა გაეგზავნა ვახტანგის სახლობა, სვიმონ ბატონიშვილი და 500 ქართული ოჯახი. შაჰი კიდევ

არ კარგავდა იმედს, რომ ვახტანგს გადაიბირებდა და მაჰმადიანობას მიაღებინებდა. ამიტომ იგი კარზე დაიტოვა, ხოლო იესეს მოგზაურობა თბილისისკენ ისე დაგეგმა და გაახანგრძლივა, რომ ვახტანგს კიდევ მისცა ფიქრისა და მდგომარეობის განჭვრეტის დრო და საშუალება. მაგრამ არც ამ ხერხმა გამოიღო შედეგი. ვახტანგი მტკიცედ იდგა, არც გადაწყვეტილებას იცვლიდა და არც შაჰის გულის მოგებას ცდილობდა.

იესე მოუახლოვდა ქართლს. სვიმონი გატეხილ ხიდზე შეეგება, ხოლო ვახტანგის სახლობა — „დედოფალი და ძენი ვახტანგისანი“, აგრეთვე ვახუშტი აბაშიძე, დიმიტრი ორბელიანი და სხვანი რაჭას გაიხიზნენ.

1714 წლის სექტემბერში იესე თბილისს მოვიდა და ტახტი დაიკავა. ახალი მეფე „იყო ფრიად მიქცეული მაჰმადიანობასა ზედა და მჭეცევი მათებრ, მდიდარი და ამაყი“. იგი შეუდგა ვახტანგის მოკავშირეების შევიწროებას, ძველადვე დამკვიდრებული და შემდეგ შესუსტებული მაჰმადიანურ-ყიზილბაშური წესების აღდგენას. ასეთი ღონისძიებით იგი ცდილობდა თავისი პოზიციების განმტკიცებასა და ტახტზე დამკვიდრებას. ვახტანგის ისპაანში დარჩენა და შაჰის სასახლესთან ახლოს ყოფნა იესემ მალე შეუძლებლად მიიჩნია. შაჰს მისწერა, ვიდრე ეგ მანდ არის, შენს ბრძანებას ვერ შევასრულებ და შენს გეგმას ვერ განვახორციელებო.

1714 წლის 10 მარტს ვახტანგი ქირმანს გადაასახლეს. ამის თაობაზე „ქილილა და დამანას“ ანდერძში იგი შემდეგს წერდა: „მომიძულეს მე უსამართლოდ, და შემდგომად ამისსა, თვისთაცა ჩემთა, ნაცვლად კეთილისა, მომაგეს ბოროტი და ამიდგეს შურად და ამის მიზეზისათვის ტყვე მყვეს და შემდგომად ამისსა ქირმანსა წარმომგზავნეს.

მეტყვიან ხვალმე, რასთვის გაქვს პირი, ჰმუნავ და წყინებაჲ?
ჭუჩუკას სახლსა ვსწუნობდი, როგორ ნუ მომეწყინებაჲ
ახლა ქირმანსაც დამკარგეს, დამვიწყდა ამასწინება,
არ ვეპობ შერჩეს ღმთისაგან, ვინც ჩემთჳს ასე ინება“.

თავრიზის ფრანგული მისიონის მეთაური საგანგებოდ აღნიშნავდა (8. VI. 1714), რომ ქირმანში ვახტანგი გაცილებით უარეს

პირობებში ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა, იმედს არ კარგავდა და ევროპელთაგან დახმარებას კიდევ ელოდა. ამასთანავე კვლავ განაგრძობდა ლიტერატურულ საქმიანობას.

სულხან-საბა ორბელიანი და რიშარი პარიზს ჩავიდნენ. ქართველმა ელჩმა კანცლერ ლუი პონშარტრენს (1643—1727) თავისი ჩასვლა აუწყა და მიღება სთხოვა. აპრილში მან ინახულა ლუდოვიკო XIV (1638—1715), გააცნო თავისი ქვეყნის მდგომარეობა, აუწყა ვახტანგის ტყვეობა, დახმარება სთხოვა და სანაცვლოდ საქართველოში კათოლიკობის გავრცელება აღუთქვა.

პონშარტრენისადმი გადაცემულ სამახსოვრო ბარათში (25. III. 1714) სულხან-საბა თავის მოსაზრებებს ასე გადმოსცემდა:

„საქართველოს მეფე ვახტანგი ისპაანშია და საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია. თუ დაბრუნდა თავის სამეფოში, ქართველები არა მარტო ქრისტიანად დარჩებიან, არამედ კიდეც შეუერთდებიან კათოლიკე ეკლესიას თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც საამისოდ მზად არის და რომელმაც აღთქვა, რომ მობრუნდება თუ არა თავის სამშობლოში, კათოლიკობა მიიღოს, რადგან იგი ამ თავის უბედურებას აწერს იმას, რომ აქამდე შეაყოვნა კათოლიკობის მიღება. მეფე ამას გარდა ფიქრობს ყოველი დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს, რათა მოაქციონ მთელი ჩერქეზეთი, რომელიც საქართველოს საზღვარზეა და საიდანაც თავისი მეუღლე მოიყვანა.

იმედი გვაქვს, ამ წერილმა წადილსა გვწიოს და დაავალოთ ყეენს, რათა თქვენის ბრძანების აღსასრულებლად ვახტანგი საქართველოში გამოგზავნოს. უკეთუ შეპირდებით საჩუქარს სპარსეთის დიდებულთ, მაშინ ამ დაპირების გამო ყეენს დაავალებენ, რომ მალე აღასრულოს. ამნაირი საშუალებით ვერავინ გაიგებს, თუ რა დახმარების აღმოჩენა ეწადა თქვენს იმპერატორობას; ხოლო ამის ასრულებას მიანდობთ თქვენს მიერ არჩეულ პირს. სპარსეთში ჩვეულებად აქვთ ხოლმე, რომ რომელსამე საქმის შესასრულებლად ჯერ შეპირდებიან მარტო წერილით და არაფერს მისცემენ, ვიდრე საქმეს ბოლომდე არ აასრულებენ. ამიტომ სპარსეთის გავლენიან

პირთ ჯერ არაფერი უნდა მიეცეს, ვიდრე ვახტანგი თავის სამეფოში არ დაბრუნდება უვნებლად.

დავასახელოთ, თუ რაგვარი დახმარება იქნება საჭირო: საჭიროა 300.000 ეკიუ და კიდეც კმარა. მაგრამ საქართველოს მეფემ რა ქნა ისეთი, რომ ღირსი გახდეს ამ წყალობისა? ეს ერთი ქრისტიანი მეფეა და იმის საბუთად, რომ ისიც ღირსია დახმარებისა, ასახელებს ბევრ მეფესა და მთავარს, რომელთაც სხვადასხვა უბედურების დროს შეეწია და კვალად ეწევა ეგოდენის დიდებით მათი უქრისტიანესი ხელმწიფება...

თავისი გულმოდგინებისა და სახიერების გავლენით თუ აწ ინებებს ყოვლად ქრისტიანი ხელმწიფე და შეეწევა ამ მეფეს, საუკეთესო საშუალება ამის სისრულეში მოყვანისათვის ის არის, რომ ინებოს და ერთი თავისი საიმედო პირი გაგზავნოს და მასვე გაატანოს ვახტანგისათვის საჭირო ნივთიერი შემწეობა, რათა იმან შეძლოს სპარსელთა მოწინავე პირთა გულის მოგება. აგრეთვე სპარსეთის შეფეს ერთი წიგნი მისწეროს და სთხოვოს, რომ მან უბრძანოს საქართველოს მმართველებს, რათა ფრანგებს, რომლებიც იქ გაატარებენ თავიანთ საქონელს სპარსეთში წასაღებად, შიში არაფრისა ჰქონდეთ".

სულხან-საბა ორბელიანი ცდას არ აკლებდა, რომ საფრანგეთის იმპერატორი და მისი მრჩევლები დაეინტერესებინა საქართველოს ბედით. საგულისხმოა, რომ ვახტანგის განთავისუფლების ძირითად საშუალებად და საიმედო გზად იგი სახავდა შაჰის კარისკაცთა მოქრთამვას.

როგორც აღვნიშნეთ, 1714 წლის 11 მარტს სულხან-საბამ კარდინალს წერილი გაუგზავნა. საპასუხოდ (17 აპრილს) კარდინალმა მისწერა, თქვენი სურვილი და თხოვნა პაპს ვაუწყე, პაპი წერილს უგზავნის ფრანგთა მეფეს და ის დაგეხმარებაო. სულხან-საბამ მიიღო წერილები რომიდან და მაისში მეორედ წარუდგა სამეფო კარს, ლუდოვიკოს პაპის წერილი მიართვა. იმპერატორმა ამჯერადაც პატივით მიიღო ვახტანგის ელჩი, მისიონერების გაგზავნას შეჰპირდა, მაგრამ ფინანსური დახმარებისაგან თავი შეიკავა.

საფრანგეთის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა სახარბიელო არ იყო. გაუთავებელმა ომმა არმია მოქანცა, სახელმწიფო

მმართველობის აპარატი მოშალა, ეკონომიკა გააჩანაგა. ამას ერთოდა ვერსალის ბრწყინვალე სასახლის უზომო ხარჯები, დიდებულთა ფუფუნებისა და განცხრომისათვის განკუთვნილი დიდი თანხები, მრავალრიცხოვანი ამალისა და მოსამსახურე შტატის შენახვა და სხვა. მოხუც იმპერატორს აღარ შეეძლო ქვეყნის მართვა.

საფრანგეთისათვის ქართლი ნაკლებად საინტერესო იყო, ხოლო ვახტანგის მიზეზით ირანის მომდურება მას ხელს არ აძლევდა. საფრანგეთმა 1708 და 1715 წლებში ირანთან დადო სავაჭრო ხელშეკრულებანი, რომლებიც ფრანგ ვაჭრებსა და მათ ქვეშევრდომებს განსაკუთრებულ პრივილეგიებსა და დიდ უფლებებს ანიჭებდნენ. ფრანგთათვის ესოდენ ხელსაყრელ ხელშეკრულებათა დადების მოთავე ირანი იყო. შაჰი ამით ცდილობდა ვაჭრობის გაცხოველებასა და ეკონომიური აღმავლობის მიღწევას. ასე რომ, ორივე მხარე დაინტერესებული იყო სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებით. გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში ქართლისთვის საფრანგეთი არას გააკეთებდა. მეტიც, სულხან-საბას საფრანგეთის დედაქალაქში ყოფნისას იქ ჩავიდა ირანის ელჩი, რომელსაც არც კი გაუმჟღავნეს ვახტანგის წარმომადგენლის იქ ყოფნა.

ფრანგებს ქართველთა გამო ირანთან ურთიერთობის გამწვავება არ სურდათ, ჩვენს ქვეყანაში მათი პოლიტიკური გაბატონების შესაძლებლობა არ ჩანდა და აქტიური მოქმედების დაწყება ხელსაყრელად არ ესახებოდათ. ამიტომ სულხან-საბას ელჩობა უშედეგო გამოდგა. იმედგაცრუებულმა დიპლომატმა დატოვა საფრანგეთი და რომს მიაშურა, რამდენჯერმე ინახულა პაპი კლემენტი XI (1700—1721) და დახმარება სთხოვა. ამ უკანასკნელმა პატივით მიიღო, მაგრამ მხოლოდ ლოცვა-კურთხევითა და ცარიელი დაპირებით გამოისტუმრა.

1715 წლის იანვარში სულხან-საბა ორბელიანი კონსტანტინოპოლს მივიდა და კარგა ხანი დაყო იქ დახმარების მოლოდინში. 18 თებერვალს იქიდან მისწერა პონშარტრენს: „აქ ვახტანგ მეფის და ჩემი ძმების წიგნები დამხვდა მონაწერი: ვახტანგს ივნისის თვეში მოეწერა. აჯამთ ქრისტეს სარწმუნოებისათვის დიაღ შეუწუხებიათ, მაგრამ მიხარია, რომ მაგრა მდგარა და რამდენიც შეაწუხონ, უფრო გამაგრდება. ჩემთვის ეს მოუწერია: „ჩემი იმედი, ღვთის გარ-

და, არა არი რაო და შენ იცი, ჩემს საქმეზე რასაც გაირჯებიო და დიდი მეფის შეწევნის და შველის მაყურებელი ვარო". თქვენ ხომ მრავალს გაისაჯენით, მაგრამ ამას გეხვეწება, კიდევ უფრო გაისაჯოთ. რაც დიდმა მეფემ თავისი უტყუარი პირით წყალობა მიბრძანა, მისი მომლოდინე ვარ.

თქვენ მიბრძანეთ: „წადი, კონსტანტინოპოლს დაჯექო. ჩვენ ელჩს მივსწერთო, რომ იქ, რაც ვახტანგს ერგებოდეს, ის ქნათო". და აქ ამა ელჩს ბრძანება არა მოსვლია რა.

ჩემს ძმებს ხვეწნა მოუწერიათ ჩემი მისვლისა. ჩემი ქვეყანა აშლილა, ყეელას უნდა მალე მივიდე. მაგრამ თუ მეფის წყალობა და ან ეგ მოციქულები არ მოვლენ, მე ვერ წავალ...

ჩემი აქ ყოფნა გრძლად არ ვარგა მისთვის, რომ, ვინ იცის, თუ ჩემი რამ ითქვა და საჯაროდ გამოვიდა, მრავალი საქმე წახდება".

საგულისხმოა, რომ სულხან-საბას არც ახლა სურდა მისი დიპლომატიური მისიის გამჟღავნება, რადგან ამისგან სასიკეთოს არას ელოდა.

ვახტანგის ელჩს კიდევ ჰქონდა მცირეოდენი იმედი საფრანგეთისა, მაგრამ პარიზიდან სანუგეშო არა ისმოდა რა და საოცნებო დახმარება არსად ჩანდა. ვახტანგისა და ქართლის მდგომარეობა კი დღითი დღე უარესდებოდა.

იესეს მეფობა (1714 — 1716) თანდათანობით აუტანელი გახდა. მან ქართულ-ქრისტიანული წესები დაივიწყა, „ნათესაობაც შეშალა" და ცოლად შეირთო ახლობელი ნათესავის — ერასტი ორბელიანის ასული მარიამი, ხოლო შემდეგ (1715 წ.) — ერეკლე პირველის ასული ელენე. მისმა უზნეობამ, ირანელთადმი მიკერძოებამ და მტარვალობამ აღაშფოთა ქართველობა. ცენტრალური ხელისუფლების ხრწნამ და დაცემამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოების ერთ ნაწილზე, ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. დ. გურამიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ,

> შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანერთის ძვირისა,
> ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა;
> ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
> ტყვეობა, მოკვლა, ტაცება, ქვრივთა, ობოლთა, მწირისა!

პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ დაცემულობას მოჰყვა ეკონომიური დეგრადაცია, სოფლის მეურნეობის დონის დაქვეითება.

შაჰის ერთგულ მეფეს ქართველი მამულიშვილები არ ენდობოდნენ, ერიდებოდნენ, სახელმწიფო თუ საეკლესიო შემოსავალსაც კი უმალავდნენ. ამ მხრივ საგულისხმოა ასეთი ფაქტი: 1715 წლის გაზაფხულზე სულხან-საბას ძმამ — ნიკოლოზ მროველმა შეადგინა „სამწყსოს დავთარი“ ან „სამწყსოს მატიანე“, რომელიც ფრიად საყურადღებო დემოგრაფიულ ძეგლს წარმოადგენს. საინტერესოა მისი ანდერძის ერთი ადგილი: „მე დრამისათვის ავწერე. საყდარს მოსავლის ანგარიში არ დაეკარგოს... ამ სამწყსოს დავთარს მეფის მოსაქმეს ნურავის აჩვენებთ: კოდის-პურსა და საურზე ქვეყახას გარჯიან და მე არ მიჯობს“. მართალია, ნ. ორბელიანს საკუთარი მიზნები ჰქონდა და გადასახადის წესიერი აკრეფის მიზნით სურდა სწორად და ზუსტად აღერიცხა მატერიალური რესურსები, მაგრამ საგულისხმოა მისი დაპირისპირება გამაჰმადიანებულ იესესა და მის სამოხელეო აპარატთან. ჩანს, ქართველი მღვდელმთავარი ზოგ რამეს უმალავდა სულთან-ჰუსეინის ყურმოჭრილ ყმასა და მის მოხელეებს.

იესემ თავი ვერ გაართვა ქვეყნის მართვას, ლეკიანობაც ვერ მოსპო. 1715 წელს ლეკებმა ამოწყვიტეს კახელები. კახთა მეფემ ვერაფერი გააწყო მტერთან, იესემ ქართლის მხედრობა მიაშველა-შეიბნენ. გაიმარჯვეს ლეკებმა. იესემ ერთხელ კიდევ შეირცხვინა თავი. შაჰისათვის ნათელი გახდა, რომ ლეკთა თარეშის აღკვეთა და ირანის პოზიციების განმტკიცება ამიერკავკასიაში იესეს ძალას აღემატებოდა. იმ დროისათვის რამდენადმე შეიცვალა აზრი ვახტანგმაც. ირანის ტყვეობაში ყოფნამ იგი დაარწმუნა, რომ ჯიუტობას აზრი აღარ ჰქონდა, ჯიქური წინააღმდეგობით საბოლოო მიზანი მიუღწეველი რჩებოდა. ვახტანგმა გონივრულად განჭვრიტა და სათანადოდ შეაფასა არსებული ვითარება. ქართლის მდგომარეობა უფრო რთულდებოდა, ევროპის დახმარების იმედი აღარ იყო, სულხან-საბა ხელცარიელი ბრუნდებოდა სამშობლოში. ვახტანგს წლების მანძილზე ასულდგმულებდა იმის იმედი, რომ ევროპიდან ფინანსურ დახმარებას მიიღებდა, შაჰის ერთგული კარისკაცების მოქრთამვას შეძლებდა და ქართლის ტახტს რჯულის შეუცვლელად

დაიჭერდა. სულხან-საბას ელჩობის უნაყოფობამ მას დაუკარგა ამ გზით გამარჯვების იმედი. 1716 წლის ზაფხულში ვახტანგმა მოფიქრებული ნაბიჯი გადადგა და შაჰის მოთხოვნაზე თანხმობა განაცხადა.

სულთან-ჰუსეინმა იგი ისპაანს მიიწვია. დაიმედებულმა ვახტანგმა შეწყვიტა „ქილილა და დამანაზე“ მუშაობა და ირანის სატახტო ქალაქს მიაშურა. „ქილილა და დამანას“ ანდერძში იგი ასე გადმოგვცემდა თავის აზრსა და განცდას:

კვლავ მიხმეს ისევ ისპაანს, დამრჩა ეს შეუსრულები,
მამცეს პატივი მრავალი, ვა, თუ დავაბი სულები?!
მან თავის ტოლად მადიდა, არ შემქნა უფლისწულები,
წარმავალია ყველაი, ყამი მიც გარდასრულები!
არ დამცალდა სხვას ლექსთა თქმა, მიხმეს ისევ კიდევ კარად,
ხორცისათვის საპატიოდ, სხვას ბევრ რიგად დასაზარად.
რა ვქნა, არვინ არ გამიჩნდა არასფერში მოსახმარად.
მოუძლურდა ხორცი სუსტი, რაღა მეთქვა მსმენთვის მწარად?
არ იცოდით, არ გმართებდათ ჩემი ასე გარდაგდება?
სამთავსა და კვერსა შუა ჰიქა როგორ გამაგრდება?!
ტალსა კვესსა რა ჩამოჰკრავ, აბედს ცეცხლი მოედება,
ცეცხლსა მძაფრსა ნავთს დაასხამ, მითხარ, როგორ დანელდება?
თვითვე ნანობენ უგბილნი, თუცა ბევრს ჭირსა მახესა,
ლომი დამბმული აეხსნას, ვაცსა გააბამს მახესა,
რაღასღა ვეძებ სახვეწრად კლდესა, ტყესა და მა ხესა,
რაც ერგოთ ჩემის ამ საქმით, აწა თვითანცა ნახესა.
ჩემნო გულის შემტკივარნო, იწუხეთ და ჩემთვის ახეთ,
ჭირნი ჩემნი სხვათა ჭირთა მიამსგავსეთ, მიასახეთ;
სოფლის საქმეს ყური უგდეთ, ან იტირეთ, ანუ ვახეთ.
აბედინას შვილის ამარ დავრჩომილვარ, აწ ეს ნახეთ.

ვახტანგმა გარეგნულად უარყო მშობლიური რჯული, ფორმალურად შეიწყნარა და აღიარა მაჰმადიანობა. მისი გადაწყვეტილებით გახარებულმა შაჰმა იგი გაათავისუფლა და ჯეროვნად დააჯილდოვა. ვახტანგმა მიიღო ქართლის მეფობა, ირანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა. ქართლზე მეოცნებე მეფეს ირანში დარჩენა და შაჰის საბრძანებლის დაცვა დაევალა. შაჰს, მართალია, ვახტანგი ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის სჭირდებოდა,

მაგრამ ირანში უფრო მეტ საშიშროებას გრძნობდა და ახალ სპასალარს მოძალებულ მტერთან გამკლავება მიანდო.

ქართლის გამგებლობა ბაქარმა მიიღო. ახალი გამგებელი გადმოვიდა დასავლეთ საქართველოდან და მოადგა თბილისს, მაგრამ, რადგან სატახტო ქალაქში ჟამიანობა იყო, დადგა მცხეთას (17. IX. 1716). იესე კახეთს გაიქცა, მაგრამ შეიპყრეს და თბილისის ციხეში გამოკეტეს.

იმ დროს უკვე თბილისში იმყოფებოდა ევროპიდან დაბრუნებული სულხან-საბა. გაკათოლიკებული და რომში ნამყოფი ელჩი ეჭვს იწვევდა ქართული ეკლესიის წარმომადგენლებში. საეკლესიო ბრძოლას ერთოდა პირადი შუღლიც. მწერალს აუმხედრდა კონფენსიურ-სარწმუნოებრივი ფანატიზმით შეპყრობილი ქართველი სამღვდელოება, საეკლესიო-კლერიკალური წრე. გაბატონებული საზოგადოების მდაბალმა ზრახვამ დაღუპვის პირას მიიყვანა მხცოვანი შემოქმედი. საგულისხმოა, რომ ერთ ხანს სულხან-საბასა და მის აღზრდილს შორისაც ჩამოვარდა უთანხმოება, მაგრამ შემდეგში ვახტანგისათვის ცხადი შეიქნა ორბელიანის უდანაშაულობა და სიმართლე.

მალე ვახტანგს დაევალა ხორასანს წასვლა და იქაურ საქმეთა მოგვარება. მისი თხოვნით, შაჰმა ქართლის მეფობა ბაქარს მისცა. ვახტანგი ერთ ხანს კიდევ ირანში დარჩა, ავღანელთა მარბიელ ლაშქარს ებრძოდა ხორასანში და სამშობლოში დაბრუნების იმედით სულდგმულობდა. იმ წლებში მან კიდევ უფრო კარგად შეისწავლა ირანი, შეიცნო მისი შინაგანი კრიზისი, განჭვრიტა მომავალი და უფრო დაბეჯითებით მიაპყრო თვალი ჩრდილოეთის ერთმორწმუნე ქვეყანას.

ბაქარის მეფობაში (1717—1719) ქართლი კვლავ მძიმე მდგომარეობაში იყო. ჩრდილო კავკასიიდან მოსული მოთარეშე რაზმები მოსვენებას არ აძლევდნენ ქვეყანას, აწიოკებდნენ მშრომელ მოსახლეობას, იტაცებდნენ ხალხს, შინაურ პირუტყვს, სასოფლო-სამეურნეო იარაღს და სხვ. ლეკიანობა დღითი დღე აუტანელი ხდებოდა. ლეკები დიდ ვნებას აყენებდნენ ირანის სხვა ყმადნაფიც ქვეყნებსაც. შაჰს ეს საკუთარი ღირსების შელახვად მიაჩნდა. მართლაც, ლეკიანობა საგრძნობლად არყევდა ირანის ძლიერებას

და სცემდა შაჰის ავტორიტეტს. საჭირო იყო კონკრეტული და ეფექტური ღონისძიების გატარება. ირანის ხელისუფლებამ ვახტანგის ქართლს გამოგზავნა გადაწყვიტა. შაჰის ვარაუდით, მხოლოდ ვახტანგს შეეძლო ლეკთა ალაგმვა.

ირანის სპასალარის ქართლში დაბრუნება ნაწილობრივ იმანაც განაპირობა, რომ აღმოსავლეთ პროვინციებში მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. დაუცხრომელი მეამბოხე მირ-ვეისი 1715 წელს გარდაიცვალა, ხოლო მისი მომდევნო მფლობელი ყანდაარისა, მისი ძმა მირ-აბდოლა, ბოძოლას აღარ განაგრძობდა და შაჰთან მორიგებასაც კი ლამობდა, რისთვისაც ის თანამეტომეებმა მოკლეს (1717 წ.). მისი მკვლელი. მირ-ვეისის ვაჟი მირ-მაჰმუდი, თავდაპირველად ვერ ამოქმედდა აქტიურად. ყოველ შემთხვევაში, იმდენს არას აკეთებდა, რომ ირანის ცენტრალური ხელისუფლება შეეწუხებინა და შეეშფოთებინა. შაჰმა ჯეროვნად ვერ განჭვრიტა შექმნილი ვითარება, სათანადოდ ვერ შეაფასა ავღანელთა პოტენციალური შესაძლებლობა, ლეკებს მეტი ყურადღება დაუთმო და ვახტანგი ქართლისაკენ გამოისტუმრა. შაჰის ასეთი საბედისწერო გადაწყვეტილება რომ არა, ვახტანგს უთუოდ კიდევ დიდხანს მოუხდებოდა ირანში დარჩენა და შაჰის ინტერესებისათვის ბრძოლა.

სამშობლოში დაბრუნება

1719 წელს ვახტანგი სამშობლოში დაბრუნდა. ბაქარი მრავალრიცხოვანი ამალითა და დიდძალი ლაშქრით ლორეს საზღვარზე შეეგება. ქართლის ჭირნახული მეფე დიდებით შემოვიდა თბილისში, სადაც „შეჰფიცეს ყოველთა ქართველთა მეფობისა მისისა მტკიცედ ერთგულებასა ზედა“.

შრომასმოწყურებული ვახტანგი სათავეში ჩაუდგა ქვეყანას, ენერგიულად გაუძღვა დაცემულ სამეფოს, აქტიურად დაიწყო ძველი საქმიანობის განახლება, „განაგო საქმე საქართველოსი რაგვარად წინათ თვით განგებულ ექმნა“. ცალკე უნდა შეეხსენიოთ მისი ზრუნვა სახელმწიფო შემოსავლის ზრდაზე. დაწესებული გადასახადის წესიერად და უკლებლივ აკრეფის უზრუნველსაყო-

ფად ვახტანგმა ვახუშტისა და გივი თუმანიშვილს საგანგებოდ აღაწერინა საბარათაშვილო და სომხითი.

ქართლის მეფემ ძველებური სიმტკიცით შეუტია მოწინააღმდეგეებს. მართალია, იესე შეიწყალა და ტყვეობიდან გაათავისუფლა, მუხრანბატონად და მდივანბეგად განაჩინა, მაგრამ სხვები (სომხითის მელიქი, ბ. ციციშვილი...) სასტიკად დასაჯა.

ქართლის ტახტზე დამკვიდრების შემდეგ ვახტანგი ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლას მეთაურობდა და მხოლოდ ქართლის უშიშროებაზე კი არ ზრუნავდა, მეზობელ ქვეყნებსაც მფარველობდა. მან კავშირი დაამყარა კახთა მეფე დავითთან (1703 — 1722) და ლეკთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა გააჩაღა. ქართლის ლაშქარი რამდენჯერმე გადავიდა კახეთის ტერიტორიაზე და ლეკთა მოთარეშე რაზმებს შეება. ჯერ კიდევ 1720 წლის გაზაფხულზე ვახტანგმა ქართლის ჯარი გაგზავნა კახეთს ერასტი ყაფლანიშვილის (ორბელიშვილის) მეთაურობით, ხოლო შემდეგში თვითაც მიიღო მონაწილეობა ბრძოლებში.

1720 წლის ზამთარში შაჰმა შარვანის ბეგლარბეგი გაგზავნა ჰარის შესამუსრად. კახთა მეფეს ბეგლარბეგისათვის უნდა ეუწყებინა, „ვითარ ჯერ იყო მისვლა“. დავითი საქმეში არ გაერია, არც რაიმე ურჩია, ვაითუ დამარცხდეს და ჩვენ დაგვბრალდესო. შარვანის ბეგლარბეგი წამოვიდა ლაშქრით. დაესხნენ ჰარელნი, მოკლეს ბეგლარბეგი, ამოწყვიტეს მისი მეომრები. შაჰმა ჰარელთა დასჯა ვახტანგს დაავალა. იმავე დროს ქართლის მეფეს კახელებმაც სთხოვეს დახმარება და ჰარელთა დალაშქრა.

1721 წლის იანვარში ვახტანგი დიდი ჯარით წარემართა ჰარელთა წინააღმდეგ. იმ დროს ლეკნი მოვიდნენ გარე კახეთში, მაგრამ კახელებმა ეს ვახტანგს არ აცნობეს (შეეშინდათ, ვახტანგმა რომ ესენი აქვე დაამარცხოს, ჰარს აღარ დალაშქრავსო), კარგა ხანს მაღაროს გააჩერეს ქართლის ჯარი. ამასობაში ჰარელნი უბრძოლველად დამორჩილდნენ ვახტანგს და შაჰმა მას უკან დაბრუნება უბრძანა.

შაჰის გადაწყვეტილება საეჭვოებით გასაგები იყო. ირანის მმართველ წრეებში ეშინოდათ, რომ თუ „ვახტანგ ჰარი დაიჭირა, ქვეყანასაც დაიჭერსო“. მართლაც, ჰარის დალაშქრის შემდეგ ვახ-

ტანგს ადვილად შეეძლო შეეტია დაუძლურებული ირანისათვის და მძიმე მდგომარეობაში ჩაეყენებინა ძველი მოსისხლე. შაჰის ბრძანებით აღშფოთებულმა და განაწყენებულმა ვახტანგმა, ერთი უცხოელის ცნობით, „მოიხმო შაჰის დესპანი, ამოიღო ქარქაშიდან ხმალი და დაიფიცა, რომ ამიერიდან აღარ იბრძოლებს შაჰისა და ირანის დასაცავად. ამის შემდეგ მან დაშალა თავისი ჯარი და დაიხია თბილისისაკენ, აღსავსე რწმენით — არ გაეტეხა თავისი ფიცი“.

ვახტანგმა კარგად გაიგო, რატომ დაუშალა შაჰმა ჰარის დაშერა, წყენა გულს ჩაიხვია და ირანის საწინააღმდეგო საქმიანობა უფრო გაშალა.

მალე ირანის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. მირვეისის ვაჟი მირ-მაჰმუდი გააქტიურდა. შაჰის უმწეობამ მოწინააღმდეგეებს ფრთები შეასხა, მეამბოხეები აღარ დასჯერდნენ ირანის აღმოსავლეთი პროვინციების განთავისუფლებას შაჰის მფლობელობისაგან, მათ შიდა პროვინციებს შეუტიეს და შიშისზარი დასცეს ისპაანს.

1720 წელს მირ-მაჰმუდი დაეცა ქირმანს. მართალია, მალე დატოვა ეს მხარე, მაგრამ ბრძოლა არ დაცხრა. მალე აჯანყებამ მოიცვა ლურისტანი და ქურდისტანი; 1721 წელს ბელუჯნი დაეცნენ ქ. ბენდერ-აბასს, ავღანელებმა დაიკავეს ხორასანის ნაწილი.

ადრე მეამბოხეთა ბრძოლას განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა და მიმართული იყო სეფიანთა დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ, ახლა მან სხვა ხასიათი მიიღო. ავღანელთა სხვადასხვა ტომები (ღილზაელები, აბდალები...), ბელუჯნი და სხვანი შემოიკრიბნენ მირ-მაჰმუდის გარშემო. მირ-მაჰმუდი დაიძრა თავისი ლაშქრით, 1722 წლის იანვარში ქირმანი დაიჭირა და ისპაანისკენ გაემართა. 8 მარტს სოფელ გიულნაბადთან, 25 კილომეტრზე ისპაანიდან, ავღანელებმა გაანადგურეს ირანელთა არმია და ალყა შემოარტყეს ისპაანს.

ირანს მყოფი ქართველთა ლაშქარი კვლავ თავგამოდებით ებრძოდა შაჰის მტრებს. ისპაანისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ბევრი ქართველი დაეცა, მათ შორის ვახტანგის ძმა როსტომიც.

გაჭირვებაში ჩავარდნილმა შაჰმა ვახტანგს დახმარება სთხოვა. ინგლისელი მოღვაწის ჯ. ჰანვეის სიტყვით, „შაჰი დიდ იმედებს

ამყარებდა ქართველებზე, რომელთა ძლევამოსილება ერთნაირად კარგად იყო ცნობილი როგორც ირანელებისათვის, ისე ავღანელებისათვისაც და არავითარი ეჭვი არ არსებობდა იმისა, რომ მტერი დაუყოვნებლივ დაიხევდა უკან, როგორც კი მიიღებდა ცნობას მათი მოახლოების შესახებ. ასეთ ვითარებაში დარწმუნებულმა შაჰმა გიულნაბადთან გამართული ბრძოლის შემდეგ დაუყოვნებლივ მისწერა წერილი ვახტანგს, მაგრამ ამ პატივმოყვარე თავადმა ვერ დასძლია ის წყენა, რომელიც მას მიაყენა შაჰმა ქართველთა შურისძიებისაგან ლეკების გადარჩენის გამო და მტკიცედ იცავდა თავის ფიცს".

ვახტანგი არ დაეხმარა ირანის მბრძანებელს, არ იხსნა ის განსაცდელისაგან. ქართველებმა „არა ინებეს წარსელა ისპაანს, რამეთუ დაშთების ქართლი უკაცური და არიან მტერნი მრავალნი".

ვახტანგის უარს შესაბამისი შედეგი მოჰყვა. შაჰმა კახთა მეფედ კონსტანტინე ერეკლეს ძე დაამტკიცა (III. 1722) და კახეთთან ერთად ადრე ქართლის მეფის კუთვნილი მიწა-წყალი—შამშადილუ და ყაზახი უბოძა. ეს რამდენადმე ვახტანგის დასჯა და შევიწროება იყო. ვახტანგმა სცადა კახთა ბატონთან საერთო ენის გამონახვა, მასთან შეხვედრაც მოიწადინა, მაგრამ შაჰის მიერ დაწინაურებულმა კონსტანტინემ „უქცია პირი".

მალე შაჰმა ვახტანგს ლაშქრით გამოსვლა და ლეკთაგან შეწუხებული განჯელების დახმარება დაავალა. განჯელებს, მართლაც, ცუდი დღე ადგათ, დახმარებისათვის მათაც ვახტანგს მომართეს.

ვახტანგი განჯისაკენ გაემართა, შამქორს მივიდა. შეშინებული ლეკთა ლაშქარი გაეცალა განჯას. ქართველთ შემოხვდა განჯის ხანი, მიუძღვა განჯას და სთხოვა ლეკების მოკავშირე ელთა*ტომების დარბევა და დამორჩილება. ვახტანგმა „წარავლინა სპანი", მისმა მხედრებმა „მოსრნეს ურჩნი და დაუმორჩილეს ხანს". 1722 წლის მაისში ვახტანგი თბილისს დაბრუნდა.

ქართლის მეფემ თითქოს შაჰის დავალება შეასრულა, მაგრამ სინამდვილეში მისი ლაშქრობა განჯის ხანისათვის დახმარების აღმოჩენა უფრო იყო, ვიდრე შაჰის სურვილის შესრულება. მან მხოლოდ ფორმალურად დააკმაყოფილა სულთან-ჰუსეინის მოთხოვნა. ვახტანგს ირანის გადარჩენა რომ სურვებოდა, იგი ალყაშემორტყ-

მულ ისპაანს დაეხმარებოდა და სეფიანებს განსაცდელისაგან იხსნიდა. ეს იქნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობის დახმარება, რაც, რასაკვირველია, ვახტანგის მიზანს არ წარმოადგენდა.

განჯისაკენ გალაშქრება ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიება იყო და ვახტანგმა ამიტომაც აღარ თქვა უარი მასზე. ამასთანავე ამ ლაშქრობით მან ლეკები შეაშინა, განჯის ხანი შემოიმტკიცა და ელთა ტომები დაარბია.

1722 წლის აგვისტოში შაჰმა ვახტანგს აზერბაიჯანის სპასპეტობა უბოძა, შარვანს გალაშქრება და იქიდან ლეკთა განდევნა დაავალა. „შეიყარა სპა-ლაშქარი ქართველთა". იმ დროს მოვიდა ბ. თურქისტანიშვილი და მოიტანა რუსთა მომავალი ლაშქრობის ამბავიც.

რუსებსა და ქართველებს ადრევე ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ. მათ მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მართალია, რუსეთის სახელმწიფო შორს იყო საქართველოდან, მისი საზღვარი არ ებჯინებოდა კავკასიონს, ქართველები და რუსები მეზობლები არ იყვნენ, მაგრამ მაინც ადრე გაიცვნეს ერთმანეთი. ძველი წყაროების (ქართული, რუსული, სომხური, ბერძნული, არაბული) გულდასმითი შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ უცილობელი ხდება, რომ კიევის რუსეთსა და საქართველოს შორის ადრევე დამყარებულა კონტაქტი. ეჭვმიუტანლად დადგენილია, რომ X საუკუნეში ქართველები და რუსები უკვე იცნობდნენ ერთმანეთს.

ადრეული ნაცნობობა მალე ცხოველ ურთიერთობაში გადაიზარდა, რუსებსა და ქართველებს შორის მჭიდრო დამაკავშირებელი ძაფები გაიბა. მართალია, ჩვენ მრავლად არ გაგვაჩნია დოკუმენტური მონაცემები რუს-ქართველთა ურთიერთობის შესახებ ძველ ხანაში, მაგრამ მოღწეული ცნობებითაც საკმაოდ საინტერესო სურათი წარმოგვიდგება. აქ საკმარისია მოვიგონოთ ორიოდე ფაქტი: 1154 წელს კიევის დიდმა მთავარმა იზიასლავ მსტისლავის ძემ (1146 — 1154) ქართველი მეფის დიმიტრი პირველის (1125 — 1156) ასული შეირთო, ხოლო 1185 წელს ქართველებმა დიდი

მთავრის ანდრიას ვაჟი გიორგი საქართველოში მოიწვიეს და თამარ მეფეზე (1184 — 1213) დააქორწინეს. რასაკვირველია, ზემოაღნიშნული ორი მოვლენა უნდა განვიხილოთ არა როგორც შემთხვევითი ფაქტები, არამედ ღრმად ჩაფიქრებულ-გააზრებული მოქმედება რუს და ქართველ მოღვაწეთა, რომელნიც დაკავშირებისაკენ ისწრაფოდნენ და თავიანთ სახელმწიფოთა დაახლოების მიზნით ყოველგვარ გზას მიმართავდნენ.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ლახვარი ჩასცა მონგოლთა გამოჩენამ. ველურმა ურდომ თითქმის ერთდროულად დაიპყრო და დაიმონა რუსეთი და საქართველო. რუსები და ქართველები დაშორდნენ ერთმანეთს, ე. წ. ოქროს ურდოს მძლავრობამ შეწყვიტა კავშირი რუს-ქართველთა შორის. მიუხედავად ამისა, რუსი და ქართველი საზოგადოებრიობისათვის ერთმანეთის შესახებ ამბები უცნობი არ დარჩენილა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გაცხოველდა და ახალი ძალით გაჩაღდა მას შემდეგ, რაც დაწინაურდა მოსკოვის სამთავრო.

XV საუკუნეში მოსკოვი გახდა რუსეთის თვალუწვდენელი მიწა-წყლის შემკრები და გამაერთიანებელი ცენტრი, დიდი რუსი ხალხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მისი აღმავალი ძლევამოსილებისათვის ბრძოლის მესვეური.

იმ პერიოდში, როდესაც მოსკოვის სახელმწიფო ყალიბდებოდა და ძლიერდებოდა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზმი იხრწნებოდა და ირღვეოდა. XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის ერთიანი ქართული სახელმწიფო აღარ არსებობდა, მისი ადგილი რამდენიმე სამეფომ და სამთავრომ დაიკავა. გაჩაღდა ბრძოლა ცალკეულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. შინაბრძოლის გაღრმავება ართულებდა ქართველების მდგომარეობას. ქართველთა შეკავშირება და ერთიანი ძალით გამოსვლა ირანოსმალეთის დამპყრობელი ბრბოების წინააღმდეგ შეუძლებელი აღმოჩნდა. ქართველებმა იწყეს მოკავშირეთა ძიება, რამდენჯერმე მიმართეს დასავლეთ ევროპას და მაჰმადიანთა წინააღმდეგ გაერ-

თიანებული ძალებით გალაშქრებისაკენ მოუწოდეს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამას სასურველი შედეგი არ მოჰყვა.

როდესაც გაძლიერდა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო, — „მიზიდულობის ცენტრი და დასაყრდენი მოძმე ხალხებისათვის, რომლებიც იბრძოდნენ უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ", — ჩვენი წინაპრები დაუკავშირდნენ მოსკოვს და ირანოსმალეთზე გამარჯვების იმედი ამ კავშირზე დაამყარეს. მართალია, რუსეთთან დაკავშირების გამო ქართველებს არა ერთი უსიამოვნება შეხვდათ მოძალებული მტრისაგან, ჩვენი ქვეყანა არა ერთგზის გამხდარა თურქ-ოსმალთა თუ ყიზილბაშთა რბევის ობიექტად, მაგრამ ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლები რუსეთის დახმარების იმედს არ კარგავდნენ, რუსეთთან კავშირ-ურთიერთობაზე ხელს არ იღებდნენ. ქართველი პატრიოტები კარგად აფასებდნენ შექმნილ ვითარებას, ჯეროვნად ერკვეოდნენ მახლობელი აღმოსავლეთის მიმართ რუსეთის რეალურ სახელმწიფოებრივ ინტერესებში, ესმოდათ მისი მიზანი და შესაბამისად იმედოვნებდნენ რუსეთის მხრივ დახმარების მიღებას.

XV საუკუნის მეორე ნახევარში მოსკოვის სამთავროს საზღვრები მდ. ოკას აქეთ არ მოდიოდა, მოსკოვსა და საქართველოს შორის დიდი მანძილი იყო, მათ შორის მონგოლთა სახანოების არსებობაც ურთიერთობის შემაფერხებელ წინაღობას ქმნიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში მოსკოვ-საქართველოს ურთიერთგაცნობა და დაკავშირება უცილობელი ფაქტია. მოსკოვში ჯერ კიდევ კახთა მეფის ალექსანდრე პირველის (1476—1511) ელჩი ჩავიდა (1492 წ.), ხოლო შემდეგ კახთა მეფემ ლევანმა (1520—1574) უფრო ახლო ურთიერთობა დაამყარა ივანე მრისხანესთან. კახთა მეფის ალექსანდრე მეორის (1574—1605) დროს ამ ურთიერთობამ კიდევ უფრო კონკრეტული სახე მიიღო. 1585 წელს მოსკოვის მეფის მოხელემ ინახულა ალექსანდრე და აახლა თედორე მეფის წიგნი, რომლითაც ჩრდილოეთის ხელმწიფე კახეთს პოლიტიკურ კავშირს სთავაზობდა და მფარველობას აღუთქვამდა. იმ დროს ამიერკავკასიაში ოსმალეთი მძლავრობდა. აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთს გარდა თითქმის ყველა მხარე მის ხელთ

იყო. კახეთს თურქ-ოსმალების უკუგდება კი არა, ლეკთა ავაზაკური ბრბოების თარეშის ალაგმვაც არ შეეძლო. ქართული ბატონყმურ-თავადური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ქვეყნის თავდაცვის საქმეს ძირს უთხრიდა. ასეთ დროს რუს ხელმწიფესთან დაკავშირება ალექსანდრესათვის, რასაკვირველია, ხელსაყრელი იყო. მაჰმადიანთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველობას იმედი მიეცა. პოლიტიკური ინტერესების დამთხვევამ გამოიწვია რუს-ქართველთა (— კახელთა) დაკავშირება. კახთა მეფემ მოსკოვის ხელმწიფეს ელჩები აახლა და მფარველობა სთხოვა. 1587 წელს ალექსანდრემ მოსკოვის მეფის ხელდებულების ფიცი მიიღო. კახეთთან ურთიერთობის პროცესში რუსეთი წააწყდა ოსმალეთისა და ძალზე გააქტიურებული ირანის წინააღმდეგობას. იმ პერიოდში მას არ გააჩნდა სათანადო ძალა და მალე დაკარგა კიდეც კახეთი, რომელსაც შაჰ-აბას I (1587—1629) დაეპატრონა. ირანის უმოწყალო მბრძანებელმა სასტიკად დასაჯა ქართველობა რუსეთისაკენ სწრაფვის გამო. მან რამდენჯერმე ულმობლად დალაშქრა ქართლ-კახეთი, აიკლო და ააოხრა ქალაქები და სოფლები, ნანგრევებად აქცია აყვავებული ქვეყანა, მუსრი გაავლო მოსახლეობას, მშობლიური მიწიდან აყარა მრავალი ათასი ქართველი და ირანის შორეულ პროვინციებში გადაასახლა. მაგრამ ყოველივე ამაო იყო: ქართველთა ლტოლვა რუსეთისაკენ ამან ვერ შეანელა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან დაკავშირებასა და მტრული გარემოცვის გარღვევის ცდას საქართველოსათვის ძალზე მძიმე შედეგები მოჰყვა, ქართველების რწმენა რუსეთის მხრივ დახმარების მიღების შესახებ ურყევი დარჩა. პოლიტიკური მარცხის სიმწვავე რუსეთისაკენ სწრაფვის ძალას ვერ ასუსტებდა. ქართველებს ერთადერთ მოკავშირედ მაინც რუსეთი მიაჩნდათ.

ქართული სამეფო-სამთავროების რუსეთთან დაკავშირებისათვის მებრძოლი დასის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო თეიმურაზ I. თუ ადრე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მოსკოვ-კახეთის ურთიერთობად გამოიყურებოდა, მის დროს იგი გაიზარდა და მოსკოვისა და რამდენიმე ქართული პოლიტიკური ერთეულის ურთიერთობად იქცა. თეიმურაზი არ დასჯერდა ელჩების გაცვლა-გამოცვლას, და ჯერ თავისი შვილიშვილი გაგზავნა მოსკოვს, ხოლო

შემდეგ თვითონაც ჩავიდა სატახტო ქალაქში. ის იყო პირველი ქართველი მეფე, რომელიც მოსკოვს ეწვია. ამიერიდან რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ცენტრმა მოსკოვს გადაინაცვლა (შემდეგში იქ ჩავიდნენ არჩილი და ვახტანგ VI).

თუ ადრე მოსკოვში ქართველ მეფე-მთავართა ელჩები ჩადიოდნენ და თავიანთ მბრძანებელთა სახელით რუს ხელმწიფეს დახმარებასა და შემწეობას სთხოვდნენ, ამიერიდან რუსთა მფარველობის სათხოვრად თვით ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლები ჩადიან და დაკარგული ტახტის დაბრუნებისა და სამშობლოს განთავისუფლების იმედს მოსკოვის დახმარებაზე ამყარებენ. მოსკოვი თანდათანობით იქცა მაჰმადიანთა წინააღმდეგ მრავალწლოვან ბრძოლაში დამარცხებული, მაგრამ სულით დაუცემელი და ქედმოუდრეკელი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების საიმედო თავშესაფრად.

მართალია, არც თეიმურაზისა და არც არჩილის ჩასვლას მოსკოვში რაიმე განსაკუთრებული სამხედრო-პოლიტიკური შედეგი არ მოჰყოლია, იმ ეტაპზე რუსეთს არ შეეძლო აქტიური სამხედრო დახმარების აღმოჩენა ჩვენი ქვეყნისათვის, მაგრამ რუსეთის იმედი კვლავ ურყევი იყო. რუსეთის ძლიერება ქართველებს უმტკიცებდა ეროვნულ გრძნობას და უნერგავდა მაჰმადიანთა აგრესიისაგან განთავისუფლების იმედს.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. რუსეთისა და საქართველოს ინტერესთა თანხვდენილობამ მოამზადა ხელსაყრელი პირობები დაახლოება-დაკავშირებისა და ერთობლივი მოქმედებისათვის. რუსეთი წინა აზიის პოლიტიკურ სარბიელზე გაბედულად გამოვიდა და ქართველთა ორიენტაციაც სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო გახდა.

ქართველი ხალხი განსაცდელში იყო და ეროვნული კატასტროფის წინაშე იდგა. დამპყრობლები მოსვენებას არ აძლევდნენ ქვეყანას. ქართველობა უძლური იყო გარეშე მტრების წინაშე. თავდამსხმელთა მოგერიება მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით შეუძლებელი ჩანდა. დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას მოკლებულმა ქართველობამ გადაჭრით დაიწყო ორი-

ენტაციის ძიება, რამაც ჩვენი წინაპრები ადრევე ჩრდილოეთის ერთმორწმუნე ქვეყნისკენ მიახედა. მტერთან მრავალი წლის უთანასწორო ბრძოლამ ცხადყო, რომ ფეოდალურად დაქუცმაცებულ საქართველოს თვით არ შეეძლო მაჰმადიანთა გარემოცვისაგან თავის დაღწევა და ნახევრად ველური ურდოების უკუგდება, საჭირო იყო ძლიერი მოკავშირე, რომელიც შეძლებდა სათანადო დახმარების აღმოჩენას. ქართველებს კარგად ესმოდათ რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა, ამიტომაც ორიენტაციის შერჩევის დროს რუსეთის სახელმწიფოს შინაგან ძლიერებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ და სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ქართველი პროგრესისტების აზრით, ეროვნული თვითმყოფობის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო რუსეთთან დაკავშირება. რწმენა, რომ მხოლოდ რუსეთს შესწევს ძალა და უნარი იხსნას ქართველობა განადგურებისაგან, თანდათანობით მტკიცდებოდა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ გაძლიერებასთან ერთად. ქართველობას აღაფრთოვანებდა რუსთა მხედრობა, რუსეთის რეგულარული ჯარის ორგანიზაციულ-ტექნიკური მოწყობილობა და ბრწყინვალე დისციპლინა. საკმარისია საილუსტრაციოდ დ. გურამიშვილის სიტყვები მოვიგონოთ:

არს მოსაწონი მნახველთა გაწყობა რუსის ჯარისა,
ათას-ხუთას კაცთ ერთფერად ტანთა ცმა, სხმა აბჯარისა,
მწყობ-რიგად შესვლა-გამოსვლა, ქცევა ვით ბრუნვა ჯარისა,
დამუსვრა ციხის მოქლოთა, მაგროვნად დანაჯარისა.

მოწინავე ქართველები გრძნობდნენ, რომ კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილი ირან-ოსმალეთის საპირისპიროდ რუსეთი ერთადერთი ძალა იყო, რომლის მფარველობითაც საქართველოს შეეძლო ეროვნულ-კულტურული თვითმყოფობის შენარჩუნება.

აღნიშნულ პერიოდში რუსეთს მართავდა ნიჭიერი და ენერგიული გამგებელი პეტრე I (1682—1725). იგი ყოველმხრივ ცდილობდა ქვეყნის გაზრდას, განვითარებასა და დაწინაურებას. აფართოებდა რუსეთის ტერიტორიას, ეძებდა ზღვებზე გასასვლელს, ხელს უწყობ-

და ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებასა და კულტურული დონის ამაღლებას, დიდ ყურადღებას უთმობდა დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობაში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში (1700—1721 წწ.) ეომებოდა შვედებს, რათა ხელთ ეგდო საზღვაო გზა ევროპისაკენ; ამავე დროს გულისყურით ეკიდებოდა აღმოსავლეთის საკითხს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კასპიისპირა მხარეს, რადგან იქ იყო საალმშენებლო მასალები, ნავთობი, აბრეშუმი, ბამბა, ხილი, ღვინო და სხვ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო გზას, რომლის ხელში ჩაგდებით რუსეთი იქცეოდა ევროპა-აზიის დამაკავშირებელ სავაჭრო-სატრანზიტო გზად. ეს კიდევ უფრო გაამდიდრებდა მემამულეებს, ვაჭრებს, ხაზინას.

გარდა ეკონომიური მიზნებისა, რუსეთის სამეფო კარს ჰქონდა წმინდა სამხედრო-პოლიტიკური მიზნებიც. მაშინ, როდესაც რუსეთის სავაჭრო კაპიტალი გზას იკაფავდა კასპიის ზღვის სანაპიროებისაკენ, მხედრობა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ ილტვოდა და იქ დამკვიდრებას ლამობდა. რუსეთის ხელისუფალთა მართებული მოსაზრებით, კასპიისპირეთში სამხედრო-პოლიტიკური გამარჯვების მისაღწევად აუცილებელი იყო ამიერკავკასიის ხალხთა მხარდაჭერა და ერთგულება-მოკავშირეობა. ქართველებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდათ. მათ შეეძლოთ რუსთათვის მიეწოდებინათ არა მარტო სურსათი, არამედ დაეხმარებინათ ჯარი, რომელსაც ჰქონდა მაჰმადიანებთან ომის დიდი გამოცდილება, რომელმაც იცოდა მოწინააღმდეგის ბრძოლის ფანდები და ადგილობრივ კლიმატსაც შეჩვეული იყო.

ამრიგად, საქართველო მაჰმადიანური გარემოცვის გარღვევასა და გაძლიერებული მუსლიმანური ბრბოებისაგან თავის დაღწევას ცდილობდა, ხოლო რუსეთი კასპიის ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდებას აპირებდა. რადგან ორივე ქვეყნის ინტერესი ერთობლივ მოქმედებას მოითხოვდა, პეტრე და ვახტანგი ერთმანეთს დაუკავშირდნენ.

1715 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ირანში დესპანად გაგზავნა პოდპოლკოვნიკი ა. ვოლინსკი (1689—1740). პეტრეს საგანგებო მითითებით მას ოფიციალურად დაევალა კასპიის ზღვაზე ახალი ნავსადგურების მოწყობაზე უფლების მოპოვება და ირანთან

სავაჭრო ხელშეკრულების დადება, ხოლო არაოფიციალურად — ირანის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა, ირან-ოსმალეთის დამოკიდებულების გარკვევა, ირანის გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული ცნობების შეკრება, ქართველებთან და სომხებთან კავშირის დამყარება. პეტრეს ინსტრუქციაში აღნიშნული იყო, რომ ქართველი დედოფლის ეკატერინეს (არჩილის მეუღლე ქეთევანი) თხოვნის საფუძველზე ა. ვოლინსკის დახმარება უნდა აღმოეჩინა ტყვეობაში მყოფი ვახტანგისათვის. მას უნდა დაედგინა ვახტანგის ადგილსამყოფელი, გაერკვია მისი მდგომარეობა და ეზრუნა მის ბედზე.

1717 წლის 14 მარტს ა. ვოლინსკი ჩავიდა ისპაანში და იქ დარჩა 1 სექტემბრამდე. მან წარმატებით შეასრულა ოფიციალური დავალება და, მიუხედავად დიდი სიძნელისა, დაუახლოვდა ვახტანგს, რომელიც იმ დროს უკვე გამაჰმადიანებული და შეწყალებული იყო.

ა. ვოლინსკი და ვახტანგი ფრთხილად მოქმედებდნენ. ისინი ერთმანეთს პირადად არ ხვდებოდნენ და არც მიმოწერას აწარმოებდნენ, მაგრამ ვახტანგის ერთგულ კაცებს ა. ვოლინსკი ხვდებოდა როგორც ისპაანში, ისე შემდეგში კასპიისპირეთში — ჭ. რეშტსა და ჭ. შამახიაში (1718 წ.). ვახტანგის კაცს ფარსადან-ბეგს ა. ვოლინსკისთან საუბარი ჰქონდა ქართლის მეფის გამაჰმადიანების მიზეზებზე, რუს-ქართველთა სამხედრო პოლიტიკური კავშირის აუცილებლობაზე და ა. შ.

1719 წელს ა. ვოლინსკი დაინიშნა ასტრახანის გუბერნატორად. მან დაიწყო მზადება კასპიისპირეთში ლაშქრობისათვის.

რუსეთის ხელისუფლება ჩრდილოეთის საქმეთა მოგვარებას ამთავრებდა და ამიერიდან შეეძლო მეტი ყურადღება დაეთმო სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისათვის. 1720 წლის 22 მარტს პეტრემ ნება დართო ა. ვოლინსკის წერილობითი კავშირი დაემყარებინა უკვე თბილისში მყოფ ვახტანგთან.

რუს-ქართველთა მოლაპარაკება ახალი ძალით გაჩაღდა. უკვე 1721 წლის ნოემბერში ვახტანგი პეტრეს აცნობებდა მზადყოფნას და რუსთა მხრივ დახმარების იმედს გამოთქვამდა. მალე დადგა სათანადო მომენტიც. ჩრდილო კავკასიაში დაიწყო მთიელთა

ანტიირანული აჯანყება. მეამბოხეთა მეთაურებმა, ოსმალეთის აგენტებმა დაუდ-ბეგმა და სურხაი-ხანმა, შიიტ-ყიზილბაშთა წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს. დაუდ-ბეგი ცდილობდა დაღესტნისა და აზერბაიჯანის ხელში ჩაგდებას. ლეკებმა შამახია აიღეს (7. VIII. 1721) და ოსმალეთის მორჩილება განაცხადეს.

ამრიგად, მეამბოხე ტომებმა ხონთქარი მოიწვიეს ამიერკავკასიაში გასაბატონებლად, რაც, რასაკვირველია, რუსეთისათვის საზიანო იყო. ამასთანავე ეს ირანის შაჰის პოზიციის შესუსტებას მოასწავებდა. რუსეთს შეეძლო ესარგებლა მომენტით, „დახმარება აღმოეჩინა“ შაჰისათვის, თურქ-ოსმალთა აგრესიული მოქმედება შეეზღუდა და ლეკები დაესაჯა.

პეტრემ ლაშქრობა 1722 წლის ზაფხულისათვის დაგეგმა. მან გადაწრით გადაწყვიტა კასპიისპირა პროვინციების შეერთება და ამით მრეწველობისათვის ნედლეულის მიღება, სახელმწიფო შემოსავლის დამატებითი წყაროების მოპოვება, აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება, ოსმალეთის დამპყრობლური მიზნებისა და მისწრაფებების შეზღუდვა.

პეტრე კარგა ხანს ემზადებოდა სამხედრო ოპერაციის დაწყებისათვის. მან ჯერ კიდევ ადრე, თავისი ელჩებისა და მზვერავების დახმარებით, შეისწავლა ირანის შინაგანი სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა, გაითვალისწინა კასპიისპირეთის გეოგრაფიული პირობები, გაიჩინა მოკავშირენი ქართველებისა და სომხების სახით, ხოლო 1722 წლის ივნის-ივლისში დიდძალ მხედრობას მოუყარა თავი ასტრახანში. მალე მან გამოაქვეყნა მანიფესტი და ხალხს აცნობა, რომ მიდიოდა რუსი ვაჭრების მძარცველების — ლეკების დასასჯელად, კავკასიის ქრისტიანი ხალხების — ქართველებისა და სომხების დასაცავად, ირანის შაჰის დასახმარებლად.

რუსთა ლაშქრობას ჰქონდა თავისი სპეციფიკა. რუსეთის იმპერატორის პოლიტიკას კლასობრივი არსი განსაზღვრავდა, იგი რუსეთის კონკრეტულ-ისტორიული ვითარებისაგან და ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარეობდა, თავადაზნაურთა და ვაჭართა ინტერესს შეესაბამებოდა და ცარიზმის დამპყრობლურ მისწრაფებას გამოხატავდა, მაგრამ გარეგნულად იგი პროგრესულ იერს ატარებდა, რის გამო მას მოჰყვა განმათავისუფლებელი მოძრაო-

ბის აღმავლობა. მიუხედავად იმისა, რომ პეტრეს მიერ წამოწყებული ოპერაცია დამპყრობლური ხასიათისა იყო, მან მაინც პროგრესული როლი შეასრულა და საგრძნობლად გააღვივა ირანელთა მორჩილებაში მყოფი ხალხების ეროვნული გრძნობები.

1722 წლის ივლისში პეტრემ ასტრახანიდან ვახტანგს ბ. თურქისტანიშვილი გამოუგზავნა, ოპერაციის დაწყება აუწყა და გალაშქრებისაკენ მოუწოდა.

პეტრეს წინადადებას მაჰმადიანთა წინააღმდეგ შეერთებული ძალით გალაშქრების შესახებ ვახტანგი და მისი დასი სიხარულით შეეგება. დ. გურამიშვილის ცნობით,

ჭიო სითბოთ ვარდმან ყვავილი, სუნი გამოსცეს იამა,
დაბუხებულმან, ნაზამთრმა მხარი აღისხას ჰიამა,
დიდის სიცხითა მაშვრალსა აამოს სიო-ნიავმა, —
ეგრეთ ხელმწიფის ბრძანება მეფეს რა ესმა, იამა.

ქართველთათვის საოცნებო იყო რუსებთან მხარდამხარ ბრძოლა. მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე და შორსმჭვრეტელი საზოგადოებისათვის ნათელი იყო პეტრეს მოწოდების მნიშვნელობა და რუსებთან დაკავშირების პერსპექტივა. ვახტანგის დასი სამშობლოს ხსნას რუსეთთან კავშირში ხედავდა.

ვახტანგს პეტრეს წერილი მაშინ მოუვიდა, როდესაც ხსნა არსაიდან ჩანდა, მტერი აღარ ითმენდა და ქართველობა უზომოდ შეწუხებული იყო. პეტრეს მოწოდებამ ქართლის მეფე გაახარა, დაისახა გზა ხსნისა, აღმოჩნდა მაჰმადიანთა რკალიდან გამოსავალი. ვახტანგმა სევდა მოიცილა, ჭმუნვა გადაიგდო და ვეზირები მოიწვია სათათბიროდ; დაიწყო ბჭობა, განხილვა უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხისა.

საგულისხმოა, რომ ვახტანგის ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე და ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი, — ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხების საქმის კურსში მყოფი და საკმაოდ ინფორმირებული პირები, — არ აგვიწერენ ამ თათბირს. ისინი აზრთა სხვაობას, ორი დასის არსებობას არც კი იხსენიებენ. სამაგიეროდ ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჩვენი სასიქადულო მგოსანი დ. გურამიშვილი.

„დავითიანის“ ცნობით, ვახტანგის დარბაზში გაიმართა ცხარე

კამათი, აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა. მმართველ წრეებში თავი იჩინა ორმა მიმართულებამ. ერთი დასი გახარებული იყო რუსეთთან დაკავშირებით, მეორე ამაში ცუდს არას ხედავდა, მაგრამ ნაადრევად მიაჩნდა და შედეგი აფიქრებდა, არ ასვენებდა შიში მაჰმადიანი მტრების მოძალებისა და დახმარების დაგვიანებისა. ვახტანგის მომხრენი დაბეჯითებით იცავდნენ მეფის აზრს და რუსეთთან კავშირის დამყარებას იწონებდნენ. რუსებთან დაკავშირებით განსაკუთრებით ვახტანგი იყო დაინტერესებული. მას სხვაზე ცხადად და ნათლად ჰქონდა შეგნებული ამ აქტის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. როდესაც მოწინააღმდეგე დიდებულებმა მეფეს რუსეთისაკენ ლტოლვა შეატყვეს და განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინეს, მალულად წასვლა და მცირერიცხოვანი რაზმის ხლება ურჩიეს. მეფის მოქმედების ასეთი შენიღბვა ქართველთა ნაწილს აუცილებლად მიაჩნდა, რადგან გარშემო დიდძალი მტერი იდგა. ვახტანგმა ეს წინადადება შორს დაიჭირა, ითაკილა კიდეც ფარულად წასვლა. მას ჰქონდა თავისი გეგმა ერთიანი ფრონტით გამოსვლისა, აშკარად სურდა მტრის წინააღმდეგ გალაშქრება და რუსეთთან მარადიული კავშირის დამყარება. ვახტანგს ესმოდა, რომ ვითარება რთული იყო და მის ნაბიჯს შეიძლებოდა მაჰმადიანთა გამძვინვარება მოჰყოლოდა, მაგრამ, მიუხედავად მოსალოდნელი საფრთხისა, მაინც რუსეთისაკენ იცქირებოდა, სამშობლოს განთავისუფლების იმედს მასზე ამყარებდა და მსხვერპლსაც არ ერიდებოდა. მან იკისრა ერთობ საპასუხისმგებლო ვალდებულება — ქართლის მეფეს უნდა გამოეყვანა ჯარი, გაელაშქრებინა ლეკთა წინააღმდეგ, მისულიყო განჯას და რუსთა ნიშნისთვის დაეწყო ცდა. საგულისხმოა, რომ ვახტანგი გარეგნულად თითქოს შაჰის დავალებას ასრულებდა (ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ შაჰმა მას შარვანს გალაშქრება და იქიდან ლეკთა განდევნა დაავალა).

ვახტანგს მოუხდა მანევრირება ოსმალეთთან ურთიერთობაშიც. ოსმალეთი შიშით ადევნებდა თვალს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარებასა და პეტრესა და ვახტანგის დაახლოებას. ხონთქარმა გაითვალისწინა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობა და ვახტანგს დაბეჯითებით მოსთხოვა მორჩილება. ქართლის მეფემ მორჩილებაზე უარი შეუთვალა და აცნობა, შაჰის ყმად-

ნაფიცი ვარ და მისი ბრძანების შესასრულებლად განჯას უნდა წავიდეო. ხონთქართან ურთიერთობის დროს ვახტანგი თავისი ლაშქრობის მთავარ მიზეზს არ ამჟღავნებდა, რუსეთს არ იხსენიებდა და ყველაფერს შაჰს მიაწერდა.

ვახტანგი გადაჭრით გაემიჯნა მაჰმადიანურ აღმოსავლეთს, ზურგი შეაქცია თავზე ძალად მოხვეულ მუსლიმანობას და სალაშქროდ გაემზადა, თავისი გადაწყვეტილება წერილობით შეატყობინა პეტრეს და ისიც აცნობა, რომ ლაშქრობის საბაბად შაჰის ბრძანება გამოიყენა. „თქვენი წერილ. რომ მივიღეთ, მაშინ „ყეენისაგან ჩაფარიც მოგვივიდა, ადრიბეჟანის სპასალარობა ჩვენთვის მოეცათ და ლეკის გარდახდევინება მოეწერათ. ამ მიზეზით და საქმით ლაშქარს დავუძახეთ. ღვთით, ოცს მარიამობას განჯას ჩავალთ. ვინც იქაურნი სომეხნი და თათარნი არიან, იმათს ჯარსაც შემოვიყრით, იქიდამ ლეკთ მტრობას დავუწყებთ, თქვენის ბრძანების მაყურებელნი ვიქნებით", — სწერდა ვახტანგი რუსთა იმპერატორს. სალაშქროდ გამზადებულმა ვახტანგმა ყაზახი მისცა ყაზახის ხანს და თავისთან მოიწვია. ეს ძალზე იწყინა კონსტანტინემ. კახთა ბატონმა ვახტანგს მოაგონა, რომ ყაზახი შაჰმა მას უბოძა და მისი საკუთრება იყო. ირანის შაჰის ხელქვეითს — ქართლის მეფესა და აზერბაიჯანის სპასალარს თუ ჯარი სჭირდებოდა, ჩემთვის უნდა მოემართა, მე მივცემდი ლაშქარსო. ვახტანგი დათანხმდა კონსტანტინე ეცნო ყაზახის მფლობელად, თუკი სანაცვლოდ დამხმარე ჯარს მიიღებდა. პირობისამებრ ვახტანგი და კახთა ბატონი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. მაგრამ იესეს ვერაგობით ეს წამოწყება ჩაიშალა და კონსტანტინემ ვახტანგს ლაშქარი აღარ დაახმარა. განრისხებულმა ვახტანგმა ჯარი გაგზავნა ყაზახს და კონსტანტინეს ლაშქარს გაუმართა ბრძოლა.

ვახტანგი თავისი მხედრობით მიუახლოვდა განჯას. გზიდან მან სომეხი მღვდელმთავარი ესაია ჰასან ჯალალიანი გაგზავნა ყარაბაღს და ჯარის მოყვანა დაავალა. სომეხთა ლაშქარი შეგროვდა და შეუერთდა ქართველობას. გაერთიანებული მხედრობა განჯას დადგა და პეტრეს ნიშანს დაუწყო ცდა.

ერთობლივი მოქმედების გეგმით რუსებს დარუბანდი და ბაქო უნდა აეღოთ, ხოლო ქართველებსა და სომხებს — შამახია. ვახ-

ტანგის ლაშქარი რუსებს დარუბანდ-ბაქოს გზაზე უნდა შეხვედროდა. ვახტანგი იცდიდა, მაგრამ ამაოდ. რუსეთის არმია, რომელიც ადრე ძლევამოსილად მოიწევდა სამხრეთისაკენ, არ ჩანდა.

ვახტანგი შეშფოთდა, რუსთა მოლოდინში ძისი ჯარი დაიღალა. პეტრესაგან ცნობის მიუღებლობამ კიდევ უფრო გაამძაფრა მოლაშქრეთა მდგომარეობა. ვახტანგმა რამდენჯერმე მიმართა თავის წარმომადგენელს რუსთა ბანაკში — ბ. თურქისტანიშვილს და უმოქმედობის ახსნა მოსთხოვა. ერთ-ერთ წერილში იგი ბ. თურქისტანიშვილს შესჩიოდა: „ჩვენ რომ განჯის ყარაბაღში ჩამოვსულვართ, ეს მესამე კაცი არის რომ გამოვგზავნეთ“. გიცდით, თქვენგან არავითარი ცნობა არა გვაქვს. „გამოვიდეთ მანდა, ვისთან გამოვიდეთ? გაებრუნდეთ და როგორ გავბრუნდეთ? თქვენი ამბავი ვერა გაგვიგია, რა ქენით, რა არა. შენც ხომ კარგად იცი, ქართველი კაცი ამდენის ხნის ლაშქრობას ვერ გასძლებს, ნუზლი შემოაკლდების და შესწუხდების. რა ქენით, რატომ ერთი თქვენი ამბავი არა გვაცოდინეთ რა?!“

1722 წლის 4 ოქტომბერს ვახტანგმა ერთხელ კიდევ მიმართა პეტრეს, განჯას მისვლა და საბრძოლო მზადყოფნა აცნობა და აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდა: „ამ ალაგების ბელადობა გვეთქმის, იმიტომ მოგახსენებთ: აქათს ქვეყნებს დაგვიანება აღარ უნდა, ამიტომ რომ აქაური საქმეები დიაღ არეული არის და ერთი ასეთი არა გამოვარდეს რა, რომ აქაური საქმე არ წახდეს“.

ვახტანგმა პეტრეს კონკრეტული გეგმაც შესთავაზა: რუსთა „ჯარი შარვანს მოვიდეს, აქედან ჩვენ ვიქნებით, შევიყრებით და ყოველი საქმე ღვთით გარიგდების, ერევნამდინ რაც ალაგია, დავიჭერთ და ვეცდებით, რომ ერევანიც დავიჭიროთ“.

ვახტანგის მიერ შეთავაზებული გეგმის მიღება პეტრეს აღარ შეეძლო. მან ჯერ კიდევ ადრე დარუბანდში გარნიზონი დატოვა (7. IX. 1722), თვით ასტრახანისკენ გაბრუნდა და მალე სატახტო ქალაქს მიაშურა.

რუსეთის იმპერატორის გაბრუნება, რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო. ჯარში ეპიდემიის გავრცელებამ, კავალერიის შესუსტებამ, ფლოტილიის მარცხმა, სურსათის ნაკლებობამ, ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავებამ და ზოგიერთმა სხვა არა-

ხელსაყრელმა გარემოებამ პეტრე აიძულა ლაშქრობა მომავალი წლისათვის გადაედო. 28 სექტემბერს მან ქართლს გამოგზავნა ი. ტოლსტოი. რუსთა ელჩს დაევალა მოლაპარაკების ისე წარმართვა, რომ ვახტანგს ეკისრა შუამავლის როლი რუსეთ-ირანს შორის და დაერწმუნებინა შაჰი, რომ რუსთა ლაშქრობა კასპიის-პირეთში მიზნად ისახავდა თურქ-ოსმალთა აგრესიის ალაგმვას და ირანის გადარჩენას.

ი. ტოლსტოის ვახტანგისათვის უნდა აეხსნა, რომ სამხედრო ოპერაცია კასპიისპირეთში 1723 წლისთვის იყო დაგეგმილი, 1722 წელს რუსეთი არ იყო მზად ბრძოლის დასაწყებად და მხოლოდ თურქ-ოსმალთა გააქტიურებამ ამიერკავკასიაში აიძულა პეტრე ვადაზე ადრე დაეწყო ლაშქრობა, მაგრამ შექმნილმა ვითარებამ გააძნელა ლაშქრობის გაგრძელება და იგი მომავალი წლისთვის გადაიდო. ი. ტოლსტოის უნდა დაერწმუნებინა და დაეიმედებინა ვახტანგი, რომ 1723 წელს ლაშქრობა ახალი ძალით განახლდებოდა.

27 ოქტომბერს ი. ტოლსტოი ჩამოვიდა თბილისში, სადაც მას მხოლოდ ვახუშტი დახვდა (ვახტანგი და ბაქარი ჯერ კიდევ განჯას იყვნენ). რუსთა მხედრობის გაბრუნებისა და ლაშქრობის გადადების ცნობამ დაამწუხრა და შეაშფოთა ქართველობა. მაშინდელი ნაღვლიანი განწყობილებისა და მწარე განცდების გამომხატველია დ. გურამიშვილის სიტყვები: „...წახდა, დაგვიანდა საქმე კარგი, დასაშური“. ვახტანგის დასს დიდად ატკინა გული იმან, რომ რუს-ქართველთა ჯარების შეერთება არ მოხერხდა და გაერთიანებული ლაშქრობის გეგმა ჩაიშალა.

22 ნოემბერს ვახტანგი თბილისში დაბრუნდა, მალე შეხვდა ი. ტოლსტოის და დაბეჯითებით სთხოვა რუსთა მხედრობის ჩამოსვლა.

29 ნოემბერს ვახტანგმა ერთხელ კიდევ მიმართა დასავლეთ ევროპას — რომის პაპსა და ავსტრიის იმპერატორს, თურქ-ოსმალთა მოძალება აუწყა და სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური დახმარება სთხოვა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. მდგომარეობა კი დღითი დღე უარესდებოდა. პეტრეს მოწოდებაზე გა-

მოხმაურება, ქართველი მეომრებით განჯას წასვლა და მაჰმადიანებთან ბრძოლის გაჩაღებისათვის მზადება ძვირად დაუჯდა ვახტანგს, მას მტრები საგრძნობლად მოუმრავლდნენ. ოსმალეთი ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან ჯარს აგროვებდა და შემოსაჭრელად ემზადებოდა. ხონთქარმა ქართლის დაპერა არზრუმის ფაშას მიანდო. ეს უკანასკნელი ბრძოლისათვის ჯერ კიდევ არ იყო მზად, ამიტომ სამხედრო ძალის გამოყენებას დიპლომატიური მოლაპარაკება არჩია და ვახტანგის ნებით დაყოლიება მოიწადინა, ქართლის მეფეს მორჩილება მოსთხოვა.

შეწუხებულმა ვახტანგმა პეტრეს აუწყა მძიმე მდგომარეობა და გააცნო თავისი განწყობილებაც: თქვენი ბრძანებისამებრ „ჯარი შევიყარეთ და განჯას მივედით და იმის მომლოდინენი ვიყავით, რომ სადაც ხელმწიფის ბრძანება მოსულიყო, იქ ვხლებოდით“. ვითარება შეიცვალა, „გამოვბრუნდით. თუმცა ამ საქმით ყეენიც დაგვემდურა, კახი ბატონიც აგვეშალა და ხონთქარიც წყინობს და იმუქრების, მაგრამ ჩვენ ჩვენი თავი მაგათს ერთგულობასა და სამსახურზე დაგვიძს, რაც უნდა გარდაგვხდეს, წამებად შეგვირაცხია“. საგულისხმოა, რომ მარცხმა ვახტანგს რწმენა ვერ დაუკარგა და აზრი ვერ შეაცვლევინა. იგი კვლავ რუსთა ერთგული დარჩა და სამხედრო დახმარების მიღების იმედით სულდგმულობდა, მაგრამ ხონთქრის რისხვას მალე შაჰის წყრომაც დაემატა და ქართლის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა.

ისპანიის ალყის დროს ქართველთა თავშეკავებამ და შაჰისათვის დახმარების აღმოჩენაზე უარის თქმამ გადამწყვეტი როლი შეასრულა სეფიანთა დაცემაში. 1722 წლის ოქტომბერში სულთან-ჰუსეინმა ისპაანი ჩააბარა გამარჯვებულ მოწინააღმდეგეს, მირ-მაჰმუდს ბანაკში ეახლა და გვირგვინი გადასცა (სხვათა შორის, გავრცელებული აზრით, ვახტანგს არა მარტო ისპაანის ხსნა შეეძლო, არამედ მთელი ირანის დამორჩილებაც, მაგრამ მან არ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი).

სულთან-ჰუსეინის ვაჟი თამაზი ჯერ კიდევ ადრე (VI. 1722), ისპაანის ალყის დროს, გაიქცა ირანის ჩრდილო პროვინციებში. მამამისის დამარცხების, ისპაანის დაცემისა და მირ-მაჰმუდის შაჰად გამოცხადების შემდეგ თამაზმაც მოისურვა მბრძანებლობა. მასთან

თავი მოიყარეს ავღანელთაგან შევიწროებულმა და მირ-მაჰმუდისადმი მტრულად განწყობილმა პირებმა.

1722 წლის დეკემბერში თბილისს მოვიდა თამაზის ყულარაღასი, რომელმაც ვახტანგს აცნობა ისპაანის დაცემა და ქართლის ჯარი მოსთხოვა. ი. ტოლსტოისთან მოთათბირების შემდეგ ვახტანგმა ქართველთა ლაშქრის გაგზავნაზე თამაზს უარი შეუთვალა. განრისხებულმა თამაზმა ვახტანგი დასაჯა, ქართლი ჩამოართვა და კახთა ბატონს კონსტანტინეს გადასცა (10. I. 1723). ეს უკანასკნელი კარგა ხანია ცუდად იყო ვახტანგთან და ქართლისკენ მტრულად იცქირებოდა. შაჰის მოქმედებას იესეს ვერაგობა დაერთო და ქართლისა და კახეთის მეფეთა შორის ურთიერთობა ძალზე გამწვავდა. კონსტანტინემ ვახტანგს ქართლის ტახტი მოსთხოვა. მან თბილისელ მეცხოვნეებს აცნობა, რომ შაჰმა ქართლის მეფედ იგი დაამტკიცა და ერთგულებისაკენ მოუწოდა. ყიზილბაშებმაც ვახტანგთან ანგარიშის გასასწორებლად ხელსაყრელი მომენტი იშოვეს, „დახშნეს კარნი ციხისანი ღამე და ისროდნენ თოფ-ზარბაზანსა“.

კახთა ბატონის წინააღმდეგ დაირაზმა ვახტანგის ერთგულ მებრძოლთა ლაშქარი. მეფემ სახლობა გორს გახიზნა, თვითონ თბილისში გამაგრდა. კონსტანტინე ლაშქრით მოვიდა ავლაბარში, მისმა ძმამ თეიმურაზმა მცხეთა დაიჭირა და იქიდან აპირებდა თბილისში შემოჭრას. კახელთა ჯარმა მალე კლდისუბანი დაიკავა.

მთელი ძალით ამოქმედდა ვახტანგის ლაშქარი, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბაქარმა. მან „აოტნა კახნი“, გაათავისუფლა კლდისუბანი, მუსრი გაავლო კონსტანტინეს მეომრებს (თაბორს, ტაბახმელას და ა. შ.). ვახტანგის მეორე ვაჟმა ვახუშტიმ „მოსრნა ელნი ბორჩალუ“ და სასტიკად დაამარცხა ლეკთა მოთარეშე რაზმები. შემდეგ მცხეთისკენ გასწია და ადგილობრივ მოსახლეთა ხელშეწყობით კახთაგან გაათავისუფლა იგი.

თბილისისათვის გაჩაღებული ბრძოლების დროს არზრუმის ფაშამ ვახტანგს განმეორებით მოსთხოვა მორჩილება. ვახტანგმა გაითვალისწინა ქვეყნის მძიმე მდგომარეობა და გადაწყვიტა დროის მოგება, თბილისის შენარჩუნება და რუსთა მხედრობის მოსვლამდე გაძლება. რასაკვირველია, თურქ-ოსმალებთან და კონსტან-

ტინესთან ბრძოლა მას ერთდროულად არ შეეძლო, ამიტომ ხონთქრის მორჩილება განაცხადა. რუსეთის ხელისუფლებას ვახტანგი დეტალურად აცნობდა შექმნილ ვითარებას, ოსმალეთის მორჩილების გამოცხადებით დროის მოგებას აუწყებდა და დახმარებას სთხოვდა: „ჯახმა ბატონმა ყეენს დამაბეზღა და ხვანთქარსაც“, მათ „დიდის ხელმწიფის გამოსვლა და ჩემგან მაგათის სამსახურის მონდომება“ აუწყა. „ამაზედ ორნივ გაგვიწყრნენ და ჯარები გამოგვისივეს. ჩვენ, რადგან ამთონის მეზობლებისა და დიდის ხელმწიფეების ბრძოლა ვეღარ შევიძელით, ხონთქარს ვუთხარით: „გეყმობითო“. სანამდი სტამბოლს ამბავი მიმივიდეს და მომივიდეს, ეგება მაგათი გამობრწყინება გვეღირსოს...

დიდმა ხელმწიფემ არ დაგვაგდოს და არ უგულებელგვყოს; ამდენს მოგვეხმაროს, აქამდი რომ ფოცხვერის ჭანგისაგან გამოხსნას ვეხვეწებოდით, ახლა ბაბრის ჭანგში არ შეგვაგდონ“.

რუსეთის ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა ვახტანგისათვის დახმარების აღმოჩენა. პეტრე აპირებდა ჯარის გამოგზავნას ბასკაკოვის ხელმძღვანელობით, მაგრამ სათანადო ბრძანება მხოლოდ 19 აპრილს დაიწერა, ბასკაკოვი ასტრახანში მაისის შუა რიცხვებში ჩავიდა, ქართლში კი იმ დროისათვის მდგომარეობა არსებითად შეიცვალა.

კონსტანტინემ ლეკთა დაქირავებული ლაშქარი მოიყვანა, ანაზდეულად დაეცა თბილისს და ციხიდან გამოსული ყიზილბაშების დახმარებით დაამარცხა ქართლის ჯარი (4. V. 1723). ვახტანგმა ძლივს დააღწია თავი ხიფათს, „მხნედ იყო როსტომ ფალავანდიშვილი, ჩამოუდგა მეფეს და არა აუფლებდა ლეკთა მოსლვად“. ქაშვეთთან შეხვდნენ „მოქალაქენი და დაუწყეს წვევა ქალაქსა შიგან“, მაგრამ ვახტანგისთვის ნათელი იყო, რომ უჯაროდ იგი ტახტს ვეღარ დაიბრუნებდა.

კონსტანტინეს მიერ თბილისის აღება და ლეკთა მიერ მისი დარბევა და გაძარცვა საკმაოდ ვრცლად აღწერა დ. გურამიშვილმა:

ჯახ-ბატონსა წინა დღითვე მზასა ყვანდა თვისი ჯარი;
იგ რა ესმა, წამოვიდა, დაიჭირა ავლაბარი;
ნარიყალა მიმბაშს ეპყრა, შაის-ტახტი, ციხის კარი.
რა მოვიდა, ფიცხლავ მოსცა, გაიკეთა მუნ საფარი.

შემოებნენ, დაამარცხეს, მან მიმართა მუხრან-ჭარსა;
უთხრა: ქართველთ გამაწბილეს, არც მე შავჭამ იმათ ჯავრსა;
შეიპირა ჭარელები, სასყიდელი მისცა ჯარსა,
წაუძღვა და ხელმეორედ მიაყენა ჯარი კარსა.
ქართლს, კახეთსა გარდეხადა მაშინ ღვთისა საფარველნი,
ოდეს გარსა შემოადგნენ თიფლის კახნი და ჰარელნი!
გაუთენდათ სომეხებსა დღე შაბათი საზარელნი,
ზოგი მოკლეს, ზოგი დასჭრეს, ზოგს წაგვარეს საყვარელნი!
სალხინოს დღეს მოქალაქე დიაღ ავად შეაქციევეს,
წამოუხვნეს საქონელნი, სახლ-დუქნები დააქცივეს.
დანამარცხეს ქართველთ ჯარი, ვახტანგ მეფე გააქციევეს.
თეთრსა მტკვარსა წითლად ღებდა, რაც მათ სისხლი დააქციევეს!

ვახტანგი შიდა ქართლისკენ წარემართა, გორსა და ცხინვალს მიაშურა.

მალე თბილისისკენ დაიძრა თურქ-ოსმალთა ლაშქარი. ვახტანგმა გადაწყვიტა ესარგებლა შექმნილი მდგომარეობით. მისი მითითებით ბაქარი და იესე თურქ-ოსმალებს ტაშირში შეხვდნენ და თბილისისკენ გამოჰყვნენ. ქართლის ძლეული მეფე უცხო ძალით აპირებდა ყიზილბაშთა და ლეკთაგან გაძლიერებული კონსტანტინეს დამარცხებას, მაგრამ ამ უკანასკნელმაც ალღო აუღო პოლიტიკურ სიტუაციას, ბრძოლა მიზანშეუწონლად ჩათვალა და თბილისი მტერს უომრად ჩააბარა. თურქ-ოსმალებმა დაიკავეს თბილისი (VII. 1723), ხელთ იგდეს მთელი ქართლი და მეფედ ბაქარი დაადგინეს, ხოლო კონსტანტინე შეიპყრეს და ციხეში გამოკეტეს.

ვახტანგი ერთ ხანს ცხინვალს იდგა, ქართლის პოლიტიკურ ცენტრს დაცილებული იყო, მაგრამ სახელმწიფოებრივ საქმეებსა თუ საბრძოლო ოპერაციებში კვლავ მონაწილეობდა და ბაქარს ეხმარებოდა. კერძოდ, განდგომილი და დასჯილი გიორგი ერისთავის ნაცვლად არაგვის ერისთავობა ოთარს მისცა და შემოიმტკიცა, ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბა; თავისი თანამებრძოლებით რამდენჯერმე შეუტია ლეკთა მოთარეშე ბრბოებს გრემისხევს, წილკანს, შიოსუბანს და ა. შ.

ვახტანგის განზრახვა თითქოს ასრულდა, კონსტანტინე საპყრობილეში იჯდა, ხოლო ბაქარი — ქართლის ტახტზე, მაგრამ ეს, რასაკვირველია, ქართველთა გამარჯვებას არ ნიშნავდა. დამპყრობ-

თა ხელშეწყობითა და დახმარებით ეროვნული საქმე არავის მოუგვარებია და, ბუნებრივია, თურქ-ოსმალთათვის ქართლის ჩაბარებასა და მათთან თანამშრომლობას არ შეეძლო სასურველი შედეგი გამოეღო. ვახტანგი ოსმალეთის დახმარებით იმედოვნებდა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ მწარედ მოტყუვდა. სავსებით სწორად წერდა დ. გურამიშვილი.

მოტყუვდენ ხუროთმოძღვარნი, იხმარეს ავნი ხურონი:
ძველთაგან მკვიდრად ნაშენნი საქართლო-საკახურონი
მოშალეს, ვეღარ იშენეს სრა-ვანი საკვეხურონი.
ყმა და მამული მტრებს მისცეს, თვით დარჩნენ უმსახურონი.
მეტად უზომოდ გაჯავრდენ, ვერ გასძლეს გულის ჯავრნია;
აჩქარდენ, ვეღარ გასინჯეს მათ საქმე საშინჯარია,
ბეტერთ ნებით კარნი განუღეს მაგროვნად დანაჯარნია,
კახთ იხმეს ლეკნი საშველად, ქართველთ — ოსმალოს ჯარნიაl

მალე ოსმალობა კიდევ უფრო აუტანელი გახდა, დამპყრობელთა ძალმომრეობა ყოველგვარ ზღვარს გასცდა. თურქ-ოსმალებმა ბაქარი „არა ნებისაებრ ამეფეს“; „ქრთამთაგან და ურუმთა უჯეროსა საქმეებთაგან შეჭირვებულმა“ ბაქარმა დატოვა თბილისი და ანტიოსმალური, პარტიზანული საქმიანობა გააჩაღა.

წავიდა მთასა მოება, ვითა მწყაზარი ქორია,
დაადგო თბილის ქალაქი, იმან გზა გავლო შორია,
არც ერთი აღარ ინდომა აქლემი, არცა ჯორია,
საბლი არა აქვს სართული, ნადირთა თანა სწორია (ი. ტლაშაძე).

თურქ-ოსმალებმა ქართლის მეფედ იესე დაადგინეს., ახალმა მეფემ არ მოიშალა ვერაგობა და მამასა და ძმებს შეუტია. ცხინვალში დარჩენა გაძნელდა.

მიუხედავად მწარე მარცხისა და სასტიკი სასჯელისა, ტახტის დაკარგვისა და მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებისა, ვახტანგს კვლავ რუსთა იმედი ჰქონდა. ის თავის პირად უბედურებას არად თვლიდა, რადგან თავისი მოქმედებით რუსეთს უჩვენა ერთგულება და შექმნა წინაპირობა მომავალში ერთობლივი მოქმედებისათვის. ამასთანავე, რადგან ვახტანგს ქართლში აღარ ედგომებოდა, მან ჩრდილოეთისაკენ გამგზავრება დააპირა და თავისი განზრახვა რუსთა ხელისუფლებასაც აუწყა: „ჩვენ ჩვენის თავის

ამ საქმეზე წახდენა სიხარულად შეგვირაცხია; თუ მაგათის დიდებულობის შარავანდედი ან აქ გვარგებს, ან მანდ გაგვიყვანს, კარგია; თუ არა და ჩვენი ქვეყანაცა და ჩვენცა საეჭველი არ არის, საურჯულოდ გახდება".

ვახტანგი, მართლაც, ჩიხში აღმოჩნდა. შაჰმა მოღალატედ და ორგულად ჩათვალა, მეფობიდან გადააყენა და ტახტი ჩამოართვა; ოსმალეთმა თითქოს დამხმარე ხელი გამოუწოდა, სინამდვილეში თავისი საქმე გაიკეთა და ქართლი დაიპყრო; მთიელმა ტომებმა მაჰმადიანი მბრძანებლების წაქეზებით სამკვიდრო დაურბიეს; ადგილობრივმა ფეოდალებმა ურჩობა დაუწყეს და დამპყრობლებთან საერთო ენა გამონახეს; ახლობელმა ნათესავებმა საკუთარი საქმე მოიგვარეს... ვახტანგმა გადაჭრით გადაწყვიტა რუსეთს წასვლა.

1723 წელს რუსთა ლაშქარმა პირობისამებრ განაახლა მოქმედება და 23 ივლისს ბაქო დაიკავა. მალე მთელი კასპიისპირეთის დასავლეთი ნაწილი რუსთა ხელში აღმოჩნდა.

1723 წლის 12 სექტემბერს დადებულ იქნა რუსეთ-ირანის ხელშეკრულება, რუსეთს დაეთმო კასპიისპირეთის დიდი ტერიტორია (დარუბანდი, ბაქო, გილანი, მაზანდერანი, ასტრაბადი). ეს რუსთა წარმატებითი ბრძოლის შედეგი იყო. ხელშეკრულებით დადასტურდა არსებული ფაქტობრივი ვითარება — კასპიისპირეთის დასავლეთი ნაწილის რუსეთთან შეერთება, მაგრამ რუსებმა აღნიშნული ტერიტორიის მხოლოდ ნაწილი დაიკავეს, ასტრაბადსა და მაზანდერანს აღარ წასულან. ტერიტორიული დათმობების საკომპენსაციოდ პეტრე თამაზს ჰპირდებოდა ირანის ტახტზე აყვანასა და დამკვიდრებას, თურქ-ოსმალთაგან დაცვასა და ავღანელთა დასჯას.

თამაზის გაძლიერება და რუსეთის კავკასიაში დამკვიდრება ხელს არ აძლევდა და ერთობ აშფოთებდა ოსმალეთს. შან გააქტიურა თავისი პოლიტიკა და ხელი მიჰყო ირანის შაჰის ყმადნაფიცი ქვეყნების დაკავებას. პეტრემ გართულებული საერთაშორი-

სო ვითარება გაითვალისწინა, დათმობა არჩია და დიპლომატიური ხერხით შეაჩერა თურქ-ოსმალთა წინსვლა, 1724 წლის 12 ივლისს მათთან ხელშეკრულება დადო. ოსმალეთმა აღიარა რუსეთის უფლება კასპიისპირეთზე და შეწყვიტა ირანის ტერიტორიის დაპყრობა, ხოლო პეტრემ ცნო ოსმალეთის უფლება აღმოსავლეთ საქართველოზე, ირანის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებზე და ა. შ.

ვახტანგმა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების შესახებ არაფერი იცოდა, იგი რუსეთს გასამგზავრებლად ემზადებოდა.

ვახტანგის გადაწყვეტილებამ შეაძრწუნა ქართველთა ერთი ნაწილი; მეფისა და მისი სახლობის რუსეთს გამგზავრების ცნობამ შეაშფოთა ბევრი მამულიშვილი.

ქართველობის მოწინავე ნაწილი ვახტანგს დიდად აფასებდა, მას ქვეყნის თავდადებულ წინამძღოლად მიიჩნევდა და მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას იწონებდა, ამიტომაც მას აღელვებდა ის სავალალო გარემოება, რომ ეს აღიარებული თავკაცი უცხოეთს აფარებდა თავს და ქვეყანას უპატრონოდ ტოვებდა; საზოგადოებას აწუხებდა ის ფაქტიც, რომ ტახტის მემკვიდრეთაგან, გამაჰმადიანებული და გადაგვარებული იესეს გარდა, არავინ რჩებოდა ქართლში.

მიუხედავად ქართველთა თხოვნისა, ვახტანგი აღარ დარჩა ქართლში და 1724 წლის 15 ივლისს რუსეთის გზას დაადგა.

ძნელბედობის ხანაში ისევ რუსეთი ჩანდა საიმედო მოკავშირედ და შემწედ. ტახტმიხდილი მეფე მხოლოდ რუსეთთან კავშირში, რუს ხალხთან ძმურ, მეგობრულ ურთიერთობაში ხედავდა სამშობლოს ხსნისა და განთავისუფლების ნათელ პერსპექტივას. თავისი პოლიტიკური ორიენტაცია მან პირადი ცხოვრების გზითაც დაადასტურა. დიდი ამალით გაეშურა ჩრდილოეთისაკენ, რათა უშუალო კონტაქტი დაემყარებინა რუსეთის სამეფო კართან და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები პირადად მოეგვარებინა, რუს-ქართველთა გაერთიანებული მხედრობის გალაშქრება მაჰმადიანთა წინააღმდეგ და ქართველთა მამულის მტრისგან გამოხსნისა და განთავისუფლების სასურველი ჟამის მოსვლა დაეჩქარები-

ნა. ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის დახმარებით მტერს დაამარცხებდა, სამშობლოს გაათავისუფლებდა, ტახტს დაიბრუნებდა. მას ურყევად სწამდა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მიღების აუცილებლობა.

ვახტანგის წასვლით ქართველთა მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, ქართლში გაძლიერდა შინაომი, ქიშპი და მტრობა. როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის უბედურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შინაური არეულობა, ძმათა შორის გაჩაღებული ბრძოლა და გაუთავებელი შუღლი იყო. ჩვენი ქვეყანა მწვავედ განიცდიდა ფეოდალური მონარქიის შინაგანი დაშლის შედეგს. მოწინავე ქართველებს არ გააჩნდათ ისეთი ძალა, რომ გამთიშველთა საქმიანობა აღეკვეთათ, თავაშვებული დიდებულები დაეთრგუნათ, ფეოდალური დაქუცმაცებულობისათვის ბოლო მოეღოთ და ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო შეექმნათ. ეს იყო ქართველი ხალხის დიდი უბედურება. ამას ერთოდა მეორე უბედურებაც: შინაბრძოლით დასუსტებულ ქართველობას მტერი შედარებით ადვილად ამარცხებდა და მის მამულს უმოწყალოდ არბევდა.

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ჭისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ჭიშტი!
ჭერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი;
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!

კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს,
უწინდელი გათხუნვილი დარჩა კაბდო, აღარ გარცხეს;
ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა, მტერთ კობალი თავში დასცხეს,
ორნივ ერთად შეხრინკული დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს!

(დ. გურამიშვილი)

ქართველთა შორის გაჩაღებულმა ბრძოლამ მძიმე შედეგი გამოიღო. „უკუღმართად ხვნა და ფარცხვამ ეს ნაყოფი გამოიღო: მოგვითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოიღო!“ ცენტრიდანული ძალების აქტიურმა მოქმედებამ და გარეშე მტრის თავდასხმამ დაღუპვის პირად მიიყვანა ქართლი, „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა“. სოფლის მეურნეობა დაქვეითდა, საქალაქო წყობილება მოიშალა, ვაჭრობა-ხელოსნობა ჩაკვდა, მწარ-

მოებელი კლასის ექსპლოატაცია გაიზარდა, მშრომელი გლეხობა უცხოეთის ბაზრებზე იყიდებოდა, ბევრი კუთხე გაუკაცრიელდა.

> აღარ მოვიდა ქართლში მზე, აივსო ღრუბლით, ნისლითა,
> ურუმნი ხელსა იბანენ ქართველებისა სისხლითა
>
> (ი. ტ ღ ა შ ა ძ ე)

რ უ ს ე თ შ ი

ვახტანგის მრავალრიცხოვანი ამალა რუსეთისაკენ დაიძრა. ლტოლვილ მეფეს ეახლნენ „ქართველნი ყოვლისა სახლიდამ და კახნიცა მრავალნი, ზოგნი უმეტეს დედაწულითურთ“ (ვახუშტი); „ურიცხველნი სამღვდელონი და საერონი ქართველნი, იმერელნი და კახნი, ეპისკოპოსნი, მღვდელნი, თავადნი, აზნაურნი, მონანი და შიმუნვარნი დედაწულითურთ მათით“ (გ. გელოვანი).

ვახტანგს გაჰყვნენ ოჯახის წევრები (დედოფალი რუსუდანი; შვილები: ბაქარი, ვახუშტი და გიორგი; ძმები: სვიმონ, კონსტანტინე, ადარნასე; და ხვარაშანი), ქაიხოსრო მეფის შვილები (დავითი და ანა), სარდლები (მემარჯვენე — ზემო ქართლის სარდალი ვახტანგ ამილახვარი, მემარცხენე — ლევან მუხრანბატონი, მეწინავე — სარდალი საბარათაშვილოსი მამუკა ორბელისძე), სახლთუხუცესები (მეფის — ელიზბარ ორბელისძე, დედოფლის — დიმიტრი ორბელიანი, ბაქარის — ედიშერ როშკაშვილი), მღვდელმთავრები (მხარეპისკოპოსი ქრისტეფორე, პავლე თბილელი, ნიკოლოზ მროველი...), დიდებულები (აბაზაძენი, ბარათაშვილები, ზედგინიძეები, მაჩაბლები, რატიშვილები, ფავლენიშვილები, ციციშვილები...), მსახურები, მოახლეები და ა. შ. მეფის ოჯახის თითოეულ წევრს ბევრი მხლებელი ჰყავდა. მაგალითად, ვახუშტის მეუღლის, ორი ვაჟისა და ორი ასულის გარდა ახლდა ერთი გამდელი, 13 მოახლე, 25 მსახური, 5 თავადი 7 ყმით და 19 აზნაური 17 ყმით. პირადად ვახტანგის ამალაში ირიცხებოდა 530 კაცი, რუსუდანისაში — 101, ბაქარისაში — 242, სვიმონისაში — 83 და ა. შ. სულ ამალაში 1208 კაცი იყო.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგს გაჰყვნენ არა მხოლოდ ცნობილი

სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწენი და საეკლესიო პირები, არამედ გამოჩენილი მეცნიერები და მწერლებიც (სულხან-საბა ორბელიანი, მამუკა ბარათაშვილი, ონანა ქობულაშვილი, გაბრიელ გელოვანი, ფავლენიშვილი და სხვა). საგულისხმოა, რომ ვახტანგს შორეულ მგზავრობაში გაჰყვა მისი ხანდაზმული აღმზრდელი. მან არც ამჯერად მიატოვა თავისი აღზრდილი, რადგან, ჩანს, სავსებით იწონებდა მის პოლიტიკურ ორიენტაციას. ერთ გვიანდელ საბუთში ვახტანგი კმაყოფილებით აღნიშნავდა: „ჩვენ რომ რუსეთს წავედით, საბამ, მოხუცებულმა, სამოცდაშვიდის წლისამან, ჩვეულებისამებრ ჩვენ მამა-ბიძათ სიყვარული და ჩვენი ერთგულება არა უდებყო და თან გვიახლა სამის ძმითა და ორის ძმისწულითაო“. მართლაც, სულხან-საბასთან ერთად ვახტანგს ეახლნენ მისი ძმები (ნიკოლოზი, ზაალ-ზოსიმე, დიმიტრი) და ძმისწულებიც (ელიზბარი, ბენედიქტე).

ვახტანგი ცხინვალიდან რაჭას გადავიდა, ხოლო იქიდან ჩრდილოეთის გზას გაუდგა. „განვლო მდინარე რიონისა და შეუდგნენ მთასა მაღალსა კავკასიისასა, მსგავსსა ჯოჯოხეთისა, სადაცა იყო ჯურღმული მრავალი გამომდინარე თოვლთა და ყინულთაგან. ესრეთ ძნიად განსასვლელ იყო კაცთათვის, უკეთუ შთავარდნილ იყოს ქვესკნელსა მას შინა უფსკრულსა ყინულისასა ორბი, გინა არწივი, მასცა ვერღა ეძლო მუნით აღმოსვლად, არცღა თუ ესეოდენთა ურიცხვთა დედაწულთა“.

ქართველმა ლტოლვილებმა კავკასიონი გადალახეს, ყინვაროვანი ზეკარი გადაიარეს და პირიქით მხარეს გადავიდნენ. დიგორისაკენ მიმავალთ ვნება მიაყენეს ჩრდილო კავკასიელმა ტომებმა, ავაზაკებიც ხშირად ესხმოდნენ თავს. ვახტანგი მათ დიდძალ საგანძურს აძლევდა და გაჭირვებით მიიწევდა წინ. ერთ ადგილას ხიდი ჩაუშალეს და მძევალი მოსთხოვეს. მეფის მხლებელი პოეტის — ფავლენიშვილის სიტყვით,

ხიდი ჩაყარეს, ქრთამისთვის გულით პილწობენ მწყრომელი:
„მძევალი მოგვეც მძეელისთვის, ვინ გყავთ, ერთგული რომელი“.
მეფემ ბრძანა: „ეს არ ვიცი, მძევალსა მთხოვთ რისთვის თქვენაჲ!“
ჰკადრეს: „მისთვის, სანამდისინ მოგვეცემის ჩვენი ჩვენა“.

როგორც ჩანს, ჩრდილო კავკასიელი ტომების ბელადებს მათი შვილების რაჭაში ყოფნა აფიქრებდათ და აღელვებდათ. ამიტომაც

ჰოითხოვეს მათ ქართველთაგან მძევალი. ლტოლვილები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, შეწუხდა ვახტანგი. დაფიქრებული და შეჭირვებული მეფე ქვისლმა — დ. ორბელიანმა იხსნა, გაჰყვა მოძალადეებს და ერთ ხანს მძევლად იყო მათთან.

ვახტანგის ამალამ გაჭირვებით მიაღწია დიგორს, სადაც შეხვდა ჩერქეზთა ბატონიშვილი, რომელმაც ვახტანგი და მისი მხლებლები ჩერქეზეთს, დიდ ყაბარდოში მიიყვანა. ჩერქეზებმა თავისი სიძე და მისი მხლებლები დიდი პატივით მიიღეს. მეფემ მასპინძლები უხვად დააჯილდოვა, „ძვირფასი საბოძვარი“ მისცა. შემდეგ შეეგებნენ „ჩრდილოეთისა სპათა მხედრობანი, რაოდენიმე ათასნი ჩინგიზთა მხედრობათა სპანი თვალით წვრილნი, პირით პრტყელნი, სრულიად ქარქაშ-ხილიფოსანი და მით განვლო მეფემან ჩერქეზთა ადგილები და რაოდენიმე მდინარენი“. ეს მეომრები ქართველებმა რუსებად მიიჩნიეს და რამდენამდე გაოცდნენ კიდეც მათი გარეგნობით. ფავლენიშვილის ცნობით,

მცირე რამ ხანი გამოხდა, ჯარი მოვიდა რუსისა,
ვნახეთ არ კარგნი სანახნი, გვაქვს გული შესაწუხისა,
ესრეთ გვეგონა ჩვენ ზედა ცამ ჰეხით მოიქუხისა,
ჰათ სიშორისთვის ყაზახთა გზაენა ექნათ ყალმუხისა.

ვახტანგმა ყალმუხთა და ნოღაელთა თანხლებით გავლო ჩრდილო კავკასიის ტრამალები. შემდეგში რუსთა მხედრობა ახლდა მცველად და თანამგზავრად. მალე შეხვდა „უმჯობესი ჯარი, ქვეითოსანი. მოეგებნენ მეფესა და თაყვანი სცეს ჰთავართა მათთა რაოდენითამე თვითეულისა გვარითა საკრავითა, დროშებითა და დაფებითა“. ამ მხედრობის თანხლებით ქართველნი 31 აგვისტოს მივიდნენ სოლაღს (ჯვრის ციხეში). ქართლის მეფეს ზარზეიმით შეეგება გენერალ-მაიორი გ. კროპატოვი. „მოსცეს ხმა ქუხილისანი ზღუდეთა ზედა გარდმოკიდებულთა ზარბაზანთაგან და სპათა წყობილთა ხელის თოფისაგან“.

სექტემბრის პირველ რიცხვებში ვახტანგმა რუსეთის სამეფო კარზე თავისი წარმომადგენლები (ვ. ამილახვარი, ფ. თურქისტანიშვილი) წარგზავნა, პეტრეს სოლაღში დაბინავება აცნობა და დედაქალაქში ჩასვლის ნებართვა სთხოვა. „მინდოდა, სანამდის ზღვა წახდებოდა, გხლებოდი“, მაგრამ სათანადო ნებართვა არ დაგვხვდა. ახლა „ვართ აქ ბრძანების მაყურებელნი“, — სწერდა იგი პეტრეს.

ვახტანგი არ დასჯერდა პეტრესთან თავისი ელჩების გაგზავნას. 12 სექტემბერს მან მოსკოვისაკენ, დარეჯან არჩილის ასულისაკენ (1665 — 1740) გაისტუმრა თავისი აღმზრდელი, უკვე საკმაოდ ჯანგატეხილი, მაგრამ გაწაფული დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი და მისი მხლებლები (ზაალ-ზოსიმე ორბელიანი, არქიმ. არსენი და სხვ.). ვახტანგსა და საბას კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული დარეჯანის ავტორიტეტი, მისი ურთიერთობა რუსეთის იმპერატორთან და იმედი ჰქონდათ, რომ მისი დახმარებითა და ხელშეწყობით შეძლებდნენ დასახული მიზნის მიღწევას — ვახტანგისათვის პეტერბურგში ჩასვლისა და პეტრესთან გამოცხადების ნებართვის დროულად მიღებას.

ვახტანგმა და მისმა მხლებლებმა ოქტომბერში ასტრახანისკენ გასწიეს. ისინი ხომალდებით წავიდნენ, მაგრამ უამინდობამ შეუშალათ ხელი, რამდენიმე დღე ზღვაზე დაყვეს და მხოლოდ 8 ნოემბერს ჩავიდნენ ასტრახანს, სადაც ადგილობრივი სარდალი „დახვდა მასპინძლობითა დიდითა“.

ვახტანგი და მისი მრავალრიცხოვანი ამალა კარგა ხანს დარჩა ასტრახანში. ქართლის დევნილმა მეფემ კავშირი დაამყარა პეტერბურგსა და მოსკოვთან. დარეჯანის საშუალებით მან მიიღო საგანგებო დავალება რუსეთის ხელისუფლებისაგან. ვახტანგს დაევალა ირანის ახალგაზრდა შაჰთან მოლაპარაკების დაწყება. 7 დეკემბერს მან დარეჯანს აცნობა მის წინაშე არსებული სიძნელე. ვახტანგის აზრით, მდგომარეობას ის ართულებდა, რომ შაჰს გონიერი მრჩეველი არ ჰყავდა, ხოლო მლიქვნელი კარისკაცები ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ და დიპლომატიური გზებით რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების საშუალებას არ აძლევდნენ.

1725 წლის თებერვალში ვახტანგმა მიიღო სათანადო ნებართვა. იგი ჩრდილოეთისაკენ გაემგზავრა. მას წაჰყვნენ სვიმონი, ბაქარი, სარდლები (ლევან მუხრანბატონი, მამუკა ორბელისძე, ვახტანგ ამილახვარი), სახლთუხუცესი (ელიზბარ ორბელისძე), დიდებულები (ფ. ციციშვილი, დ. მაჩაბელი, ზ. რატიშვილი...), აზნაურები, მსახურები და ა. შ. (სულ 83 კაცი). ამალის დიდი ნაწილი რუსუდან დედოფლისა და ვახუშტის მეთაურობით ასტრახანში დარჩა.

ვახტანგს პეტერბურგს მისვლა, პეტრეს ნახვა და მასთან მოლა-

პარაკება სურდა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. გზაზე მას პეტრეს გარდაცვალება აცნობეს. ვახტანგმა დიდი მწუხარებით განაგრძო გზა მოსკოვისაკენ.

ქართველები ადრეულ ხანაშივე ხშირად ჩადიოდნენ მოსკოვში. საკმარისია მოვიგონოთ ის მრავალგზისი ელჩობა, რომელიც სხვადასხვა დროს იგზავნებოდა რუსეთის სატახტო ქალაქში. მაგრამ ქართველ ელჩებს არ შეეძლოთ კოლონიისათვის საფუძვლის ჩაყრა, ისინი დროებით რჩებოდნენ რუსეთის დედაქალაქში და მალე ბრუნდებოდნენ სამშობლოში.

მოსკოვის ქართული კოლონიის აღმოცენება დაკავშირებულია თეიმურაზ პირველის შვილიშვილის — ერეკლე დავითის (დათუნას) ძის სახელთან. არსებითად ერეკლესა და მისი ამალის ჩასვლით (27. XII. 1653) ჩაეყარა საფუძველი მოსკოვის ქართულ კოლონიას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1685 წლის 14 დეკემბერს მრავალრიცხოვანი ოჯახითა და ამალით მოსკოვში ჩავიდა არჩილ მეფე. მოსკოვის ქართული კოლონია შეივსო, გაიზარდა და გაძლიერდა. რუსეთის ხელისუფლებამ გულღიად მიიღო ქართველთა ახალი ნაკადი, მისცა საცხოვრებელი სახლები და მამულები, უბოძა ყმები და აღმოუჩინა ფულადი დახმარება.

ქართველი კოლონისტები ახლოს იყვნენ სამეფო კართან, მეგობრობდნენ და თანამშრომლობდნენ რუსეთის გამოჩენილ მოღვაწეებთან, აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ალექსანდრე არჩილის ძე (1674 — 1711), — რუსეთის არმიის პირველი გენერალ-ფელდცეიხმეისტერი, — ვაჟკაცურად იბრძოდა შვედების წინააღმდეგ.

ქართველებმა სოფელ ვსესვიატსკოეში („სესენწკა", „სვენწკა") დააარსეს ახალშენი, რომელიც შემდეგში საქართველოდან ჩასულ პოლიტიკურ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფარი იყო (ამჟამად მოსკოვის ფარგლებშია).

არჩილის შემდეგ ვსესვიატსკოეს ქართულ კოლონიას ხელმძღვანელობდა მისი ასული დარეჯანი. მას კარგი სახელი და ავტორი-ტე-

ტი ჰქონდა. პეტრე I ქართველი მეფის ასულს დიდ პატივს სცემდა. ცნობილია, რომ შვედებთან ომის დამთავრების გამო გამართული ზეიმი მან ვსესვიატსკოედან დაიწყო. ზეიმის წინა ღამე, 1722 წლის 30-31 იანვარი, პეტრემ ოჯახითა და ამალით დარეჯანთან გაატარა. საფიქრებელია, რომ იქვე წარმოებდა მოლაპარაკება კასპიისპირეთში გალაშქრების საკითხებზე.

დარეჯანის მდგომარეობას ისიც ამტკიცებდა, რომ მასთან კავშირი და ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა ვახტანგს. იგი დარეჯანს უგზავნიდა წერილებს, აცნობდა ქართლის მდგომარეობას, აღუწერდა თანამოძმეთა მძიმე ცხოვრებას. დარეჯანიც თანამშრომლობდა ვახტანგთან, უთარგმნიდა რუსულ წერილებს და სხვ. ვახტანგი რუსეთის ხელისუფლებას სთხოვდა დარეჯანისათვის დახმარების აღმოჩენას. თავის მხრივ, დარეჯანი სთხოვდა რუსეთის სამეფო კარს ქართველთა შემწეობასა და ვახტანგის მფარველობას.

დარეჯანის სასახლე ქართველთა სადგომი იყო. 1724 წლის ნოემბრის დამდეგს იქ მივიდა შორი გზით დაღლილი და დაუძლურებული სულხან-საბა ორბელიანი და მალე იქვე პოვა განსასვენებელი (26. I. 1725).

1725 წლის 10 მარტს მოსკოვს ჩავიდა და დარეჯანის სასახლეში დაბინავდა ვახტანგი. დარეჯანისა და მისმა ცდამ შედეგი გამოიღო და 6 მაისს იგი სვიმონის, ბაქარისა და სხვათა თანხლებით პეტერბურგისკენ გაეშურა.

პეტრეს გარდაცვალების შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკამ რამდენადმე სახე იცვალა, ადრინდელი ინტერესი კასპიისპირეთისადმი ნაწილობრივ შენელდა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საკითხს დღის წესრიგში ისღა ტოვებდა, რომ რუსეთს ეშინოდა ოსმალეთის გაძლიერებისა და მისი ტერიტორიული გაფართოებისა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მიმართ პოლიტიკის შეცვლამ, ბუნებრივია, რამდენადმე შეცვალა რუსეთის განწყობილება ქართლის მიმართაც. ქართლმა რუსეთის ხელისუფლების თვალში დაკარგა ადრინდელი წონა და მნიშვნელობა. მით უმეტეს, რომ, როგორც აღვნიშნეთ. 1724 წლის ხელშეკრულებით რუსეთმა ქართლი ოსმალეთის კუთვ-

ნილებად ცნო, ეს კი რუსეთის მთავრობას ვახტანგთან დიპლომატიური ურთიერთობის გაგრძელებასა და მისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენას უკრძალავდა.

რუსეთის ხელისუფლებას ვახტანგისა და მისი ამალის, აგრეთვე სომხების, კასპიისპირეთში (სოლაღი, დარუბანდი...) დასახლება, ემიგრანტთაგან ლაშქრის შედგენა და ამით თავისი პოზიციის განმტკიცება სურდა. მისი აზრით, ვახტანგს მხოლოდ რუსთა კასპიისპირეთში დამკვიდრებისა და გაძლიერების შემდეგ შეეძლო ეზრუნა ქართლის განთავისუფლებაზე.

1725 წლის ივნისში ვახტანგმა თავისი შეხედულება გააცნო რუსეთის მთავრობას. მისი წინადადებით, რუსეთს ხელი უნდა გაეწვდინა შაჰ-თამაზისათვის და იგი თაყის მხარეზე გადაებირებინა, კავკასიაში ჯარის გაგზავნით ოსმალეთი დაეშინებინა, ქართლი გაეთავისუფლებინა და კახეთი, იმერეთი და ყაბარდოც თავის მოკავშირეებად ვაეხადა.

რუსეთის ხელისუფლებამ ვახტანგს აგრძნობინა, რომ იმ ეტაპზე მას ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავება ხელს არ აძლევდა, მით უმეტეს, რომ შაჰ-თამაზის გადაბირება ჯერჯერობით შეუძლებელი ჩანდა. ეკატერინე პირველმა (1725 — 1727) ვახტანგის შესანახად თანხა გაიღო. ცხადი გახდა, რომ ქართლის ტახტის მაძიებელი ერთ ჭანს რუსეთში უნდა დარჩენილიყო.

ვახტანგის ამალის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ასტრახანში ცხოვრობდა. ლტოლვილთა მდგომარეობა ძალზე მძიმე და აუტანელი იყო. მოღწეულია ნიკოლოზ ორბელიანის ერთი პოეტური ნაწარმოები, რომელიც კარგად გვაცნობს ასტრახანში დარჩენილი ქართველების ყოფას. ავტორმა განსაკუთრებული ძალით აღბეჭდა ვახტანგს ჩამორჩენილი ამალის ცხოვრების ტრაგიკული სიმძაფრე. პატრიოტული ურვით შეპყრობილი და შექმნილი სიტუაციით შეშფოთებული პოეტი გულდასერილი იყო ვახტანგის დაშორებითა და უპერსპექტივობის შეგრძნებით. იჭი გულისტკივილით მიმართავდა ვახტანგს: შორს ხარ, აქედან გამოგზავნილი წერილი გვიან მოგდის; ჩვენ იმედით გელით, მაგრამ არას გვაცნობებ. მძიმე პირობებში ვართ, „არ

წამალ სენთა, არ საზრდელ გვამთასა არა გვაქვს, ვცხოვრობთ უსაზრდელ, ვალთ არ ცხენ, არ ეტლ, არ ნალ. ავ ქვეითობით, უმოს, უგებ, ულოცველ, უსანათობით".

როგორც ჩანს, ვახტანგის წასვლის შემდეგ ასტრახანს დარჩენილი ქართველები მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რუსუდან დედოფალი საკუთარ ნივთებს აგირავებდა და ყიდდა.

რუსეთის მთავრობამ ვახტანგს ნება დართო დედოფალი და ამალის ნაწილი ასტრახანიდან მოსკოვს გადაეყვანა და იქ დაესახლებინა. 1726 წლის იანვრის ბოლოს რუსუდანი მოსკოვის გზას დაადგა. მას გაჰყვნენ ვახუშტი, დ. ორბელიანი, გ. ბარათაშვილი, ნ. ორბელიანი, მიტრ. ქრისტეფორე, პავლე თბილელი და სხვანი. სულ დედოფალს ეახლა 369 კაცი, 722 ასტრახანში დარჩა (პ. ციციშვილი, რ. ფალავანდიშვილი და სხვ.).

ასტრახანიდან წასული ჯგუფი 1726 წლის 9 მარტს ჩავიდა მოსკოვში. მეფისა და დედოფლის სახლთუხუცესებმა მაშინვე შეადგინეს და რუსეთის ხელისუფლების ორგანოებს მიაწოდეს ქართველ ლტოლვილთა ნუსხა. რეესტრით ქართველთა რიცხვი 1286-ს აღწევდა. 1724 წლის სიასთან შედარებით აქ რიცხვი გაზრდილია. ჩანს, ვახტანგის ამალას გზაზე შეუერთდნენ სამშობლოდან გაქცეული სხვა ქართველებიც.

მოსკოვს დასადგურებულ დედოფალსა და მის მხლებელთა რაზმს მალე შეუერთდა პეტერბურგიდან ჩასული ვახტანგიც. ქართველთა ბინებზე ზრუნვა რუსეთის ხელისუფლებმა ადრევე დაიწყეს, ჯერ კიდევ 1721 წლის 19 ნოემბერს გამოყვეს საცხოვრებელი ბინები ზოგიერთ მონასტერთან, მაგრამ, რადგან ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, შემდეგში დამატებითი ბინებიც დაძებნეს. პეტერბურგიდან ჩასული ვახტანგი დაბინავდა რიაზანის მღვდელმთავრის ბინაში. შემდეგში (19. XII. 1729) მას გამოუყვეს სასახლე პრესნაზე, ხოლო ოდნავ გვიან (VIII. 1730) არბატზეც მისცეს სახლი.

რუსეთის მთავრობამ ვახტანგსა და მის ამალას მამულებიც უბოძა (ახლანდელი ქ. გორკის ახლოს) და ყოველწლიური სარგოც დაუნიშნა როგორც ფულადი დახმარების (24000 მანეთი), ისე ფქვილის, თივის, ქერის, შეშისა და სხვა სახით. ეს არ იყო მცირე და უმნიშვნელო. მაგრამ ქართველებს მისი მიღება ზოგჯერ უგვიანდებოდათ. სახლთ-

უხუცესები გულმოდგინედ ზრუნავდნენ ჯამაგირის დროულად მიღებაზე, დაგვიანების შემთხვევაში საგანგებოდ მიმართავდნენ სენატის კანტორას, დაბეჯითებით სთხოვდნენ ქართველი მეფის ოჯახისათვის დაწესებული დახმარების თავის დროზე მიცემას.

რუსეთის მთავრობის თხოვნით, ვახტანგმა ჯერ კიდევ ადრე გაგზავნა გილანში თავისი ერთგული კაცი — დ. ნაზარიშვილი, რომელიც შაჰის კარზე დაწინაურებული ქართველი თავადის მეშვეობით დაუკავშირდა თამაზს. ამის შედეგად შაჰის სასახლეში შემუშავდა აზრი რუსეთთან მოლაპარაკების დაწყების საჭიროებასა და ურთიერთობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა იმძლავრეს და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების ნაცვლად შაჰს ისპაანის ავღანელთა მფლობელობისაგან განთავისუფლებისაკენ მოუწოდეს. თამაზმა დაუჯერა თავის კარისკაცებს, ისპაანს შეუტია, მაგრამ სასტიკად დამარცხდა და ბრძოლის ველი სამარცხვინოდ დატოვა.

1725 წლის შემოდგომაზე რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა თამაზისათვის ხელი გაეწოდებინა და ირანის ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში მისთვის დახმარება აღმოეჩინა. გაითვალისწინა რა მოსალოდნელი უთანხმოება და ურთიერთობის გამწვავება ოსმალეთთან, რუსეთმა გადადგა სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური ნაბიჯები და კასპიისპირეთში მდგომარეობა განიმტკიცა. შექმნილმა ვითარებამ ქართლის საკითხი კვლავ დააყენა დღის წესრიგში.

1726 წლის თებერვალში რუსეთის უმაღლესმა საიდუმლო საბჭომ დაადგინა ვახტანგის გამოგზავნა სამხრეთში. მას დაევალა ირანთან მოლაპარაკების წარმოება, რუსეთის პოზიციების განმტკიცება, ქართველებისა და სომხების გამხნევება და დაიმედება. ვახტანგმა მეტი მოითხოვა, თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმა შეიმუშავა და რუსეთის ხელისუფალთ წარუდგინა. ის იწედს გამოთქვამდა, რომ როგორც კი ქართლში რუსეთის მხედრობა შევიდოდა, ადგილობრივი მოსახლეობა დამპყრობთა წინააღმდეგ ამხედრღებოდა, დასავლეთი საქართველოც ამოქმედდებოდა და თურქ-ოსმალთა ბატონობას ბოლო მოეღებოდა. ვახტანგი რუსეთს 1724 წლის ხელშეკრულების დარღვევისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ხელშეკრულების გაუქმებაზე უარი თქვა, თურქ-ოსმალთა

წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის წამოწყება ნაადრევად მიიჩნია, ვახტანგს გილანს წასვლა და დაკისრებული მოვალეობის შესრულება მოსთხოვა. ვახტანგი დათანხმდა, ოღონდ გამგზავრების წინ თავისი უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცება და დადასტურება ითხოვა (III. 1726).

ეკატერინე პირველმა ვახტანგი ქართლის მეფედ ცნო, ირანთან ურთიერთობის მოწესრიგებისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შაჰის ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ ტახტის დაჩერაში დახმარება აღუთქვა, მატერიალურად უზრუნველყო, ანდრია პირველწოდებულის ორდენი უბოძა და გილანისკენ გაისტუმრა.

ვახტანგს უნდა შეესწავლა ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, გაერკვია თურქ-ოსმალთა მდგომარეობა, მოლაპარაკება დაეწყო თამაზთან და დაერწმუნებინა შაჰი, რომ მისთვის უმჯობესი იყო რუსეთთან დაკავშირება და რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის ხელშეკრულების ცნობა; ამით შეეძლო დროის მოგება, ძალის მოკრება, ტახტზე დამკვიდრება, ხოლო შემდეგ — დაკარგული პროვინციების დაბრუნებაც.

რუსეთის ხელისუფლების აზრით, ვახტანგის მისია ირანთან ურთიერთობის მოწესრიგებასა და ამიერკავკასიის დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებაში მდგომარეობდა, ვახტანგი კი აღნიშნული დავალების შესრულებით მშობლიური ქვეყნის საქმეთა მოგვარებას აპირებდა.

1726 წლის აგვისტოში ვახტანგი ჩავიდა დარუბანდში, ხოლო 10 სექტემბერს — რაშტში. რუსეთის წარმომადგენლებს ადრევე დაეწყოთ მოლაპარაკება შაჰ-თამაზთან, მაგრამ წარმატება ვერ მოეპოვებინათ. ვახტანგის ჩასვლამ არსებითად შეცვალა მდგომარეობა. თამაზი მისდამი შედარებით უკეთ იყო განწყობილი და თავისი წარმომადგენელი — მოჰამედ რეზა ბალე შეახვედრა (9. XI. 1726). მოლაპარაკება კარგად წარიმართა, შაჰმა გადაწყვიტა ეცნო რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება. წინასწარი შეთანხმებით რუსეთს ხელი უნდა აეღო მაზანდერანზე, გილანსა და ასტრაბადზე, ხოლო შაჰს თურქ-ოსმალთა განდევნის შემდეგ ვახტანგი უნდა ეცნო ქართლის მეფედ.

1727 წლის მარტისთვის ვახტანგმა საკმაო წარმატება მოიპოვა,

მაგრამ გენერალმა ვ. ლევაშოვმა ტერიტორიულ დათმობაზე უარი განაცხადა, ვახტანგის საქმიანობას ეჭვის თვალით შეხედა, წამოწყებული მოლაპარაკება გააჭიანურა და ბოლოს ჩაშალა კიდეც.

მალე მდგომარეობა გაუარესდა. ოსმალეთი ამოძრავდა, რუსეთი ირანთან ოფიციალური ურთიერთობის დამყარებას მოერიდა და მოლაპარაკების გაჭიანურება დაიწყო. რუსეთის ტახტზე პეტრე მეორე (1727 — 1730) ავიდა, ინტერესი ამიერკავკასიისადმი საგრძნობლად შენელდა. უმაღლესმა საიდუმლო საბჭომ თავისი დიპლომატიური წარმომადგენლები გაიწვია. სასოწარკვეთილი ვახტანგი ჩრდილოეთის გზას დაადგა. ეს მგზავრობაც ერთობ ძნელი აღმოჩნდა. ზღვის ღელვას კარანტინი დაემატა და ვახტანგი გზაზე საკმაოდ დაყოვნდა. 1728 წლის 26 მაისს იგი ცარიცინიდან სწერდა სახელმწიფო კანცლერ გ. გოლოვკინს: „გებრძანათ, რომ ჩვენ რაშტიდამ წამოვიდეთ, მანდ გიახლნეთ“. თქვენი ბრძანებისამებრ, 27 სექტემბერს წამოვედით, მაგრამ „ზღვა გაგვიავდა“. დაგვაგვიანდა, ასტრახანს ვერ მივაღწიეთ; გავბრუნდი, „ასტარას მივედით“, იქიდან ბაქოს. როდესაც თქვენი ახალი ბრძანება მივიღეთ, წამოვედით, ცარიცინამდე მივაღწიეთ. აქედან აღარ გვიშვებენ. „სექტემბერს კზ (=27) აქათ არც ჟამიანს ალაგს ვყოფილვართ და არც გაგვივლია და არცარა ჩვენში ყოფილა. თუ ჭირისათვის არის ჩვენი მოუშვებლობა, ჩვენში ჭირი არა არის რა“.

ვახტანგი გაჭირვებით ჩავიდა მოსკოვში, თავის თანამემამულეებს შეუერთდა და ხელსაყრელ პოლიტიკურ მომენტს დაუწყო ცდა.

გადიოდა ხანი და ქართლის განთავისუფლების ჟამი არ დგებოდა, მომავალი სანუგეშოს არას აჩენდა. უმოქმედობა გულს უკლავდა სამშობლოში დაბრუნებაზე მეოცნებე ქართველ ემიგრანტებს.

„მოცალეობასა შინა ჰმუნვა-ნაღველის გასაქარვებლად“ ვახტანგმა შემოქმედებითი მუშაობა წამოიწყო, კერძოდ, დაწერა ლექსები („კაეშანი“, „სატრფიალონი“, „მაჯამა“), გალექსა „ამირნასარიანი“ და „სიბრძნე მალაღობელი“, გადადგა ნაბიჯები მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვის განახლების მიზნით, განაგრძო მუშაობა ქიმიის სახელმძღვანელოზე და ა. შ. მისი მიბაძვითა და ხელმძღვანელობით კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ჩაება მოსკოვის ქართული კოლონიის ბევრი წევრი. სახელდობრ, ვახუშტი ბაგრა-

ტიონი — სახელოვანი მეცნიერი, გამოჩენილი ისტორიკოსი და გეოგრაფი, უბადლო კარტოგრაფი და ნაყოფიერი მთარგმნელი; მამუკა ბარათაშვილი — ქართული ლექსთწყობის თვალსაჩინო სპეციალისტი და მგრძნობიარე პოეტი; დიმიტრი ორბელიანი — „მეცნიერი კაცი და შაირთა კარგთა შემთხზველი“ (ი. ბაგრატიონი); ნიკოლოზ ორბელიანი — თბილისის სტამბის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, საკმაოდ ცნობილი ლიტურგისტი და დახელოვნებული კალიგრაფი; ზაალ-ზოსიმე ორბელიანი — ქართული კულტურის უანგარო და უპრეტენზიო მუშაკი, სულხან-საბას უცვლელი და დაუღლელი თანაშემწე; ზურაბ შანშოვანი — ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული გრამატიკის ავტორი და ფილოსოფიურ თხზულებათა მთარგმნელი, ერასტი თურქისტანიშვილი (მთარგმნელი), მელქისედეკ კავკასიძე (კალიგრაფი), გ. გელოვანი (მთარგმნელი) და მრავალი სხვ. 1729 წელს ამ დიდებულ კრებულს შეემატა დ. გურამიშვილი, რომელმაც მოსკოვში, ვახტანგის სასახლეში, მიიღო პოეტური ნათლობა.

ვახტანგის გარშემო შეკრებილ ქართველობას „ზმა, შაირი, გალობანი, ჩანგთ კვრა, მღერა, თამაშობა“ არ აკლდა, მაგრამ ქართლის მდგომარეობა გულს უკლავდა და თურქ-ოსმალთა უღლის ქვეშ მყოფი მშობელი ხალხის მოგონება წყლულს უმძაფრებდა. საბედნიეროდ, ოსმალეთმა მალე დაკარგა ძველი ძლიერება. დადგა დრო ამოქმედებისა, ხელსაყრელი მომენტის დაკარგვა არ შეიძლებოდა. დამპყრობელთა დაუძლურებით გახარებული ქართლის მოსახლეობა საომრად ემზადებოდა და რუსეთისკენ იმედით იცქირებოდა. დიდებულთა ნაწილმა დროებით აიღო ხელი თანამოძმეებთან ბრძოლაზე და თავისი საქმიანობა საერთო-საქვეყნო ინტერესების შესაბამისად წარმართა. ბარძიმ არაგვის ერისთავმა 1731 წელს წერილი გაუგზავნა ვახტანგს, ქვეყნის მდგომარეობა აცნობა, ქართველთა შეკავშირება და თურქ-ოსმალთა დასუსტება აუწყა და ქართლში მოიწვია: „ფშავი და ხევსურეთი გაგვიერთდა. მე და შანშეც ერთნი შეკიქენით. თუ ახლა ქართლს მოეპატრონეთ, ისე თქვენია, როგორადაც ხელისსახოცი გიძეთ ჯიბეში. ურუმი ისე დასუსტდა, რომ ბაღდადი წაართვეს. ორასი კაცი არ არის ქართლში.. მანამდე მე ეს გზა ძიჯირავს, მობრძანდით. ხონთქარი, ყეენი თქვენ შემოგეხვეწებათ. ეს

ქვეყანაც მუქთად თქვენ დაგრჩებათ. თუ ახლა არ ეცადეთ, დაიკარგა ეს ქვეყანა თქვენგან“.

ასევე გულმოდგინედ იწვევდა ვახტანგს შანშე ქსნის ერისთავიც (1733 წ.). საქმეში ჩაერია გამოჩენილი მღვდელმთავარი ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილიც. ისიც დაბეჯითებით იწვევდა ვახტანგს და ქართლში ადვილად გამარჯვების პერსპექტივას დამაჯერებლად უსახავდა: „ამისთანა დრო ქვეყნის მოხმარებისა და დაჭერისა არ ყოფილა არას ხელმწიფის ჟამში. წინანდელთ ხელმწიფეთა და თქვენს ჴამა-პაპათა სიზმრათაც ენატრებოდა, მაგრამ ვინ აღირსებდა. ახლა რომ თქვენ დრო და საქმე გაქვთ, თუ მოინდომებთ, მარტო ქართლს არა და ძველიდგან საზღვრებს სრულ შემოიკრებთ. წინააღმდეგი არავინ ჩანს ისეთი, რომ შეეძლოს რამე“.

ვახტანგი გამოცოცხლდა, ქართული ემიგრაცია ამოძრავდა; პეტერბურგის სამეფო კარმა ქართლის მეფეს დახმარება აღუთქვა. სოლაღს, ბაქოს, დარუბანდს რუსთა ჯარია, მიბრძანდი, რუსი მეომრები შენი ხელმძღვანელობით იბრძოლებენო.

ვახტანგმა თანამოძმენი გაამხნევა. გახარებული ქართველობა სამზადისს შეუდგა. მისი აზრით, დადგა დრო რუსთა მძლეთა მძლე მხედრობის დახმარებით ირანელთა თუ თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ გალაშქრებისა, ირან-ოსმალეთის უთანხმოებისა თუ ქიშპობის დროს რუსთა არმიას შეეძლო გამარჯვება მოეპოვებინა და საქართველოსაც თავისუფლება ეხილა.

დაიმედებული ემიგრანტები მოემზადნენ, ნავებში ჩასხდნენ და ვოლგას დაჰყვნენ სამხრეთისაკენ, მაგრამ დანიშნულ ადგილას მისვლამდე ვითარება შეიცვალა. ქართველებმა გზაში გაიგეს ირანის გააქტიურებისა და შამახიის დაკავების ამბავი. შეშფოთდნენ მოლაშქრენი, შეწუხდა ვახტანგი. შეძრწუნებულმა უკან გაბრუნებას ისევ დარუბანდს მისვლა ირჩია (1734 წ.). ირანის გაძლიერებულმა სარდალმა ნადირმა, რომელიც შაჰ-თამაზს ემსახურებოდა და ერთგულების ნიშნად თამაზ-ყული-ხანი (თამაზ-ხანი) დაირქვა, ვახტანგს მორჩილებისაკენ მოუწოდა. მართალია, ნადირი ვახტანგს წუალობას პპირდებოდა და ქართლის ხელშეუხებლობასაც აღუთქვამდა, მაგრამ ვახტანგი „არ წავიდა, არ მიენდო, მისი ყმობა ითაკილა“. მომდევნო ხანაში ნადირმა მეტი ძლიერება მოიპოვა და აღმოსავლეთი ამიერ-

კავკასია დაიპირა (1734 — 1735 წწ.), თამაზი ტახტიდან ჩამოაგდო და შაჰად რვა თვის აბასი (1732 — 1736) გამოაცხადა, ხოლო 1736 წელს თვით იგდო ხელთ ირანის მბრძანებლობა.

ახალი შაჰის გაძლიერების გამო რუსეთის მხედრობამ დარუბანდი დაცალა, სოლაღის ციხე დაანგრია და უკან დაიხია.

ვახტანგი ჩრდილოეთისაკენ გაემგზავრა. მისი ოცნება აუსრულებელი დარჩა, სამშობლოს ხსნის იმედი დაიფერფლა. მან გვიან გაიგო, როგორც ირანის გაძლიერება და ნადირის განმტკიცება, ისე აღმოსავლეთ საქართველოს თურქ-ოსმალთაგან განთავისუფლება. 1736 — 1737 წლებში ვახტანგისთვის სავსებით ნათელი გახდა, რომ ქართლში მისი დაბრუნება შეუძლებელი იყო ქახელი ბაგრატიონების გაძლიერების გამო.

ისედაც გამწარებულ ვახტანგს რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება მოსთხოვეს. ეს კი საქართველოში დაბრუნებაზე უარის თქმასა და ჩრდილოეთში სამუდამო დამკვიდრებას ნიშნავდა.

ვახტანგმა არ მიიღო შეთავაზებული წინადადება, არ ისურვა სხვა ქვეყნის ქვეშევრდომობის მიღება. დ. გურამიშვილის ცნობით, ტახტმიხდილმა და სასოწარკვეთილმა მეფემ კატეგორიულად უარყო რუსეთის ქვეშევრდომობა და გაბედულად განაცხადა:

მთხოვენ და მივსცემ ვერავის, მე ვერ ვიტვირთავ ამასა:
მე წაუხდინე ქვეყანა, შვილიც გაუცე მამასა?
მე ღმერთი მიზამს რას კაის, ორმო უთხარო, ჰა მასა.
სჯობს უჭმელობით სიკვდილი საყვედურითა ჰამასა!

ვახტანგმა მოსკოვს წასვლა აღარ ისურვა, ასტრახანს დასახლება გადაწყვიტა, მხლებელთა ჯგუფი ბაქარს ჩააბარა და ლტოლვილთა მოვლა-პატრონობა სთხოვა. ამასთანავე სრული თავისუფლება მიანიჭა ყველას; ვისაც სურდა, შეეძლო რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება.

ბაქარმა ანუგეშა აღელვებული მამა და მოსკოვს დაბრუნება ურჩია, მაგრამ აზრი ვერარ შეაცვლევინა. ვახტანგი ასტრახანში დარჩა, ბაქარი კი თავისი მხლებლებით მოსკოვისაკენ გაემართა. მას წაჰყვა დ. გურამიშვილი, რომელიც ასე იგონებს ამ ფაქტს:

წამაიჩოქეს ქართველთა, თავს წაიშინეს ხელია,
იტირეს ბევრი მეფის წინ და ღვარეს ცრემლი ცხელია.

ჩვენ წავედით, იგ მუნ დადგა, საქმე მოხდა არეული:
ათიოდე კაცი დარჩა, ხაბაზი თუ მზარეული,
სხვა ყმა იმან არ ინდომა, არ მემკვიდრე, არ ეულ.

მალე მოსკოვიდან ასტრახანს ჩავიდა რუსუდან დედოფალიც.

ასტრახანში დასახლებული ვახტანგი მწვავედ განიცდიდა სამშობლოს დაშორებას, პოლიტიკურ მარცხს, გოდებდა საქართველოზე, მოთქვამდა მის ბედზე, დასტიროდა დაღუპულ თანამებრძოლებს; ლექსებში მწუხარებით იგონებდა მამულს, განვლილ გზას, აჯამებდა თავის საქმიანობას და აფასებდა ნამოღვაწარს.

დიდი შინაგანი განცდითა და მძლავრი სულიერი ტკივილებით, უაღრესად სევდიანი კილოთია წარმოთქმული გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვები:

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და,
გათავდა ყოველი წერილი, ანი, ბანი და, განი, და...
ვიარე ყოველი ქვეყანა, სიგძე და სივრცე, განი, და,
ვერა ეპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი, და...
ხორცსა ბრავალი დავაკლე, სულს მიეცც ბჭი რჯანი, და,
ვაი-ვაი, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და!

„ეს ლექსი ვახტანგის პოეზიაში თავისებური გედის სიმღერაა. სამაგალითო სიტყვიერი ოსტატობით, გასაოცარი პოეტური ძალით, სრულიად ახლებური მუსიკალური კილოთი გადმოუცია აქ ვახტანგს ჰეშმარიტად დიდბუნებოვანი პოეტი-პატრიოტის უსაზღვრო ტრაგიკული განცდა“ (ალ. ბარამიძე).

1737 წლის 26 მარტს ვახტანგი გარდაიცვალა. იგი „პატივითა ხელმწიფურითა“ დაკრძალეს ასტრახანის კათედრალურ ტაძარში. ქართველობამ მწვავედ განიცადა დიდბუნებოვანი მამულიშვილისა და დიდსულოვანი მოქალაქის სიკვდილი. მგრძნობიარე ლექსით დაიტირა იგი დ. გურამიშვილმა:

ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!
ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო.
ჩვენ ყმანი დავრჩით, პატრონი წავიდა შორს გაგვექცაო,
გაფრთხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის მაცა, მაგრა დექ ცაო!

ვახტანგი ვერ მოესწრო უცხო დამპყრობელთა დამარცხებასა და გაძევებას საქართველოდან, მშობლიური მიწა-წყლის დახსნასა და

განთავისუფლებას, მაგრამ მრავალტანჯულ სახელმწიფო მოღვაწეს ურყევად სწამდა თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კურსის ცხოველმყოფელობა. მისი აზრით, ქართველობის ეროვნული სახის შენარჩუნების ერთადერთი სწორი გზა რუსეთთან დაკავშირებაში მდგომარეობდა. ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალი მას რუსეთთან კავშირის გარეშე ვერ წარმოედგინა.

ისტორიამ გაამართლა და ბრწყინვალედ დაადასტურა ვახტანგის მიერ არჩეული გზის სისწორე. ქართველმა ხალხმა რუსეთთან დაკავშირების გზით, რუს ხალხთან დაძმობილების შედეგად თავი დააღწია მაჰმადიანთა ძალმომრეობას, გაარღვია აგრესიული რკალი, მოიცილა მრავალსაუკუნოვანი მონობის უღელი, უზრუნველყო თავისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური განვითარება, შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე და მდიდარი კულტურა.

ვახტანგ მეექვსის ლიტერატურული მემკვიდრეობა

ლირიკა

სულ დამიქცია სამყოფი, სახლი, სართული, ბანია,
მეფობის ნაცვლად სოფელმან მიბოძა ლექსობანია.
ლექსები რამ ვთქვი საბრალო, მტერთაცა შესაწყალია,
ვინც წაიკითხავთ, ამაზე ცრემლით აგევსოს თვალია

ვახტანგ VI

ვახტანგი უაღრესად საყურადღებო ლირიკოსია. მისი პოეტური შემკვიდრეობა ინტერესს იწვევს თემატიკური მრავალფეროვნებით, იდეურ-პოლიტიკური მიზანდასახულობით, მხატვრული მეტყველების მაღალი კულტურით, განცდის სიწრფელითა და ლირიკული მგრძნობელობით, მოქალაქეობრივი ჰანგებითა და მღელვარე პათოსით. იდეურად დახვეწილი და დიდი მხატვრული შთაგონებით დაწერილი სტრიქონები ვახტანგს წარმოგვიდგენენ როგორც პოეტური სიტყვის ნაცად ოსტატსა და დახელოვნებულ მგოსანს.

ვახტანგის ლირიკის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი პატრიოტული მგზნებარებაა. სამშობლოს სიყვარულის უსაზღვრო გრძნობითაა გამთბარი ვახტანგის ლექსების უმრავლესობა.

განსაკუთრებული სიღრმითა და სიმძაფრით აღიბეჭდა ვახტანგის პოეზიაში სამშობლოს დაშორებით გამოწვეული ტრაგიკული გან-

ცდა. დიდი სულიერი მღელვარებითაა აღბეჭდილი ის პოეტური სტრიქონები, რომელნიც ვახტანგმა ირანელთა ტყვეობაში შეთხზა:

პე, თაო, პირველ შვებულო, აწ უცხო ჭირსა ვარდია,
საკვრელსა ძნელად სახსნელსა, მთხრებლსა მოღრმოსა ვარდია;
მკვიდრი უმკვიდრო შევიქენ, სამყოფთგან გარე ვარდია,
ღაწვი შემჭნია ზაფრანად, ვის ვერა მდრიდა ვარდია.

მგრძნობიარე პოეტს დღითი დღე უმძაფრებდა სულიერ ტკივილს მშობლიური მამულის დაშორებით გამოწვეული მძიმე სევდა და გულის შემაღონებელი კაეშანი. შექმნილმა ვითარებამ, — სამშობლოს დატოვებამ, ტახტის დათმობამ, პოლიტიკურმა მარცხმა, — შეაშფოთა და შეაძრწუნა იგი. უმწეო მდგომარეობაში მყოფმა თავისი სამშობლო ძვირფასი სატრფოსა და სათაყვანებელი არსების სახით წარმოიდგინა. ვახტანგი ერთ-ერთი პირველი ქართველი პოეტია ამ მხრივ. სამშობლოს სიყვარულის ალეგორიულ ფორმებში წარმოდგენით, სამშობლოს სატრფოდ გამოცხადებით ის შორეული წინაპარია ალ. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანისა და ა. წერეთლისა.

ვახტანგს აღელვებდა ის სავალალო გარემოება, რომ მისი სატრფო — სამშობლო ქვეყნის გამყიდველთა და ხალხის მოღალატეთა ხელში იტანჯებოდა, სინდისშებღალული და დამცირებული, შერცხვენილი და დაჩოქებული იყო. არსებული მდგომარეობის სირთულის შეგრძნებას ამძაფრებდა საკუთარი უძლურებისა და უმწეობის შეგნებაც. სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარულ პოეტს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ ტანჯული ქვეყნისათვის დახმარების აღმოჩენა არ ძალუძდა და მისი გადარჩენა არ შეეძლო. ამით აღშფოთებული ვახტანგი კიდევ უფრო ხშირად წერდა თავის სატრფოზე — სამშობლოზე და ქებათა ქებას ასხამდა მას. მართალია, ერთგან იგი მორიდებით შენიშნავდა: „საკადრად შენსა ქებას ვერ ვიტყვიო“, მაგრამ საკმაოდ მაღალმხატვრულად წარმოგვიდგენდა მას. განსაკუთრებით საყურადღებოა ვახტანგის მიერ მოხდენილი პოეტური ფრაზებით მოცემული პორტრეტული დახასიათება სატრფოსი:

მას პირი უგავს ბროლსა და შიგ ლალი გამჭვირვალობსა,
ბაგე — ვარდისა ფურცელსა, კბილნი მარგალტს ძალობსა,
ტანი — ალვასა მრხეველსა, მჭვრეტელნი მწვე საბრალობსა.

ან კიდევ:

ღაწვ-წითელი და თმა-გრეზი, კბილ-თეთრი, თვალი შავია,
შვიდთა მნათობთა ვარსკვლავთა არ ძალუძს მისი დავია,
სუფთა, წუნარი და სათუთი, კეკლუცთა მოსართავია,
უკვდაეებისა ბაგები ვარდ-შაქრით შენაზავია.

დამოწმებული პოეტური სტრიქონების გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ვახტანგს რეალური არსება, მშვენიერი გარეგნობის ქალი ჰყავდა მხედველობაში, მაგრამ მომდევნო სტროფში ყველაფერი ნათელი ხდება, ჩნდება ნამდვილი სატრფო — ქართლი:

რა მზე გარდაჯდეს ვერძზედა, აერმა შექმნას თბობანი,
ამწვანდეს ტყე და მინდორი, მფრინველთ დაიწყონ ხმობანი,
აყვავდეს ყოელი ქვეყანა, ტრფიალთა შექმნან დნობანი,
ქართლსა გაჰყრიდეს, ისპაანს კაცს მისდომოდეს ნობანი.

ცხადია, ვახტანგის სატრფო არის არა ამქვეყნიური ცოცხალი არსება, კონკრეტული ლამაზი ქალი, არამედ — მშობლიური მამული, მრავალტანჯული ქართლი.

ვახტანგი სატრფოსათვის თავდადებულია, მის „გარდამკიდეს ჭირს ასე ძნელი ჭირები", მისთვის „ფარვანებრ იწვის, ბულბულებრ ეკალთ შინაა". სატრფო კი პოეტის ცხოველ სიყვარულს ყურადღებას არ აქცევს, მის სულიერ განწყობილებას არად მიიჩნევს. სატრფო ცივი და მიუკარებელია, „ცეცხლს უგავს ღაწვი", მაგრამ „ცეცხლისგან უფრო მწველია", „სულის მიმტაცებელია".

გულდასერილი პოეტი აღშფოთებული და გამწარებულია, სატრფოს გულგრილობითა და უმადურობით აღელვებულია:

კეკლუცთ ზედა ხარ ხელმწიფე, ტრფიალთ ცეცხლს უდებ, მალამით,
მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიპო მალ ამით.
სხვას ვისმცა ეძლოს კურნება, ცუდად შვრებიან მალამით,
მიჯნურნო, მოდით, მიტირეთ, ცრემლი მაჟასხეთ, მალამით.

ირანელთა ტყვე გულისტკივილით იგონებდა მშობლიურ ქვეყანას — მომხიბლავ ქართლს, თვალისმომჭრელი სილამაზის დიდებულ სანახაობასა და თვალწარმტაც არემარეს, სანუკვარ მხარესა და სანატრელ მიწა-წყალს (თბილისს, კოჯორს, შავნაბადას, ლოჭინსა და სხვ.), ბულბულების გალობასა და ფერად-ფერად ყვავილებს, ქარ-

თულ ნადიმსა და დროს ტარებას, დიდგორს ნადირობასა და ლილოს ტბაზე წეროობას, თრიალეთის მწყერაობას, ქციასა და ფარავანზე თევზაობას, სომხითში კაკაბ-ხოხბის დევნას და ა. შ.

მოვონება სიამეს ჰგვრიდა, მაგრამ წყლულს უახლებდა და ტკივილს უმძაფრებდა სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ პოეტს. თავის რომანტიკულ განწყობილებასა და ლირიკულ განცდას იგი ხშირად აღტაცებული შეძახილებით გამოხატავდა:

რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა!
ლილოს ტბაზე წეროობას, ნეტარ რამცა შეედარა!
შავარდნისა ნადირობით ვისმცა თავი შეეზარა!
შუას ივლისში თრიალეთს სხვა თემი რამც ედარაო!
მუნებურნი შექცევანი ვინ აღრაცხოს, ან ვინ წეროს?

უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახტანგის პატრიოტულ ურვას ამძაფრებდა თანამემამულეთა უმადურობა, თვისტომთა ღალატი, ახლობელთა ვერაგობა და სხვა. ყოველივე ეს უფრო აძნელებდა ვახტანგის ისედაც აუტანელ მდგომარეობას. იგი ნაღვლიანად იგონებდა თავის წარსულს, განვლილ ტკბილ დღეებს და მწვავედ განიცდიდა ბედის ცვლილებას:

საწუთროსა ცხენსა ვიჯექ, ლურსმანი ვქენ მონაწევი,
მრავლად იდგა ბაღსა მისსა ხილი მწიფე, მონაწევი,
რაცა მწადდა, მას ვიხმევდი ხელით მქონდა მონაწევი.
ახლა ვქნილვარ მტერთ სახრალად იქით-აქეთ მონაწევი.

ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებულ რაინდს გული ატკინა თანამემამულეთა ორგულობამ, თანამოძმეთა ღალატმა, თანამზრახველთა განდგომამ. სევდიანი კილოთი და მიუსაფრობის გრძნობით გვამცნო მან თავისი უმწეო და უნუგეშო მდგომარეობა:

ყმაზე წამიხდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები,
ამხანაგთზედა სიკეთე, სხვათაგან შესაშურები,
ძმათა და თვისთა მოყვრობა, რა ჩემგან მოსასურები,
განმაძეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლთა მომაწურები.

ვახტანგი პოლიტიკურ ასპარეზზე მრავალგზის დამარცხდა, მიზანს ვერ ეწია, ქვეყანა ვერ იხსნა და ხალხი ვერ გაათავისუფლა. ამქვეყნიური ცხოვრების სიდუხჭირემ და ყოველ ნაბიჯზე ხელის მოცარვამ იგი დააღონა და დაამწუხრა, დაანაღვლიანა. სევდიანმა ჰანგმა და

პესიმისტურმა კილომ საკმაოდ დაისადგურა მის ლირიკაში. ამის ნათელი ილუსტრაციაა ვახტანგის სიტყვები:

დავემონე კაეშანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
მელნად ნაღველს მოეიხმარებ, აღმოვიწებ გულსა კალმად;
ლხინის ბაღის მოსარწყავად ცრემლი მიმდის გასალამად.

პოეტის სიტყვით, „ცრუმ და ანასდეულმა“ წუთისოფელმა იგი განსაკუთრებით დასაჯა, „არ შეიწყალა არათი“, „აავსებინა ცრემლით კალთა“, დიდი ვნება მიაყენა, მიაგო „ჭირი შეუწონარი“ და „სიყრმითგან მწირობა კაცთაგან მოუგონარი“. ვახტანგის მიდგომა წუთისოფლისადმი საკმაოდ თავისებურია. წინამორბედთაგან განსხვავებით მან მხოლოდ ობიექტური რეალობა კი არ დახატა, არამედ გადმოგვცა თავისი განცდები, თავისი სულიერი განწყობილებანი, თავისი შთაბეჭდილებანი, რომელთაც ხშირად რომანტიკული იერი აქვთ. ასე ჭარბად თავისი განცდები არც ერთ ადრინდელ ქართველ მწერალს არ გადმოუცია. საგულისხმოა, რომ პირადმა უბედურებამ ვახტანგი სოფლის კიცხვამდეც კი მიიყვანა. მისი დასკვნით, სოფელი გაუტანელი და დაუნდობელია, სევდის მომგვრელია, ადამიანთა შემაღონებელია. ამქვეყნიური ცხოვრებით უკმაყოფილო ადამიანის გულისწყრომა ისმის პოეტის სიტყვებში:

არვის დაინდობს სოფელი მისანდოდ დაუნდობელი,
მიმდევი გასაჭირნი, უდევთა დასაგმობელი,
მეფეთა ანუ გლახაკთა ბუკთა საჭიროს მხმობელი,
გულითა ამაღლებულთა საბრალოდ დამამხობელი.

თავის ნაწერებში ვახტანგი სოფელს ხშირად ცუდად იხსენიებდა, მის მუხანათობას ამხელდა, მის ვერაგობას კიცხავდა:

ეს სოფელია დიაცი სიძვისა მიმაყოლელი,
თავსა კეკლუცად გაჩვენებს, ბოლო აქვს დასაქოლელი,
ხან შენს უბეთა მძინარი, ხან სხვასთან არი მწოლელი.

ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე ვახტანგმა სოფელი ასე დაახასიათა:

უცხო რამ სჩირს, ზოგს ლხინს მისცემს, ზოგს ლახვარსა გაუგებსა;
ზოგს აგორებს ეკალზედა, ზოგსა ვარდსა გაუგებსა,
ზოგს ძირამდის სახლს დაუქცევს, ზოგს ქორედად გაუგებსა.

სოფლის ასეთი ცვალებადი ბუნებით აღშფოთებული პოეტი ვაჟკაცური გაბედულებით აცხადებდა: „ვგმობ საწუთროსა მუხთალსა, უცხოსა, გასაკვირასა“.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგი არა მხოლოდ სოფლის ბოროტებას ააშკარავებდა და მის ნაკლს აღნიშნავდა, არამედ თავსაც იდანაშაულებდა და საკუთარი უბედურების მიზეზად თავის გაუმართლებელ ნაბიჯებსაც აცხადებდა:

რას ვაბრალებ საწუთოსა, ვამბობ, მიყო ამან ესო,
რაც მე შევსვი შესასმელი, ესე ხელსა ვისცა ესო?
ვარდი შედგა ბაღსა ჩემსა, არ თუ სამე ნარი ესო,
მე აღმოვფხვარ, სხვას ვის ეძლო მისთვის რამე ძირსა ესო?

საგულისხმოა, რომ მიუხედავად გულგატეხილობისა და უკმაყოფილებისა, ვახტანგი ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებდა იმედს, სოფლის სიმუხთლის სიმწვავეს რამდენადმე ანელებდა და მოთმინებას ქადაგებდა:

ეს სოფელი ჰგავს ყვავილსა ტურფა კეკლუცად ჭმნულებსა,
სიცხე წვით, ყინვა დაზრობით, სცემს მზე-ღრუბელი წყლულებსა,
წყალი წაახდენს და გვალვა მოუშლის მას უსულებსა,
მოთმენის მეტი წამალი რა ვპოოთ ამ საკრულებსა?

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგი პირადმა უბედურებამ სოფლის მკაცრ კრიტიკამდე მიიყვანა, მან მაინც არ უარყო ეს ქვეყანა და ხელი არ აიღო ამქვეყნიურ ცხოვრებაზე. როგორც აღვნიშნეთ, პესიმისტური განწყობილება, სევდიანი კილო, ნაღვლიანი მსჯელობა ჭარბად შეინიშნება ვახტანგის პოეზიაში, მაგრამ ამან ის წუთისოფლის უარყოფამდე ვერ მიიყვანა. ვახტანგმა შეინარჩუნა სულიერი მხნეობა, გონებრივი სიფხიზლე, ცხოვრებასთან შეჭიდების უნარი და სრულიად მართებულად დაასკვნა, რომ აუცილებელია მოქალაქეობრივი ვალის მოხდა, საქვეყნო საქმეების მოგვარება, ცხოვრების ფერხულში ჩაბმა. ფრიად მრავლისმეტყველია ვახტანგის ლექსი:

კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს.

ვახტანგის მრავალმხრივ საყურადღებო შეგონება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითაა დაწერილი და ცხოვრებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და ადამიანთა დუნე განწყობილების წინააღმდეგაა მიმართული. ავტორმა წინ გადადგა ნაბიჯი, სოფლის სიავის ჩვენებასა და მის წყევლა-კრულვასთან ერთად დაბეჯითებით მოითხოვა ამქვეყნიურ ცხოვრებაში ჩაბმა და საერთო ჭაპანის წევა. ადამიანის ჰეშმარიტ დანიშნულებად მან შინაარსიანი ცხოვრება, ნაყოფიერი საქმიანობა და საქვეყნო-სახალხო მოღვაწეობა აღიარა. მწვავე პესიმისტური განწყობილების მიუხედავად, ვახტანგი სოფელთან შეჯიგებისა და ამქვეყნიური საქმიანობის მომხრე და მქადაგებელია:

რადგან კაცია მოკვდავი, უნდა დაურჩეს რამე და,
სახელისაგან უმჯობე რამცა ჰქენ, რამც ეამე და?
მოგიგონებენ ყოველნი ამითი ჟამით-ჟამედა,
მოლექსობაცა იქნება ამის რამ შესაწამედა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახტანგი ნაწილობრივ დავალებულია მისი საყვარელი ბიძის არჩილის ბრძნული შეგონებებით:

მოღვაწება სჯობს სულისა უდებებითა დებასა,
რა ძალუც უქმად ყოფასა, კაცობის სულ დადებასა,
უსარგებლოსა ტირილსა, მოთქმასა ან გოდებასა?
ესევე უკეთესია ცუდ სიტყვის მიდ-მოდებასა.
რადგან ჩვენია სოფელი, მაშ, გვიხამს კარგა ხმარებაა
ყოველი ნივთი მის-მის დროს კაცთაგან მოიხმარება,
ნაყოფიანთა მოსთვლადა და ნერგთა არ გამხმარება,
კაი ზნე არის კაცისა სიბრძნესთან კარგ სახმარება.

დამოწმებულ სიტყვებში ნათლად ჩანს არჩილის მაღალკეთილშობილური, ჰუმანური ბუნება და შრომა-მოღვაწეობას მოწყურებული მოქალაქის პროფილი. მიუხედავად იმისა, რომ მომავლის პერსპექტივა მაინცდამაინც ნათელი არ იყო, არჩილი მაინც პრაქტიკული საქმიანობის, აქტიური მოღვაწეობის მქადაგებლად გვევლინება. საკამათო არ უნდა იყოს, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებაში მონაწილეობის აუცილებლობის ქადაგებით არჩილის პოეზია შთამაგონებელი წყარო იყო ვახტანგისათვის. თავის მხრივ, ვახტანგმა ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა მომდევნო ხანის მწერლობაზე (ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე).

ვახტანგის ლირიკაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს სატრფიალო თემატიკას, მის ნაწერებში გვხვდება სამიჯნურო განწყობილებით აღბეჭდილი მრავალი ლექსი. პოეტის დახასიათებით, მისი სატრფო იყო ლამაზი და თვალწარმტაცი, მშვენიერი და მომხიბლავი:

ღაწვი ჰქონდა ვარდის ფურცლად, პირი შროშნად, ტუჩი ლალად,
თვალნი მელნად, წარბი სათად, თმა სუმბულად. კბილი სრალად,
ყელი-ვერცხლად, ძუძუ-მკერდი ბროლსა გვახდა განათალად,
ტანი ალვად, ხელ-მკლავები მოგრძე მშვილდებ მოსაკრძალად.

ვახტანგის სატრფო იყო ფაქიზი და ზნესრული, წმინდა და უმანკო, „შემკული კეკლუცად სიწმინდით“, „ვარდსა ახალ გაფურჩქვნილსა სჯობდა საქვრეტლად“. პოეტი მას დიდის მოწიწებითა და კრძალვით მიმართავდა:

ქალწულებისა ვარდი ხარ, სიწმინდის ბაღსა რგულია,
ფერად გაქვს უმანკოება, უბიწოება სულ ია,
რტოდ გამოიღე მოკვდავთა იგ უკვდაება სრულია,
ფოთლად გასხია წყალობა, განკურნე ჩემი წყლულია!

ვახტანგი სიყვარულის სევდამ შეაღონა და შეაწუხა. იგი ტიროდა და გოდებდა, ველად გაჭრას აპირებდა, სოფლის დიდებას არად მიიჩნევდა, მწვავედ განიცდიდა საყვარელი არსების შორს ყოფნით გამოწვეულ სულიერ ტკივილებს, მაგრამ მორიდებული და მოკრძალებული იყო და ვერ ბედავდა მასთან ახლო მისვლას. „ვერ მივსულვარ უხამსობით, თავი მიჩანს მოდუხჭირად“, რადგან „არა ვარ საღერი შენისა ტრფიალებისა“, — გულდაწყვეტით ეუბნებოდა იგი თავის სატრფოს. სასოწარკვეთილი პოეტი ისევ სატრფომ გაამხნევა, ძალა შემატა და გაათამამა, ხოლო შემდეგ მოთმინებისა და ერთგულებისაკენ, „სწავლა-თქმულების“ შესრულებისაკენ მოუწოდა:

თუ დაიმარხავ შენ ჩემსა სიტყვასა, სწავლა-თქმულებსა,
საყურებრ ყურად გაიყრი და დაიმკვიდრებ გულებსა,
დღეთა შეგძინებს ამ სოფელს, ზეცას აღაფრენს სულებსა,
აქ მოგეცემა კეთილი, იქაც მორჩები წყლულებსა.

ვახტანგის ლირიკის დამახასიათებელი ნიშანია სიყვარულის ალეგორიულ-მისტიკური გააზრება. მის სპეციალურ ნაწარმოებში, რომელსაც „სატრფიალონი“ ეწოდება, ავტორის ტრფობის ობიექტად არაა წარმოდგენილი რეალური ქალი. ვახტანგი აქებდა და ადიდებ-

და არა ნამდვილად არსებულ ლამაზ ასულს, მისი ტრფობის ობიექტი იყო არა კონკრეტული პიროვნება, ხორციელი არსება, არამედ ღვთაება. პოეტი უმღერდა არა ამქვეყნიურ, ადამიანურ, ბუნებრივ სიყვარულს, არამედ ღვთაებრივს, მისტიკურს. ზემოთ მრავალგზის დამოწმებული თხზულების („სატრფიალონი") სათაურის კომენტარებში აღნიშნულია: „მკითხველთა უხმს გულისხმიერება, თუ ვისადმი ტრფიალებს მეფე. სახმარ არს ყური სმენად და გული გამოკვლევად". ეს საგანგებო გაფრთხილებაა: ერთგვარი შიშია გამოთქმული, რომ ვინმემ პოეტის ტრფობის ობიექტად ხორციელი არსება არ მიიჩნიოს.

ვახტანგის „სატრფიალონი", — „შაირობანი ფრიად პატიოსანი ეფლისა და ყოველთა წმინდათა მიმართ მეფის ვახტანგისაგან სულიერად ნათქვამნი", — ღვთაებისადმი მიძღვნილი სამიჯნურო საგალობელია, სატრფიალო ჰიმნია. ჩვენი პოეტის სატრფო, მისი ხოტბის ობიექტი და შთამაგონებელი მისტიკური არსებაა, მისი მიჯნურობა ღვთაებრივი მიჯნურობაა, მისკენ სწრაფვა — ღვთაებისაკენ სწრაფვაა. ვახტანგმა მუსლიმანურ-სუფისტური მისტიკა, — რაც მისთვის სპარსული სამყაროდან საკმაოდ ნაცნობი იყო, — ქრისტიანულ ნიადაგზე გადმოიტანა და ჩვენს სინამდვილეს დაუახლოვა. ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ თვალსაზრისით მან განიხილა „ვეფხისტყაოსანი" და მის მიჯნურობასაც მისტიკურ-ალეგორიული განმარტება მისცა და საღვთო მიჯნურობად გამოაცხადა.

ვახტანგმა ჩვენს მწერლობაში განავითარა ალეგორიულ-სიმბოლისტური მიმართულება და შესამჩნევი გავლენა მოახდინა თავის თანამოღვაწეებზე (მ. ბარათაშვილი, დ. გურამიშვილი).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, ვახტანგი ძირითადად სულ ღვთაებრივ მიჯნურობაზე წერდა, მაგრამ მისთვის კარგად იყო ცნობილი ამქვეყნიური მიჯნურობის რუსთველური კოდექსიც. მიჯნურთათვის წაყენებული მოთხოვნილებით ვახტანგი ძალზე მოგვაგონებს რუსთაველის მოძღვრებას. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ვახტანგის რამდენსამე სტროფს:

მას მიჯნურად რად ჩააგდებ, ვის არ ჰქონდეს ესე გულად:
მოყვასისათვის თავი თვისი არ დაედვას მონაკლულად,
არ დაეთმოს სოფლის შვება და დიდება მისი სრულად,
ვისცა რასმე ეკრძალოდეს და არ ექნას მონაძულად?

უხამს მიჯნურს, თავის წინა იჯდეს, იყოს მისი მგონი,
შეემსჭვალოს სული, გული, სხვა არ ჰქონდეს გასაგონი.
დღე და ღამე მას ამკობდეს, ნუმცა უნდა გასაგონი,
მან ამითი შეიწყალოს, მოლბეს, ექმნას ხვეწნის მგონი.
მიჯნურს მართებს გაუწყვეტლად სარჯელი და ჰირის ქონა,
მწვე ელტოდეს სოფლის ლხინსა და არ იყოს ხორცთა მონა,
გრძლად იცოდეს სიყვარული, არ ანაზდად ცუდი კონა,
დაუთმოს და მოიჯირვოს თუ რამ მიხედეს მისთვის ღონა.

რუსთაველის უკვდავი იდეებით შთაგონებული ვახტანგი დაბეჯითებით აცხადებდა, რომ მიჯნური უნდა იყოს ზნესრული და ზნეფაქიზი, სატრფოს ერთგული, მისთვის თავდადებული და თავგანწირული, „ცეცხლიც მისთვის ბამბად უჩნდეს“. ერთობ საყურადღებოა მისი შეძახილი: „ნუ გგონიათ მიჯნურობა დიაღ ადვილ შესამართი!“

აღორძინების ხანის ქართული მწერლობის თითქმის ყველა სახელოვანი წარმომადგენელი, რომელიც კი საერო-მხატვრული ლიტერატურის ასპარეზზე მოღვაწეობდა, სასულიერო-საეკლესიო თემატიკასაც ამუშავებდა. ის, ერთი მხრივ, გრძნობდა თავის უხერხულ მდგომარეობას საერო თემატიკის დამუშავების გამო და ცოდვათა გამოსყიდვის მიზნით ხარკს უხდიდა ეკლესიას, მეორე მხრივ, ხშირად გულწრფელად შესტრფოდა ღვთაებას და სიამოვნებით ამუშავებდა სახულიერო-საეკლესიო თემატიკას. ასე იქცეოდნენ თეიმურაზ პირველი, არჩილი და სხვ. გამონაკლისს არც ვახტანგი წარმოადგენდა: მოვიგონოთ ზემოთ უკვე განხილული „სატრფიალონი“, რომელშიც ავტორი არა მარტო შესტრფოდა ღვთაებას, არამედ ვრცლად მსჯელობდა სასულიერო-საეკლესიო საკითხებზე (ათი მცნება, შვიდი საიდუმლო, ცხრა ნეტარება და ა. შ.). საინტერესოა აგრეთვე ვახტანგის სხვა ლექსები („ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!“, „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა“ და ა. შ.), რომლებშიც ავტორი ამჟღავნებდა ბიბლიის საფუძვლიან ცოდნას, მსჯელობდა ღვთისმეტყველების საკითხებზე, გვაცნობდა თავის რელიგიურ-ფილოსოფიურ განწყობილებას და თავის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ შეხედულებებს.

დიდია ვახტანგის დამსახურება ქართული ვერსიფიკაციის დარგში. მართალია, ქართული ლექსი მრავალსაუკუნოვანი იყო, ქართულ

პოეტურ კულტურას სახელოვანი ტრადიციები ჰქონდა და რუსთაველის მარად უჭკნობი გენია შუქურასავით დანათოდა მას, მაგრამ ახალი ეპოქა ახალ სალექსო ფორმებს საჭიროებდა. რუსთაველის გავლენა მომდევნო ხანის პოეზიაზე განუსაზღვრელი იყო. ეს გავლენა, რასაკვირველია, ცხოველმყოფელი და სტიმულის მომცემი იყო, მაგრამ მონურმა მიმბაძველობამ და შაირის უცვლელად გამეორებამ რამდენადმე უარყოფითი გავლენაც მოახდინა ქართულ ლექსზე, შეაფერხა და დააყოვნა მისი განვითარება. XVII — XVIII საუკუნეების გამოჩენილმა ქართველმა პოეტებმა გადაახალისეს ძველი ქართული ლექსი, შემოიღეს და დაამკვიდრეს ახალი სახეები. სულხან-საბა ორბელიანთან, მ. ბარათაშვილსა და დ. გურამიშვილთან ერთად ამ საპატიო საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ვახტანგმა. მან გაამდიდრა ქართული ლექსი და შემატა მას შინაარსობლივი და ფორმობლივი სიახლე. ვახტანგი ქართული ლექსის ერთ-ერთი რეფორმატორია.

ვახტანგის პოეტურ მემკვიდრეობაში შესამჩნევია ლექსთა ნაირსახეობა. პოეტი იყენებდა ქართული ლექსის რამდენიმე სახეს და ამით თავის ნაწერებს მრავალფეროვანს ხდიდა. მის ლექსებში ერთობ ხშირად გვხვდება ტაეპი — ერთსტრიქონიანი ურითმო ლექსი (ვახტანგთან იგი ჩვეულებრივ 16-მარცვლოვანია). რამდენიმე მაგალითი:

ისარსა გავს პირით სიტყვა რა გატყორცო, არ მობრუნდეს.
მართლა თქმულა, არვის შევნის პირში ქება, უკან ზრახი,
ყოველის სიბრძნის საფუძველად მოთმინება დაუდვიათ.
ყურს ნუ უგდებ ამპარტავანს, სანამ კარგა არ დამდაბლდეს.
რადგან გინდა შენთვის კარგი, სხვისა ძრახსა მოერიდე.

ვახტანგის პოეზიაში ასევე ხშირად გვხვდება ორტაეპიანი გარითმული ლექსიც [1].

მოყვარის მტერობას უფრთხილდი უფრორე შენის მტრისასა,
მას ხედავ, მას კი ვერ ხედავ, მახეს დაგიდგამს რისასა.
უმდიდრესია, ვის სწავლა გულსა აქვს დანათესია,
მალ შეუძლია საქნელად, რაცა რამ უკეთესია.

1 ამ შემთხვევაში „ლექსი“ ლექსის კონკრეტული სახის სახელწოდებაა.

ენა მეტობით ზოგსა სწადს ჯკუისა გამოჩენანი,
ეს არ იციან, არა აქეს ჯკუას სიტყვა და ენანი.

ვახტანგმა რამდენჯერმე გამოიყენა ქართული ლექსის შედარებით იშვიათი სახეებიც. მაგალითად, მდენარი (საერთორითმიანი 16-მარცვლოვანი ლექსი, რომელიც შვიდი ტაეპისაგან შედგება: „პლატონ ბრძენია, ბრძენია, ქვეყანით აფონელია...“), წყობილი მრავალმუხლი (საერთორითმიანი 16-მარცვლოვანი ლექსი, რომელიც ათი ტაეპისაგან შედგება: „ანისტინესა წინესა ყრმა ვინმე შემოსცინესა...“ ვახტანგთან გვხვდება თერთმეტი ტაეპისაგან შედგენილი წყობილი მრავალმუხლიც) და ა. შ. იყენებდა ვახტანგი აგრეთვე ჩახრუხაულს და განსაკუთრებით კი ძველ ქართულ პოეზიაში ყველაზე მეტად გავრცელებული ლექსის სახეს — შაირს. ეს უკანასკნელი ვახტანგისათვის ძირითადი და არსებითი იყო. თავისი ლექსების დიდი უმრავლესობა მან 16-მარცვლოვანი შაირით დაწერა.

ვახტანგმა დაამკვიდრა ელეგიური ლექსი. მან აიღო ჩახრუხაული ლექსი, მარცვალთა ოდენობა უცვლელად დატოვა, შეცვალა კონსტრუქცია, ტაეპის მეორე ნახევარი გადაახალისა და მას ახალი სახე მისცა — რეფრენად აქცია. არსებითად შეცვალა მან ჩახრუხაულის კილო და განწყობილებაც. თუ ადრე იგი საზეიმო-სახოტბო ლექსისთვის გამოიყენებოდა, ვახტანგმა ამ ლექსით ნაღვლიანი განწყობილება გადმოგვცა:

რა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მეგონა რამე, სოფლისა რა მე, ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მოვჰყევ სოფელსა, ავის მყოფელსა, ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
განვცხერ, ვიშვებდი, ვერ გავიშვებდი, ვაი სიკვდილო,
მწარე სიკვდილო!

ვახტანგმა გადაახალისა არა მხოლოდ ჩახრუხაული, არამედ რუსთველური შაირიც. მან ამ შემთხვევაშიც გამოიყენა რეფრენი, მაგრამ არა ყოველ ტაეპში, არამედ სტროფის უკანასკნელ ტაეპად. სანიმუშოდ დავიმოწმებთ მის ელეგიას — „ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა“:

შურით აღივსენ უგბილნი, წესი ქმნეს მათი მამისა,
სიკვდილს ზრახვიდნენ უწესოდ, თუ დრო დაიცენ ჟამისა,
უსჯულო მისი მოწაფე მიცემას ჰპირავს ამისა,

ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!
შტილში მიუძღვა კრებულთა საწუხი ყოელის გეამისა,
მღვდელთ-მოძღვრის პალატს მრვიდნენ გასატანჯველად, ვა, მისა,
პრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდნენ წამდაწამისა,
ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

რუსთველური შაირი გადახალისებულია ვახტანგის სხვა ლექსებშიც (მაგალითად, „ლექს-ამბავი“, „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა“, „რანი და, მოვაკანი და...“ და ა. შ.).

ყურადღებას იმსახურებს ვახტანგის ომონიმურრითმიანი სტროფების კრებული „მაჯამა“. ეს არაა ახალი ნაწარმოები, მასში შეკრებილი და თემატურად დალაგებულია ვახტანგის სხვა თხზულებებში („კაეშანი“, „სალბუნად გულისა“, „სატრფიალონი“) გაბნეული ომონიმურრითმიანი სტროფები. ანალოგიური სახის კრებულები სხვა მწერლებსაც ჰქონდათ (მაგალითად, თეიმურაზ პირველს), მაგრამ ისინი სპეციალურად თხზავდნენ მათ, ხოლო ვახტანგმა, წინამორბედთაგან განსხვავებით, ახლად კი არ დაწერა მაჯამები, არამედ გამოკრიბა ისინი თავისი ადრინდელი ნაწარმოებებიდან და დაალაგა ციკლების მიხედვით.

ვახტანგს დაუწერია ორი ტიპის ანბანთქება. პირველი („არა ბრძანებ გიორგ დედად...“) ერთსტროფიანია, თითოეულ ტაეპში ყოველი ახალი სიტყვა იწყება ქართული ანბანის მორიგი ახალი ასოთი. სტროფში სიტყვები დალაგებულია ქართული ანბანის რიგზე ანიდან ჭ-მდე. საკმაოდაა ცნობილი ანბანთქებანი, რომლებშიც ახალი სიტყვა ახალი ასოთი იწყება (სულხან-საბა ორბელიანი, არჩილი, გ. თუმანიშვილი, ო. ქობულაშვილი, დ. გურამიშვილი, ვ. ორბელიანი და სხვ.). მაგრამ ვახტანგის ანბანთქება მათგან განსხვავებულია. მასში ყოველი სიტყვა იწყება და მთავრდება ერთსა და იმავე ასოზე. ვახტანგი საგანგებოდ აღნიშნავდა: „ეს ერთი ლექსი არის, ყოველს სიტყვას თავ-ბოლოს ანბანი უზის“. ავტორმა ლექსის ფორმას მეტი მნიშვნელობა მიანიჭა, ხოლო შინაარსი დაჩრღილა და გააბუნდოვანა. აღნიშნული სახის ანბანთქებას წმინდა სასწავლო დანიშნულება ჰქონდა: მისი შემსწავლელი უკეთ იმახსოვრებდა ქართული ანბანის რიგს. უთუოდ ამის გამო იწონებდა და აქებდა მას დიდი ქართველი ენციკლოპედისტი იოანე ბაგრატიონი: „ესეცა

ღირსი ქებისა არს ანბანთქება, რომ ყოველს სიტყვას, ვითარცა თავს უზის ერთი ასო, ეგრეთვე ისივ ასო ბოლოს უზის, ვითარცა აქა ჩანს მთელი ანბანი".

მეორე სახის ანბანთქება, რომელიც ვახტანგს, როგორც ჩანს, არჩილის ბაძვით დაუწერია, მაჯამურ რითმებს შეიცავს. პირველი სტროფის ყველა ასო იწყება ანით, მეორე სტროფისა — ბანით და ა. შ.

ვახტანგი გულმოდგინედ მუშაობდა ლექსებზე და არას იშურებდა მათი იდეურად გამართვისა და ტექნიკურად სრულყოფისათვის. მისი ბევრი ნაწარმოები („სალბუნად გულისა", „სატრფიალონი", „კაეშანი", „სიბრძნე მალაღობელი" და სხვ.) მოღწეულია სამი-ოთხი რედაქციით. სათანადო ხელნაწერების შესწავლა ცხადყოფს, რომ ვახტანგი დღენიადაგ მუშაობდა ლექსებზე: ხვეწდა, აზუსტებდა და ახალისებდა მათ, ზოგჯერ ძველ ქართულ სიტყვას (ხამს) ახლით ცვლიდა (უნდა, შეშვენის), ხოლო ახალს (ჰყავს) — ძველით (უვის), ხშირად უცხოურ სიტყვას აქართულებდა და ა. შ. სისტემატური მუშაობით იგი თავს აღწევდა ბუნდოვანებას და აზრს ნათლად და კონკრეტულად, სხარტად და ლაკონიურად გადმოგვცემდა.

ვახტანგის ლექსებში ჩვენს ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ იდეურ-აზრობლივი და თემატიკურ-შინაარსობლივი მხარე, არა მხოლოდ ღრმა ლირიზმი და მძაფრი მგრძნობელობა, არამედ მხატვრულ-პოეტური მხარეც. ვახტანგი ქართული მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატია. მის ლექსებში უხვად გვხვდება ორიგინალურად მოფიქრებული და კარგად გააზრებული შედარებები, მოხდენილი მეტაფორები, დაკვირვებით შერჩეული ეპითეტები. მათი ოსტატური მოხმარებით პოეტი სასურველ შედეგს აღწევდა — აფეროვნებდა ტექსტსა და აძლიერებდა მის შინაარსობლივ-აზრობლივ მხარეს. მაღალმხატვრული პოეტური ენა და მდიდარი ლექსიკა, შინაგანი სიღრმე და გამომსახველობითი ძალა, ნაირფერ რითმათა ტკბილხმოვანება, რიტმის მელოდიკურობა და მეტრიკის ცვალებადობა კიდევ უფრო ზრდის ვახტანგის ლექსის მხატვრულ ღირსებასა და შემეცნებით მნიშვნელობას, აძლიერებს მის ემოციურ ზეგავლენას.

ვახტანგის პოეზია თავიდანვე დიდ ინტერესს იწვევდა და მოწონებით სარგებლობდა. აღსანიშნავია, რომ მამუკა ბარათაშვილმა

„ჰაშნიკში“ შეიტანა ვახტანგის ხუთი ლექსი („ვაი, სიკვდილო“, „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა“, „ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლეენი მარიამისა“, „ლექს-ამბავი“ და ერთი სტროფი „სატრფიალონიდან“), ხოლო იოანე ბაგრატიონმა „კალმასობაში“ დაიმოწმა და განიხილა მისი ანბანთქებანი.

თარგმანები

„ამირნასარიანი“

ამირნასარის ნათქვამი გათავდა სპარსთა თქმულები,
ჯერ გამოვიღე ამბავად ვარდი, კოკობი რგულები,
აწ სევდის მოსაქარვებლად ლექსად ვარ განმაგულები.
ყველას დარჩება სოფელში გაუკურნებლად წყლულები.

ვახტანგ VI

აღმოსავლურ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულია დიდაქტიკურ-მორალური ჟანრის თხზულება, იბნ ისკანდერ ონსორ-ელ-მეალი ქეიქაუსის (XI ს.) „ყაბუს-ნამე“. ეს ნაწარმოები საყურადღებოა თავისი მახვილგონივრული დარიგებებით, ბრძნული შეგონებებით, მიმზიდველი მხატვრული ფორმით. ავტორი ფეოდალური საზოგადოებრიობის უმაღლესი პირის — ტახტის მემკვიდრის აღზრდის საკითხებითაა დაინტერესებული და მეფის იდეალს გვისახავს. თხზულების მთავარმა გმირმა, ამირნასარის შვილიშვილის ყაბოს ვაჟმა შაქირმა თავის მემკვიდრეს ზნეობათა ტრაქტატი დაუტოვა და ასე დაუბარა: „ამისი დასწავლა შენც გმართებდეს, რომ ჩემს უკან ამას იქმოდე და სანამდის ან შენ დაბერდებოდე და ან მე მოვკვდებოდე, მანამდის ხამს სწავლა“. ტექსტში ამ სიტყვებს მიჰყვება მრავალი შეგონება და დამოძღვრა — ილუსტრირებული სათანადო ამბით. მართალია, ამბები თუ შეგონებანი არაა გაერთიანებული და დაკავშირებული რაიმე ფაბულარული მაგისტრალური ხაზით, მაგრამ ყვე-

ლა გამონათქვამი კონკრეტულ მიზანს ემსახურება — უფლისწულის აღზრდას, მასში კეთილშობილების, ჰუმანურობისა და გონივრულობის საწყისების დაძებნას, გაღვივებასა და სრულყოფას.

„ყაბუს-ნამე“ ქადაგებს ადამიანურობასა და ჰუმანურობას, სულგრძელობასა და კაცთმოყვარეობას, ქველმოქმედებასა და გულისხმიერებას, მოითხოვს ღარიბთა შეწყალებასა და მართლმსაჯულებას. მასში შექებულია შრომისმოყვარეობა და საზოგადოებრივი საქმიანობა, გამომზეურებულია ცხოვრების მანკიერი მხარეები, გაკიცხული და დაგმობილია პატივმოყვარე და სულმდაბალი, ურცხვი და უვიცი, შურიანი და მოქიშპე, მკვეხარა და მატყუარა ადამიანი. უნდა აღვნიშნოთ, რომ პროგრესული იდეებისა და მოწინავე აზრების პარალელურად თხზულებაში ზოგჯერ ჩამორჩენილი შეხედულებანიც გვხვდება.

„ყაბუს-ნამეს“ იცნობდნენ და იყენებდნენ ნიზამი განჯელი, ხოსრო დეჰლელი, აბდ-ორ-რაჰმან ჯამი და სხვა გამოჩენილი მწერლები. ამ ეთიკურ-პოლიტიკურ ნაწარმოებს ყურადღება მიაქცია ვახტანგმა და გამგებლობის პერიოდში (IX. 1704 — IV. 1712) თარგმნა კიდეც იგი.

ვახტანგის დაინტერესება დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი და მორალური ხასიათის მწერლობით, რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო. ქართლში ყიზილბაშთა ხანგრძლივმა ბატონობამ და ძალმომრეობამ. ქრისტიანული ეკლესიის შევიწროების შედეგად მუსლიმანური აღმსარებლობის თანდათანობით გავრცელებამ და სარწმუნოებრივმა მერყეობამ, დიდებულთა თავაშვებულობამ და ზნეობრივმა დაცემულობამ უარყოფითი დაღი დააჩინა ქართველ ხალხს. დღის წესრიგში დადგა საზოგადოების მორალური წვრთნისა და გაჯანსაღების, მისი სულიერი განსპეტაკების საკითხი. ქართველთა მოწინავე ნაწილს კარგად ესმოდა, რომ აუცილებელი იყო ბრძოლა შესუსტებული ზნეობრივი ნორმების აღდგენისა და განმტკიცებისათვის. ვახტანგი ქართველ პროგრესისტთა მეთაური იყო და, ბუნებრივია, ამ საკითხს მან სათანადო ყურადღება მიაქცია, თავის ორიგინალურსა თუ თარგმნილ თხზულებებში დიდი ადგილი დაუთმო დიდაქტიკის საკითხებს, ახალი თაობის მაღალსა და წმინდა ზნეობრივ პრინციპებზე აღზრდას.

„ამირნასარიანის“ ქართული თარგმანი ხელნაწერებში ასეთი სახელწოდებითაა შემონახული: „ამირნასარიანი თქმული სპარსთა ენისაგან ქართულად ბატონიშვილის განმგებლის ვახტანგისაგან“. საგულისხმოა, რომ ქართულ თარგმანს განსხვავებული სათაური აქვს. სხვათა შორის, მეცნიერებაში დღემდე არაა საბოლოოდ გარკვეული ორიგინალის სახელწოდების საკითხი. ფიქრობენ, რომ ავტორმა სახელგანთქმული პაპის — ცნობილი მწიგნობრის, მეცნიერისა და მეცენატის ყაბუს იბნ-ვეშმგირის (967 — 1012) პატივსაცემად უწოდა თავის კრებულს „ყაბუს-ნამე“. ასეა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, საინტერესოა, რომ ქართული ტექსტი სხვაგვარადაა დასათაურებული. ორიგინალში ტექსტის ავტორად ამირ ანსარ ალ-მა'ალი ქეიქაუსი იხსენიება. შესაძლებელია, ვახტანგმა სათაურის შერჩევა-დადგენისას ეს ფაქტი მიიჩნია ძირითადად და ამის გამო უწოდა ძეგლს „ამირნასარიანი“, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ეს ყოფილიყო სპარსული ტექსტის თავდაპირველი სახელწოდებაც.

ქართული თარგმანი საკმაოდ შემოკლებულია. „ყაბუს-ნამეში“ 44 თავია, „ამირნასარიანში“ კი 11 (ანდერძი შაქირისა ძისა თვისისა თანა, თქმა ხელმწიფეთა სამსახურისათვის, მდივანთათვის, ვეზირთათვის, სპასალართათვის, სტუმართათვის, სიყვარულისათვის, საქონლისა შემოგროვებისათვის, ამანათის შენახვისათვის, მეშურნეობისათვის, სიკეთისათვის). აღსანიშნავია, რომ დასახელებული 11 თავი არ არის ორიგინალის მხოლოდ შესაბამისი თავების თარგმანი, მათში მასალა სხვა თავებიდანაცაა შეტანილი. ვახტანგმა, ერთი მხრივ, სულ გამოტოვა ნაკლებ მნიშვნელოვანი თავები (მონების შესყიდვისათვის, მკურნალობისათვის და ა. შ.), რომელთაც ქართველი მკითხველი ან არ საჭიროებდა, ან მათ გაცნობას უკეთესი წყაროებით შეძლებდა, მეორე მხრივ, თარგმნილ 11 თავში ნაწილობრივ სხვა თავების მასალაც წარმოაჩინა. ქართული თარგმანის შემოკლებული და გამოკრებილი, ერთობ თავისებური სახე ზოგ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ვახტანგს შეიძლება ჩვენთვის უცნობი ხელნაწერი ჰქონდა ხელთ.

ქართულ თარგმანში გვხვდება ზოგი ისეთი ამბავი თუ შეგონება. რომელსაც სპარსული ორიგინალი არ იცნობს (მაგალითად, ალექსანდრე და უშნო ბრძენი, მოხუცის მიერ სიმღერის სწავლა, ხელმწიფემ ვაჭრობა იუკადრისა და სხვ.). ამასთანავე მას ახა-

სიათებს თავისებურება და სპარსული ტექსტის დადგენისა და ზოგი საკითხის გარკვევისათვის (ტექსტის შედგენილობა, ზოგიერთი ადგილის გაგება და ა. შ.) დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვახტანგისათვის ამოსავალი ქართული სინამდვილე იყო. მან გულდასმით შეისწავლა „ყაბუს-ნამე“, საგანგებოდ შეარჩია სათარგმნი მასალა, გადმოიღო მხოლოდ ძირითადი, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეგონებანი და ოსტატურად მიუსადაგა ჩვენს ცხოვრებას. მას აინტერესებდა არა თხზულების აღმოსავლურ-მაჰმადიანური და ირანული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალები, არამედ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკული საკითხები.

ვახტანგმა კრიტიკულად აითვისა ტექსტი, შემოაცალა მაჰმადიანური სამოსელი, სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი მომენტები გამოტოვა ან შეცვალა, აღმოსავლური შეგონებანი შეარბილა, თარგმნილი მასალა შეუფარდა და დაუახლოვა ქართულ სინამდვილეს. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ცვლიდა მთარგმნელი ტექსტს და როგორ უახლოვებდა თავისი თანამემამულეების ყოფას, მოვიტანთ ერთ მაგალითს. დედაწში იკითხება: „თუ ცეცხლისთვის ქონს დაინანებ, ქაბაბი უმი დაგრჩება“. აღნიშნული შეგონება ვახტანგმა ქართველი კაცისათვის უფრო გასაგები გახადა: „თუ შეშას არ გამოიმეტებ, მწვადი უმი დაგრჩება“.

ვახტანგი, მართალია, სპარსულ ტექსტს თარგმნიდა და ძირითადად იმით იფარგლებოდა, მაგრამ ზოგჯერ განსხვავებულ შეხედულებას ქადაგებდა და საყურადღებო მოწოდებებს გვთავაზობდა. მის ნააზრევში რამდენადმე კლასიკური ხანის ქართული მწერლობის ცხოველმყოფელი გავლენაც შეინიშნება. მაგალითად, მისი სიტყვები: „მაშ ეცადე — ან მოჰკვდე და ან სახელი ჰქმნა“, „ცოტას მიცემით ბევრი დაგრჩება“, უნებურად გვაგონებს „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ აფორიზმებს: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ და „რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!“

ვახტანგი არ დაკმაყოფილებულა „ამირნასარიანის“ თარგმნით და გვიან ხანაში, უკვე მოსკოვში ცხოვრებისას, იგი გალექსა კიდეც. გალექსილი რედაქციის დასაწყისში მან საგანგებოდ აღნიშნა დიდაქტი-

ქურ-მორალური მოძღვრების მნიშვნელობა და თავისი მიზანდასახულებაც გაგვაცნო:

თუ იწერთნი, მითქვამს ნათქვამი ფილასოფოსთა ბრძნობანი,
სულისა შვების მიმცემი, ხორცისა გასამხნობანი,
ბედისა არად სახმარი, ცდისა და საქმის ნობანი,
ყრძათა და გამოუცდელთა ბრძმედულად გარდადნობანი.
სიბრძნემ მიმზიდა საამბოდ ამბავი საამბელადო,
მინდა რომ იყვნეთ მოყვასნი ურთიერთ უგმობელადო,
შევმზადე რამე საზრდელი, არ სულა უგბობელადო,
ოქმა ადეილია, მოყვასო, ყურთ თუ ხარ მომგებელადო.

იმის გასაგებად, თუ როგორ ეპყრობოდა ვახტანგი თავის პროზაულ თარგმანს და როგორ სახეს აძლევდა მას ახალ გალექსილ რედაქციაში, მოვიტანთ რამდენიმე შესატყვის ადგილს ორივე რედაქციიდან.

პროზაული რედაქცია (I): „სიკეთის საქმე თავმდაბლობით იქნების". გალექსილი რედაქცია (II): „სიკეთის ნდომას სიმდაბლე უცხოთ რამ გააძალებსა".

I. „შენი აგებულება ზნეობისა და გარჯისათვის ნუ გშურს". II. „სოფელსა კაცი ამით იქს თავისა გამოჩენასა, თავი არ რიდოს გარჯასა, სწავლისა აღმოცენასა".

I. „ეცადე სიტყვა ადგილს თქვა, თორემ უჟამოდ სიტყვა კარგიც რომ თქვა, უგემოა"; II. „ადგილს თქვი სიტყვა, ნუმცა ხარ უჟამოდ რისმე მბოსანი, უგემო იყოს, კარგიც თქვი წყენისა მიმცემოსანი".

I. „არა საუნჯე და არა კეთილი სახელოვნებას არ შეედრება"; II. „ბრძენს უთქვამს: არა სიმდიდრე, არა სიკეთის ქონანი, არ შეედრების სახელსა მისი ვისა აქვს გონანი".

I. „სწავლის დროს რა ძებნა უნდა? ან ეს არა სთქვა — ჯერ გუნება არა მაქვს და მერე ვისწავლიო. ასე ხამს, რომ ერთი საათი არ გამოუშვა, რომ არა ისწავლო რა"; II. „ძებნა არ უნდა სწავლისა დღესა, დროსა და ჟამებსა, კვლავ შევეცდები, რად უბნობ, გულისა დასაამებსა? არ დაისწავლის ერთიცა, ნუ გამოუშვებ წამებსა".

I. „შენი ენა და ყური კაის თქმასა და კაის გაგონებას დააჩვიე, თორემ რადგან ერთხელ ავს დაეჩვევი, ნიადაგ ავს იტყვი და აგრეთვე კარგი არ არი. ავს სიტყვას ეკრძალე, მკითხველს კარგი მიუგე";

II. „ხამსა კაცსა ავ სიტყვაზე ყური ჰქონდეს ნარიდალი, რაცა ჰკითხონ, კარგი უთხრას, არა რამე ნაცუდალი“.

„ქილილა და დამანა“

ეს „ქილილა და დამანა“ ბრძენთაგან გამოთქმულები,
სპარსთა ენისა სიტკბოთი დაშაქრულ-დამბასულები,
ვპოე და ჩვენად გარდმოვსთქვი ყვავილი ტურფად რგულები,
ლექსი-ლექსად და ამბავი, არც ერთი დაკლებულები

ვახტანგ VI

„ქილილა და დამანა“ მრავალმხრივ საყურადღებო და ძალზე გავრცელებული ძეგლია. ერთი მეცნიერის შენიშვნით, ის „მსოფლიო ლიტერატურის ძვირფასი მარგალიტია... რომლითაც საუკუნეების განმავლობაში მდიდრდებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თითქმის ყველა ხალხის სულიერი საგანძური“.

„ქილილა და დამანას“ სამშობლო ინდოეთია. ირანის შაჰის ხოსროვ ანუშირვანის (531 — 579) ბრძანებით ინდური კრებული სანსკრიტულიდან ფალაურ ენაზე დაუმუშავებია ბარზუის. იმავე საუკუნეში ფალაურიდან (საშუალო სპარსულიდან) ეს ძეგლი სირიულად უთარგმნია ბოდს (ბუდს). ფალაურ ორიგინალზეევა დამოკიდებული „ქილილა და დამანას“ არაბული თარგმანიც VIII საუკუნისა. ფალაური ორიგინალი დაკარგულია, ამიტომ სირიულსა და არაბულ ტექსტებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. არაბული ვერსია დამუშავებულია იბნ-ალ-მუყაფას მიერ. ეს საფუძვლად დაედვა ტექსტის თარგმანებს ახალ სპარსულსა თუ ევროპულ ენებზე. ახალ სპარსულ ენაზე ცნობილია რამდენიმე რედაქცია. მათგან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ნასრ-ულლაჰის (XII ს.) პროზაულმა რედაქციამ.

შემდეგ პერიოდში ჩამოყალიბდა ახალი რედაქცია — „ანვარი სოჰაილი“. ის დაუმუშავებია იბნ-ალი-ალ-ვაიზ-ალ მერუფ ქაშიფის (გარდ. 1505 წ.) ემირ აჰმედ ას-სოჰაილის ბრძანებით. შემკვეთის სახელი ეწოდა ახლად დამუშავებულ კრებულს („ანვარი სოჰაილი“

ნიშნავს „მნათობ კანოპუსს ანუ თაგთაგირს — სამხრეთის ცის კაშკაშა ვარსკვლავს").

„ანვარი სოჰაილი" ძალზე გავრცელდა. აკად. ა. კრიმსკის ცნობით, მან „უდიდესი პოპულარობა დაიმსახურა მთელ ისლამურ სამყაროში, ითარგმნებოდა მრავალ აზიურ და ევროპულ ენაზე, იწვევდა ახალ მიბაძვებს და გადამუშავებას". ცნობილია მისი რამდენიმე ათეული რედაქცია. ქართულად ის ორჯერ ითარგმნა.

ქართული „ქილილა და დამანა" „ანვარი სოჰაილის" სახელითაცაა ცნობილი. ის იგავ-არაკთა კრებულია. ყველაზე ვრცელია ქილილასა და დამანას იგავ-არაკი. ძეგლმაც აქედან მიიღო სახელწოდება.

თხზულებას უძღვის ვრცელი შესავალი, რომელშიც არის ხუთი იგავ-არაკი: ორი ტრედი, ქორის ბარტყი და ყორანი, დედაბრის კატა, სვებედნიერი ჭაბუკი, ვეფხის ბოკვერი და ლომი. შემდეგ მოდის 14 კარი.

ქილილა და დამანას ამბავი მოთხრობილია პირველ ორ კარში, შეიცავს 38 იგავ-არაკს. მისი შინაარსი ასეთია: ერთი დიდი ვაჭრის შვილი სავაჭროდ წავიდა სხვა ქვეყანაში. თან ორი აზავერი, მებარგული ხარი ახლდა „საჭვრეტლად ტურფად ლამაზი... მებრძოლად ლომის სახენი". ერთს ერქვა შუთურბა, მეორეს — მანდაბა. დიდმა გზამ დაღალა ხარები. ვაჭარი „დიდად ხელს უწყობდა, მაგრამ გზის სიგრძემ და თემით-თემ სიარულმან მიაჭირვა და სიმშლე ეუფლათ". გზაზე შეხვდათ ტალახი. შუთურბა შიგ ჩაეფლო. ვაჭარმა „მრაკლის ღონისძიებით ამოიყვანა", მაგრამ ხარს სვლა აღარ შეეძლო. ვაჭარმა ის ერთ მოჯამაგირეს მიაბარა და მოვლა სთხოვა. მომჯობინებული შუთურბა მოჯამაგირეს პატრონთან უნდა მიეყვანა. ორიოდე დღე მოჯამაგირემ შუთურბასთან გაატარა, შემდეგ მარტოობა მოსწყინდა, მიატოვა ის და პატრონს ეახლა, შუთურბას დაკარგვის ამბავი აცნობა. მანდაბამ მეგობრის დაკარგვა ვერ აიტანა და მოკვდა.

მცირე ხანში შუთურბამ „ღონე მოიცა და დაძვრა შეიძლო", კარგი სათიბი ნახა და დიდხანს სძოვა, „მეტად პოხილად გასუქდა" და ბღავილი იწყო. „მოსვენებამა და სიხარულით გემოვნებამან მაღალი ყვირილი მოანდომა".

იმ ადგილებში ლომი ცხოვრობდა. ყოველი მხეცი მას ემონებოდა, მას ემსახურებოდა. ლომსაც „მისი უფროსი აღარავინ ეგონა". მაგ-

რამ მას „არც აზავერი ენახა, არც ხარის ხმა ასმოდა“. შუთურბას ბღავილმა ის შეაშფოთა, შეაშინა. ლომს არ სურდა მისი შეშინება ხელქვეითებს გაეგოთ, ამიტომაც მარტოობა ირჩია და ჩაიკეტა.

ლომის შეშინება მხეცებმა მაინც გაიგეს. გაიგეს ეს ტურებმაც: ქილილამ და დამანამ.

ქილილა წუნარი, მშვიდი, კეთილი და თავმდაბალი იყო, დამანა — პატივმოყვარე, გაიძვერა, ცბიერი, ფლიდი, ვერაგი.

დამანამ განიზრახა ესარგებლა ლომის მდგომარეობით, მისი შეშინებით და სახელი მოეპოვებინა. ის „სახელის მძებნელი იყო“. ქილილა მას არ უშვებდა ლომთან, არ ურჩევდა სხვის საქმეში ჩარევას, მაგრამ დამანამ დაიჟინა: „მე სანამდისი ლომისაგან დიდების ხარისხს არ ვიშოვნი და მის წარჩინებულთა შიგა არ გავერევი, თავსა განსვენების სასთუმალზე არ დავსდებ და ფერხთა შვებისა საგებელთა ვერ გავიწვდიო“.


დამანა ეახლა ლომს; თაყვანი სცა, ერთგულება აღუთქვა, მომსახურება დაუწყო. როცა გაიგო ლომის შეშინების მიზეზი, ხარის დამორჩილება აღუთქვა. დანაპირი კიდეც შეასრულა. შუთურბა მიჰგვარა ლომს. ამ უკანასკნელს შუთურბა ძალზე მოეწონა; შეიყვარა ის და დაიახლოვა, დააწინაურა და საპატიო ადგილი მისცა.

ბოროტი დამანა აღშფოთდა, შუთურბამ გაუსწრო კარზე. დამანამ შურისძიება გადაწყვიტა. კეთილი ქილილა ცდილობს დაუშალოს ბოროტი ზრახვა, მაგრამ ამაოდ. დამანამ შეძლო შუთურბას დაღუპვა.

დამანას მთავარი საწადელი მაინც შეუსრულებელი დარჩა. შემდეგში მისი სიმუხთლე გამომჟღავნდა. „ლომმა და ბრჭეებმა დამანას მაგრა შეკვრა და კრძალულად პყრობა ბრძანეს. მუნით მძორივით თრევით წაიღეს, ბოროტად ტანჯეს და ბოლოდ საპყრობილესა შინა მშიერ-მწყურვალი, დაყროლებული მძორი შეიქმნა, და მისის ბრიკისა და ხლართისა და ეშმაკურობის ისარი მასვე ეცა. საპყრობილეს ჯოჯოხეთით ჯოჯოხეთის საპყრობილესა ჩაიჭრა“.

დასკვნა ასეთია: „ჩხუბის მოქმედი ბოლო ჟამს უწყალოს საქმით ასრე ორსავ სოფელს სატანჯველს მიეცემა“.

„კეთილს კეთილი შეეზღვის, ავს — ავი გარდადებითა“.



სულხან-საბა ორბელიანი „ქილილა და დამანას“ მიართმევს ვახტანგს.



ვახტანგ VI (პორტრეტი იბეჭდებოდა თბილისის სტამბის გამოცემებში).

„ქილილა და დამანა“ ჯერ კიდევ კლასიკურ ხანაში ითარგმნა ქართულ ენაზე. ამის თაობაზე ჩვენ გვაქვს ვახტანგის პირდაპირი ცნობა: „ყამსა მას პატიოსნისა და ამაღლებულისა და დიდებულისა. დედათმშვენიერებისა, თვითმპყრობელისა და ღმთივგვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა თამარისა ესე წიგნი ეთარგმნათ, რომელი ცხოვრებასა ქართლისასა წერილ არს“.

„ქილილა და დამანას“ კვალს მართლაც ვხვდებით „ქართლის ცხოვრებაში“ (თამარის ისტორიკოსი წერს: „ვითარ ითქმის ინდოთა აღწერილსა ქილილა-დამანასა შინა იგავი ბუთა და ყვავთა...“). ძველ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია. იმავე ვახტანგის თქმით, „მაშინდელი (XII ს. — ლ. მ.) ნათარგმნი ჟამთა ვითარებით დაკარგულიყო“. საფიქრებელია, რომ ძველი ქართული თარგმანი მომდინარეობდა ნასრ-ულლაჰის პროზაული ვერსიიდან, რომელიც დამუშავდა 1144 წ. ახლოს.

„ქილილა და დამანამ“ დიდი გამოხმაურება პოვა და ფართოდ გავრცელდა ხალხში. მისმა იგავ-არაკებმა ხალხური ზეპირსიტყვიერების უკვდავ საგანძურში ფრიად საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. ამ საკითხზეც მოგვეპოვება ვახტანგის ცნობა: „რაოდენსაცა საქართველოში ანუ არაკსა და ანუ იგავსა, ანუ ზეპირს მუნასიბსა ლექსსა ახლა იტყვიან, უფროსი-ერთი ამაში სწერია“.

განსაკუთრებით ძლიერდება ინტერესი ამ კრებულისადმი აღორძინების ხანაში. მის თარგმნას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს.

აღორძინების ხანაში „ქილილა და დამანას“ თარგმნას ხელი მოჰკიდა კახეთის მეფემ დავითმა (გარდ. 1602 წ.), ცნობილი ქართველი პოეტის, თეიმურაზ პირველის მამამ. ვახტანგს ამ საკითხზე შემდეგი უწერია: „ბატონს დავითს, ბატონის თეიმურაზის მამას, კუსა და მორიელის არაკამდის ეთარგმნა, მაგრამ არც ლექსი გამოეღო და ზოგი სიტყვაც დაეკლო და არც დასრულება დასცალებოდა“. აქედან უკვე ჩანს, რომ დავითისეული თარგმანი არც სრული ყოფილა და არც უნაკლო. დავითმა თარგმნა თხზულების მხოლოდ პროზაული ნაწილი, ლექსებს არც შეეხო. პროზის თარგმანი შედარებით ზუსტი და სრულია. ერთი კი შეინიშნება, დავითი ცდილობდა შინაარსის ზუსტად გადმოცემას და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მხატვრულ მხარეს. ამიტომაც მისი თარგმანი ღარიბი გამოვიდა.

დავითისეული თარგმანი ხელთ ჩაუვარდა ვახტანგ მეექვსეს. მას კარგად ესმოდა „ქილილა და დამანას“ ღირსება და მნიშვნელობა. ამიტომაც განიზრახა კახთა მეფის მიერ წამოწყებული საქმის გაგრძობა. საამისოდ დამხმარე პირნი მოძებნა. ვახტანგი გვაუწყებს: „მე ის წიგნი ხელად შემომივარდა. ვნახე რომ იყო სიტკბოთი და სარგოთი სრული. რაოდენი ზღაპრის წიგნია და ანუ მსოფლიო სწავლანი არიან, ამისთანა სარგო და საამოდ საკითხავი არ იპოებოდა.

ერთს სპარსსა, რომ მცირედ ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა იწყო, მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგა გამოიღო და გასრულებამდის მეც ისპაანს წასვლა მომიხდა. ისპაანს რომ ჩაველ, მუნ ერთს სომეხს უთხარ, რომ სპარსული ესწავლა, ნაკლების შესრულება და მან შეასრულა; მაგრამ ლექსი, სიტყვა და გაწყობა ბევრი დააკლდა“.

ვახტანგის თანამშრომლები ვერ ყოფილან კარგი მწერლები. ირანელს ქართული არ სცოდნია კარგად, სომეხს არავითარი სამწერლო მონაცემი არ გააჩნდა. თარგმანი ძალზე სუსტი გამოვიდა. ირანელმა ძალზე შეამოკლა ტექსტი, სომხის თარგმანში სიუჟეტურ-ფაბულარული თავისებურებაც შეინიშნება.

ვახტანგმა კოლექტიური თარგმანი შეუდარა დედანს და შენიშნა თარგმანის უსრულობა. მან რედაქციული მუშაობაც ჩაატარა ხელნაწერზე, შეიტანა არა ერთი ცვლილება. ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერს მრავლად შემოუნახავს ავტოგრაფული მინაწერები, გაბნეული არშიებზე და სტრიქონებს შუა. ვახტანგმა ნაწილობრივ შეავსო (—დასაწყისი ნაწილი), ნაწილობრივ შეასწორა ეს კოლექტიური თარგმანი; დავითისეულ თარგმანში გამოტოვებული ლექსები თარგმნა პროზაულად და სათანადო ადგილას ჩაუმატა, ამ ნაწილის პროზას ცოტაოდენ ჩალხიც გაჰკრა. რაც შეეხება ირანელისა და სომხის მიერ თარგმნილ ნაკვეთს, ვახტანგმა მასზე განსხვავებული მუშაობა ჩაატარა: ახლად არაფერი თარგმნა, მაგრამ პროზაულად თარგმნილი ლექსები სათანადოდ გააწყო. გალექსვისას იგი ზოგჯერ არც კი ცვლიდა პროზაული თარგმანის სიტყვიერ მასალას. მაგალითად, სომხის თარგმანი: „ერთის მხარის გაშლით მეშვიდე ცას მკერდს გაუპობდა“, ასე გალექსა: „ერთის მხრის გაშლით მეშვიდე ცას მკერდსა გაუპობდისა“. ამავე დროს ზოგჯერ იგი საკმაოდ თავისუფლად ეკი-

დებოდა გასალექსავ მასალას. მაგალითად, ირანელის პროზაული თარგმანი: „ცისა და ქვეყნის დამაარსებელი ავისა და კაის გამრკვეველია; კაისათვის კაის მისცემს, ავის მქნელი რაღას ელის?!“ ვახტანგთან ასე იკითხება:

ვინ შექმნა ცა და ქვეყანა სიბრძნით და ხელოვნებითა,
ავსა და კარგსა შიგ არჩევს კეთილით, გინდა ენებითა;
კარგს მისცემს კარგსა უთუოდ, მზეებრ შუქმოვანებითა,
მაშ, ავი რაღას მოელის გინდ ძალით, გინდა ნებითა?

საგულისხმოა, რომ ვახტანგის ნამუშევარი რედაქციული ცვლილებებითაც ხასიათდება. ესა თუ ის ადგილი ზოგჯერ რამდენიმე სახითაა მოცემული. მაგალითად, დავითის მიერ გამოტოვებული ერთი ლექსი, რომელიც დედანში ასეა მოცემული: „სადაც დაღის დასმა ხამს, მალამო რომ დასდო — უსარგებლოა“, ვახტანგმა რამდენჯერმე გალექსა:

სადაც ხამდეს დაღის დასმა, მას მალამმა ვერა კურნოს.
სადაც დუგუნის დასმა გინდოდეს, იქ მალამოს დადება არასა რგებს.
დაღის ადგილს მალმის დება არას არგებს უსაცილოდ.

მართალია, სამივე თარგმანი სწორია და დედნის აზრს კარგად გადმოგვცემს, მაგრამ ვახტანგი მაინც უკმაყოფილო დარჩა და აღნიშნული ადგილი ერთხელ კიდევ, — უკვე მეოთხედ, — თარგმნა და ვალექსა:

სად სწადდეს დასმა დაღისა ცეცხლითა მოსადებითა,
მუნ მალამისა იყოსცა გამპირე დასადებითა,
ვერ კურნებს იმას მკურნალი მთავრობდეს ხელოვნებითა,
გინ სიბრძნის შუქსა სამუდმოდ მყოფლობდეს მოვანებითა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ვახტანგის მუშაობა რამდენადმე ზერელე იყო და კოლექტიური თარგმანი მაინც უხეირო თარგმანად დარჩა.

ისპაანიდან ვახტანგი გაგზავნეს ქირმანს (1714 წ.). „რა მიველ მუნ, — მოგვითხრობს მგოსანი, — წიგნი სარგონი არ მახლდა, და ცუდად ყოფნა სულისაც მაზიანებელად ვნახე და ხორცის საწუხრადაც. სხვა საქმე არა მქონდა რა და ამის შექცევას გამოვეკიდე“.

როგორც ცნობილია, საერო თემატიკის დამუშავება ეკლესიის მსახურთა რისხვას იწვევდა, ხოლო აღმოსავლური ამბების, ზღაპ-

რულ-ფანტასტიკური სიუჟეტების გამოყენება არჩილის სკოლის წარმომადგენლებს არ მოსწონდათ. ასე რომ, ვახტანგი „ქილილა და დამანაზე“ მუშაობით ორივე ბანაკს აღელვებდა. ამას ის კარგად გრძნობდა, წამოწყებულ საქმეს საჩოთიროდ თლიდა და თავდაცვის მიზნით წინასწარ ბოდიშობდა:

მეც მივჰყევ სპარსთა ზღაპრისა თარგმანებისა მგებართა,
არავინ მიშვებს გარეგან მთათა და გინა მე ბართა,
არ ვგავარ არას საქმითა ვარდთა კოკობთა მკრებართა,
რა უყო, გაბჭეთ, სამუდმოდ სახმილსა მძაფრად მგზნებართა.
ვერ ვიტყვი ღირსად საფერად წმიდის სამების ჭებასა,
მოსეც შლის ამოებაზე ღმთის სახელისა ხმობასა,
ზღაპარი მეთქვა, ისიცა ვაქმარე ამ ამბობასა,
ამისთვის აღარ მივხედე უშესაელობის გმობასა.

ვახტანგი ენერგიულად მოეკიდა ამ დიდ საქმეს, გარჯას აღარ მოერიდა, სამუშაო საკმაოდ კეთილსინდისიერად შეასრულა. თავმდაბალი პოეტი წერდა: „თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ: ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა“.

თავისი თარგმანის შესახებ ვახტანგი საგანგებოდ შენიშნავდა: „სპარსთ ენაში მეტად ტკბილად და კარგად უთქვამსთ. ამასაც ნახავთ, ლექსი ლექსად გარდმოვსთქვი უკლებრად, რომელი ოთხმუხლი იყო, ანუ ორმუხლი, ანუ ერთმუხლი, ანუ ათმუხლი, მეტი თუ ნაკლები, და ამბავი — ამბად. მაგრამ ლექსი სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმნება, ამბად მოვა, და მე იმავე ამბის გალექსვა მოვინდომე, და ეგება ლექსი არ მოგეწონოსთ, გასინჯეთ, რომ სხვის კაცისაგან ნათქვამს ამბავს მეორე ისე ვეღარ იტყვის. სპარსის ლექსის იგავნი ამის უკეთ ქართულად ვერ მოვიყვანე, თვარემ სპარსულში დიაღ გაწყობილია“.

ვახტანგმა გამოიჩინა საქმისადმი სიყვარული და გულმოდგინეობა, ენერგია არ დაიშურა სრულყოფილი თარგმანის მისაღებად. მან სიტყვასიტყვით თარგმნა ტექსტი. შედარებით ნაკლები ყურადღება მიაქცია თარგმნილი მასალის ქართულად გამართვას და ქართული ლიტერატურული ენის ნორმების დაცვას. ის იმდენად იყო დაინტე-

რესებული დედნის ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოცემით, რომ თარგმნილი ტექსტის სტილზე აღარც კი მუშაობდა. საგულისხმოა, რომ მეორედ ჩაკითხვისა და თარგმნილი მასალის ორიგინალთან შედარებისას ვახტანგი კვლავ ამ მხარეს აქცევდა ყურადღებას და გულმოდგინედ ცდილობდა დედნის ტექსტთან დაახლოებას. მაგალითად, ორიგინალის ერთი ადგილი („ერთ ბრძენს უბრძანებია, რომ იხელოსნე, რათა არ გაზარმაცდე") ვახტანგმა ჯერ ასე თარგმნა: „ერთს ბრძენს უთქვამს, ისაქმე და მიუნდობელი არ გახდე", ხოლო შემდეგ ასე დააზუსტა: „ერთს ბრძენს უთქვამს, იმუშავე და გაიჭირვე, რომ მცონარი არ გახდე".

ვახტანგის თარგმანის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ლექსები (მცირე გამონაკლისის გარდა) თარგმნილია პროზაულად, თუმცა ტაეპობრივი შესატყვისობა კარგადაა დაცული. ამასთანავე ზოგჯერ ვახტანგი ლექსადაც აწყობდა სათანადო ადგილებს. არცთუ იშვიათად ვახტანგი გვაწვდიდა დედნის ლექსის პროზაულ თარგმანს და მის გალექსილ რედაქციასაც. მაგალითად, ერთ ადგილას მოცემულია პროზაული თარგმანი დედნისა:

> სიკეთე მუშას ჰგავს. რაგინდ მუშკი დაფარულ იყოს,
> მისის სულის სურნელობისაგან საყნოსელს ამბავი ექნება,
> არ გაისერების ტალახით მზის სხივი,
> სათსა და სათის სიბრწყინვალის ნიშანს მოიმატებს.

იქვე არშიაზე იკითხება ლექსი:

> სიკეთე მუშკს გავს, რაგინდ რომ დაფარო, გაახვიოდა,
> საყნოსელს სული ექნების თუ გინდ არ გაახიოდა,
> არ გაისერების მზის შუქი ტალახი დაასხიოდა,
> სათსა და სათის შუქს მატობს რაგინდ არ მოიწიოდა.

ასე რომ, ვახტანგმა სპარსული ლექსები პროზაულად თარგმნა, მაგრამ ზოგჯერ მოგვცა მათი პარალელური ლექსითი თარგმანებიც.

ვახტანგმა მთელი თავისი ნამუშევარი ერთხელ კიდევ შეუდარა ორიგინალს, ბევრი რამ შეასწორა და დააზუსტა ქართულ თარგმანში. მისი ხელნაწერი, რომელიც ახლა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა სექტორში ინახება, ჭარბადაა შემკული ვახტანგის შენიშვნებით,

ჩანაწერებით, კომენტარებით. ვახტანგი არ გვაძლევდა ორიგინალისათვის დამახასიათებელ სტილისტიკურ სიმშვენიერეს, მაგრამ სპარსული ტექსტის ტყუეობას თავი მაინც ვერ დააღწია. თარგმანში აქა-იქ შემორჩენილა სპარსული კონსტრუქციაც.

ვახტანგის ენა რამდენადმე სადა და უბრალოა. „ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით დავწერე, რომ მკითხველთ სამძულვაროდ არ უჩნდესთ და ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩესო“, — აღნიშნავდა მთარგმნელი. ან კიდევ:

არ ვიყავ სულაც უცოდნი, ვიცოდი ენა მძიმები,
მეკითხა წიგნი საღმთო და საერო ამას წინები.
ვთქვი ენით მეტად ადვილით, რომ იყოს მოუწყინები,
არვინ გამხადოთ ამისთვის საკიცხარ-მოსაყინები.

მთარგმნელი თითქოს მკითხველ საზოგადოებრიობას უწევდა ანგარიშს, თითქოს, განზრახ არბილებდა ტექსტს. მართალია, წინა თარგმანთან შედარებით მისი თარგმანი უკეთესია, უფრო მარტივი ენითაა შესრულებული, მაგრამ მთავარი მიზეზი ვახტანგს ამ შემთხვევაში არ მოუხსენებია. მან შეძლებისდაგვარად ყველაფერი გააკეთა, მაგრამ მოამზადა არა საბოლოოდ დადგენილი ტექსტი, არამედ მასალა, რომელიც რედაქტორის ხელში მიიღებდა შესაბამის სახეს. ის სხვაზე უკეთ გრძნობდა, რომ მისი ნამუშევარი სრულყოფილი არ იყო და დამატებით მუშაობას მოითხოვდა. აკი წერდა:

ვინც უკეთ იტყვით, არ გიშლი, არც არას მეწყინებისა,
მე ჩემმა ბედმან არ მომცა ჟამი ჩემისა ნებისა;
რაც ჯავრისაგან შევიძელ, ვთქვი რამე მელხინებისა,
სხვა მეტი ვერა გავაწყეე თქმა ქების, გინდ გინებისა.

საგულისხმოა, რომ ვახტანგმა სცადა მაჰმადიანური რელიგიურ-მორალური ელემენტების შერბილება და მათ ხარჯზე თხზულებაში ქართულ-ქრისტიანული მოტივების შეტანა. იქ სადაც მაჰმადიანთა დაწებით მხარეზე იყო ლაპარაკი, ვახტანგმა მართლმადიდებელთა ხსენება ჩაურთო, სხვაგან მაჰმადი ბრძენით შეცვალა და ა. შ. ასეთია მისი რელიგიური კორექტივი, ასეთივეა იდეოლოგიური ხასიათის შესწორებანიც.

ქალის შესახებ დედანში იკითხება: „დედაკაცნი ათიდან ოც წლამდის განსვენების ადგილნია და იმედის სადგური; ოციდან ოცდაათამდის — მაძიებელთა გულის სიმშვიდეა და ვნებით აღბორგებულთა სულის გემო, ოცდაათიდან ორმოცამდის — ქონებისა და ჯალაბობის მოურავნი, მაღალზნეობის უფალნი; ორმოციდან ორმოცდაათამდის — სახელისა და ნამუსის მჩენნი გარეგნულად, არსებითად კი პირფერნი და ცბიერნი. ხოლო ორმოცდაათ წელს გადაცილებული დედაკაცნი შავი ჭირია და სარჩო-საბადებლის ვაება, შემოდგომა მონახული წალკოტნია, წვიმა მოსწრებული შენობა, დამდგარი წყარო, მიწა უნაყოფო, უგანძო გველვეშაპი და მუხანათობისა და ტანჯვის მაღარო“.

ვახტანგს ციტირებული ნაწყვეტის ბოლო ნაწილი არ მოეწონა. მან ტექსტს გადაუხვია, იგი სხვაგვარად გაიაზრა, დედნის კილო შეარბილა, ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი მანდილოსნის კულტი სათანადოდ წარმოაჩინა: „დედაკაცი ათის წლისა ოც წლამდი მოსვენებისა და იმედის ალაგი არის; ოცსა და ოცდაათს წლამდის — მათს მდომელთათვის გულის დამწუნარებელნი, საწადლის აღმასრულებელნი და სულის გემონი; ოცდაათიდამ ორმოცამდის — საქონლისა და შვილების მომვლელნი; ორმოცისა და ორმოცდაათისა — სახელისა და ნამუსის მქნელნი; რომ არ უნდოდეს პირდაპირ რაც არის, საბატიურობასა და სალოსობას დაიწყებს. და რა მას გარდასცილდა, კაცთაგან პატივის საცემნი და პატიოსნად გამოსაჩენნი და შესანახავნი არიან, მაგრამ ავი დედაკაცი შავი ჭირი შეიქნება, სულისა და საქონლის მაოხარი, შემოდგომა ყვავილოვანისათვის და წვიმის დაუჭერელი სასახლე, უწყალო წყარო, უნაყოფო მიწა, ხაზინაში გველვეშაპი, ჭირისა და გარჯილობის ქანი“.

ვახტანგს არ დასცალდა ტექსტის საბოლოო დამუშავება. „კვლავ მიხმეს ისევ ისპაანს, დამრჩა ეს შეუსრულებიო“, — გულისტკივილით წერდა პოეტი. 1716 წლის 1 ივნისს ის ისპაანს გაიწვიეს. ვახტანგმა მის მიერ თარგმნილი „ქილილა და დამანა“ სარედაქციოდ გამოუგზავნა თავის კარის მდივანს ონანას და სთხოვა პროზით ნათარგმნი ლექსების გაწყობა. თავის ანდერძში ონანა გვაუწყებს: „ეს ძლიერი და ამაღლებული მეფე დროსა და ჟამთა იწროებისაგან უცალოდ იქნა და თავისის სიბრძნით გახალასებული სამეცნიერო წიგნი

თვით აღარ გალექსა და მათის უფსკრულის სიბრძნისაგან მეორედ აღარ ააცსო და ჩვენ გვიბრძანა ეს ძნიად მისახდომი სამსახური და, თუცა ძალგვიძეს, შემართვა გვნებავს".

ონანამ პროზას ხელი არ ახლო, არ შეცვალა. მან მხოლოდ სათანადო ადგილები გალექსა. ამასთანავე უცვლელად გაიმეორა ვახტანგის მიერ ლექსად გაწყობილი მასალა. ამრიგად, მას ეკუთვნის ვახტანგის მიერ პროზაულად თარგმნილი სპარსული ლექსების ლექსად გაწყობა. ონანა საკმაოდ ნიჭიერი პოეტი იყო და დავალებაც კარგად შეასრულა, „ქილილა და დამანა" ჯეროვნად გამართა, მაგრამ მალე უკეთესი რედაქცია გაჩნდა.

1716 წლის ივლისში ევროპიდან დაბრუნდა სულხან-საბა ორბელიანი. ვახტანგმა „გასაჩალხად" მას გაუგზავნა „ქილილა და დამამანას" საკუთარი თარგმანი.

ცნობილია სულხან-საბა ორბელიანის მიერ დამუშავებული „ქილილა და დამანას" ავტოგრაფული ნუსხა. მას ახლავს „ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა დიდად შეჭირვებულ-შეღონებულისა". ეს ფრიად საყურადღებო დოკუმენტია, შეიცავს საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებს, გვაცნობს სულხან-საბას ბიოგრაფიის ცალკეულ მომენტებსა და მწერლის განწყობილებას. ამიტომ აქვე მოგვყავს ნაწყვეტის სახით.

„ეს წიგნი ქირმანსა და ისპაანს შეჭირვებაში მყოფსა და უსაქმო მზრუნავს, გონების ურვის წამლად მოემუშაკა მეფესა ქართველთასა ვახტანგს — სპარსულისაგან ქართულად ეთარგმნინა.

ამისთვის მრავალს გარჯილიყო და დიდის ჭირით ქართულად გამოეღო. და თვითან ზედმიწევნით სპარსული არ იცოდა, და მთარგმნელებიც თავის გუნებისა ვერ იშოვნა, და მირევ-მორევით გარდმოეთარგმნათ. სხვას ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კაის მცოდინარისაგან, გადმოთარგმნა ძნელია: ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს და ზოგან ართრონი ან მოუმატოს, ან დააკლოს, თვარამ სწორად ისე უგემური მოვა. რა გაეთაებინა, ქართლში სულხან-საბა ორბელიანისათვის გამოეგზავნა და მოეწერა მაღალსა მდაბალი ბოდიშები:

> აწ მოიგონე შენ ჩემი პირველი სიყვარულია,
> ეს საქმე კარგად მისაქმე, თვალთ ნუ მოგივა რულია.

და ებრძანა: ეს ჩემი ჰირნახული გაჩალხე გემოანად და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრევე ქართულად ლექსები ჩაურთეო.

ეს სულხან-საბა ორბელიანი გიორგი მეფის დედის ძმისწული იყო და მისგანვე შვილურად გაზრდილი და განსწავლებული, და ვახტანგ მეფისა ბიძად და გამზრდელად წოდებული და დიდად საყვარელი. ამ სოფლის სიმუხთლემ ერთმანეთს მოაშორა და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი განხეთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალო მწყრომელი შექნეს, და მერმე ეს ბრძანება მოუვიდა, უარი აღარ იქნებოდა, თვარამ მონაზვნისაგან ამისთანა ამბავი უწესოა და ურიგო...

ბერ-მონაზონი რომ მოსეს წიგნის ნაცვლად „ქილილა და დამანას" აკეთებდეს, ვეჭობ, მეფესაც გაეცინოს..."

როდის მუშაობდა სულხან-საბა „ქილილა და დამანაზე?" როგორც ანდერძიდან ვგებულობთ, ვახტანგმა მას ირანიდან შემოუთვალა, იქიდან სთხოვა „ეს ჩემი ჰირნახული გაჩალხე გემოანადო". იმ დროს სულხან-საბა დაბრუნებული იყო (დაბრუნდა 1716 წ. ივლისში), ხოლო ვახტანგი კვლავ ირანში ცხოვრობდა (1719 წლამდე). ასე რომ, სულხან-საბამ ვახტანგის დავალება მიიღო და მასზე მინდობილი საპატიო და საპასუხისმგებლო საქმე შეასრულა 1716—1719 წწ.

აღსანიშნავია, რომ სულხან-საბას არ უთარგმნია ტექსტი, არამედ აუღია ვახტანგის თარგმანი, გადაუმუშავებია რედაქციულად, შეუსწორებია და ლექსები (პროზაულად თარგმნილი) გაულექსავს, სპარსიზმები წაუშლია და რელიგიური ეპიზოდები გადაუკეთებია („სადაც სჯულის წინააღმდეგად ჩნდა, ცოტა რამ ჩალხი ვკარ"), მუსლიმანური ფატალიზმის იდეა ქრისტიანული აღმსარებლობის კვალობაზე შეუცვლია.

როგორც აღვნიშნეთ, სულხან-საბა ორბელიანს ხელთ ჰქონდა ვახტანგისეული თარგმანი და არა ორიგინალი. ამიტომ ვახტანგის თარგმანის დამახასიათებელი ნიშნები აქაც გვხვდება. ის, რაც ზედმეტი იყო ვახტანგის თარგმანში, დარჩა სულხან-საბასეულ რედაქციაში. ხოლო ნაკლული ადგილი, კვლავ ნაკლულად დარჩა. სულხან-საბას რომ ჰქონოდა შესაძლებლობა ვახტანგის თარგმანის დედანთან შეჯერებისა, საფიქრებელია, მისი რედაქციული მუშაობა კიდევ უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებდა.

სულხან-საბამ შინაარსობლივად გაიმეორა ვახტანგის ტექსტი, ზუსტად გადმოგვცა ყოველი ცალკეული დეტალი; ამავე დროს ძალზე შეცვალა თხრობის სტილი; ახალი სახე მისცა ყოველ წინადადებას, გაწმინდა ივი ზედმეტი სიტყვებისაგან.

სულხან-საბამ სპარსული ტერმინოლოგია ქართულით შეცვალა. მაგალითად, ვახტანგის ერთი წინადადება — „ყაფასის ჯინჯილხანაში დაატყვევა“, მასთან ასეთ სახეს იღებს: „ვალიათა დილეგთა შეამწყვდია“. რედაქტორი არ მოერიდა და თამამად გაასწორა ვახტანგის უხერხული გამოთქმები. ასე, მაგალითად, ვახტანგის ეპითეტი კატისა „მჭლე და მტირალი“, მან ასე შეასწორა: „მჭლე და მჩხავანი“. ცხადია, შესწორება მართებული იყო.

ვახტანგის მიერ ხმარებული სიტყვები (ბაღი, ხერხი, კისერი, კუნძული, ლეკვი, ჯაშუში...) რედაქტორმა შეცვალა არქაულით (წალკოტი, ხრიკი, კინწი, ხერთვისი, ბოკვერი, მსტოვარი...).

„ქილილა და დამანას“ ორბელიანისეულ რედაქციას დიდ ნაკლად სდევს რიტორიკული ენაწყლიანობით აზრის გაბუნდოვანება, მაგრამ ეს დამახასიათებელია ტექსტის სპარსული დედნისათვის და ამით უნდა აიხსნას. საგულისხმოა, რომ მოხუც რედაქტორს საკმაოდ ეტყობა მიდრეკილება რიტორიკისადმი.

საინტერესოა რედაქტორის დამოკიდებულება ტექსტის რელიგიურ განწყობილებასთან. სულხან-საბა ცდილობდა დაეძლია ტექსტი, მიეცა მისთვის გარკვეული იდეური მიმართულება, „გაეჩალხა“ ის ქრისტიანული მორალის შესაბამისად. საყურადღებოა ერთი მომენტი. თხზულებით, სოლომონ ბრძენმა სათათბიროდ ადამიანებსა და ცხოველებთან ერთად მიიწვია „ქაჯნი, ქვეწარმავალნი და ფრინველნი“. ამ თხრობამ აღაშფოთა რედაქტორი, მან არშიაზე მიაწერა:

> მიკვირს, ესეთი ტყუილი რად მორთეს მათ მოჩმახითა,
> სადვთო წერილი მოშალეს, კაცნი დააბეს მახითა,
> დევ-ქაჯნი გინა პირუტყვნი გვირჩევენ, თქვან რა სახითა,
> ამის მორწმუნეს დაეცა მეხი თვალდასანახითა!

პირველად უკანასკნელ ტაეპში ეწერა „ამისსა მთქმელსა...“, მაგრამ შემდეგში სულხან-საბას შეშინებია მკითხველს „მთქმელში“ ვახტანგი არ ეგულისხმებინა და ამიტომ შეუსწორებია.

სულხან-საბა ორბელიანს ზოგჯერ კარგად ვერ გაუგია ვახტანგისეული ტექსტი. მაგალითად, ვახტანგს ეწერა:

ერთმა მუშამ რომ ანთალის თესლი დასთესოს,
შაქრის ლერწმის სიხარბე არ უნდა ქნას.

სულხან-საბამ ეს ადგილი ასე გალექსა:

ვინცა მუშაკი სთესვიდეს თესლად ნათალსა ხისასა,
შაქრის ლერწამი ვით მომკოს ნახნავსა ზედა ქვისასა?

ამრიგად, „ანთალი" სულხან-საბამ „ნათალად" მიიჩნია. სინამდვილეში ანთალი (ჰანზალი) — მცენარეა.

სულხან-საბა ორბელიანი ზოგჯერ თავის აზრსაც ურთავდა ტექსტში. ერთ არაკში: „ბებერი დედაკაცი და მისი მომაკვდავი ქალი" მას ეკუთვნის თანამედროვეობისაგან ნაწამები და ტანჯული ადამიანის გულის სიღრმიდან ამოსროლილი მწარე სიტყვები: „მე ესე მინდა, რომე სცნათ: ესეთი კაცი არ არის, რა ჭირი მიადგეს, თავი გასცეს და სხვა, თუ შეიძლოს, სანაცვლოდ თვისის თავისათვის იგი არ გაიმეტოს!"

როგორც აღვნიშნეთ, სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის „ქილილა და დამანას" გალექსილი ნაწილი. მისი ლექსები მაღალი პოეტური კულტურითა და ფაქიზი მხატვრული გემოვნებითაა დაწერილი. საგულისხმოა, რომ მან დატოვა ვახტანგის მიერ ლექსად გაწყობილი ნაკვეთები, რომელთაც ავტოგრაფსა თუ სხვა ნუსხებში მიწერილი აქვთ: „მეფის თქმული" ან „მეფის ნათქვამი" (ეს ლექსები შესულია ბეჭდურ გამოცემებშიც). რედაქტორმა ისინი დატოვა, მაგრამ ოდნავი ცვლილება მაინც შეიტანა. მაგალითად, ვახტანგი წერდა:

რაცა კაცი ასს საქმეში არ გესინჯოს, არ გეცადოს,
რასთვის ეტყვი ხვაშიადსა, რაგინდ ბევრსაც შეეცადოს?

სულხან-საბამ კი ამ გამონათქვამს ასეთი სახე მისცა:

რაცა კაცი ასს საქმეში არ გესინჯოს, არ გეცადოს,
ხვაშიადსა ნუ გაანდობ, რაგინდ მრავალს შეეცადოს!

„ქილილა და დამანას" კანონიკური რედაქცია ვახტანგისა და სულხან-საბას ერთობლივი მუშაობის შედეგია. ქართველი მკითხველი

სიამოვნებით ეცნობა ამ უკვდავი კრებულის იგავ-არაკებს და პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით იგონებს მის გადმომჭართულებელთ.

ვახტანგმა სწორად შენიშნა, რომ „ქილილა და დამანას“ კაცისათვის მრავალი სარგებელი ჰქონდა, სასმენლადაც მწვე ტკბილი და საამო იყო“. მართლაც, „ქილილა და დამანას“ ძველად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ის წარმოადგენდა პრაქტიკული ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნის ენციკლოპედიას. იგი ვრცლად ასახავს სამეფო კარის გარემოს. საკარო ცხოვრების რთული ეთიკეტი, სოციალური იერარქია, საზოგადოებრივი ურთიერთობანი, სახელმწიფოს საერთაშორისო და საშინაო ვითარება, ომი და ზავი, სტრატეგია და ტაქტიკა, დიპლომატია, მართვა-გამგეობის წესები, სამართალი, ოჯახი და სხვა მისთანანი შეადგენს ამ შესანიშნავი კრებულის იგავ-არაკების თემას. მრავალი მეფე, წარჩინებული მოხელე, დიდებული კარისკაცი და სხვა „ქილილა და დამანას“ საშუალებით ეცნობოდა ცხოვრების პრაქტიკულ ფილოსოფიას, ამ თხზულებაში ეძებდა პრაქტიკული მოღვაწეობისათვის საჭირო სახელმძღვანელო პრინციპებს. „ქილილა და დამანას“ სიბრძნესა და ზნეობრივ მოძღვრებაზე აღზრდილა და განსწავლულა ბევრი თაობა. „ქილილა და დამანას“ გამაკეთილშობილებელი გავლენა საუკუნეთა განმავლობაში თანაბრად განუცდია სხვადასხვა ფერის, მოდგმის, რწმენისა და კულტურის ხალხებს. ამის პირობას ქმნიდა ის მაღალსაკაცობრიო, მოწინავე ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, რომელიც გასდევს სახელგანთქმული იგავ-არაკული კრებულის თითქმის ყველა ალეგორიულ მოთხრობას“ (ალ. ბარამიძე).

„ქილილა და დამანა“ ხელმწიფეთა კოდექსს წარმოადგენს. თხზულებაში საგანგებოდაა საუბარი მეფეთა უფლება-მოვალეობისა და ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ. მეფე უნდა იყოს კეთილი და ლმობიერი, მოსამართლე და მოწყალე, ხალხის დამხმარე, გონიერი და წინდახედული — ასეთია თხზულების ერთი ძირითადი ხაზი. „მეფენი მაღლის მთისა თავს შეუდარებიათ. თუცა მათ შიგა ოქრო-ვეცხლითა და თვალთა პატიოსანთა ლითონი იპოების, მხეცნი და გესლო-

ვანიცა მძრომნი მუნ იშოებიან". ამიტომაც საჭიროა მეფემ აწონ-დაწონოს თავისი საქმიანობა, გაზომოს ნაბიჯი. ის არ უნდა იყოს მერყევი და სუსტი, არ უნდა დააფრთხოს საშიშროებამ. „ხელმწიფე კლდეთაებრ ფერხმტკიცე უნდა იყოს, რომე ყოველთა ქართაგან არ შეირყიოს და სხვადასხვა ხმისაგან უძრავი იყოს". მეფე უნდა იყოს მარად მზად, მარად ფხიზლად. თუ მან სიფხიზლე მოადუნა, სამეფო დაზიანდება. „თუ მეფეს სძინავს, ქვეყანა ვერ დაიძინებს შვებითა". ის უნდა იყოს ფრთხილი; საიდუმლო უნდა შეინახოს და „გაუსინჯავად თავისი გულის პასუხი არავის ანდოს".

ხელმწიფეს მართებს ხელქვეითთა ჯეროვანი დაფასება. სამწუხაროდ, მეფენი „სახელოანთა კაცთა მათისა სიკეთითა არ გააძლიერებენ. ვინცა მათი ნათესავია, ანუ მახლობელი, ანუ სამსახურითა მათთან სიმაღლე ეშოვნოს და მეფედ ნიჭთა ჩვეულ იყოს, — მათაც საქმე გასაჭირი აქვთ..." მეფესთან სამსახური ძნელია, სახიფათოა. მეფეთა „სამსახურსა შინა შიში უამრავია და მწუხარება დიდი სალხინოსაგან უმრავლესია".

თხზულებაში დაგმობილი და გაკიცხულია როგორც უვარგისი მეფე, ისე უხეირო და ფლიდი კარისკაცი.

საგანგებოდ აღსანიშნავია თხზულების ტენდენცია-მოწოდება სახელის მოხვეჭისადმი. შექებულია ფაქიზი, პატიოსანი ადამიანი — სამშობლოს მოყვარული და მეგობართ დამფასებელი, სახელოვანი და სახელის მძებნელი.

„ქილილა და დამანაში" მეგობრობის იდეა წინა პლანზეა წამოწეული. მეგობრის სიყვარული, მეგობრის ერთგულება, მეგობრისთვის თავდადება — აი, ერთი ძირითადი შტრიხი.

თხზულებით, „საყვარელი მოყვარე ქვეყნად ცოტა იშოვება". მასში ვხვდებით ძველი მეგობრული გრძნობა-განწყობილების უცვლელად შენახვის, ძველი მეგობრის დაუგდებლობის ქადაგებას.

კრებულში ხაზგასმულია, რომ საჭიროა ბრძოლით გაკვლევა გზისა, ბრძოლით მოპოვება მდგომარეობისა. „არას კაცს, თუ არა ცდითა, თვისი საწადლის მზე აღმოსავალით არ ამოსვლია და მოუძებნელად კაცსა თვისის ნატვრით მოსავალი ვერ მოუპოვებია".

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა კაცის გვარიშვილობას, მის შთამომავლობას, არამედ პირად თვისებებს, განათლებასა და

განსწავლულობას. „გვარდიდობასა და კეთილსა მოდგმასა ადამიანის სიკეთესა და ქველის მოქმედებასა შინა რა საქმე უცს? სიდიდისა, მორჩმისა და პატიოსნების მიზეზი ცოდნა-მეცნიერება და მართებული საქციელი არის, არათუ გვარი და მოდგმა და ნათესაობა!“

თხზულებაში ხაზგასმულია მშვიდობის სიკეთე და საჭიროება, ომი დაგმობილია და უარყოფილი. „ჭკვიანთა საუკეთესოდ ესე უთქვამთ: ომსა და ბრძოლას კაცი მოერიდოსო, ომითა რაგინდ თაფლი შეიმზადოს, გემო არა აქვს“.

თხზულებაში მკაცრადაა გაკრიტიკებული ადამიანის მანკიერი მხარეები. დაგმობილია თავისი ბედით უკმაყოფილო და სხვისი ქონების ხელში ჩამგდები ადამიანი („დედაბრის კატა“), ურიგი და გლეხის მტანჯველი მეფე („დიდვაჭრის შეგონება“), გლეხთა შეუბრალებელი მდიდარი. კრებულში აქა-იქ ვხვდებით სოფლის სიმუხთლის გმობას, „სოფლის უხანობის“ გამოვლინებას, „საწუთროს ავთვალობის“ კიცხვას.

„ქილილა და დამანას“ კანონიკურ რედაქციაში მრავლად გვხვდება აფორიზმი, შეგონება, დარიგება, სენტენცია. სიბრძნე ოსტატურადაა ჩაქსოვილი მთელ თხზულებაში. ბრძნული აზრის ოსტატური გადმოცემა ზრდის თხზულების შინაარსობლივ-აზრობლივ ღირებულებას და მხატვრულ მხარესთან ერთად ხელს უწყობს მის პოპულარიზაციას.

„სიბრძნე მალალოგელი“

არმაღნად ესე დავაცვი ურმათათვის მოსართმეველად,
მე ბერიკაცი ასე ვარ ამაზე სარჯლის მწეველად,
ურმათა რა გიხამსთ, გასინჯეთ ამისა მოსასთვლეველად.
გაღრებ ყოველთა, არა ქნათ გაფანჩულ-გასაბნეველად

ვახტანგ VI

ძველ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება ერთი დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის ნაწარმოები: „აპოვთეგმატა, რომელ არს შემოკლებულთა რიტორებრივთა და წესის მასწავლელთა სიტყვებთა წიგნი“. იგი შედგება სამი ნაწილისაგან: 1. „მოკლედ სიტყვისგება სოგ-

რატისა და სხვათაცა ფილოსოფოსთა“ (შეიცავს სოკრატის, პლატონის, არისტოტელისა და სხვა გამოჩენილ ფილოსოფოსთა სენტენციაფორიზმებს); 2. „მოკლედ გამოსახსნელი ამბავი ჰრომის კეისრებისა და სხვათა მეფეთა, მთავართა და მხედართმთავრებისა“; 3. „ამბავნი ლაკედემონელთანი“.

აღნიშნული თხზულება რუსულიდან თარგმნა ვახტანგის თანამოღვაწემ, მოსკოვის ქართული კოლონიის წარმომადგენელმა ერასტი თურქისტანიშვილმა. მართალია, ხელნაწერებში ის მხოლოდ ერთი ნაკვეთის მთარგმნელად იხსენიება („მოკლედ სიტყვისგება სოგრატისა, სწავლა პირველი, თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანიშვილისაგან“), მაგრამ სამივე ნაკვეთი მისი თარგმნილი უნდა იყოს. თავის მხრივ, რუსული წიგნი პოლონელი მწერლის ბენიაშ ბუდნის (XVII ს.) კრებულის თარგმანს წარმოადგენს.

ხელნაწერებში შემონახულია აღნიშნული ძეგლის როგორც ვრცელი რედაქცია, რომელიც სამივე ნაკვეთს შეიცავს, ისე მოკლე რედაქციაც. ამ უკანასკნელში მოცემულია პირველი ორი ნაკვეთი, ხოლო მესამე ექსცერპტების სახითაა წარმოდგენილი. შესაძლებელია მოკლე რედაქცია ვახტანგისთვის დამზადდა.

წინა თავებში უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახტანგს დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის ძეგლებისადმი ინტერესი ადრევე გაუღვივდა. სავსებით სავსებით სავსებით

გალექსა პროზაული რედაქცია, შემდეგ შეიტანა მასში მრავალი შესწორება და დააზუსტა ტექსტი, ზოგი რამ დააკლო, ზოგიც ახლად ჩაურთო. ამასთანავე ჩაამატა თუ შეცვალა არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები, არამედ მთელი სტროფებიც კი, რის შედეგად ადრეულსა და გვიანდელ ტექსტებს შორის საგრძნობი რედაქციული სხვაობა შეინიშნება.

ვახტანგმა გაამდიდრა ტექსტი და შინაარსობლივ-აზრობლივი ძლიერება შემატა მას. საინტერესოა მისი ცდა კონკრეტული ფაქტების განზოგადებისა. ასე მაგალითად, პროზაულ თარგმანში იკითხება: „პლატონ რქვა თავის მონას: უსაცილოდ გცემდი, თუ გული არ გამჯავრებოდა“. ვახტანგმა თავდაპირველად ასე გალექსა: „გული არ გამჯავრებოდა, მრავალსა გცემდი მონაო“, ხოლო შემდეგ ასეთი სახე მისცა: „ცემა, წყრომა და გინება ჯავრით რა სავარგულია“. მოტანილი მაგალითიდან ცხადად ჩანს, რომ ვახტანგისათვის ცალკე ფაქტი, კერძო შემთხვევა კი არ იყო მთავარი, არამედ ზოგადი მორალი.

ხელნაწერებში „სიბრძნე მალაღობელი“ რამდენიმე რედაქციითაა შემონახული. ზოგჯერ ტექსტის ერთი და იგივე ადგილი სამნაირადაა წარმოდგენილი. მაგალითად,

ჰირად მიგაჩნდეს სხვა სხვისა განსაცდელი და ჰირები.
სხვის განსაცდელი სხვისათვის დიდი რამ საწუხარია.
მართებს სხვისა განსაცდელი სხვასაც ჰქონდეს საწუხარად.

მეტწილად კი ერთი და იგივე ადგილი ოთხი რედაქციითაა ცნობილი. მაგალითად,

ურჩევ, სარკეში ჩახედონ მთვრალმა და გაჯავრებულმა,
სცნან უშვერება სახისა, ეგების ვაგლახვებულმა.
სარკემ აჩვენოს გულმწყრალთა და მემთვრალეთა მკლეობა,
ჩამოიშალონ ეგების უშვერებისა ზნეობა.
სარკემ აჩვენოს გულმწყრალთა მემთვრალეებსა მკლეობა,
ჩამოიშალონ ეგების უშვერებისა ზნეობა.
ურჩევ, სარკეში ჩახედოს გამწყრალმა, დანამთვრალამან.
სცნას უშვერება თავისა, დაშალოს დასაშალამან.

ვეფხის ტყაოსანი :-

ანუ ახალი ღმებმდღული ქართულს ენასა ზედა ჟამსა ამა

ღლეებულისა საქართველოს მპყრობელისა

უფლისა უფლისა ვახტანგისსა :-

შრომითა და წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა :-

გაიმართა ქელითა ქელმწიფის კარის დეკანოზის შვი

ლის მიქელისათა : ქალაქსა ტფილისსასა

ქრისტეს აქეთ

ათას შვიდას და თორმეტსა ღსაბამითგან ვიდრე

აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა :-

ვახტანგის ავტოგრაფი.

ვახტანგმა გალექსილ რედაქციას დაურთო ეპილოგი და პროლოგი. პროლოგში გაგვაცნო თავისი მიზანდასახულება და გულისწყრომა გამოთქვა „ვეფხისტყაოსნის“ არამართებულად გააზრებისა და ამის საფუძველზე არასწორად შეფასების გამო:

რუსთველსა ენა-შაქარსა უქნია რისმე მკობანი,
სიტკბო, სიბრძნე და იგავნი, ცოლ-ქმართა აშიკობანი,
ბევრად საჩხრეკი; ვერ მიხვდენ, მიბაძეს ცუდი ხმობანი,
საღმთო წერილი საცრუოდ თქვეს და დაგვიგდეს გმობანი.
არ მწადდა წიგნის გალექსვა, ბრძენთა მაწუეს, მადესა,
შეუკრავთ სწავლა სიბრძნისა მოკლეს სიტყვითა მხადესა,
პასუხი უგონ ერთმანერთს სიტყვისა დამაქადესა,
უთხარით ლოცვა ძმობისთვის მეფეს, შენდობის მწადესა.

„სიბრძნე მალაღობელის“ ეპილოგში ვახტანგმა მორიდებით აღნიშნა, რომ იგი მხოლოდ სხვათა გამონათქვამების გამლექსავი იყო და არა ორიგინალური შემოქმედი.

მე გავაწყე ბრძენთა სიტყვა არ თუ მათი საფერისად,
სევდა თავსა მოვაშორვე, ნდომა მჭონდა რაცა ვისად,
ვინცა იტყვით ამის უკეთ, არ იქნება ჩემთვი მქისად,
ანუ სულსა ანუ ხორცსა იმედი აქვს ნეტარ რისად?

ვახტანგმა, ერთი მხრივ, ზედმეტი თავმდაბლობა გამოიჩინა, გააუფასურა თავისი ნაშრომი და თავი მხოლოდ უბრალო გამლექსავად, სხვათა ბრძნული გამონათქვამების ლექსად გამწყობად გამოაცხადა (ეს, როგორც ქვევით დავინახავთ, სულ ზუსტი არაა); მეორე მხრივ, ყურადღება გაამახვილა ფილოსოფოსთა ნააზრევის გალექსვის სიძნელეზე და ამით თითქოს მკითხველთა მსჯავრის შერბილება მოითხოვა; დაბოლოს, წინა პლანზე წამოწია შემოქმედი, რომელსაც შეეძლო ამბის მხატვრულ-პოეტური ფორმით მოწოდება.

ლექსი მას უქეთ, ვინც იყოს ამბისაც თვითვე მთქმელები,
მე ბრძენთა სიტყვა გაველექსე, სათქმელად გასაძნელები,
ვეცადე, იყოს სიმოკლით სხვისა სხვად საგებელები,
უკეთ არ მოჰხდა, ძრახვისა ნურვინ ხართ შემომზღველები.

საგულისხმოა, რომ ვახტანგმა შინაარსისა და ფორმის ურთიერთობის საკითხიც დასვა. მას კარგად ესმოდა პოეზიის პრაქტიკული

დანიშნულება, მისი შესაძლებლობა და მიზანდასახულება. ლექსის მხატვრულ მხარეს, ტკბილხმოვანებასა და მუსიკალობას იგი დიდ ყურადღებას უთმობდა. მაგრამ მთავარი და არსებითი მისთვის მაინც ლექსში მოცემული ბრძნული აზრი, მასში ჩაქსოვილი იდეა იყო. ამიტომ იზიდავდა მას „ამირნასარიანი“ — „სულისა შვების მიმცემი, ფილასოფოსთა ბრძნობანი“; ამიტომ აჯადოებდა მას „ქილილა და დამანა“ — „ბრძენთა ნათელი, სხივით და შუქით მზიანი“; ამიტომ მოჰკიდა მან ხელი ე. თურქისტანიშვილის თარგმანის გალექსვას.

ვახტანგმა კატეგორიულად უარყო და მკაცრად დაგმო უიდეო, უშინაარსო და არაფრის მომცემი ლექსები:

> რა სახმარია ლექსობა ურგები კაცთა, უყენიჲ
> უიგაო და უჩხრეკი, მწვე სამსგავსია უყენი,
> სულ ბოროტზედა მსრბოლელი, კეთილსა ზედა უყენი,
> ცუდი ამბავი, ცუდ შრომა, ცუდისგან მუდამ უყენი.

მართალია, „სიბრძნე მალაღობელი“ ვახტანგის ორიგინალური ნაწარმოები არაა, მაგრამ ვახტანგის დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მოძღვრების გასაცნობად საინტერესო მასალას მაინც იძლევა. საგულისხმოა, რომ, მიუხედავად პროზაულ თხრობაზე დამოკიდებულებისა, ვახტანგმა მოახერხა თავისი ნააზრევის გადმოცემაც. მან ნაწარმოები შინაარსობლივად გაამდიდრა, იდეურად აამაღლა, აზრობლივად გააძლიერა, მხატვრულად გაასხივოსნა. ეს კი საფუძველს გვაძლევს „სიბრძნე მალაღობელი“ გამოვიყენოთ ვახტანგის დიდაქტიკურ-მორალურ შეხედულებათა გასაცნობად.

„სიბრძნე მალაღობელი“ ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ვახტანგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლა-განათლებას და მიიჩნევდა მას ადამიანის სრულყოფის ნაცად საშუალებად.

> სწავლა ყრმას მისცემს სიფხიზლეს, ნუგეშსცემს ბერის გულებსა,
> გლახას სიმდიდრეს, მდიდარსა შვენებას გაუსრულებსა.

ვახტანგი საგანგებოდ განიხილავდა აღზრდის საკითხებს, კერძოდ, მსჯელობდა სწავლის ასაკზე, გარემოზე, მასწავლებელზე და ა. შ. მისი აზრით, ცოდნას ადამიანი ყრმობაში უნდა დაეწაფოს, რადგან მისთვის მასალის ათვისება იმ პერიოდში გაცილებით ადვილია.

ამასთანავე აღრე შეძენილი ცოდნა შემდგომში გზას გაუნათებს და სიბერეში გამოადგება („სიყრმითგანვე ყოვლთვის სწავლა სიბერეში გამოგადგეს“). ახალგაზრდის აღზრდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს წრესა და გარემოს. სასურველია ყრმა კარგ გარემოში იზრდებოდეს და განათლებული პირების ახლოს იყოს („ჭკვიანთან ყოფნა გიყვარდეს, კარგის პატივის ცემანი“). მშობლებმა თავიდანვე უნდა მიაქციონ ყურადღება შვილის აღზრდას, თორემ შემდეგში შეიძლება სანანებლად გაუხდეთ საქმე:

ვისაც უნდა შვილი შვილად, სოლომონსა დაუჯეროს,
სწავლისათვის ნურას რიდებ, ჯერი იყოს, ან უჯეროს,
თვარამ ბოლოს გაგიხდება საწუხარად, მტრის სამტეროს.

მასწავლებელი უნდა იყოს განათლებული, მომზადებული და სათანადოდ გაწაფული, ამასთანავე მას უნდა ჰქონდეს არა მარტო გამოცდილება, არამედ გონივრული ტაქტი და განსჯის უნარიც. უნდა ახსოვდეს, რომ ზედმეტი სიმკაცრე აღსაზრდელს სწავლას შეაძულებს და ცოდნის დაუფლების სურვილს დაუკარგავს:

სჯობს დანახვებით, გასინჯვით, რისხვითა რასმე სწავლასა,
შეაძულვებს და დასწყევლის მისსა ბედსა და დავლასა.

ვახტანგი მასწავლებელს მაღალ შეფასებას აძლევდა, მას მშობელზე წინ აყენებდა, რადგან ოჯახიდან მისულ ზოგიერთ უგნურს ის ზრდის და სიბრძნეს აზიარებს:

მშობლისგან მოძღვრის პატივი არის რამ უკეთესია,
ჭით უგუნურად მოვიდა, მას სიბრძნე შთაუთესია.

ვახტანგის აზრით, ახალგაზრდის ქცევაზე პასუხისმგებლობა აღმზრდელს ეკისრება, ყრმის ცუდი მოქმედება მასწავლებლის დანაშაულია:

ნახო ყრმა ავად მქცეველი ურიგოდ მოარულია,
გამწვრთნელსა ცემა დაუწყო, რად ავად განსწავლულია.

ვახტანგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდის გონებრივ აღზრდას, მის ინტელექტუალურ სრულყოფას. მეცნიერი პოეტის აზრით, ცოდნა შვების მომცემი და სიხარულის მომგვრელია, ადამიანის გამაკეთილშობილებელი და ამამაღლებელია („კაცსა სწავ-

ლა გაანათლებს, ვითა მთვარე ღამე ბნელსა“). იგი ბოროტსაც კი კეთილ აზრს უნერგავს და კარგ გზაზე აყენებს:

მყრალს ჰურჰელსა სურნელება რა ჩაასხა, დაუკარგავს,
ავსა კაცსა ცოდნის სწავლა მის სიავეს გაუკარგავს.

ცოდნა უბერებელი და წაურთმეველი სიმდიდრეა, მარადიული და უჭკნობია:

ბრძენსა აქვს დიდი სიმდიდრე, არვისგან მისაღებელი,
არც დაბერდა და არც გაცვდა, არც არი შესაღებელი,
იმ საჰურჭლისა კლიტენი გაღებად გაუღებელი,
უხვობს და არა აკლდების სიუხვით წარსაგებელი.

ვახტანგი ვრცლად მსჯელობდა ადამიანის უარყოფით თვისებებზე, დაუზოგავად აძაგებდა მტრობასა და ქიშპობას, შუღლსა და შეუთანხმებლობას, საგანგებოდ გმობდა შინაურ მტერს („ვერა ჭირი მას ვერ გავნებს, რომე მტერი შინაური“), კიცხავდა ზურგს უკან ძრახვას („მართლა თქმულა, არვის შვენის პირში ქება, უკან ზრახი“), ზედმეტ მრისხანებას და გაუმართლებელ სიმკაცრეს („ნუ ჰგონებ მრისხანებასა, იყოს დიდობის ნიშანი“) და ა. შ. ამავე დროს მოითხოვდა ზომიერებას, თავდაჭერას, დაფიქრებულ საუბარს, საიდუმლოს შენახვას, ქადაგებდა ზნეობრივ სისპეტაკეს, სულიერ სიჯანსაღეს.

„სიბრძნე მალაღობელში“ უხვად გვხვდება მრავლისმთქმელი შეგონებანი და მოხდენილი სენტენციები. ზემოთ დამოწმებულს კიდევ დავუმატებთ რამდენიმე ნიმუშს:

უპკუოდ კაცის სიკეთე, ვაი, რა ცარიელია!
ვის მიხვდება დიდსახელად უბრძოლველად გამარჯვება!
ყოელის სიბრძნის საფუძველად მოთმინება დაუდვიათ.
თუ ენას კლიტე არა აქვს, პირია ულხინობელი.
არა თქმა სჯობს წარმოთქმასა, თუ არ იცი, რასა ზრახავ.
შეჰირვებულს მეგობარსა უფრო უნდა მჯლ-მალ ნახვა.
ორსავ სოფელს საბრალოა, რასაც კაცსა სწავლა ძულსა.
დაამდიდრენით გლახაკნი, ობოლი, ქვრივი, მსხემანი.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ვახტანგის ზოგიერთი ბრძნული გამონათქვამი გარკვეულ კავშირ-ურთიერთობაშია მისი წინამორბე-

დი დიდაქტიკოსების, კეძროდ არჩილის, ნააზრევთან. ორიოდე მაგალითი:

1. ძე ბრძენი მამის სწავლასა კვალად და კვალად ინებსა
(არჩილი).
არ მიაჩანს ძესა ბრძენსა მამის სიტყვა გასამძიმად
(ვახტანგი).
2. ჰირშიგან გამოიცდება მეგობარ ყოფა მოყვრისა
(არჩილი).
ჰირთა შიგან გამოჩნდება მეგობართა სიმაგრობა
(ვახტანგი).

3. სჯობს სიგლახაკე სიმართლით, ცრუს დიდსა გამდიდრებასა
(არჩილი).
გლახაკი სჯობს სიმართლითა სხვის სიცრუის სიმდიდრესა
(არჩილი).
სიგლახაკე სჯობს კარგითა, სიავით გამდიდრებასა
(ვახტანგი).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხშირად ერთი და იგივე ბრძნული აზრი გვხვდება რამდენიმე ავტორის ნაწერებში. მაგალითად, გრიგოლ ნაზიანზელის (329 — 390) გნომიკური ლექსების ქართულ თარგმანში, რომელიც გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ეფრემ მცირეს (XI ს.) ეკუთვნის, ვკითხულობთ: „სჯობს ბრძენი უშვილოი, სულელსა შვილთ მსხმელსა“. არჩილი თავის მხრივ ქადაგებდა: „უშვილოთა სჯობს სიკვდილი, უკეთურთ შვილთა ყოლასა“. ვახტანგთან ეს აზრი ასეა მოცემული: „უნაყოფობა ბევრით სჯობს ბოროტის შვილის ყოლასა“. რამდენადმე გვიან დ. გურამიშვილი წერდა: „სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა, უწვრთელის შვილის ყოლასა“.

არაა გამორიცხული, რომ ასეთი ბრძნული აზრები სხვადასხვა დროის მოღვაწეებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გამოეთქვათ. მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ მათ შორის გენეტიკური კავშირ-ურთიერთობა იყოს. ყოველ შემთხვევაში, დ. გურამიშვილი რომ უცილობლად დავალებულია ვახტანგის დიდაქტიკით, ეს საკამათო არ უნდა იყოს. საილუსტრაციოდ მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს:

სწავლის ძირი მწარე არის, ნაყოფს მოგცემს ბოლოდ ტკბილსა
(ვახტანგი).
სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების!
(დ. გურამიშვილი).

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, დიდაქტიკურ-მორალური აზრების გადმოცემა ვახტანგს ძირითადად თარგმნილ თხზულებებში მოუხდა („ამირნასარიანი", „ქილილა და დამანა", „სიბრძნე მალაღობელი"). მართალია, მან თარგმნილ ძეგლებშიც ჩააქსოვა საკუთარი დაკვირვება და ცხოვრებისეული გამოცდილება, მაგრამ ამით არ შემოიფარგლა და აღნიშნული აზრები ორიგინალურ ნაწარმოებებშიც განავითარა („სატრფიალონი", „კაშანი"). ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პოპულარული კრებული იგავ-არაკებისა „ბახთიარნამე", რომელიც ქართულად ითარგმნა ვახტანგის ბრძანებით, შეიცავს მრავალ გონივრულ დარიგებასა და საყურადღებო დამოძღვრას. ამ ძეგლის თარგმნა ერთხელ კიდევ ადასტურებს ვახტანგის დიდ ინტერესს დიდაქტიკურ-მორალური საკითხებისადმი.

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი"

პირველი სტამბა თბილისში

ვახტანგ აღავსო და განანათლა
ქვეყანა ჩვენი წიგნებითა

გერმანე ხუცეს-მონაზონი

ქართული წიგნების ბეჭდვა უცხოეთში დაიწყო. ჯერ კიდევ 1629 წელს რომში გამოქვეყნდა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი" და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ". ორივე წიგნის გამოცემა დაკავშირებულია თეიმურაზ პირველის ელჩის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ეიკიფორე ირბახის) სახელთან. შემდეგში სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობას ხელი მიჰყო არჩილ მეფემ. იგი მოსკოვში პირველად ჩასვლისთანავე დაუახლოვდა უცხოელ სწავლულებს (შვედ მკვლევარს ი. შპარვენფელდს, ამსტერდამის ბურგომისტრს ნ. ვიტზენს), მათი საშუალებით დაუკავშირდა „ასოთმოქანდაკესა და ჩამომსხმელ" კიშს და ქართული შრიფტი დაამზადებინა, მაგრამ კარგად წამოწყებული საქმის დროულად დაგვირგვინებას ხელი შეუშა-

ლა არჩილის სამშობლოსაკენ გამომგზავრებამ. შემდეგში იგი კვლავ ენერგიულად ზრუნავდა ქართული ასოების ჩამოსხმასა და სტამბის დაარსებაზე. მალე მან პეტრეს წინაშე აღძრა საკითხი მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვის შესახებ, სათანადო მხარდაჭერა პოვა, დახმარება მიიღო და მოკლე ხანში „დავითნიც“ გამოაქვეყნა (1705 წ.).

ბუნებრივია, რომსა და მოსკოვში დაბეჭდილი წიგნები აღწევდნენ საქართველომდე; საზოგადოებრიობა ინტერესით ეცნობოდა ქართული ბეჭდური გამოცემების პირველ ნიმუშებს. უცხოეთში გამოქვეყნებულმა ქართულმა წიგნმა უცილობლად გარკვეული როლი შეასრულა ეროვნული კულტურული ცხოვრების ისტორიაში, მაგრამ რომიდან თუ მოსკოვიდან დაგვიანებით ჩამოღწეული თითოოროლა წიგნი, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებდა ქართველ მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებას. მომწიფდა საკითხი თბილისში ეროვნული სტამბის დაარსებისა და ამოქმედებისათვის. ამ დიდი მისიის შესრულება ვახტანგს ხვდა წილად. მართალია, ქართველ საზოგადოებრიობას წიგნის ბეჭდვის ტექნიკა ადრეც აინტერესებდა და იზიდავდა, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად ხელსაყრელი პირობები ვახტანგის გამგებლობამდე არ არსებობდა.

სტამბის დაარსება თბილისში სავსებით კანონზომიერი შედეგი იყო ქართული კულტურის იმ აღმავლობისა, რომელსაც იგი განიცდიდა XVIII საუკუნის დამდეგს. ვახტანგის ღრმაშინაარსიანი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, საზოგადოებრივ-ლიტერატურული და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის საერთო ფონზე–ადვილი გასაგებია თბილისში ქართული სტამბის დაარსების მიზეზი და ვითარება. ეპოქის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების ღირსეულ მეთაურს არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია ამ საქმისათვის და არ ეზრუნა ქართული სტამბის გამართვაზე. მიუხედავად მაჰმადიანური გარემოცულობისა, ტექნიკური სირთულისა და ფინანსური დაბრკოლებისა, ვახტანგმა მაინც შეძლო ამ საქმის დაგვირგვინება.

ვახტანგმა და მისმა თანამშრომლებმა ძირითად მიზნად სასულიერო-საეკლესიო წიგნების შესწორება, დაზუსტება და პუბლიკაცია დაისახეს და მთელი თავისი საქმიანობა შესაბამისად წარმართეს. მაგრამ ზემოთქმული, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ვახტანგისა

და მისი დასის მიზანი მხოლოდ სასულიერო-საეკლესიო ხასიათის წიგნების გამოქვეყნება იყო. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ გაუგებარი იქნებოდა თბილისის სტამბაში „ვეფხისტყაოსნისა“ და ზოგიერთი სხვა წიგნის დაბეჭდვა. საქართველოში სტამბა „აროდეს ყოფილიყო და ხელით წერაში ჩვენი საღვთონი წერილნი განრყვნილიყო“ (ნ. ორბელიანი). ქართული ეკლესია უნიფიცირებულ ტექსტსა და ბეჭდურ პროდუქციას საჭიროებდა. იგი სტამბის მიზნად საღვთო წერილის შესწორებული, დაზუსტებული და დადგენილი ტექსტის პუბლიკაციას მიიჩნევდა. მართლაც, თბილისის სტამბა მეტწილად სამღვდელმსახურო წიგნებს აქვეყნებდა, მაგრამ, საგულისხმოა, რომ სტამბის მოწყობისა და გამართვის, წიგნების მომზადებისა და პუბლიკაციის მოთავე საერო ხელისუფლების მეთაური ვახტანგი იყო. მან, მართალია, სტამბა გამოიყენა ქრისტიანული რელიგიის განსამტკიცებლად, შესუსტებული მორალური პრინციპების გასაძლიერებლად და ეკლესიის ავტორიტეტის ასამაღლებლად, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა. ქართლის გამგებელმა სტამბა გამოიყენა მეცნიერული ცოდნის გავრცელებისა და მკითხველთა ფართო მასების გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნითაც. მისთვის სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობა იყო არა მხოლოდ ეკლესიის განმტკიცების საშუალება, არამედ ქვეყნის გაძლიერებისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის გამიზნული დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიება.

სტამბის დაარსების სურვილი ვახტანგს ადრევე აღეძრა, ის დაუკავშირდა იერუსალიმის პატრიარქს და დახმარება სთხოვა. პატრიარქისა და განსაკუთრებით ანთიმოზ ივერიელის შემწეობით ვახტანგმა მიზანს მიაღწია.

ანთიმოზ ივერიელი (1650 — 1717) ქართველი ხალხის სასახელო შვილი და რუმინული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. დაუცხრომელი შემოქმედი და ღვაწლმოსილი განმანათლებელი ცნობილია როგორც სასტამბო საქმის დიდი სპეციალისტი, დახელოვნებული ხუროთმოძღვარი, ნიჭიერი მხატვარი და მგზნებარე ტრიბუნი. გაიგო რა ვახტანგის განზრახვა, ანთიმოზმა დახმარება აღმოუჩინა ქართლის გამგებელს — შეურჩია და გამოუგზავნა თავისი მოწაფე მიხაილ იშტანოვიჩი (სტეფანეშვილი).

ვახტანგმა მიხაილი დიდი პატივით მიიღო. ჩამოსული მოღვაწის მეთაურობითა და წინამძღოლობით მალე გაიმართა ქართული სტამბა (მტკვრის პირას, ანჩისხატსა და სიონს შორის). არაა გამორიცხული, რომ სასტამბო მოწყობილობის ნაწილი მიხაილს რუშინეთიდან ჩამოეტანა, მაგრამ ძირითადი ნაწილი უთუოდ თბილისში დამზადდა.

. ვახტანგის სტამბიდან პირველსავე წელს (1709 წ.) გამოვიდა სამი წიგნი („სახარება", „დავითნი", „სამოციქულო"). ეს გარემოება საფიქრებელს ხდის, რომ მუშაობა ადრევე დაწყებულა, ყოველ შემთხვევაში 1707 — 1708 წწ. მაინც. გამომცემლებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს: ქართული ტექსტები ბერძნულს შეუდარეს, მის მიხედვით გაასწორეს, თავებად და მუხლებად დაყვეს და ა. შ. წიგნების თავფურცელზე მოხსენიებულია როგორც მეფე და წიგნის გამოცემის ინიციატორი და დამფინანსებელი, ისე ტექსტის გამმართველი და მესტამბეც. მაგალითად, პირველი წიგნის თავფურცელზე იკითხება: „სამღთო და სამღდელო სახარება. აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა ყამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა უფლისა უფლისა გიორგისა იესეან-დავითიან-სოლომონიანისსა.

შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა მართლმადიდებელისა და განათლებულისა საქართველოს განმგებელისა ბატონიშვილისა თეით უფლისა ვახტანგ ლევანის ძისათა.

გაიმართა წმიდაი ესე ხელითა ნიკოლოზ მღვდელ-მონაზონისა ორბელისშვილისათა.

ხელითა მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილისა უნგროვლახელისა".

თბილისის სტამბაში მომდევნო წლებში დაიბეჭდა: „კონდაკი", „ყამნი" (1710 წ.), „დავითნი" (1711 წ.), „ვეფხისტყაოსანი" (1712 წ.), „კურთხევანი" (1713 წ.), „ლოცვანი" (1717 წ.), „პარაკლიტონი" (1720 წ.), „აიათი" (1721 წ.) და სხვ. სტამბამ სულ ოცამდე სახელწოდების წიგნი გამოაქვეყნა. თავფურცლებზე თუ ანდერძებში იხსენიებიან მეფეები (გიორგი, ქაიხოსრო, იესე, ყველაზე მეტად—ვახტანგი), რედაქტორ-გამმართველები (ნ. ორბელიანი, გერმანე, სიონის დეკანოზის შვილი გაბრიელი, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი, კვიპრიანე სამთავნელი და სხვ.), მესტამბენი (მიხაილ

იშტვანოვიჩი-სტეფანეშვილი, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი), სტამბის მეურნენი (გიორგი მხატვარი) და ა. შ.

ვახტანგის სტამბის პროდუქცია ინტერესს იწვევს და მოწონებას იმსახურებს არა მარტო შინაარსობლივ-თემატიკური თვალსაზრისით, არამედ მხატვრულ-ტექნიკური კულტურის მაღალი დონითაც. წიგნები მეტწილად საშუალო და პატარა ფორმატისაა, ადვილად მოსახმარი. მათი შემკულობა ფრიად საყურადღებოა მხატვრულ-პოლიგრაფიული თვალსაზრისით. შემკულობის დიდი ნაწილი ქართველი მხატვარ-გრავიორებისა და კალიგრაფების შექმნილია. ილუსტრაციები, კაზმულობა, ვახტანგის პორტრეტი, სამეფო გერბი მოწმობს მბეჭდავთა ფაქიზ მხატვრულ გემოვნებასა და ტექნიკურ ოსტატობას.

თბილისის სტამბაში წიგნები იბეჭდებოდა სხვადასხვა შრიფტით: წვრილი, საშუალო და მსხვილი ნუსხა ხუცურით, მხედრულით, მხედრულით-ნუსხა ხუცურის გარევით, ნუსხა ხუცურით-მხედრულის გარევით. საგულისხმოა, რომ ვახტანგი არ დაკმაყოფილდა რომისა და მოსკოვის სტამბებში დაკანონებული ნუსხა ხუცურით და მხედრული შრიფტიც გამოიყენა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ვახტანგმა მხედრულით დაბეჭდა არა მარტო საერო თხზულება („ვეფხისტყაოსანი“), არამედ სასკოლო სახელმძღვანელო („სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“), მეცნიერული შრომა („აიათი“) და, რაც მთავარია, სასულიერო-საეკლესიო შინაარსის წიგნებიც („ჟამნი“, „დავითნი“).

თბილისის სტამბის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა განუზომელია. თავდაპირველად იგი თითქოს მხოლოდ ქართლის მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დაარსდა, მაგრამ მალე საერთო-ქართულ ეროვნულ დაწესებულებად იქცა და იქიდან გამოსული წიგნები მთელ საქართველოს მოეფინა. აღსანიშნავია, რომ ის იყო პირველი სტამბა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა

თბილისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შოთა რუსთაველის გენიალური პოემა

„ვეფხისტყაოსანი“. მისი გამოქვეყნება უშუალოდაა დაკავშირებული ვახტანგის სახელთან; ვახტანგი იყო ამ გამოცემის მოთავე, სულის-ჩამდგმელი და ხელმძღვანელი. აღნიშნულის გამო მას ჩვეულებრივ ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანს“ უწოდებენ.

ვახტანგი ძალზე მაღალი წარმოდგენისა იყო რუსთაველზე და ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით წერდა მის პოემაზე. მას ხიბლავდა „ვეფხისტყაოსნის“ წარმტაცი ლიტერატურული ფორმა, აღფრთოვანებდა რუსთაველის სულიერი სამყარო, აჯადოებდა მისი შემოქმედებითი აზრის ძალმოსილება. თვით შესანიშნავ პოეტსა და მოაზროვნეს კარგად ესმოდა პოემის კლუტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, იდეურ-შემეცნებითი ღირებულება, მხატვრულ-ლიტერატურული ღირსება. მისი დასკვნით, „რუსთველისა წიგნი სულ სასწავლებელი არი“.

ვახტანგმა დიდი გულისყურით შეისწავლა რუსთაველის პოემა, დაადგინა ტექსტი და გამოაქვეყნა იგი ვრცელი კომენტარებით (1712 წ.). არსებითად ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. მასში დაბეჭდილია 1587 სტროფი. ცნობილია გაცილებით მეტი სტროფის შემცველი ხელნაწერები. მაგალითად, 1691 წლის ხელნაწერში 2126 სტროფია. სულ შემონახულია 2200-ზე მეტი სტროფი (მათგან ზოგი რუსთაველისაა, ზოგი კი ცნობილი თუ უცნობი ინტერპოლატორებისა). ასე რომ, ვახტანგისეული გამოცემა სტროფების შედარებით ნაკლებ ოდენობას შეიცავს და მოკლე რედაქციას წარმოადგენს.

კარგა ხანია კამათს იწვევს საკითხი: ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ რომელიღაც ძველი, — ჩვენთვის უცნობი, — ხელნაწერის ზუსტი და უცვლელი პირია თუ ვრცელი რედაქციის მეცნიერულად შემოკლებული ტექსტი, კრიტიკულად დადგენილი მოკლე რედაქცია. მართალია, თავისდათავად, ძნელი წარმოსადგენია, რომ ვახტანგს არ შეესწავლა ხელნაწერები, გულდასმით არ ემუშავა ტექსტზე და უცვლელად დაებეჭდა რომელიმე ხელნაწერის პირი, მაგრამ საკითხი მაინც დადგა მეცნიერული პაექრობის დღის წესრიგში და კამათი მრავალი წლის მანძილზე გაგრძელდა. აღნიშნული საცილობე-

ლი საკითხი გაარკვია და გადაჭრა აკადემიკოსმა ა. შანიძემ. მან პირველმა შენიშნა, რომ ვახტანგის „თარგმანში“, რომელსაც ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით, განმარტებულია ზოგი ისეთი სიტყვა თუ სტროფი, რომელსაც პოემის დაბეჭდილ ტექსტში (1712 წ.) ვერ ვხვდებით და შემონახულია მხოლოდ ვრცელი რედაქციის შემცველ ხელნაწერებში. უცილობელია, ვახტანგს ხელთ ჰქონდა პოემის ვრცელი რედაქცია და მას უწერდა კომენტარს. სტამბურად კი დაიბეჭდა შემოკლებული, შეძლებისდაგვარად მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. რასაკვირველია, ტექსტი დაადგინა არა ქართული სტამბის რომელიმე მუშაკმა, არამედ თვით ვახტანგმა. ის იყო გამოცემის მესვეური, მეცნიერი კომენტატორი, პრინციპული საკითხების გამრკვევი და გადამწყვეტი. უთუოდ ის იყო ტექსტის დამდგენიცა და რედაქტორიც. მაგრამ მას მუშაობის შეწყვეტა და ისპაანს გამგზავრება მოუხდა (22. IV. 1712), ხოლო საქმის განგრძობა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილს მიქელს დაევალა. ეს უკანასკნელი იყო გამოცემისათვის პასუხისმგებელი რედაქტორ-კორექტორი. მან საერთოდ დავალება კარგად შეასრულა, მაგრამ ვახტანგის „თარგმანიდან“ არარუსთველისეულად მიჩნეული სტროფების კომენტარები არ ამოიღო და პოემის ტექსტი და „თარგმანი“ ერთურთს არ შეუდარა. ამით აიხსნება ის შეუთანხმებლობა, რომელიც დღეს შეინიშნება ვახტანგის „თარგმანსა“ და პოემის გამოქვეყნებულ ტექსტს შორის.

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, არამედ გარეგნული გაფორმებითაც. იგი შესანიშნავად მომზადებული და მშვენივრად შემკული გამოცემაა. კამარა (პოემის დასაწყისში), ბორდურები (თავების დასაწყისში), ბაგრატიონთა გერბი, ვახტანგის სურათი და სხვ. — ყველაფერი დიდი გემოვნებითა და ნატიფი ხელოვნებითაა შესრულებული. პოემის ტექსტი დაბეჭდილია შავი ფერით, სათაურები, სტროფების დასაწყისი პირველი სიტყვები — წითელი ფერით. გამომცემლებმა გაითვალისწინეს, რომ რუსთაველის ტაეპების სიგრძე ყოველთვის თანატოლი არ იყო და გარეგნულად ვერ ტოვებდა სასიამოვნო შთაბეჭდილებას. ამიტომ მათ ხელნაწერთა ტრადიცია აღადგინეს, ტაეპები ერთ სიგრძეზე გაჭიმეს, ერთმანეთს გაუტოლეს და საამო სანახავი გახადეს. საერთოდ, გაფორმებით ვახ-

ტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ ერთ-ერთი საუკეთესოა რუსთაველის პოემის ბეჭდურ გამოცემებს შორის.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ვახტანგის მრავალმხრივ საყურადღებო რუსთველოლოგიური ნაშრომი, რომელიც ავტორმა „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდურ ტექსტს დაურთო; „თარგმანი პირველი წიგნისა ამის „ვეფხისტყაოსნისა, თქმული ბატონისშვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა“ (თარგმანი აქ განმარტებას, კომენტარს ჰიშნავს).

ვახტანგმა შენიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ადგილი ყველასათვის ერთნაირად გასაგები არ იყო, აზრთა სხვადასხვაობასა და ცილობას იწვევდა, გარკვევას საჭიროებდა და გაშუქებას მოითხოვდა. აუცილებელი იყო პოემის გარშემო გაჩაღებული დავა-კამათის დაცხრობა, საცილობელი საკითხების გარკვევა, მკითხველი საზოგადოებრიობის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, ხალხისათვის ადვილად გასაგები მასალის მიწოდება. ამ საპატიოსა და კეთილშობილურ საქმეს ხელი მოჰკიდა ვახტანგმა და „ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიანი შესწავლის შედეგად გამოაქვეყნა სპეციალური გამოკვლევა, რომლითაც არსებითად საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიას როგორც სამეცნიერო დისციპლინას.

„თარგმანი“ საკმაოდ ვრცელია, იწყება პირველი სტროფიდან და გრძელდება 1587 სტროფამდე (ჩათვლით). ვახტანგმა, მართალია, ყველა სტროფი არ განმარტა, ბევრი აუხსნელი დატოვა და საგანგებოდ შენიშნა: „თარგმანი მრავალი დამირჩაო“, მაგრამ კომენტირებულ სტროფთა რიცხვი მაინც ერთობ დიდია. 600-მდე აღწევს.

ვახტანგმა შეძლებისდაგვარად ახსნა „ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსი, გაარკვია ტექსტის ბუნდოვანი ადგილები, გააშუქა ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. მან შექმნა პირველი ღრმა-მეცნიერული მონოგრაფია „ვეფხისტყაოსანზე“ და დიდი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის პრობლემატიკის დამუშავებაში. საინტერესოა ვახტანგის მიმართვა მკითხველებისადმი: „აწ ესე მისმინეთ“: „ვეფხისტყაოსანი“ მე ასე მითარგმნია, და თუცა უწესოდ იყოს და ანუ უკეთ სცნოთ ვინმე, თქვენცა სთარგმნეთ. მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია, ერთი მე ასე მივხედი და მითქვამს; რაც რუსთველისაა, იმას გარდა არა მითქვამს რა. და ვინც გინდა, იმან სთარგმ-

ნეთ. სხვის ნათქვამს როგორც სთარგმნით, ყველა ეკადრება, მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გმობს. აწ ასრე ვსთარგმნე, ვითა მას მთქმელსა ეთქვა. მე თარგმანი მრავალი დამირჩა არათუ ამისთვის, თუცა ესე ვიპოვნე, მას ვერ ვიპოვნიდი. მაგრამ ერთად, მოუცლელობისათვის; მეორედ, გზა და რიგი გამირკვევია. ვისცა თარგმანი გინდათ, ასეა ამისი თარგმანი და აწ თქვენ ამ გზით თარგმნიდეთ და ამის ბაასობაზედ შეეჭცეოდეთ. თუცა სულ მეთარგმნა, სხვა რას იქმოდა?“

როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, ვახტანგი იცნობდა პოემის სხვა „თარგმანებს“, მაგრამ მათში მოცემულ ახსნა-განმარტებას არ მიიჩნევდა საკმარისად. მან მოიწადინა „ვეფხისტყაოსნის“ არსის უფრო ზუსტად და სწორად გადმოცემა და ამ განზრახვით მოჰკიდა ხელი პოემის კომენტირებას. საგულისხმოა, რომ ვახტანგი დარწმუნებული იყო თავის სისწორესა და სიმართლეში, რუსთაველის აზრის უცვლელად გადმოცემაში. ამასთანავე ის სხვებსაც მოუწოდებდა წამოწყებული საქმის განგრძობისაკენ და კვლევა-ძიებისათვის თავის მეთოდებს სთავაზობდა.

ვახტანგის „თარგმანში“ დასმული და განხილულია მრავალი საკურადღებო საკითხი. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთზე შევჩერდებით (ლექსიკონზე კი ქვემოთ ვისაუბრებთ).

რუსთაველის სიტყვები: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ ბევრ მკითხველს აღელვებდა. ამ სიტყვების საფუძველზე ზოგი პოემას მართლაც სპარსულიდან მომდინარედ მიიჩნევდა. ვახტანგმა გადაჭრით გაილაშქრა პოემის ორიგინალობის უარმყოფელთა წინააღმდეგ და დაბეჯითებით დაასაბუთა „ვეფხისტყაოსნის“ ქართულობა: „ეს ამბავი სპარსში არ არის. და სპარსთ კაი მელექსობა იცოდნენ და თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე რომ იყო, ვითამ ეს მაზედ მოინდომა: ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო, რომ ქართლშიაც არ იყოსო, და უბრძანა მის მდივანს რუსთველს ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო. აწ იმას ამბობს სპარსულის მიბაძვით რადგან ათქმევინა თამარ მეფემ, რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო, თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება, ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც“.

შესაძლებელია, სულ დამაჯერებელი არ იყოს რუსთაველის სიტ-

ყვების ახსნა და თამარის როლის დადგენაც დამატებით საბუთს ითხოვდეს, მაგრამ მსჯელობა სპარსული დედნის არ არსებობის შესახებ ფრიად საყურადღებოა, ვახტანგის განცხადება საკმაოდ ავტორიტეტულია. ჩანს, მან ეძება სპარსული დედანი, ვერაფერი იპოვა და მხოლოდ ამის შემდეგ უარყო პოემის უცხო წარმომავლობა. ვახტანგის დასკვნით, პოემის ამბავი-ფაბულა რუსთაველის კუთვნილებაა, მისი „მოგონილი ზღაპარია“ და არა უცხო წყაროდან გადმოღებული და გადმოტანილი. შემდგომმა კვლევა-ძიებამ სავსებით დაადასტურა ვახტანგის ვარაუდი: არსად არ აღმოჩნდა არამცთუ სპარსული ორიგინალი, არამედ მისი ნაკვალევიც კი.

ვახტანგმა გულდასმით შეისწავლა პოემის ტექსტი, ზოგიერთი შეცდომა შენიშნა და ახსნაც სცადა. მაგალითად, ავთანდილთან საუბარში ტარიელი იგონებს, თუ როგორ მიიწვია იგი მეფე-დედოფალმა და განაგრძობს: „ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს სახითა ოდენ სამითა“. გაუგებარია, რას ნიშნავს სამი სახე ორი პიროვნებისა. ეს შეუსაბამობა შენიშნა ვახტანგმა. „თარგმანში“ ვკითხულობთ: „სახითა ოდენ სამითა რომ სწერია, მართლა კი არ ვიცი და მე ასრე მგონია: ორნი — მეფე-დედოფალი და მესამე — ერთი ვეზირი მისანდოც თუ ასრე არ დაეწერა: „სახითა ოდენ სამითა“, ლექსი არ გაიწყობოდა და ერთს კიდევ ამას ვეტყობ, რომე ვითაც ხელმწიფენი ღვთის ჩრდილად რომ არიან თქმულნი, ორნი ერთად რომ ისხდნენ სახითა სამითა ვითამ კინაღამ სამების სახედ ისხდენო“.

საგულისხმოა, რომ ვახტანგმა თავდაპირველად განაცხადა ზუსტად არ ვიცი, რას ნიშნავს „სახითა ოდენ სამითა“, შემდეგ კი სცადა მისი ახსნა და განმარტება. ვახტანგის ვარაუდით, ტარიელს მეფე-დედოფალს გარდა სხვა პირიც დახვდა („ვეზირი მისანდო“). ხელნაწერის საგანგებო შესწავლამ ცხადყო, რომ ვახტანგის ვარაუდი ძირითადად სწორია, მეფე-დედოფალი მარტონი არ ყოფილან. ტარიელს მათთან ერთად სამი დიდებული, წარჩინებული („ხასი“) დახვდა დარბაზში. პოემის გასწორებულსა და დადგენილ ტექსტში ციტირებული ტაეპი ასე იკითხება: „ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვახტანგი არა მხოლოდ განმარტავდა რუსთაველის სიტყვებს, არამედ ზოგჯერ კიდეც ეკამათებოდა

ახელოვან წინაპარს. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ტაეპის: „ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“ კომენტარში იგი წერდა: „ეს რომ სწერია, ავს კარგად ვერ შესცვლისო, ეს ხომ ბევრი ქმნილა ავი კარგად შეცვლილ იყოს. თუ კაცზედ უთქვამს, ურჯულო რომ რჯულიერად მოიქცეს, ეს ხომ ბევრი ქმნილა. და ბევრი ქურდი და კაცის მკვლელი ავს საქმეს მოიკვეთს და აღარ იქს“.

ადვილად შესამჩნევია ვახტანგის „თარგმანის“ კლასობრივ-სოციალური არსი. ქართლის გამგებელმა უყურადღებოდ არ დატოვა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სოციალური შეხედულებანი და შესაფერისი ახსნა მისცა მის ყოველ სპეციალურ გამონათქვამს. მაგალითად, რუსთაველის „ყმა მეფისა ბრძანებასა ლაღი წუნარად მოისმენდა“ ასე განმარტა: „ეს ბატონყმობის სასწავლელად უთქვამს. ბატონის ბრძანება ყმამ წუნარად გასინჯვით უნდა მოისმინოს და კიდეც უნდა რცხვენოდეს და კიდეც უნდა ეშინოდეს“; „პატრონისა ვერა მშვერეტმან ყმამან რამცა გაიხარნა!“ ასეა კომენტირებული: „ესეც მართლა დაუწერია, თავის ბატონის ვერ მშვერეტი ყმა ვერას გაიხარებს“.

ვახტანგს აწუხებდა ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გავრცელებითა და მისი იდეების დამკვიდრებით შეშფოთებულმა ეკლესიამ სანელი გაუტეხა პოემას და სამეძაო წიგნად გამოაცხადა იგი. ვახტანგმა გადაჭრით გაილაშქრა ვაიკრიტიკოსთა წინააღმდეგ და კატეგორიულად უარყო პოემის ხელმყოფელთა თვალსაზრისი, „ვეფხისტყაოსანს“ ააცილა შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური ბრალდება, სავსებით ახლებურად გაიაზრა და სრულიად განსხვაებულად განმარტა მისი იდეური არსი. რუსთაველის ადამიანური სიყვარული საღვთო მიჯნურობად გამოაცხადა და კლერიკალთაგან სამეძაო წიგნად მიჩნეული პოეტური ქმნილება მაღალზნეობის მქადაგებლად აღიარა. თავისი აზრი მან არა მხოლოდ ლიტონი სიტყვებით გამოხატა, არამედ მისთვის საფუძვლის დაძებნა და დასაბუთებაც სცადა.

„უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდენ მის რიტორისა და ბრძენ-მეცნიერისა და კეთილად ნამუშაკევისა სამუშაკოსა“. ეს სავალალო გარემოება აღაშფოთებდა

ვახტანგს. სხვათა შორის, იგი თავის პოეტურ ნაწერებშიც გამოთქვამდა გულისტკივილს რუსთაველის პოემის არასწორად გაგების შედეგად მისი ჯეროვნად შეუფასებლობის გამო:

რუსთველსა ენა-შაჭარსა უქნია რისმე მკობანი,
სიტკბო, სიბრძნე და იგავნი, ცოლ-ქმართა აშიკობანი,
ბევრად საჩხრეკი; ვერ მიხვდენ; მიბაძეს ცუდი ხმობანი,
საღმთო წერილი საცრუოდ თქვეს და დაგვიგდეს გმობანი.

„ვეფხისტყაოსნის“ სამეძაო წიგნად მიჩნევას ვახტანგი შეუწყნარებელ შეცდომად და მიუტევებელ ცოდვად თვლიდა. იგი დაბეჯითებით იცავდა პოემას ხელმყოფელთაგან, ექომაგებოდა მის ავტორს, ეკამათებოდა მოწინააღმდეგეებს, უყიჟინებდა მათ ტენდენციურობას, პოემის დედააზრის მიჩქმალვასა და დამახინჯებას.

ვახტანგი დაუზოგავად აკრიტიკებდა მათ, ვისი აზრითაც „რუსთველის ნათქვამში საღმთო არა ურევია რა“. მისი დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი“ საღვთო წიგნია, ავტორმა იგი „საღმთო მიჯნურობისათვის“ დაწერა. იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რუსთაველს რომც მოენდომებინა სამეძაო წიგნის დაწერა, ქართველი საზოგადოებრიობა ამის ნებას არ დართავდაო.

„რუსთველის დროს ქალი ბატონობდა და ამგვარი მეძაობის სიტყვა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწყენდა. და მეორედ, ორი კათალიკოზი, რამთონი სამღდელო წმინდა და ღირსნი კაცნი იყვნენ და ამთონი უდაბნო აშენებული იყო. ისინი თუცა რუსთველს მოენდომებინა, როდის აქნევინებდენ და ნათქვამს დაუხეველს როდის გაუშვებდენ“.

საგულისხმოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი ზნეობა მას მიაჩნდა არა მხოლოდ თამარის ეპოქის ლოგიკურ გამოძახილად, არამედ რუსთაველის სულიერი სიდიადის გამომხატველადაც. მისი სიტყვით, „ესევითარი მეცნიერი კაცი არცა დაშვრებოდა წარსაწყმედელად“.

ვახტანგმა „ვეფხისტყაოსანი“ მიიჩნია სასწავლო წიგნად, ხოლო მისი ავტორი — დიდაქტიკოს-მორალისტად. ჰუმანიზმით აღსავსე პოემას მან მისტიკურ-ალეგორიული ინტერპრეტაცია მისცა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახტანგი არა მხოლოდ რუსთაველის დაცვის სურ-

ვილით ავითარებდა მისტიკურ-ალეგორიულ თეორიას და ამ მიზნით ეძებდა საილუსტრაციო მასალას „ვეფხისტყაოსანში“, არამედ თვით ესმოდა ასე პოემის შინაარსობლივ-იდეური არსი. ამის დამადასტურებელია მისი სატრფიალო ლირიკა, რომელიც ჩვენ ზემოთ მიმოვიხილეთ. „ვეფხისტყაოსნის“ კომენტირებისას ის ნაწილობრივ თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით ხელმძღვანელობდა და აღმოსავლეთში გავრცელებული უდიდესი ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრების — სუფიზმის გავლენით მსჯელობდა.

ვახტანგს ჰქონდა კეთილშობილური განზრახვა. მას სურდა დაეცვა პოემა და აეცილებინა მისთვის მძიმე ბრალდება. ეს მისია მან წარმატებით შეასრულა, მაგრამ ნაწილობრივ გადააჭარბა, ზომიერება ვერ გამოიჩინა და უკიდურესობაში გადავარდა, პოემა საღვთო ნაწარმოებად გამოაცხადა და მისტიკურ-ალეგორიული თვალსაზრისის შემცველად მიიჩნია, რუსთაველის დიდებული ნააზრევი რელიგიურ საბურველში გაახვია და კიდევ უფრო გაართულა საქმე. პოეტის თხრობაში ყველგან ალეგორიისა და სიმბოლიკის დანახვამ დააბნელა პოემის ძირითადი არსი. მეთოდის უვარგისობის გამო კეთილმა სურვილმა არასახარბიელო შედეგი გამოიღო. სურდა რა პოემაში ღვთაებრივი მიჯნურობის ამოკითხვა და დასაბუთება, ვახტანგმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევას თავისებური განმარტება მისცა. მას ეშინოდა რუსთაველის მიჯნურობა არ გაეიგივებინათ მეძაობასთან. ამის გამო იგი საღვთო მიჯნურობად გამოაცხადა და ქალის კულტიც კი საღვთო მიჯნურობის ასპექტში განიხილა. „თარგმანში“ მოცემული ზოგიერთი დასკვნა ნაძალადევი და მიუღებელია. დღევანდელ მკითხველს უთუოდ გააოცებს ვახტანგის ტენდენციური მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ადგილის შესახებ. მაგალითად, რუსთაველის სიტყვები: „არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა ჭირთა, მალვა...“. „თარგმანში“ ასეა განმარტებული: „უხმს მოღვაწეთა ვითარცა იტყვის ქრისტე: იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რათა არა ეჩვენო კაცსა მარხველად. ახლა ამას ამაზე უბნობს: თავი და პირველი მიჯნურობა ის არის, რომ კაცი დაფარვით მარხულობდეს და მოღვაწეობდეს და საჯაროდ არ ირჯებოდეს, თავის სენაკში იჯდეს, სულ თავის წინ თავის ცოდვას იგონებდეს და მუდამ ხალვა ჰქონდეს“; რუსთაველის ცნობილი ფრაზა: „ჩემი აწ ცანით ყოველმან,

მას ვაქებ, ვინცა მიქია“, ვახტანგმა ასე განმარტა: „ვითამ ღმერთი უქია და იმასვე ვაქებო“.

ბუნებრივია, ვახტანგი გრძნობდა ერთგვარ უხერხულობას, ამჩნევდა თავის განმარტებათა ხელოვნურ იერს, მაგრამ უკან არ იხევდა, თავის მეთოდს ასაბუთებდა და თავის გზას ამართლებდა: „თუ უნდა ესეც არ იყოს და ისე იყოს, თარგმანი ხომ ასრე სჯობს: ღეთისა და კაცს წინ მე ასე მიჯობინებია და ამას იქით მკითხველთ იცით. მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ. ქვეყნის უფროსი აცის დამშლელი ხამს და ამად დავშვერ“.

ვახტანგის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“; მართალია, ძირითადად საღვთო მიჯნურობაა წარმოდგენილი, მაგრამ ამავე დროს მასში მეუღლეობრივი სიყვარულის ქადაგებაცაა მოცემული. კომენტატორი ამ თვალსაზრისით დაუკვირდა პოემის ტექსტს და თავისი შეხედულება რამდენჯერმე გვამცნო. მაგალითად, ცალკეული სტროფების განმარტებაში იგი წერდა: „რუსთველს ცოლქმრობის სიყვარულზე უთქვამს, არათუ მეძაობაზედ“; „ცოლქმართ სიყვარულს ისწავლება“; „ვინც იკითხვიდეს, ისწავლონ თუ ქმარს ცოლზე როგორი სიყვარული მართებს ან ცოლს ქმარზედ, ან ქალს რა საქციელი მართებს ან კაცსა“ და ა. შ.

ვახტანგის მოსაზრება სავსებით გაიზიარა მამუკა ბარათაშვილმა: „რუსთველს ცოლქმრობის სიყვარულზე უთქვამს და სხვა მრავალი საღმთოდ საერო სწავლება მოუყვანია, რომელსა მისი თარგმანი, მეფეს რომ უბრძანებია, ის გამოაცხადებს, მაგრამ ზოგიერთს მელექსეს იმისი წიგნი ცუდს საამიყოთ გაუსინჯავს“.

ვახტანგის შეხდულებით, „ვეფხისტყაოსანი“ საერო ხასიათის ძეგლია, მასში ჩვეულებრივი სიუჟეტი, ამქვეყნიური „სოფლიო ზღაპარია“ მოცემული. რუსთაველის მიერ „სოფლიო ზღაპრის“ აღება და ფანტასტიკური თემატიკის დამუშავება შემთხვევითი არ იყო. საზოგადოებას საერო თხრობა უფრო აინტერესებდა და შემოქმედს არ შეეძლო ამისთვის ანგარიში არ გაეწია. „რადგან საღმთო ნახა, რომ არავინ კითხულობდა, სოფლიოს ზღაპარს უფრო წაიკითხავდენ, სოფლიო ზღაპარი მოიგონა“. მაგრამ გენიოსმა ავტორმა ამ „სოფლიო ზღაპარში“ ალეგორიულად გვიქადაგა მაღალზნეობრივი მოძღვრება. თუ სხვა ანალოგიური თხზულებანი სამეძაო ხასიათს ატარებდნენ,

რუსთაველმა ამბავი მაღალ დონეზე აიყვანა, მასში საღვთო და საერო სწავლა ორგანულ მთლიანობაში წარმოადგინა. ვახტანგს „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნდა როგორც საღვთო, ისე საერო ზნეთ-სწავლების წიგნად. მას სწამდა, რომ პოემა „საღმთოც იყო და საეროც“. იგი დაბეჯითებით აცხადებდა: „ბევრჯერ მითქვამს, რუსთველს სადაც პირი მოუკრავს, საღმთო ყოფილა კარგი თუ საკაცო, ორივ დაუწერია“.

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ 20-დე ცალია მოღწეული. საფიქრებელია, პოემის ბეჭდური ეგზემპლარები მოსპო და გაანადგურა ეკლესიამ. რეაქციულმა საზოგადოებამ დაგმო და არ მიიღო ვახტანგის თვალსაზრისი, არ შეიწყნარა მისი აზრი, არ აიღო ხელი „ვეფხისტყაოსნის“ დევნაზე, მეტიც, მან ვახტანგსაც შეუტია. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ტ. გაბაშვილის სიტყვები. ამ ცნობილი მღვდელმთავრის სიტყვით, რუსთაველი „იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“. უცილობელია, ტ. გაბაშვილს მხედველობაში ჰყავდა ვახტანგი. იმდენად დიდი იყო კლერიკალთა გულისწყრომა „თარგმანში“ გატარებული აზრების გამო, რომ მღვდელმთავარი მეფესაც კი არ მოერიდა. ჩანს, ისე გამწვავებულა საქმე და ისე ამხედრებულა საეკლესიო საზოგადოებრიობის კლერიკალური ფრთა, რომ ვახტანგის ავტორიტეტმაც ვერა გააწყო რა. მდგომარეობის გამწვავებამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური ეგზემპლარების ბარბაროსული განადგურება.

მართალია, ეკლესიამ არ მოიწონა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა და შეუტია კიდეც მას, მაგრამ ქართველთა დიდმა უმრავლესობამ სიხარულით მიიღო იგი, შეიყვარა და ხელნაწერების სახითაც გაამრავლა. თუ რა განწყობილებით შეხვდა პოემის გამოცემას ქართველი საზოგადოებრიობა, ეს საგანგებოდ არის აღნიშნული იმ ლექსში, რომელიც იმავე გამოცემაშია დაბეჭდილი:

> აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ხელისა,
> უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა,
> მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით კეთილმჭვრეტელისა,
> ნაღვაწი მისის მლოცველისა მესტამბე მიქაელისა.

დაესრულა ესე წიგნი ქორანიკონს უნსა სმულსა,
ყველაკასა უხაროდა — რიტორსა და ხმა უსულსა,
საღმთოა და საეროცა, ვისაცა აქვს სმენა გულსა,
უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა — გულს უსრულსა.

ვახტანგის სამართალი

ქართველმა ხალხმა, მიუხედავად ჟამთა სიავისა, დღენიადაგ მომხდურ მტერთან ბრძოლისა და მშვიდობიანი სახელმწიფოებრიცი მშენებლობისათვის დროის უქონლობისა, მაინც საინტერესო და საკმაოდ განვითარებული სამართლებრივი სისტემა შექმნა. ქართული სამართლებრივი სისტემის სრულყოფაში დიდი წვლილი შეიტანა ვახტანგმა, რისთვისაც მას რჯულმდებელსა და ქართველ იუსტინიანესაც კი უწოდებენ.

ვახტანგი მართლმსაჯულებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა. მან ადრევე შენიშნა ყიზილბაშთა ბატონობისა და ცალკეულ მოხელეთა თვითნებობის ბუნებრივი შედეგი — მართლმსაჯულების დაცემა და სასამართლო პრაქტიკის გადაგვარება. „ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ჟამთათა თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდენ და განაგებდენ, ვიეთნიმე მოყუსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღვთის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამითა, — ვითარცა ენებათ, სჯიდენ“. ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობას ვახტანგი ვერ მოითმენდა და უმსგავსოებას ვერ შეურიგდებოდა. მართლაც, მან მრავალმხრივი ღონისძიებანი გაატარა არსებული ქაოსის ლიკვიდაციის, სამართლის მოწესრიგებისა და ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპების დადგენისათვის. სახელდობრ, „იგულა და იგულსმოდგინა და შემოკრიბნა ყოველნი წიგნნი სამართლისანი, რომელნი ჟამთა ვითარებითა თვითოეულად მიმოდაბნეულ იყო სხვათა სამეფოთა, გინა თუ ქართლსა შინა. ესე ყოველი მოიძია, იპოვა და მოიშოვა, მრავლითა იძულებითა და ფრიადითა შრომითა მოიღო“.

თავის თანამოღვაწეებთან ერთად ვახტანგმა ჩაატარა უაღრესად შრომატევადი სამუშაო და შექმნა-ჩამოაყალიბა დიდებული კრებული, რომელსაც ჩვეულებრივ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს უწოდებენ. იგი ფრიად საყურადღებო ძეგლია. მისი შესწავლა ნათლად ავლენს საქართველოში დამკვიდრებულ მართლწესრიგს, ჯეროვნად წარმოაჩენს ხალხის მართლშეგნებას და ცხადყოფს ჩვენი სამართლებრივი სისტემის მაღალ დონეს.

ასეთი ტიპის კრებული სხვა ენაზე არ არსებობს, ამდენად მას მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქართული სამართლის შესასწავლად, არამედ საერთოდ სამართლის ისტორიის გასათვალისწინებლადაც.

სამართლის წიგნთა კრებულის შედგენილობა ასეთია:

1. ზანდუკი (საძიებელი) — შედგენილი ცნობილი მწიგნობრის სოლ-ომონ მაღალაძის მიერ. ვახტანგმა გულდასმით განიხილა იგი და შეავსო, დააზუსტა, შეასწორა, ჩაურთო ახალი პუნქტები, დააკონკრეტა და უფრო სრულად დაასათაურა ცალკეული პუნქტები, არშიებზე მიაწერა განმარტებანი და ა. შ. იურიდიული ხასიათის დამატებითი ფორმულირებით მან აამაღლა საძიებლის ხარისხი და გააადვილა კონკრეტული დანაშაულის შესაბამისი სასჯელის დაძებნა სამართლის წიგნებში.

2. შესავალი — დაწერილი კრებულის შედგენისთანავე ვახტანგის ერთგული თანამოღვაწის გივი თუმანიშვილის მიერ (არა უგვიანეს 1709 წლისა). მასში მოცემულია საყურადღებო ცნობები სამართლის ძეგლების თარგმნის, კრებულის შედგენის, ვახტანგის საქმიანობისა და სხვა საკითხების შესახებ.

3. სამართალი მოსესი. გ. თუმანიშვილის სიტყვით, ესაა „დაბადებისა“ და „გამოსვლათა“ სამართალნი მოსესმიერი“. „გამოსვლათა“ წიგნიდან მუხლების ამოკრეფისა და მათგან სამართლის წიგნის შედგენის ცდა ადრევე ყოფილა, მაგრამ ამოკრეფილი მასალა კრებულში აღარ შეუტანიათ. ასე რომ, მასში წარმოდგენილია მხოლოდ „დაბადების“ მუხლები, ისიც რამდენადმე შეკუმშული სახით.

4. სამართალი ბერძნული. ვახტანგმა მისი „ძიება-ყო საბერძნეთით“ და მოიპოვა „ფრიადითა შრომითა გარდმოთარგმანებითა ბრძენთა კაცთათა“, რომელთაც „თვით უმეტეს შეეწეოდა თარგმან-

სა შინა“. ქართული თარგმანის წყაროს წარმოადგენს ბიზანტიური იურისპრუდენციის თვალსაჩინო წარმომადგენლის კონსტანტინე არმენოპულოსა (XIV ს.) და მღვდელ-მონაზონ მათე ვლასტარის (XIV ს.) შრომები. მთარგმნელმა — კვიპრიანე სამთავნელმა შეამოკლა და ნაწილობრივ შეცვალა ტექსტის ცალკეული ადგილები.

5. სამართალი სომხური. იგი ვახტანგმა ეჩმიაძინიდან ჩამოატანინა და საგანგებოდ ათარგმნინა კრებულისათვის. შედგება ორი ნაწილისაგან: სირიულ-რომაული სამართალი; მხითარ გოშის სამართალი.

ამრიგად, თავის კრებულში ვახტანგმა პირველ რიგში შეიტანა უცხო სამართლის ისეთი ძეგლები, რომელთაც მოქმედი ძალა ჰქონდათ. ყველა დასახელებული ძეგლი ქრისტიანულ ქვეყნებში იხმარებოდა და, ბუნებრივია, ჩვენშიც ყოფილიყო გამოყენებული. ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიამ გამოიყენა უცხო წყაროები, შეუფარდა ქართულ სინამდვილეს და მიუსადაგა ეროვნულ ნიადაგს. ზემოდასახელებული სამართლის ძეგლები იმდენადაა გადამუშავებული, რომ მათ სრულიად მართებულად ქართულ ვერსიებად ვიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, უცხო მასალით დაკმაყოფილება და შემოფარგვლა, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა და ვახტანგმა კრებულში ჭარბად შეიტანა ქართული ორიგინალური ძეგლები: 1. საქართველოს კათოლიკოსის მალაქიას (1531 — 1549), აფხაზეთის კათოლიკოსის ევდემონ ჩხეტიძისა (1557 — 1578) და სხვა ქართველ მღვდელმთავართა მიერ შემუშავებული „სამართალი კათალიკოზთა“; 2. გიორგი ბრწყინვალის მიერ 1335 წელს მთიულთათვის შექმნილი „ძეგლის დადება“; 3. სამართალი ბექასი და აღბუღასი (XIV ს.); 4. სამართალი ბაგრატ კურაპალატისა (1027 — 1072); 5. კანონიკური სამართალი.

კრებულის ბოლოს წარმოდგენილია საკუთრივ ვახტანგის სამართალი, რომელშიც „მოცემულია XVII — XVIII სს. ქართლის სამეფოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, კლასებისა და სოციალური ფენების ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის მკაფიო სურათი, ასახულია მრავალგვარი სამართლებრივი ინსტიტუტი, ადათ-ჩვეულება, იურიდიული ყოფა და მართლშეგნება. ვახტანგის სამართლის წიგნი ქართული კულტურის ისტორიის უძვირფასესი და უმნიშვნელოვანესი განძია“ (ი. დოლიძე).

„სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა“ იწყება ვრცელი შესავლით, რომელშიც საუბარია ქართლში შექმნილ ვითარებაზე, მართლმსაჯულების შესუსტებასა და დაცემაზე, სამართლის წიგნის შექმნის მიზეზებზე და ა. შ. მასში მოხსენიებული არიან ის მოღვაწენი, რომელთა „თანაყოლითა და მოწმეობითა, თანადგომითა და თანაზრახვითა“ მუშაობდა ვახტანგი სამართლის წიგნზე (დომენტი კათოლიკოსი, ერეკლე მუხრანბატონი, გიორგი არაგვის ერისთავი, დავით ქსნის ერისთავი, ავთანდილ ამილახორი და სხვა). სხვათა შორის, დასახელებულ პირთა მოხსენიება ვახტანგის თანამოღვაწეებად იძლევა საფუძველს აღნიშნული წიგნის 1705 — 1708 წლებით დათარიღებისათვის.

ვახტანგი ემყარებოდა როგორც ქართულ ჩვეულებით სამართალს, ისე სასამართლო პრაქტიკასაც. მან უხვად გამოიყენა ქართული სამართლის წიგნები, ისარგებლა „ძველად დადებული“ წეს-კანონებით. მისი მთავარი და ძირითადი წყარო ეროვნული სამართლის ძეგლებია.

ვახტანგს კეთილი სურვილი ამოქმედებდა. მას სურდა სასამართლო პრაქტიკაში დანერგილი მავნე ჩვევების აღმოფხვრა და მართლმსაჯულების მოწესრიგება; ამ მიზნით შექმნა და მიაწოდა საზოგადოებრიობას თავისი სამართლის წიგნი. საგულისხმოა, რომ იგი თავის ნაშრომს სრულად არ თვლიდა: „მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია და არცა ვიჩემებ, რომე არა აკლდეს რა“. ამიტომ სხვებსაც კი მოუწოდებდა მუშაობის გაგრძობისა და ძეგლის სრულყოფისაკენ: „ვინც მიხვდეს რასმე და მოიგონოს, ჩაურთოს და ჩასწეროს, კარგსა და მართებულს იქს“

ვახტანგის სამართლის წიგნი ძირითადად მუხლებადაა დანაწევრებული, მაგრამ რამდენიმე ადგილას დარგების მიხედვითაცაა დაყოფილი (კარი თეთრის გარიგებისა, კარი ქურდობისა და სამართალი მისი, კარი ნასყიდობისა და ა. შ.). შინაარსის მიხედვით მასში სხვა კარების გამოყოფაც შეიძლება (რიგი და სამართალი თავის მართლებისა, კარი სისხლის განაჩენებისა, კარი მიხდომისა და ღალატად დადგომისა და სხვ.). გარდა აღნიშნულისა, წიგნში კიდევ მრავალი საკითხია განხილული (მშობლებისა და შვილების ურთიერთობა, ცოლ-ქმრის ურთიერთობა, მკვლელობა, სესხი, ქურდობა

და ა. შ.). მისი კლასობრივი მიზანი სავსებით გარკვეულია. ვახტანგის სამართალი გაბატონებული წრეების ინტერესებს გამოხატავდა, ფეოდალური საზოგადოებრიობის ცხოვრების მოწესრიგებას, არსებული ბატონყმური ურთიერთობის ნორმალიზაციას ცდილობდა და მხოლოდ ნაწილობრივ არბილებდა კლასობრივ ჩაგვრას, გლეხკაცობას იცავდა ზედმეტი ძალმომრეობისაგან და მის გეგმაზომიერ ძარცვას აკანონებდა.

ვახტანგის სამართალი ჰუმანური იდეებით აღსავსე ძეგლია. იგი მოქმედი სამართალი იყო და კანონის უფლებით სარგებლობდა; თავდაპირველად მხოლოდ ქართლისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ადრევე ცხოველი ინტერესი გამოიწვია, დიდი ყურადღება დაიმსახურა და საყოველთაო გავრცელება პოვა — მთელ საქართველოში გამოიყენებოდა, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი.

უკანასკნელად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახტანგმა არა მხოლოდ სამართლის წიგნი დაწერა და სამართლის კრებული შეადგინა, არამედ უშუალო მონაწილეობა მიიღო სასამართლო პრაქტიკაშიც. ს. ჩხეიძის ცნობით, ვახტანგმა „განაგო საქმე საქართველოსი, განაჩინა წიგნი სამართლისა. ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის სამდივნოს სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთათანა“.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ქართული სახელმწიფო, ადმინისტრაციული და სამეურნეო სამართლის ფრიად საყურადღებო ძეგლი „დასტურლამალი“ (დასტურ ალ-ამალ სპარსულ-არაბულია და მოქმედების დასტურს, განრიგებას, ინსტრუქციას ნიშნავს). იგი ვახტანგმა შეადგინა გამგებლობის პერიოდში.

„ბატონიშვილმან პატრონმა ვახტანგ ვიგულსმოდგინეთ წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა; განუჩინეთ და განვუწესეთ წიგნითა ამით, რათა ყოველნი ხელისუფალნი და მოქმედნი დარბაზის რიგისანი ესრეთ იქცეოდენ და განაგებდენ თვისთვისნი მოხელენი თვისთა“, — ასე განსაზღვრა „დასტურლამალის“ მიზანდასახულება მისმა შემდგენელმა. მართლაც, ამ წიგნმა ერთმანეთისაგან გამიჯნა მართლმსაჯულება და მართვა-გამგეობა და თითოეულს თავისი სფე-

რო მიუჩინა და შემოუფარგლა, დაამკვიდრა სამეფო დარბაზის წესრიგი, განსაზღვრა ხელისუფალთა უფლება-მოვალეობა, დააკონკრეტა მოხელეთა ფუნქციები. მაგრამ ამასთანავე მასში განხილულია ისეთი საკითხებიც, რომელთაც სამეფო დარბაზთან პირდაპირი და უშუალო კავშირი არა აქვთ (მაგალითად, ხალხის აღწერა, შემოსავლის დავთრის შედგენა, გადასახადის აკრეფა, გზების მოვლა და ა. შ.). ასე რომ, ვახტანგის დამოწმებული განცხადება სულ ზუსტი და ამომწურავი არაა. „დასტურლამალი" გაცილებით მეტი მნიშვნელობისა და უფრო სრული შედგენილობის თხზულებაა.

რადგან ძეგლის სახელწოდება სპარსულ-არაბულია, ნაწილობრივ მოსალოდნელი იყო, რომ იგი თარგმნილი იქნებოდა, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. „დასტურლამალი" წმინდა ქართული, ორიგინალური ნაწარმოებია. შემდგენელმა გაითვალისწინა ქართული სინამდვილე, ანგარიში გაუწია ძველადვე დადგენილსა და დაკანონებულ წესებს, გამოიყენა ადრე არსებული „გარიგების წიგნები", შექმნა ეროვნული სამართლის ახალი ძეგლი და ზუსტად ასახა გვიანფეოდალური ხანის ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება.

მეცნიერული შრომები

ვახტანგის მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ერთობ დიდი ადგილი უჭირავს მეცნიერულ მოღვაწეობას, კვლევა-ძიებით მუშაობას. ვახტანგი იყო არა მხოლოდ ინტელექტუალური საქმიანობის აღიარებული ხელმძღვანელი და კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის ნიჭიერი ორგანიზატორი, არამედ დაკვირვებული მკვლევარი და ნაყოფიერი მეცნიერი. თავისი ორიგინალური თუ თარგმნილ-გადმოკეთებული შრომებით მან შესამჩნევად შეუწყო ხელი ქართული მეცნიერების განვითარებას.

ვახტანგმა მრავალმხრივი მეცნიერული მუშაობა წამოიწყო სამშობლოში (ლექსიკოგრაფია, ისტორიოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა-რუსთველოლოგია...), განაგრძო ირანელთა ტყვეობაში (ასტრონომია, ქიმია...) და დაასრულა რუსეთში (ქიმია, ისტორიოგრა-

ფია...). მიუხედავად სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საქმიანობით გადატვირთვისა, იგი ყველგან პოულობდა დროს მეცნიერული მუშაობისათვის. შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ მისი მონაწილეობა მეცნიერების ზოგიერთი დარგის განვითარებაში.

ა ს ტ რ ო ნ ო მ ი ა. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში საგრძნობლად გაღვივდა ინტერესი ციური სამყაროსადმი, შესამჩნევად გაიზარდა მოთხოვნილება კოსმოგრაფიული ძეგლებისადმი. ქართული ასტრონომიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვახტანგმაც. იგი ახალგაზრდობაშივე ინტერესით სწავლობდა ასტრონომიას; სამყაროს ეცნობოდა სპეციალური სახელმძღვანელოებით, გულდასმით კითხულობდა და სათანადო მინაწერებით ამკობდა XII — XIII სს. ხელნაწერებში შემონახულ ასტრონომიულ-კალენდარული ხასიათის თხზულებებს. შემდეგ ხანაში მან ხელი მიჰყო სპეციალური ლიტერატურის თარგმნასაც. სახელდობრ, ირანში ყოფნის დროს სპარსული ენიდან თარგმნა ცნობილი მეცნიერის ულუღ-ბეგის (XV ს.) ასტრონომიული ტრაქტატი „ზიჯი" — „ვარსკვლავთა კატალოგი".

ულუღ-ბეგმა თავისი ობსერვატორიით და იქ ჩატარებული დაკვირვებებით საკმაოდ გაითქვა სახელი. მან მრავალწლოვანი და მრავალმხრივი მუშაობის შედეგად შექმნა ის შრომა, რომელმაც ირანელთა ტყვეობაში მყოფი ვახტანგის ყურადღება მიიპყრო. ვახტანგმა გაიგო შრომის ღირსება, კატალოგის მნიშვნელობა და ქართველთა შორის ასტრონომიისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით იგი მშობლიურ ენაზე გადმოიღო. ამასთანავე მან ცდა არ დააკლო, რომ სამარყანდელი ასტრონომის ტრაქტატი ქართველი მკითხველისათვის ადვილად გასაგები გაეხადა. ამ მიზნით ზოგი უმნიშვნელო ადგილი გამოტოვა, ზოგი საგანგებოდ განმარტა, თავის თარგმანს სპარსულ-ქართული ასტრონომიულ-ასტროლოგიური და სხვა სიტყვების რამდენიმე ლექსიკონი დაურთო და ა. შ.

აღსანიშნავია ის მუშაობა, რომელიც ვახტანგმა ჩაატარა ხოჯა ნასირ ედ-დინ თუსის (XIII ს.) „თალი მასალის" ანუ „სტროლაბის სასწავლებელი წიგნის" ქართული თარგმანის სრულყოფისათვის, მისი დავალებით თარგმნილი ტექსტის რედაქტირებისათვის. აქვე უნდა მოვიხსენიოთ თბილისის სტამბაში დაბეჭდილი (1721 წ.) ასტრო-

ნომიულ-კოსმოგრაფიული თხზულება „აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი“, რომელიც სპარსულიდან ვახტანგმა თარგმნა, ხოლო სასტამბოდ ნ. ორბელიანმა გამართა. ცნობილია ვახტანგის ორიგინალური შრომებიც კალენდარული ხასიათისა — „ხელთა“ და „კვინკლოსი“ ანუ „საძირკველი“, რომელიც მას დიდის „სასჯლით“ გაუკეთებია ისპაანში.

რამ განაპირობა ვახტანგის ამგვარი ნაყოფიერი მუშაობა ასტრონომიაში? ერთი მხრივ, ქართული კლასიკური ხანის თხზულებების შესწავლამ და ძველ საქართველოში ასტრონომიის განვითარების მაღალი დონის გაცნობამ, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელი მეცნიერების სპეციალური შრომების ანალიზმა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ასტრონომიის განვითარებამ ვახტანგს მწვავედ აგრძნობინა მისი დროის ქართული ასტრონომიის ჩამორჩენა და სტიმული მისცა ამ მიმართულებით ფართო საგანმანათლებლო მუშაობის წამოსაწყებად.

„აიათის“ წინასიტყვაობაში ვახტანგი საგანგებოდ აღნიშნავდა: „საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოოხრებულიყო და არღარა დაშთომილიყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილოსოფოსთა. და სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხებოდენ. და აწ მე, მეფემან მეფეთამან ვახტანგ, ეს სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი, ზიჯი, თალი მასალა და სხვა ოქმების წიგნები ვთარგმნე მირზა აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა და სტროლაბიც ქართულად გამოვიღე“.

რასაკვირველია, არც დასახელებული წიგნების თარგმნა და არც საერთოდ ვახტანგის მოღვაწეობა ასტრონომიაში არ აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ქართველებს დასცინოდნენ მეცნიერების ამ დარგში ჩამორჩენის გამო. არაა გამორიცხული, რომ ასეთ დაცინვას, თუკი მას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, გაეღიზიანებინა ქართველთა ეროვნული თვითშეგნება, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ვახტანგმა იგრძნო ჩამორჩენის სიმწვავე და შეუძლებლად მიიჩნია უმოქმედობა. მან სათანადო ნაბიჯები გადადგა და აქტიურად შეუწყო ხელი ქართული ასტრონომიის განვითარებას. საყურადღებოა, რომ მეცნიერების აღნიშნული დარგით ვახტანგმა ბევრი თანამოღვაწე დააინტერესა (ნიკოლოზ ორბელიანი, ვახუშტი...). მდივანბეგ იოანე ორბე-

ლიანის ცნობით, ვახტანგმა „ფრიადი შრომა ყო მასზე და ასწავა რომელიმე სწავლა ქალდეური ვარსკვლავთმრიცხველობისა“.

ქ ი მ ი ა. ვახტანგს საკმაოდ აინტერესებდა და იზიდავდა ქიმია. მან ჯერ კიდევ ისპაანში დაიწყო და რუსეთში დაასრულა ქიმიის სახელმძღვანელო, რომელიც ვახუშტის ხელნაწერში ასეა დასათაურებული: „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“. აღნიშნული წიგნი არაა ორიგინალური ნაწარმოები, მაგრამ არც თარგმანია და არც რომელიმე უცხო წყაროს ქართული ვერსია. ვახტანგმა გამოიყენა აღმოსავლური ძეგლები, გამოკრიფა იქიდან საინტერესო მასალა, ჩაატარა ცდები და სცადა ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების მიღების წესის შემუშავებაც. ზოგჯერ იგი ზეპირსიტყვიერი ცნობებითაც სარგებლობდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად ამოწმებდა და აზუსტებდა მათ. გასაგებია, რომ ყველა ცდის დაყენება და ყველა ცნობის შემოწმება ირანელთა ტყვეობაში მყოფი ვახტანგისათვის შეუძლებელი იყო, ამდენი ხარჯის გაღება მას არ შეეძლო. ამიტომ იგი, წინააღმდეგ სურვილისა, ზოგჯერ შეუმოწმებელ მასალასაც ათავსებდა სახელმძღვანელოში, მაგრამ მკითხველს არ უმალავდა ამას და საგანგებოდ აფრთხილებდა კიდეც.

ვახტანგს ჰყავდა თანამშრომლები, კონსულტანტები, რომლებიც მას გარკვეულ დახმარებას უწევდნენ, მაგრამ ზოგჯერ მეტი გასამრჯელოს გამოძალვას ცდილობდნენ, თავისი არაკეთილსინდისიერი მოქმედებით წამოწყებულ საქმიანობას შლიდნენ და ამით სახელმძღვანელოს შედგენას აფერხებდნენ. მაგრამ ვახტანგმა მაინც საყურადღებო ნაშრომი შექმნა, რითაც მოკრძალებული წვლილი შეიტანა ქართველთა შორის ქიმიისადმი ინტერესის გაღვივებისა და მშობლიური მეცნიერების განვითარებაში.

მ ე დ ი ც ი ნ ა. საყურადღებოა ვახტანგის წვლილი ქართული მედიცინის განვითარებაშიც. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მისი ზრუნვა ძველი ქართული მედიცინის ადრინდელი ძეგლების შემცველი ხელნაწერების დაცვა-შენარჩუნებაზე. ფრიად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ორი უაღრესად საყურადღებო სამედიცინო ხასიათის თხზულების ხელნაწერები ვახტანგის სახელთანაა დაკავშირებული.

XI საუკუნის „უსწორო კარაბადინის“ ხელნაწერის ანდერძში

ცითხება: „ჩვენ, საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, დავაწერინეთ კარაბადინი ესე საკითხავად და სამყოფად დარბაზ სეფეთა ჩვენთა. ერთი ფურცელი აკლდა და მისი ვერსად ვიპოეთ რომ დაგვეწერა“. როგორც ჩანს, ვახტანგმა გაითვალისწინა დასახელებული ძეგლის მნიშვნელობა და მისი ხელნაწერი საგანგებოდ დაამზადებინა. გულისტკივილი ერთი ფურცლის დაკლების გამო საკმაოდ ნათლად ამოწმებს ვახტანგის დიდ ინტერესს ძველი ქართული მედიცინისადმი.

კიდევ უფრო მეტი ამაგი დასდო ვახტანგმა ზაზა ფანასკერტელის (XV ს.) ცნობილი თხზულების „სამკურნალო წიგნის“ შემცველ ხელნაწერს, რომელსაც ასეთი მინაწერი ამშვენებს: „ჩვენ, საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, თვითოეულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყობინეთ და შევაკვრევინეთ სახმარად და სასარგებლოდ კაცთათვინ და სახმარისად ყოველთა“. ცხადად ჩანს, რომ დაშლილი ხელნაწერის წესრიგში მოყვანა და აკინძვა ვახტანგის თაოსნობით მოხდა.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ ვახტანგის ზემოდასახელებულ თხზულებაში („წიგნი ზეთების შემზადებისა და ქიმიის ქმნისა“) საკმაოდ ჭარბადაა სამედიცინო ხასიათის პარაგრაფები, განხილულია სამკურნალო პრეპარატების შედგენილობა, აღწერილია ოპტიკური ხელსაწყოების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები და ა. შ. ეს კი ერთხელ კიდევ ადასტურებს ვახტანგის განსწავლულობას მედიცინაში.

ლ ე ქ ს ი კ ო გ რ ა ფ ი ა. ერთობ დიდია ვახტანგის დამსახურება ქართულ ლექსიკოგრაფიაში. მან ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა როგორც სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ სრულყოფისათვის, ისე ახალი ლექსიკონების შედგენისათვისაც.

ვახტანგი ყურადღებით ადევნებდა თვალს მისი აღმზრდელის მუშაობას და კარგად იცოდა, რომ სულხან-საბა წლების მანძილზე შეუნელებელი ინტერესით და ენერგის დაუზოგავად მუშაობდა ლექსიკონზე, ავსებდა, აზუსტებდა და ხვეწდა მას. ამიტომ იგი გულდასმით კითხულობდა ლექსიკონის ახალ ნუსხებს და განმარტება-დამატებებს ურთავდა. ვახტანგმა განმარტა სულხან-საბას მიერ დამოწმებული ზოგიერთი სიტყვა (ასპალადი, ანჯმნი), ზოგი განუმარტავიც

ახსნა (მყაფი, სუნტაქსვა), განმარტებულს დაუმატა იმავე სიტყვის სხვა მნიშვნელობაც და ახალი წყაროს ჩვენებით დაადასტურა, წყაროების მიუთითებლად წარმოდგენილ სიტყვებს წყაროები მიუწერა (სალი, წული) და ა. შ. იგი ზოგჯერ კიდეც ეკამათებოდა და არ ეთანხმებოდა აღმზრდელს. მაგალითად, სულხან-საბა წერდა: „ზაბაკი და ზამბაკი სადაფია“. ვახტანგმა ეჭვი გამოთქვა: „ზამბაკი ვეჭობ სადაფი იყოს“.

ლექსიკონის ადრეულ ნუსხებში ვახტანგის მიერ შეტანილ განმარტებათა ნაწილმა სათანადო ადგილი მოიპოვა მომდევნო ხანის ხელნაწერებში. სულხან-საბამ თუ სიტყვასიტყვით არ გაიმეორა ვახტანგისეული განმარტება, ახგარიში მაინც გაუწია მას. მაგალითად, სულხან-საბა წერდა: „დაბალთვა-ბალთვა უყო“. ვახტანგმა დამატებით განმარტა: „დაკოდვა, დაჭრა მრავლად“. სულხან-საბამ, ჩანს, გაიზიარა აღზრდილის მინაწერის აზრი და უკანასკნელად „დაბალთვა“ ასე ახსნა: „მეტად წვრილად დაკოდა“.

ვახტანგის მიერ დამატებული ზოგი სიტყვა და მისი ახსნა „სიტყვის კონის“ უკანასკნელ გამოცემებშიც გვხვდება (ლაციცობა, მდივნე, ხლიჩი).

ვახტანგის მინაწერებში ყურადღებას იპყრობს ერთი დეტალი. ლექსიკონის ერთ ნუსხაში იქ, სადაც საუბარია ჯოჯოხეთის სიგრძე-სიგანეზე, სულხან-საბამ ჩაწერა: „მზომელს ადლი რატომ არ დაეწვა?“ ამის წამკითხველმა ვახტანგმა ქვემოთ მიაწერა: „თმა და წვერი უფრო მოეტუსებოდა საბასა სალხინობელში“. ეს მინაწერი აღმზრდელ-აღზრდილს სიახლოვეს მოწმობს და მათ შორის არსებულ კეთილგანწყობილებაზე მეტყველებს.

საგულისხმოა, რომ სულხან-საბას ნაშრომს ვახტანგმა მისცა სათანადო სახელი. ადრეული რედაქციის ანდერძნამაგში სულხან-საბა წერდა: „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა“. სიტყვა „ლექსიკონთან“ ვახტანგმა მიაწერა: „რომელ არს ქართულად სიტყვის კონა“. ჩანს, სულხან-საბას მოეწონა ეს დამატება-განმარტება და თავის შრომას „სიტყვის კონა ქართული“ უწოდა, ხოლო ანდერძ-ნამაგში ჩაწერა: „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო, რომელსა ვახტანგ მეფემან ქართულად სიტყვის კონა უწოდა“.

ვახტანგი მხოლოდ ლექსიკონის კითხვითა და ცალკეული შენიშვნებით არ დაკმაყოფილდა, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალი ნუსხების დამზადებაშიც.

ამრიგად, ვახტანგი დიდ ინტერესს იჩენდა სულხან-საბას „სიტყვის კონისადმი“ და მორიდებული წვლილი შეჰქონდა ამ უკვდავი წიგნის შექმნა-ჩამოყალიბებაში.

ფრიად საინტერესოა ის ლექსიკონები, რომლებიც ვახტანგმა დაურთო მის მიერ სპარსულიდან თარგმნილ ასტრონომიულ თხზულებებს, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ის ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, რომელიც მან 1712 წელს სტამბურად გამოაქვეყნა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახტანგმა „ვეფხისტყაოსანს“ დაურთო და მასთან ერთად დაბეჭდა თავისი კომენტარებიც. აი, სწორედ ამ კომენტარებშია გაბნეული დიდძალი სალექსიკონო მასალა, რომლის გამოკრებითა და ანბანზე გაწყობით კიდევ უფრო სრულად გამოჩნდა ვახტანგის ლექსიკოგრაფიული მუშაობა.

ვახტანგის ლექსიკონი თავისი დროისათვის შესანიშნავადაა გამართული. მასში დამაკმაყოფილებლადაა ახსნილი სიტყვები, მოცემულია ჯეროვანი განმარტებები, მაგალითად,

ა ზ ა ვ ე რ ი — ასაკიდებელი ხარი არის.
ა ს პ ა რ ე ზ ი — ორასს მხარის მინდორსა ჰქვიან; მოედანია.
ბ ჭ ე — გამსინჯავს ჰქვიან.
დ რ ა კ ა ნ ი — ფლურია.
ე ჯ ი — ექვსი ათასი ბიჯი არის.
მ ე ა ჯ ე — მახვეწარსა ჰქვიან.
ფ ა რ ღ უ ლ ი— ყელსაბამია.
ქ უ ლ ბ ა ქ ი — დუქანი არის.

ვახტანგმა კარგად დაძლია სიძნელე და შესანიშნავად გაართვა თავი რთულ ამოცანას. მისი განმარტება მეტწილად სრული და ამომწურავია. მაგალითად, ბუნწი — კაცს ჰქონდეს, ხარჯი მართებდეს და არ იხარჯებოდეს; კურნება — გამთელებას ჰქვიან და წყლული — დაჭრილსა; აბჯარი — რაც ჩასაცმელი თუ შემოსაკრავი იარაღი არის, ყველას ჰქვიან.

ლექსიკონში გვხვდება უცხო წარმომავლობის სიტყვების განმარტებაც (ამირი — არაბულად უფროსს ჰქვიან; გია — სპარსულად ყვავილსა ჰქვიან; მუსიკი — ბერძნულად მგალობლობას ჰქვიან).

ამასთანავე ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა ვახტანგმა ვერ გაარკვია და ვერ ახსნა (კენარი — მე არ ვიცოდი, ვინც იცოდეთ, სთარგმნეთ; ნიშატი — არ ვიცოდი; შეფრობა — ვერ გავარჩიეთ).

მართალია, ვახტანგის ლექსიკონში არის გაუგებრობანი და ცალკეული შეცდომებიც, მაგრამ საერთოდ იგი დიდი განძია და ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს. მან საგრძნობი გავლენა მოახდინა შემდგომი ხანის ქართულ ლექსიკონებზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სულხან-საბასა და ვახტანგის ლექსიკოგრაფიული შრომების შედარებამ საინტერესო სურათი გამოავლინა. ზოგ სიტყვას ისინი ერთნაირად განმარტავენ (ბაზარი, დარაკა, დაფახვა), ზოგს — განსხვავებულად (ბადრაგა, ბილწი, კეშანი). საერთოდ კი ვახტანგი აღმზრდელისაგან დიდად დავალებული ჩანს, ზოგი სიტყვის განმარტება მან უცვლელად გადმოიწერა „სიტყვის კონიდან“ (მჭევრი, ჟლეტა, ჟღერა, მახალი...). თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ სულხან-საბას ლექსიკონის გვიანდელ რედაქციაზე ვახტანგმაც მოახდინა გავლენა. მაგალითად, „სიტყვის კონის“ ადრინდელ რედაქციაში არ იყო განმარტებული „არმაღანი“. „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში ვახტანგმა ის ასე განმარტა: „არმაღანი — შორით მოსული ძღვენია“. სულხან-საბას ლექსიკონის გვიანდელ რედაქციაში ვკითხულობთ: „არმაღანი — შორით მოსულისაგან მოღებული მის თემის ძღვენი“.

ი ს ტ ო რ ი ო გ რ ა ფ ი ა. მნიშვნელოვანია ვახტანგის ღვაწლი ქართულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქციის შექმნა-ჩამოყალიბებაში. გაითვალისწინა რა მშობლიური ისტორიის მნიშვნელობა ეროვნული გრძნობის გაღვივებისათვის, ვახტანგმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია „ქართლის ცხოვრებას“ — საისტორიო თხზულებათა ვრცელ კრებულს, რომელშიც შეტანილი და გაერთიანებულია სხვადასხვა დროის ქართველი მემატიანეების ნაწარმოებები, სახელდობრ, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათე-

სავთა“, ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“, უცნობი ავტორის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ა. შ.

დასახელებული კრებული საქართველოს წარსულით დაინტერესებულ ქართველ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ხალხი მასში პოულობდა მასაზრდოებელ წყაროსა და გამამხნევებელ მასალას, მაგრამ იგი გადმოსცემდა და აშუქებდა ჩვენი წინაპრების ისტორიული თავგადასავლის მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთს — უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე, მომდევნო ხანაზე (XIV — XVII სს.) კი მასში არაფერი იყო ნათქვამი. ეს გარემოება აღიზიანებდა ქართველთა ცნობისმოყვარეობას და ზრდიდა ინტერესს საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდისადმი. ამას ერთოდა მეორე გარემოებაც: საუკუნეთა მანძილზე „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი დამახინჯებულიყო და წარყვნილიყო.

ეროვნული თვითშეგნების გაზრდამ და მეცნიერების განვითარებამ XVII — XVIII საუკუნეთა მიჯნაზე დღის წესრიგში დასვა „ქართლის ცხოვრების“ სრულყოფის საკითხი. მისი მოგვარება ვახტანგმა ითავა. იგი, რასაკვირველია, თვით ვერც მოერეოდა ამ საქმეს და ვერც სათანადო დროს იშოვიდა სამუშაოდ. ამიტომ მან შეკრიბა მეცნიერები, ჩამოაყალიბა სწავლულ კაცთა კომისია, დაავალა მას ძველი ხელნაწერების შეკრება, გაცნობა და შესწავლა, ტექსტის დამახინჯებული ადგილების დაზუსტება და გასწორება, დანაკლისის შევსება — ახალი საუკუნეების ისტორიის დაწერა. „ქართლის ცხოვრებაზე“ მუშაობის დაწყების მიზეზებს, ვახტანგის მიზანდასახულებასა და მის მიერ ჩამოყალიბებული კომისიის მუშაობის შედეგებს საკმაოდ სრულად და ზუსტად გვაცნობს ის შესავალი, რომელიც უძღვის „ქართლის ცხოვრების“ მრავალ ხელნაწერს.

„პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო!

ჟამთა ვითარებისაგან „ქართლის ცხოვრება“ განრყვნილ იყო რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო. ხოლო... ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან სახლოვნის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხვნა, საცა რამ „ქართლის ცხოვრებაები“ პოვნა, და კვალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდე-

ბულთანი. და შეამოწმეს, და რომელი განრყვნილ იყო, განმართეს. და სხვანიცა წერილი მოიხვნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხვნეს და ესრეთ აღწერნეს".

შესავალში აღნიშნულია როგორც „ქართლის ცხოვრების" ტექსტის დამახინჯება („უამთა ვითარებისაგან განრყვნილ იყო"), ისე მისი უსრულობაც („არღარა წერებულ იყო"). მასში ზოგადად დასახელებულია ის წყაროები, რომელთაც კომისია იყენებდა.

ვახტანგის მიერ შექმნილმა კომისიამ ძირითადად კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. მან გამოიყენა „ქართლის ცხოვრების" შემცველი ძველი ხელნაწერები და გაითვალისწინა მათი ვარიანტული წაკითხვები, ჩაატარა ნაყოფიერი ტექსტოლოგიური შუშაობა და გარკვეული წარმატება მოიპოვა: დააზუსტა და გაასწორა არა ერთი დამახინჯებული ადგილი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრების" უკანასკნელ გამოცემაში, რომელიც ძირითადად ძველ ხელნაწერებს ემყარება, ხშირ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კომისიის წაკითხვებს; კომისიამ საბოლოო სახე მისცა „ქართლის ცხოვრების" გარეგნულ გაფორმებას ტექსტის ცალკე თავებად დაყოფით და ამ თავების მეფეთა მიხედვით დასათაურებით. მართალია, „ქართლის ცხოვრების" დაყოფა ნაკვეთებად მეფეთა ზეობის მიხედვით უკვე XV — XVI საუკუნეებში შეინიშნება (მაგალითად, „ქართლის ცხოვრების" ანასეულ ხელნაწერში), მაგრამ ამ იდეის პრაქტიკული განხორციელება და სრულყოფა ვახტანგის კომისიის დამსახურებაა; სწავლულ კაცთა კომისიამ გაზარდა სასულიერო-საეკლესიო თემატიკის ხვედრითი წონა „ქართლის ცხოვრებაში", უხვად წარმოაჩინა ისტორიულ-აგიოგრაფიული მასალა, ჩაურთო ტექსტში პეტრე იბერიელის, იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელისა და სხვა ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი (მათგან პეტრე იბერიელის ცხოვრება უშუალოდ ვახტანგის თაოსნობით), აგრეთვე ცალკეული ცნობები ზოგიერთ ქართველ მოღვაწეზე. კომისიას მიეწერება აგრეთვე სუმბატ დავითის ძის თხზულების „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა" შერწყმა ჯუანშერის ნაწარმოებსა და „მატიანე ქართლისაში" და ბასილი ეზოსმოძღვრის ნაშრომის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი" შერწყმა-შეზავება თამარის პირველი ისტორიკოსის წიგნთან — „ისტორიანი და აზმანი

შარავანდედთანი“; კომისიამ ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩაატარა XIV — XVII საუკუნეების ისტორიის დასაწერად. სწავლული კაცები თავიანთ მუშაობაზე შემდეგს გვაცნობენ: „ჟამამდე ღვთივ გვირგვინოსნისა მეფისა გიორგისამდე, ძისა თავდადებულისა მეფისა დიმიტრისამდე, ეწერათ ცხოვრებანი ქართველთანი, ხოლო ძისა მეფისა გიორგისა, მეფისა ბაგრატისა, არღარა წერებულ იყო, ვიდრე მეფისა გიორგისა ძისა ბაგრატისამდე. ხოლო ამის ბაგრატისა და ძისა მისისა კონსტანტინესი დაეწერათ და ეპოვეთ ძველთა წიგნთა შინა და ქვემორე რიგსა მისსა ზედა დაგვიწერია. და ესე ამბავნი მის ზემოთნი გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებისაგან გამოვიღეთ და აღვწერეთ, ხოლო მეფისა ალექსანდრესა და ძისა მისისა მეფისა კოსტანტინესი და შემდგომი ძველთა კაცთა და სპარსთა ცხოვრებისა და ქორანიკონთა და გუჯართაგან აღგვიწერია, ვიდრე მეფისა როსტომისადმე. ხოლო მეფისა როსტომის აქათი თვით თვალითა მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან აღგვიწერია. და რაოდენი საეჭველი იყო, უხმარ ვყავით, ხოლო მართალი აღგვიწერია ცხოვრებისა ბაგრატ მეფისითგან“.

მოტანილი ცნობიდან ჩანს, რომ კომისიამ გამოიყენა როგორც ქართული, ის უცხო საისტორიო წყაროები, გაითვალისწინა სიგელ-გუჯართა ჩვენებანი, ანგარიში გაუწია ზეპირ გადმოცემებსაც. სწავლულ კაცთა ნამუშევარი საკმაოდ სრულად გვაცნობს XIV — XVII საუკუნეების ქართლის ისტორიულ თავგადასავალს, მაგრამ დაზღვეული არაა ნაკლოვანებათაგან. მასში გვხვდება ფაქტობრივი შეცდომები, წინააღმდეგობანი და შეუსაბამობანი, მასალა არაა განაწილებული გეგმაზომიერად, თხრობა არაა დაყოფილი თავებად, უგულებელყოფილია საქართველოს სხვა კუთხეების ისტორია და ა. შ. ყველაფრიდან ჩანს, რომ ვახტანგმა უთუოდ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კრიტიკულად ვერ განიხილა კომისიის მიერ დამზადებული მასალა, ვერ ჩაატარა მისთვის დამახასიათებელი რედაქტორული მუშაობა. მან ჩამოაყალიბა კომისია, დაუსახა მას გარკვეული მიზანი, მაგრამ ნამუშევრის შემოწმება და შეფასება ვეღარ მოახერხა.

„ქართლის ცხოვრებაზე“ ვახტანგი ძირითადად ბატონიშვილობისას მუშაობდა (თუმცა ინტერესი ამ ძეგლისადმი არასოდეს შენე-

ღებია). იმ ხანისაა მისი საინტერესო მინაწერები და შენიშვნები „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულსა და რუმიანცევისეულ ნუსხებზე. იმავე პერიოდში შეატანინა მან კრებულში ცნობილი მოღვაწის პეტრე იბერიელის ცხოვრება, როგორც ამას საფიქრებელს ხდის ტექსტის ხელით შესრულებული მინაწერი „ქართლის ცხოვრების“ რუმიანცევისეულ ნუსხაზე: „წმიდაო პეტრე, მეოხ ეყავნ წინაშე ღმრთისა ბატონიშვილს ვახტანგს მეუღლით, ძით და ასულითურთ, რომელმან მოპოვნებულ ყო ცხოვრება ესე შენი და მცირედი აღწერინა წიგნსა ამას შინა, არამედ სრულიად არა აღიწერებოდა სიდიდითა“ (ეს მინაწერი გამეორებულია 1748 წლის ხელნაწერშიც).

ვახტანგის მუშაობა „ქართლის ცხოვრებაზე“ ძირითადად ამით ამოიწურება, ხოლო ამ კრებულის გადამუშავებული და შევსებული რედაქცია, რომელსაც ხშირად ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებას“ უწოდებენ, არაა საბოლოოდ რედაქტირებული ვახტანგის მიერ და მის შეცდომებზე იგი პასუხს არ აგებს. ვახტანგის სახელის მიკუთვნებამ „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქციისათვის სამართლიანად აღაშფოთა ვახუშტი. მისი ცნობით, „აღუწერიათ ცხოვრებაცა სახელითა ლევანის ძისა მეფის ვახტანგისითა. რომელი არა საგონებელ არს მის მიერ: განა თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არ-ძედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი“.

უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ ვახტანგის საისტორიო ხასიათის ორიგინალური ნაშრომი: „ბაგრატოანთ ნათესაობის წიგნი“ ან „გენეალოგიური ხე“, რომელშიც ნაჩვენებია ბაგრატიონთა გენეალოგია ძველთაგან ვიდრე ვახტანგის შვილებამდე. ვახტანგმა ფრიად შრომატევადი სამუშაო ჩაატარა, ძველი წყაროებიდან გულდასმით გამოკრიბა სათანადო მასალა და შექმნა დიდი მეცნიერული ღირებულების შრომა.

ასეთია ზოგადად ვახტანგის წვლილი ქართული მეცნიერების ზოგიერთი დარგის განვითარებაში (ასტრონომია, ქიმია, მედიცინა, ლექსიკოგრაფია, ისტორიოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა-რუსთველოლოგია). ვფიქრობთ, განხილული მასალა საკმაოდ გვაცნობს ვახტანგის მეცნიერულ მოღვაწეობას და ნათლად წარმოაჩენს მის დამ-

სახურებას ქართული მეცხიერების წინაშე. ჩვენ ისღა დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი მასალით არ შემოიფარგლება ვახტანგის მეცნიერულ ინტერესთა სფერო. ნიჭიერ მკვლევარსა და ნაყოფიერ შემოქმედს აინტერესებდა აგრეთვე მათემატიკა, გეოგრაფია, გრამატიკა, ფილოსოფია და სხვა დარგები. მან მ. კავკასიძეს ითარგმნინა რუსულიდან „სივაკის ზომა ანუ პლანიმეტრია“ –– მათემატიკის ერთგვარი სახელმძღვანელო, რომელშიც თავდაპირველად განხილულია არითმეტიკული მოქმედებანი, ხოლო შემდეგ მოცემულია გეომეტრია-ტრიგონომეტრიის ელემენტებიც. აღნიშნული შრომა ვახტანგმა გულდასმით წაიკითხა, შეასწორა და შეავსო („გაასწორა და ვრცლად დაწერა“). მანვე ულუღ-ბეგის ასტრონომიული ტრაქტატის გადმოღებით თანამემამულეებს გააცნო არაბთა ტრიგონომეტრიის საფუძვლები; ვახტანგის სახელთანაა დაკავშირებული ქართული გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებაც. მან ასტრონომიული ხერხებით განსაზღვრა და დააზუსტა გეოგრაფიული კოორდინატები, წამოიწყო მუშაობა საქართველოს რუკის შედგენისათვის და საფუძველი ჩაუყარა ქართულ კარტოგრაფიას, ჩაატარა საქართველოს ზოგიერთი კუთხის ტოპოგრაფიული აგეგმვა და ა. შ. ინტერესს იჩენდა იგი ზოოლოგიისა და პალეონტოლოგიისადმი. სულხან-საბა ორბელიანის ცნობით, ვახტანგს სასახლეში ზოოლოგიური მუზეუმი და პალეონტოლოგიური კოლექცია ჰქონია. არაა ინტერესმოკლებული ის ფაქტი, რომ ვახტანგის ინიციატივითა და დავალებით ზ. შანშოვანმა დაწერა ჩვენთვის ცნობილი პირველი ქართული გრამატიკა და თარგმნა პორფირის ფილოსოფიური თხზულებანი („ხუთნი ხმანი“, „შეყვანილობა“), ხოლო მ. კავკასიძემ გადაწერა პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“. მის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე „ცხენის კარაბადინი“, რომელიც „პირველ თქმული სპარსთა და არაბთ შინა“ მან „გამოაცხადნა თარგმანებითა და შეკრიბნა ერთად“.

ვახტანგ მეექვსის ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში

ვახტანგ VI ძველი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის იყო გონიერი სახელმწიფო მოღვაწე და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, სამშობლოს ნათელი მომავლისათვის თავდადებული მებრძოლი და მშობელი ხალხის გულწრფელი მოჭირნახულე, ღრმად განსწავლული მწიგნობარი და ღვაწლმოსილი მეცნიერი, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი და საყოველთაოდ ცნობილი მეცენატი.

ვახტანგი უაღრესად საყურადღებო ლირიკოსია. მისი პოეტური მემკვიდრეობა ინტერესს იწვევს თემატიკური მრავალფეროვნებით, იდეურ-პოლიტიკური მიზანდასახულებით, მხატვრული მეტყველების მაღალი კულტურით, განცდის სიწრფელითა და ლირიკული მგრძნობელობით, მოქალაქეობრივი ჰანგებითა და მღელვარე პათოსით. იდეურად დახვეწილი და დიდი მხატვრული შთაგონებით დაწერილი სტრიქონები ვახტანგს წარმოგვიდგენენ, როგორც პოეტური სიტყვის ჭეშმარიტად დიდებულ ოსტატს.

ვახტანგი იყო საკმაოდ დახელოვნებული მთარგმნელი. არსებითად მის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ ენაზე რამდენიმე დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ძეგლის თარგმნა და გალექსვა („ამირნასარიანი", „ჭილილა და დამანა" და სხვ.). თავისი დიდაქტიკური მოძღვრება ვახტანგმა ძირითადად თარგმნილ ძეგლებში განავითარა; მათში ჩააქსოვა საკუთარი დაკვირვება და ცხოვრე-

ბისეული გამოცდილება და მოგვცა. მრავალი ბრძნული დარიგება, მახვილგონივრული შეგონება და მოხდენილი სენტენცია-აფორიზმი.

ვახტანგმა დააარსა სტამბა თბილისში და გააჩაღა ფართო მასშტაბის საგამომცემლო საქმიანობა. აღნიშნული სტამბის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა განუზომელია. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შოთა რუსთაველის გენიალური პოემის პირველი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა. ვახტანგმა გამოაქვეყნა პირველი ღრმამეცნიერული მონოგრაფია „ვეფხისტყაოსანზე“ და შესამჩნევი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის პრობლემატიკის დამუშავებაში.

ვახტანგმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მართლმსაჯულებას, თავის თანამოღვაწეებთან ერთად ჩაატარა შრომატევადი სამუშაო და შექმნა-ჩამოაყალიბა დიდებული კრებული, რომელსაც ჩვეულებრივ, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს უწოდებენ. აღნიშნული კრებული ნათლად ავლენს საქართველოში დამკვიდრებულ მართლწესრიგს, ჯეროვნად წარმოაჩენს ჩვენი სამართლებრივი სისტემის მაღალ დონეს.

ვახტანგის მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ერთობ დიდი ადგილი უჭირავს მეცნიერულ მოღვაწეობას, კვლევა-ძიებით მუშაობას. ვახტანგი იყო დაკვირვებული მკვლევარი და ნაყოფიერი მეცნიერი. თავისი ორიგინალური თუ თარგმნილ-გადმოკეთებული შრომებით მან შესამჩნევად შეუწყო ხელი ქართული მეცნიერების განვითარებას.

აღნიშნულთან ერთად ვახტანგი იყო ქართველთა ინტელექტუალური საქმიანობის აღიარებული მეთაური, კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის ნიჭიერი ორგანიზატორი, იდეური წინამძღოლი და პრაქტიკული ხელმძღვანელი.

ვახტანგი ქართული კულტურის უაღრესად კოლორიტული წარმომადგენელია. მან გააღრმავა და გაამდიდრა, აამაღლა და წინ წასწია ძველი ქართული კულტურა, უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

ვახტანგი ორგანულადაა დაკავშირებული ძველ ქართულ მწერ-

ლობასთან. მასზე ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა სახელოვანი წინამორბედების კულტურულ-ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ.

ვახტანგი დიდადაა დავალებული „ვეფხისტყაოსნით“, კერძოდ, მისი მიჯნურობის კოდექსით. მის ნაწერებში შეინიშნება გავლენა რუსთაველის ბრძნული გამონათქვამებისა (შეადარე, მაგალითად, ვახტანგის „სჯობს ერთი ასსა საქმითა, თუ შემსგავსებით მქნელია“ რუსთაველის გამონათქვამს: „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“), გვხვდება აგრეთვე რუსთაველის მსგავსი რითმები (ჟამისა, წამისა, დამისა...), სიტყვათა გამეორება (შეადარე ვახტანგის: „კარგი ჯდომა, კარგი ქცევა, კარგი ქნა და კარგზე წვევა“ რუსთაველის ცნობილ ფრაზას: „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“) და შეძახილები (შეადარე ვახტანგის „ვგმობ საწუთროსა მუხთალსა, უცხოსა, გასაკვირასა!“ რუსთაველის სიტყვებს: „ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!“).

ვახტანგის პოეზია დავალებულია აგრეთვე თეიმურაზ პირველისა (სოფლის სიმუხთლის სიმწვავის ქრისტიანული თვალსაზრისით შერბილება, „მაჯამა“ და სხვ.) და განსაკუთრებით არჩილის შემოქმედებით. როგორც აღვნიშნეთ, მასზე ნაყოფიერი გავლენა მოახდინა არჩილის დიდაქტიკურმა მოძღვრებამ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის ქადაგებამ, ანბანთქებამ და ა. შ.

თავის მხრივ, ვახტანგმა შესამჩნევი გავლენა მოახდინა თანამედროვეებსა და თანამოღვაწეებზე — მ. ბარათაშვილსა და დ. გურამიშვილზე.

მ. ბარათაშვილმა თავის „ჰაშნიკში“ არსებითად ვახტანგის პრინციპები წარმოაჩინა. მან სავსებით შეიწყნარა და სათანადოდ განავრცო ვახტანგის ღვთაებრივი მიჯნურობა, მოიწონა და გაიზიარა „თარგმანში“ მოცემული მისტიკურ-ალეგორიული ინტერპრეტაცია „ვეფხისტყაოსნისა“. მის ლექსებში გვხვდება ვახტანგის გამონათქვამების თანხვედნილი ფრაზებიც (შეადარე, მაგალითად, მ. ბარათაშვილის „ისარს ისვრის წამწამთაგან, ხელთ უჭირავს სამალია“ ვახტანგის სიტყვებს: „ისარს ისვრის წამწამთაგან, ცეცხლს გარ უდებ ტრფიალს ალად“).

კიდევ უფრო მეტადაა დავალებული ვახტანგის პოეზიით დ. გუ-

რამიშვილი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა შთამაგონებელი გავლენა მოახდინა „დავითიანის“ ავტორზე ვახტანგის დიდაქტიკურმა პოეზიამ. ამ საკითხს აქ აღარ დავუბრუნდებით, მხოლოდ დავსძენთ, რომ ორივე პოეტის მიზანდასახულება ერთია და ორივემ ახალგაზრდობისათვის შეთხზა ზნეობრივი ტრაქტატები (შეადარე ვახტანგის სიტყვები: „არმაღნად ესე დავაცევი ყრმათათვის მოსართმეველად“ დ. გურამიშვილის სიტყვებს: „ყრმათ შევავედრე ეს წიგნი, არ შექნან დასახევლად“).

ვახტანგის სამიჯნურო-სატრფიალო პოეზიამ თავისი ალეგორიულობითა და სიმბოლურობით დიდი გავლენა მოახდინა დ. გურამიშვილის ლირიკაზე. „დავითიანის“ ზოგიერთი ლექსი („ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, იმისი მოთქმა დავითისაგან“, „ზუბოვკა“ და სხვ.) ძალზე ახლოსაა ვახტანგის მისტიკურ-ალეგორიულ პოეზიასთან.

ერთობ საგრძნობია დ. გურამიშვილის ლექსების მსგავსება ვახტანგის ლექსებთან. მაგალითად, დ. გურამიშვილის

გული ღონდება, ვიწყო გოდება; ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება: ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!

უნებურად გვაგონებს ვახტანგის სიტყვებს:

რა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მეგონა რამე, სოფლისა რა მე, ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო!

დ. გურამიშვილმა ჭარბად გამოიყენა ვახტანგის მიერ დამკვიდრებული ელეგიური ლექსის ჟანრი, ჩახრუხაულისა და რუსთველური შაირის ვახტანგისეული კონსტრუქციები, მისივე მაჯამები და ა. შ.

საგრძნობი გავლენა მოახდინა ვახტანგმა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. კერძოდ, მისმა „შეგონებამ“ შთააგონა ნ. ბარათაშვილი. მსგავსად სახელოვანი წინამორბედისა, ისიც ადამიანის დანიშნულებას ამქვეყნიური ცხოვრების ფერხულში ჩაბმაში ხედავდა, მის მოქალაქეობრივ მოვალეობად სოფელზე ზრუნვას მიიჩნევდა. მოვიგონოთ მისი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვები:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან-შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

ვახტანგისა და ნ. ბარათაშვილის ბრძნულ გამონათქვამებს შორის ადგილი აქვს იდეურ-ინტელექტუალურ ნათესაობასა და შინაარსობლივ-აზრობლივ ერთიანობას. რამდენადმე ენათესავება ვახტანგის „შეგონებას“ ი. ჭავჭავაძის ლექსიც:

თუ სახელის შოვნა გინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობით სთქვას:
ნანერგითა შენით მარგე.
კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, —
აბა დღეს მე ვის რა ვარგე?

ი. ჭავჭავაძე ვახტანგს მაღალ შეფასებას აძლევდა და თეიმურაზ პირველისა და არჩილის გვერდით აყენებდა, მის ბრძნულ გამონათქვამებს „ივერიაში“ აქვეყნებდა და თავის პუბლიცისტურ წერილებშიც ხშირად იმოწმებდა; განსაკუთრებული სიუხვით იყენებდა „ქილილა და დამანას“ სენტენცია-აფორიზმებსა და სალექსიკონო მასალას.

ვახტანგის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას კარგად იცნობდა და ჯეროვნად აფასებდა ა. წერეთელი. საინტერესოა მისი სიტყვები ვახტანგზე:

... სიმხნით და სიბრძნით თანსწორ განთქმულმა
თავი შესწირა მის სამშობლოს მტლად.
მისი სულისდგმა, მისი გულისთქმა
ქვეყნისთვის ჰქონდა მას შეწირული...
ყოველი მისი ბიჯის გადადგმა
თვით სიბრძნე იყო, წინდახედული!

სხვათა შორის, ერთ ნაწარმოებში ა. წერეთელი საგანგებოდ მსჯელობდა ვახტანგის გამაჰმადიანებაზე და მას სამშობლოს სიყვარულით ნაკარნახევ და ამდენად სავსებით გამართლებულ ნაბიჯად მიიჩნევდა.

მაღალ შეფასებას აძლევდა ვახტანგს ი. გოგებაშვილიც. მისი სიტყვით, ვახტანგმა „დატოვა ჩვენს ისტორიაში ცხოველი, ნაყოფიერი და უკვდავი კვალი“.

კიდევ უფრო სრულად გამოვლინდა და მეტად დაფასდა ვახტანგის ღვაწლი ჩვენს ხანაში. ქართველი საზოგადოებრიობა შეუნელებელი ინტერესით ეცნობა და სწავლობს მრავალჭირნახული სახელმწიფო მოღვაწის უაღრესად საყურადღებო კულტურულ-ლიტერატურულსა და მეცნიერულ მემკვიდრეობას.

შინაარსი

I. ვახტანგ მეექვსის ცხოვრების გზა . . . 5

1. ქართლი XVII საუკუნეში 5
2. ვახტანგის დაბადება და აღზრდა 14
3. მონაწილეობა ქართლის ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში . 18
4. ვახტანგი — ქართლის გამგებელი 32
5. ირანში 45
6. სამშობლოში დაბრუნება 65
7. რუსეთში 91

II. ვახტანგ მეექვსის კულტურულ-ლიტერატურული და მეცნიერული მემკვიდრეობა 107

1. ლირიკა 107
2. თარგმანები 121
   ა. „ამირნასარიანი“ 121
   ბ. „ქილილა და დამანა“ 126
   გ. „სიბრძნე მალაღობელი“ 142
3. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ . . 150
   ა. პირველი სტამბა თბილისში . . 150
   ბ. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა . . . 154
4. ვახტანგის სამართალი 165
5. მეცნიერული შრომები 170

III. ვახტანგ მეექვსის ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში . . 183

რედაქტორი ვ. ძიძიგური
მხატვარი ი. ქლიბაძე
მხატვ. რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექრედაქტორი ლ. ქვარცხავა
კორექტორი ი. უშვერიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-66 წ.
ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆.
ნაბეჭდი თაბახი 12.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,72.
უე 00315. ტირაჟი 8.000. შეკვ. № 1907.
ფასი 46 კაპ.